საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
27 ოქტომბერი - 2 ნოემბერი, 2010
№39 (82)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

10 ერთი ნაბიჯი გაგიჟებამდე

ნესტან კირთაძე: სააკაშვილის რეჟიმმა საქართველოს სახელმწიფოებრიობის შანსი მოუსპო 12

14 თბილისი ჩრდილოკავკასიელებთან სახიფათოდ «თამაშობს»

ამერიკელი მეცნიერის სკანდალური აღიარება — სიმართლე ერაყის შესახებ 16

ინგლისელები და ფრანგები ბათუმის დაბომბვას აპირებდნენ 18

## ვარდების ევოლუცია და შიშველი მეფე 7



## პრეზიდენტის შემოდგომა 4

ზაზა ხატიაშვილი:

## საქართველოში ფაშისტური რეჟიმია და ადვოკატთა კორპუსი სააკაშვილს აუცილებლად ასწავლის ჭკუას 8

«ვარდების რევოლუციის» შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოვიდა რევოლუციური ჟინით შეპყრობილი ფაშისტური მენტალიტეტის ხალხი

## უკანასკნელი ათასი წლის მანძილზე წლეულს ყველაზე ცივი ზამთარი იქნება 9



## პროდუქტები კი ისევ ძვირდება!

## ომსა და რევოლუციას შორის 2

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## გაფრთხილებულნი



**ედუარდ შევარდნაძე,**
**საქართველოს ექსპრეზიდენტი:**

საფრთხე დღითი დღე იზრდება. ამიტომ ვურჩევ მთავრობას, ლარსის საბაჟოს დასაცავად განსაკუთრებულ ზომებს მიმართონ. თუ საჭიროა, ჯარი უნდა გამოიყვანონ და ისე დაიცვან, ან პოლიცია, მაგრამ დამცავი ძალა უნდა იყოს მრავალრიცხოვანი.

*„ასავალ-დასავალი“*



**ირაკლი ბათიაშვილი,**
**„წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ საინიციატივო ჯგუფის წევრი:**

სააკაშვილი გვეუბნებოდა, რომ ომი მოიგო. სინამდვილეში ცხინვალი დამწვარი ქართველი ჯარისკაცებით იყო სავსე. მის გამო მთელი აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი დავკარგეთ. იმასაც გვეუბნებიან, ეკონომიკური მდგომარეობით იაპონიას გავუსწარითო, ამ დროს კი ხალხი ნაგავში იქექება. ჩვენი სირცხვილია, რომ ასეთი ადამიანი ამდენი ხანია თავზე გვაზის. როგორ შეიძლება, რომ მატყუარა, მშიშარა კაცი თავზე გვყავდეს დასმული?

*„კვირის პალიტრა“*



**ირაკლი ალასანია,**
**„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი:**

რა რევოლუციაზე საუბრობს ოქრუაშვილი, როდესაც მან ერთი დღე ვერ გაძლო საკანში?! რევოლუციების დრო საქართველოში დასრულდა და ამ წლების განმავლობაში ძალიან ბევრი ცუდი გაუკეთა ჩვენს ქვეყანას. შემიძლია ვთქვა, რომ ერთადერთი გზა და ხელისუფლების ალტერნატივა არის საარჩევნო გარემოს შეცვლა და „ნაცმოძრაობის“ დამარცხება.

*„რეზონანსი“*



**გიორგი ფოფხაძე,**
**ფრანგული სახელმწიფო რადიოს „ფრანს ინტერნასიონალის“ კორესპონდენტი:**

სააკაშვილის ხელისუფლება ქუჩაში ხვრეტს უდანაშაულო ადამიანებს და ქართველები ხმას არ იღებენ. ქართველ ჟურნალისტებს ჰყოფნით იმის უსირცხვილობა და იმის „ნაგლობა“, რომ ამ რეჟიმს ემსახურონ.

*„ასავალ-დასავალი“*



**თემურ შაშიაშვილი,**
**მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი:**

სააკაშვილს აღარ შესწევს ძალა, მინისტრის მოადგილეების ზემოთ ვინმეს ებრძოლოს! ქვეყანაში ყვავის ნარკობიზნესი, იარაღის ბიზნესი და ქვეყანაში თეთრდება უზომო რაოდენობით შავი ფული. ეს სამი რამ წარმოუდგენელია, პრეზიდენტის მონაწილეობისა და ნებართვის გარეშე მოხდეს. ამიტომ, როცა თავად პრეზიდენტია ჩართული უმძიმეს დანაშაულებში, ის პრეზიდენტი სხვას ვეღარ ებრძვის და ვეღარ დაიჭერს!

*„ასავალ-დასავალი“*



**ნინო ბურჯანაძე,**
**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი:**

ოჯახის წევრი არც ისე ბევრი ჰყავს სააკაშვილს. ისინი საკმაოდ ჯანსაღად უყურებდნენ სიტუაციას, ნამდვილად არ მოსწონდათ და მისთვის ერთ-ერთი, ძალიან ძვირფასი ადამიანის ნათქვამიც მახსოვს: ტყავის „კურტკებში“ სირბილი რა უბედურებაა, ბოლშევიკები მოვიდნენ ქვეყანაში, მაუზერი აკლიათ მარტოო.

*„ასავალ-დასავალი“*



**მანანა ნიკოლაიშვილი,**
**„განათლების ლიგის“ პრეზიდენტი:**

ბატონო პრეზიდენტო, რომ „ჩამოასხით“ ეს ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ინგლისურის მასწავლებლები, სად უნდა დაიკმაყოფილონ ამ ადამიანებმა თავიანთი სექსუალური მოთხოვნილებები? საშინელებაა, მაგრამ ჩემამდე მოვიდა ინფორმაცია, რომ ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლაში უცხოეთიდან ჩამოსულმა ახალგაზრდა „განმანათლებელმა“ ჩვენს უფროსკლასელ გოგონებს შესთავაზა, ხომ არ გავერთოთო.

*„ალია“*

# ომსა და

**ვიდრე მიხეილ სააკაშვილი ბათუმის პლაჟზე დეზაბილიეში დასეირნობდა („Deshabille — ფრანგ. სიტყვა-სიტყვით „გახდილი“, შეუსაბამოდ ჩაცმული, ნახევრად შიშველი) ქვეყნის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. უახლოეს მომავალში, საქართველოს საერთაშორისო არენაზე შეიძლება სერიოზული პრობლემები შეექმნას, შიდაპოლიტიკური კრიზისის მორიგი სტადია კი, სავარაუდოდ, საკმაოდ მწვავე ფორმებს მიიღებს. ამ რთულ ფორმულირებებს თავი რომ დავანებოთ და მარტივ ენაზე გადავიდეთ, გასულ კვირას გაძვირდა ხორცი, რამაც მოსახლეობის მდგომარეობა ერთობ დაამძიმა. მოკლედ, სინათლე გვირაბის ბოლოს ნამდვილად არ გამოჩენილა; მეტიც, ზოგიერთმა შორსმჭვრეტელმა ადამიანმა, არა აღნიშნული გვირაბის ბოლოს, არამედ უშუალოდ ჩვენს სიახლოვეს, რაღაც სხვა, გაცილებით საშიში რამ აღმოაჩინა.**

## სააკაშვილის ხელისუფლებამ, შესაძლოა, ისეთ ჭაობში შეგვატოპინა, საიდანაც იოლად ვერ ამოვძვრებით

ნინო ბურჯანაძემ, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარედ ყოფნის პერიოდში სააკაშვილ-პუტინის სატელეფონო საუბრების (და ზოგადად ურთიერთობების) შესახებ ინფორმაციას ფლობდა და 2008 წლის კრიზისის გენეზისი კარგად ახსოვს, როგორც ჩანს, იგრძნო, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ისევ სახიფათო ზღვარს უახლოვდება და 21 ოქტომბერს ახალი ომის საფრთხეზე და მის გამომწვევ მიზეზებზე ალაპარაკდა: **„ყველასთვის ცნობილია, რამდენად მძიმეა რუსეთისთვის ჩრდილოეთ კავკასიის თემა და ამის პროვოცირებას რომ ახდენ მუდმივად, კიდევ ერთხელ რომ მოგვხვდეს იმ დათვისგან ტორი, რას შვები მერე?! ხომ იცი, რომ არავინ შემოვა აქ რუსების ტანკებისა და ჯარისკაცების შესაჩერებლად“.**

თუმცა, ალბათ, შეცდომა იქნება, სიტუაციის წარმოჩენა ისე, თითქოს კრემლი უბრალოდ ინტერვენციისთვის საბაბს ეძებს. თუ ის ასეთ მიზანს დაისახავდა, ამის გაკეთებას, ალბათ, 24 საათის განმავლობაში მოახერხებდა, რადგან **სააკაშვილის ხელისუფლების პროვოცირება წინდაუხედავ ნაბიჯებზე ძალზე იოლია.** თანაც ვითარება კონფლიქტური ზონების გარშემო ზოგადად არასტაბილურია, ამიტომაა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ომის განუახლებლობის დამატებითი გარანტიების ძებნაში, ოფიციალური თბილისისგან ძალის გამოუყენებლობის შესახებ დოკუმენტის ხელმოწერას ითხოვს.

ის, რომ პარიზი ამ წინადადებით გამოვიდა, ჩვენ ჯერ კიდევ ზაფხულში, „საქართველო და მსოფლიოს“ 14 ივლისის ნომერში თბილისში საფრანგეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის — ბერნარ კუშნერის ჩამოსვლის წინ ვივარაუდეთ (ციტატა): **„საგულისხმოა, რომ სააკაშვილის პარიზიდან დაბრუნების შემდეგ მალევე შეთანხმებაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას შორის შევიდა ცვლილებები, რომელთა თანახმად დამკვირვებლები საქართველოს სამხედრო ბაზებზე მონიტორინგის განხორციელებას შეძლებენ. ამას თითქმის ნულამდე დაჰყავს კონფლიქტური რეგიონების მიმართულებით სამხედრო ოპერაციების ფარული მომზადებისა და, შესაბამისად, მათი წარმატებით ჩატარების ალბათობა: თუ მსგავსი აზრები, რომელიმე ცხელ თავში ჯერ კიდევ ტრიალებს, რაც ნაკლებად სავარაუდოა, ამის ლოგიკურ გაგრძელებად შეიძლება იქცეს „ძალის გამოუყენებლობის შესახებ“ ყბადაღებული შეთანხმების ხელმოწერა“.** სამ თვეში სარკოზიმ შესაბამისი განცხადება გააკეთა.

**კადიროვის განცხადება და რუსი პოლიტოლოგების მიერ ტერორისტების მხარდამჭერის თემის აქტუალიზება ჯერ კიდევ არ არის ომი, მაგრამ ეს არის სააკაშვილის ხელისუფლების მკაფიო გაფრთხილება, ხელი აიღოს ახალ კავკასიურ პოლიტიკაზე, რომლის აქტიური გატარება მას შემდეგ დაიწყო, რაც სააკაშვილმა გაეროს ტრიბუნიდან „ერთიანი კავკასიის“ იდეა გააჟღერა.** შემდეგ ოფიციალურმა თბილისმა ცალმხრივად შემოიღო უვიზო მიმოსვლა ჩრდილოკავკასიელებისთვის; პარლამენტარები დაუბრუნდნენ მუშაობას რეზოლუციებზე, რომლებიც ჩრდილოკავკასიელი ხალხების მეფის რუსეთის ▶

### თამაში გამძინვარებულ დათვთან

ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა 22 ოქტომბერს საკმაოდ ავისმომასწავებელი განცხადება გააკეთა. **„სერიოზული მორალური და ფიზიკური მხარდაჭერის წყარო ბოევიკებს ძალიან ცოტა დარჩა. ადრე ფინანსურ მხარდაჭერასა და იარაღს ისინი საქართველოს ტერიტორიის გავლით იღებდნენ. საქართველოს გავლითვე ჩეჩნეთში ბანდიტების მთელ ჯგუფებს აგზავნიდნენ.** დღესაც, ოპერატიული მონაცემების თანახმად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრაქტიკულად, **ერთადერთ წყაროდ, რომელიც მათ დახმარებას უწევს, საქართველო რჩება,** — განაცხადა კადიროვმა და დასძინა, — **არის ინფორმაცია, რომ იქ ახლაც მიმდინარეობს ახალგაზრდების გადაბირება ჩეჩნეთში გაგზავნის მიზნით“ („ამერიკის ხმა“).**

მსგავსი რამ კადიროვს ადრეც უთქვამს, თუმცა ამჯერად ის, ალბათ, ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებასთან ერთ კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რომელიც 14 ოქტომბერს ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში გააკეთა: **„ყოველთვის კატეგორიულად წინააღმდეგი ვიყავი ჩეჩნებისათვის ტრანზიტისა და კორიდორების მიცემისა; ყოველთვის კატეგორიულად წინააღმდეგი ვიყავი იმისა, რომ ინგუშები მომზადებულიყვნენ ჩვენს სამხედრო ბაზებზე: ყოველთვის კატეგორიულად წინააღმდეგი ვიყავი, რომ ჩვენი ბანკების მეშვეობით გატარებულიყო ჩეჩნეთში შესაგზავნი ფული“.**

ეს ორი განცხადება, ერთგვარი ინდიკატორია იმისა, რომ **სააკაშვილის ხელისუფლებამ, შესაძლოა, ისეთ ჭაობში შეგვატოპინა, საიდანაც იოლად ვერ ამოვძვრებით.** მასალები კონკრეტული ფაქტებით, რომლებიც დაადასტურებდა ოფიციალური თბილისის თანამშრომლობას ჩრდილოკავკასიელ ბოევიკებთან, არ გამოქვეყნებულა, თუმცა ციტირებული განცხადებები (და ის განცხადებები, რომლებიც, სავარაუდოდ, ახლო მომავალში გაკეთდება) ქმნის სათანადო საინფორმაციო ფონს იმისთვის, რომ მსგავსი მასალების გამოქვეყნების შემთხვევაში რუსული (და ნაწილობრივ უცხოური) საზოგადოება მათ აღიქვამს, როგორც უკვე გაჩენილი ეჭვების მყარ დადასტურებას; შემდეგ კი ყველაფერი მარტივია: **რუსეთის სამხედრო დოქტრინა მსგავს შემთხვევებში ითვალისწინებს პრევენციული იერიშების მიტანას ტერორისტების ბანაკებზე, მიუხედავად იმისა, სად მდებარეობს ისინი.**

## მოკლედ



### სააკაშვილი ღარიბებს ვეღარ ხედავს

**როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერა ქობალიასა და მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე გაირკვა, პრეზიდენტ სააკაშვილის ინფორმაციით, საქართველოში სიღარიბის მაჩვენებელი 19-20%-მდე შემცირდა.**

მაგრამ მთავარი ეს არაა, მთავარი ისაა, რომ პრეზიდენტი მიხვდა, ხალხს რეალურად უჩნდება კითხვა, „როდესაც მშია რა დროს შუშის ხიდია, ან რა დროს ოქროს ქვიშის დაყრაა ბათუმში, რადგან თუ ფული არსებობს, ხალხს მოხმარდესო“. ეს წამიერი გამონათება იყო და კვლავ იმ დაპირებით შეიცვალა, რომ „კონკრეტულ პროექტში ჩადებულ ფულს ხვალ ორმაგად ამოვიღებთ. იმ ზედმეტ ფულს, რომელიც გვაქვს, თუ გაჭირვებულებს დავურიგებთ, ქვეყანა შემოსავლის გარეშე დარჩება, რადგან ეს ფული ზუსტად ორ თვეში შეიჭმევა“. აღნიშნა პრეზიდენტმა.



### ვაშაძე კვლავ ნატოში შედის

**„ჩვენ ვიცით, რომ ლისაბონში დადასტურებული იქნება ბუქარესტის სამიტზე ალიანსის მიერ 2008 წელს მიღებული გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საქართველო ნატოს წევრი აუცილებლად გახდება. ხაზგასმული იქნება ავღანეთის ანტიტერორისტულ ოპერაციაში საქართველოს აქტიური მონაწილეობა. ავღანეთში 970-ზე მეტი ქართველი სამხედრო მსახურობს“.**

ეს ყველაფერი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ „იცის“ და ანტიტერორისტულ კოალიციას სამედიცინო პერსონალის, სკოლებისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების რაოდენობის გაზრდის საქმეშიც ჰპირდება „ჩვენი წვლილის“ შეტანას. რაც შეეხება ნატოს, ვაშაძე ისე თავდაჯერებით აცხადებს, შევალთო, როგორც ჩანს, იმ კართან დამიზნება ისწავლა, ბოლო წლების მანძილზე ნატოდან რომ ეძახიან, თქვენთვის ღიააო.

საქართველო გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რევოლუციას შორის

◀ მიერ ჩატარებული გენოციდის აღიარებას ითვალისწინებს; გააქტიურდა მუშაობა სოჭის ოლიმპიადის ტორპედირების მიმართულებით.

**გამორიცხული არაა, რომ იდგმება სხვა, ნაკლებად გახმაურებული, ნაბიჯები, რომელთა შესახებ მედია ინფორმაციას არ ფლობს.** ყოველივე ამასთან დაკავშირებით, კრემლი მკაფიოდ ამბობს: **„შეჩერდით!“**, რადგან ამ პოლიტიკას მისი ყველაზე პრობლემური რეგიონის, ჩრდილოეთ კავკასიის, დესტაბილიზაციის მცდელობად აღიქვამს. ამ გზავნილს გაგრძელებაც აქვს: **„თუ არ შეჩერდებით, არაფერი გეწყინოთ!“.**

თუ სააკაშვილის ხელისუფლება ამ გაფრთხილებას ყურად არ იღებს, ალბათ, **არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ერთხელაც გავიღვიძებთ და ცაში რუსულ სტრატეგიულ ბომბდამშენებს ვიხილავთ. მაშინ უკვე გვიანი იქნება ფიქრი იმაზე, თუ ვინ ურჩია სააკაშვილს ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით გააქტიურება.**









**დაპირისპირება ლილოში ნოემბრის მოსალოდნელი მოვლენების ერთგვარი წინასახეა. მსგავსი ძალისმიერი დაპირისპირება რამდენიმე კვირაში შეიძლება თბილისის (და არა მხოლოდ) ნებისმიერ უბანში ვიხილოთ**

## დარაბებს მიღმა ნოემბერია

21 ოქტომბერს ლილოს **ბაზრობასთან, სადაც „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენლები მოვაჭრეთა პროტესტის მხარდასაჭერად მივიდნენ, მომხდარი ინციდენტის დროს პოლიციამ ერთ-ერთი „ფორუმელი“ ზაზა ჩაკვეტაძე დააკავა.** 23 ოქტომბერს სასამართლომ მას აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ჩაკვეტაძეს ბრალად პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა ედება, რაც ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ყველამ, ვინც ლილოში მომხდარი დაპირისპირების ამსახველი კადრები ნახა, ალბათ, შეამჩია, რომ **არანაირ წინააღმდეგობას ჩაკვეტაძის მხრიდან ადგილი არ ჰქონია. თავიდან მას „ბაზრობის დაცვად“ მოხსენიებული ადამიანები სცემდნენ, რომლებიც მთელი ინციდენტის განმავლობაში ორანგუტანგების ჯგროსთვის დამახასიათებელ უნარ-ჩვევებს ავლენდნენ** (ძირს დავარდნილ ჭაკვეტაძეს შეახტნენ და მისი ცემა გააგრძელეს, ურტყამდნენ ჟურნალისტებს და შეკრებილი ადამიანების მიმართ არამოტივირებულ აგრესიას გამოხატავდნენ). **პოლიციელები იქვე რამდენიმე მეტრში იდგნენ, თუმცა ჩხუბის აღკვეთა არ უცდიათ.**

შემდეგ ჩაკვეტაძე დააკავეს, ვიდეოფირზე კარგად ჩანს, რომ ის პოლიციელებს ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე, მშვიდად მიჰყვება, ეს კადრები მთელმა საქართველომ ნახა და უახლოეს მომავალში საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც იხილავენ. თუმცა, მიუხედავად ამისა, სასამართლომ მაინც მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიუკერძოებლობაში ეჭვი შეიტანა ყველამ, კლინიკური იდიოტებისა და, შესაძლოა, მმართველი პარტიის გულანთებული მხარდამჭერების გარდა.

რატომ ასეთი სიმკაცრე (სისასტიკის ზღვარზე)? **საპროტესტო ელექტორატის ბევრმა წარმომადგენელმა გაშიფრა ყოველივე ეს, როგორც ხელისუფლების გზავნილი: „ის, ვინც „ფორუმს“ ნოემბრის აქციებზე გაჰყვება, მკაცრად დაისჯება“. ამასთანავე, ჩაკვეტაძის საჯარო ცემითა და დასჯით ხელისუფლებას, სავარაუდოდ, უნდოდა, სიმბოლურად დაეფიქსირებინა, რომ, რაოდენ ძლიერიც არ უნდა ჩანდეს „ფორუმი“, ხელისუფლება მის დამარცხებას მაინც შეძლებს** (ჩაკვეტაძე მაღალი, წარმოსადეგი ადამიანია და ფიზიკურად ძლიერად გამოიყურება, შესაძლოა ამიტომ შეარჩიეს სწორედ ის საჯაროდ გალახვისთვის).

**დაპირისპირება ლილოში ნოემბრის მოსალოდნელი მოვლენების ერთგვარი წინასახეა. მსგავსი ძალისმიერი დაპირისპირება რამდენიმე კვირაში შეიძლება თბილისის (და არა მხოლოდ) ნებისმიერ უბანში ვიხილოთ,** იმიტომ, რომ „ფორუმი“ (დაუზუსტებელი ინფორმაციის თანახმად) არ აპირებს ხალხის დიდი მასების ერთ ადგილას (მაგალითად, პარლამენტთან) თავმოყრას, არამედ — „დაუმორჩილებლობის“ კამპანიის ფარგლებში მთელი რიგი ობიექტებისა და მაგისტრალების პარალიზებს არა მხოლოდ დედაქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით. ასე რომ, **ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ ხელჩართული ბრძოლების მთელი სერია, როდესაც ამა თუ იმ სექტორში სამთავრობო ძალები პიკეტების გარღვევას შეეცდებიან.**

გაამართლებს თუ არა ასეთი ტაქტიკა? თუ ხელისუფლებას შესაძლებლობა ექნება, ერთი მეორის მიყოლებით სხვადასხვა მიმართულებით (პირობითად, ჯერ რომელიმე სამთავრობო შენობის დებლოკირება, შემდეგ რომელიმე ტრასაზე მოძრაობის აღდგენა) ძალების კონცენტრაცია მოახდინოს, ისე, რომ დარწმუნებული იქნება, რომ სხვა მხრიდან მას საფრთხე არ დაემუქრება, მას განსაკუთრებული პრობლემები არ შეექმნება. თუმცა „ფორუმი“, როგორც ჩანს, გარკვეულ ტაქტიკურ სიურპრიზებს ამზადებს, შესაძლოა, ეს, სტატიკური პიკეტების გარდა, იქნება მობილური ჯგუფებით მანევრირება, რომელიც ხელისუფლებას აიძულებს (ძველი გენერლები რომ იტყოდნენ, „на угрожаемых направлениях“), პოზიციების დაცვა-გამაგრებაზე იფიქროს, ინიციატივა დაკარგოს და საბოლოოდ წააგოს კიდეც; თუმცა, შესაძლოა, „ფორუმი“ სხვა ხერხების გამოყენებასაც გეგმავს.

**ნებისმიერ შემთხვევაში, აქციების ზოგადი მიმდინარეობა ადრინდელისგან, დიდი ალბათობით, განსხვავებული იქნება. მუშტი-კრივი კი დემონსტრანტებსა და სამთავრობო ძალებს შორის, სავარაუდოდ, სულ უფრო ხშირად გაიმართება.**

## ნაციონალური სასაკლაო

**სავარაუდოდ, ნოემბერი საკმაოდ ძნელად გადასატანი თვე იქნება, შემდეგ კი მოვა ზამთარი, რომელიც ეკონომიკური სირთულეების გამო (პესიმისტურად კი გაიჟღერებს, მაგრამ ფაქტია) ასევე სერიოზულ პრობლემებს დაუკავშირდება; ბევრი ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ლტოლვილები და სხვა დაუცველი ჯგუფის წარმომადგენლები შეიძლება შიმშილის ზღვარზე აღმოჩნდნენ.**

ფასების, პრაქტიკულად, ყოველდღიურ ზრდას, თითქმის მივეჩვიეთ, მაგრამ თუ ის, რაც ხორცის გაძვირებასთან დაკავშირებით საქართველოში მოხდა, ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში მოხდებოდა, ბასტილია უკვე აღებული იქნებოდა, ხოლო რაიხსტაგი — მიწასთან გასწორებული. იქ მოსახლეობა, ალბათ, არ შეეგუებოდა ისეთ ცინიკურ კომბინაციებს, რომლებიც უშუალოდ მის თვალწინ ჩატარდა და თითოეული ოჯახის ბიუჯეტს პირდაპირ დაარტყა. **ბაზრებს აეკრძალათ ხორცის მიღება იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი არ წარმოადგენს ცნობას, რომ საქონელი ნატახტარში, „იბერიამიტის“ საწარმოში არის დაკლული. გლეხის ხარჯებს ნატახტარში საქონლის ტრანსპორტირება და თითოეულ კილოგრამზე 1,30 ლარის გადახდა დაემატა, შესაბამისად აიწია ხორცის საბითუმო ფასმაც, ჯამში კი მომხმარებელი დაზარალდა.**

თუ სხვა საქონელზე ფასის მომატებისთვის ჯერ კიდევ შეიძლებოდა ახსნის მოძებნა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პრობლემატიკისადმი აპელირებით (განსაკუთრებული მოწადინების შემთხვევაში), ხორცთან დაკავშირებით ეს არ გამოვა, რადგან ყველაფერი ცხადია — ბაზრის კონკრეტულ სეგმენტში მონოპოლიის დაწესების ფაქტიც და ხორცის გაძვირების გამომწვევი მიზეზიც. თუმცა არც საზოგადოებას, არც ოპოზიციას (ის ხომ გლობალური პრობლემების გადაწყვეტითაა დაკავებული) ამასთან დაკავშირებით მკვეთრი პროტესტი არ გამოუთქვამს, ცალკეულ ნერვულ რეპლიკებს სათვალავში თუ არ ჩავაგდებთ. სავარაუდოდ, ხელისუფლებამ გამოთვალა, რომ მის ქმედებას ასეთი რეაქცია მოჰყვებოდა და ამ არაპოპულარულ ნაბიჯზე უდრტვინველად წავიდა.

**ასე თუ გავაგრძელებთ, ნატახტარის სასაკლაოსკენ მალე, ალბათ, არა საქონელს, არამედ ადამიანებს გაგვრეკავენ, რადგან ხმის ამომღები და წინააღმდეგობის გამწევი, სავარაუდოდ, არავინ იქნება.**

**დიმიტრი მონიავა**

## გაჟღერებული



**ზურაბ ნოღაიდელი, „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსათვის“ ლიდერი:**

რაღაც ბრძოლის იმიტაციის შექმნას სჯობს კარგად მომზადება და გადამწყვეტ ბრძოლაზე წასვლა! ყველას მოვუწოდებ, რომ მთელი ჩვენი ძალისხმევა მივმართოთ სააკაშვილის რეჟიმთან გადამწყვეტი ბრძოლისაკენ!

*„ასავალ-დასავალი“*



**სოსო შატბერაშვილი, ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი:**

არჩევნების ჩატარება და გაყალბება ჩვენს ხელისუფლებას ასეულობით მილიონი დოლარი უჯდება. ჩვენ ეს განვაცხადეთ 2007-08 წლებში, მაგრამ ბევრმა არ დაგვიჯერა. შემდეგ, როდესაც პარლამენტს ბოიკოტი გამოვუცხადეთ და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები მოვითხოვეთ, გამობრძანდა მიხეილ სააკაშვილი და თქვა, მე თითოეული არჩევნები მილიარდიდან მილიარდ-ნახევრამდე მიჯდებაო. ანუ, მან 500 მილიონში ისე ითამაშა, ვითომც არაფერი. ახლა დახარჯულ თანხას ამოღება სჭირდება და ამიტომაც ხდება ყველა უკუღმართობა.

*„ყველა სიახლე“*



**სოსო ცისკარიშვილი, პოლიტოლოგი:**

ამ ტემპებით, ალბათ ჯარიმების შემოსავალი დამატებითი ღირებულების შემოსავალსაც გადააჭარბებს, რადგან არაფერი ღირებული,კვლავწარმოების ციკლისთვის მახასიათებელი, არ არის წარმოჩენილი ქვეყანაში, როგორც საიმედო გარანტი ბიუჯეტისარსებობისა. მხოლოდ იდეები გვაქვს და მზად ვართ ვაშენოთ ეიფელისკოშკი. არ გამიკვირდება, თუ მალე სემირამიდას ბაღების მშენებლობასაც დავიწყებთ.

*„კვირის პალიტრა“*



**პაატა ჯიბლაძე, ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელი მდივანი:**

მინდა მივმართო ჩვენსთანამემამულეებს, მაქსიმალურად მოერიდონ სკაიპსა და სხვა სახის საკომუნიკაციო საშუალებებში ისეთ თემებზესაუბარს, რომლის გახმაურებაც მათ ინტერესებში არ შედის.

*„კვირის პალიტრა“*



**თენგიზ სანაძე, აკადემიკოსი, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი:**

ფუნდამენტური მეცნიერებები ის სფეროა, სადაც ერთხელ თუ მოხდა წყვეტა, მის აღდგენას ათეული წლები და უზარმაზარი თანხა დასჭირდება. შეიძლება დღეს, ახალი ტექნოლოგიების საუკუნეში ტექნიკურ მეცნიერებებზე უარის თქმა? ზოგიერთი მაღალჩინოსანი დღესაც წითელ პროფესურას გვიწოდებს, განა არსებობს წითელი და მწვანე ფიზიკა? სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

*„ყველა სიახლე“*



**ზაზა პაპუაშვილი, მსახიობი:**

რატომ არის ამერიკა ჩვენი მეგობარი, რა გვიმეგობრა? რაც მისი მეგობარი დაგვერქვა, დაიქცა ქვეყანა. თუ მეგობარი ხარ, ცუდი გზით რატომ მიგყავარ, რატომ გამიწყალე გული ამ „ნატონატოს“ ძახილით. თუ შეგყავარ, შემიყვანე... რომ მეუბნები, ნატოს კარი შენთვის ღიააო,რატომ ვერ შევდივარ ამ ღია კარში, შაშუბეშა ვარ?

*„კვირის პალიტრა“*



**დავით ხურცილავა, მსახიობი:**

ჩემმა ახლობელმა, გვარს ახლა არ დავასახელებ, კარგად უთხრა ხაინდრავას, როცა ამბობდა, გვერდში დაგვიდექითო. უთხრა, რა დროს დაგიდგეთ ვერ გავიგეთ, ჩემო ბატონოო, ხან სად არის, ხან — სად. ხან ოპოზიციაშია ხან პოზიციაშია. ჩემნაირი ადამიანისთვის ამნაირების აყოლა ცოტა ძნელია, თუ ძალიან აინტერესებს. რა დროს ამოვუდგეთ ასეთებს მხარში, არ ვიცით, რაა... ხან ედიკასთან არის, ხან — მიშიკოსთან... აღარ არის საშველი.

*„ალია“*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# პრეზიდენტის შემოდგომა

**სულ ორიოდე თვეში XXI საუკუნის პირველი ათწლეული ისტორიას ჩაბარდება. ნოემბერ-დეკემბერში დაგეგმილია რამდენიმე უმნიშვნელოვანესი უმაღლესი დონის სამიტი, რომლებიც შეაჯამებს ამ ათწლეულს და 2020 წლამდე განვითარების ახალ პროგრამას მიიღებს. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია: ნატოს ასამბლეა ვარშავაში 12 ნოემბერს და შემდეგ მისი უმაღლესი დონის სამიტი ლისაბონში 19 ნოემბერს, სადაც პრეზიდენტ ობამასთან ერთად პრეზიდენტი მედვედევია მიწვეული.**
**სამი დღის შემდეგ იკრიბება ევროკავშირ-რუსეთის კომისია, კვლავ უმაღლეს დონეზე. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც იქნება 1-2 დეკემბერს ეუთოს საიუბილეო სამიტი ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში, სადაც ევროპის ლიდერებთან ერთად კვლავ პრეზიდენტები ობამა და მედვედევი არიან მიწვეულები.**



## სააკაშვილს ჰოლანდიის სატახტო ქალაქში უმზადებენ «კომფორტულ» კამერას, სადაც ის, როგორც გვარწმუნებენ, ძალიან დიდ დროს გაატარებს

არ ვიცი, მსოფლიოსთვის რამდენად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მიიღებენ ამ უმაღლესი დონის სამიტებზე, მაგრამ საქართველოსთვის რომ გადამწყვეტი იქნება, უკვე ცხადია. წლის ბოლომდე ორიოდე თვე დარჩა და ათწლეულის შეჯამება, თუ რა მოუტანა მან საქართველოს, იანვრისთვის გადავდოთ, მაგრამ ახლა მაინც შეგვიძლია წინასწარი ანალიზი გავუკეთოთ სააკაშვილის მოღვაწეობას.

**რა იყო სააკაშვილისა და მისი გუნდის პრიორიტეტები:**

მთავარი (თუმცა ბოლო დროს დავიწყებული ლოზუნგი) — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა;

საგარეო პოლიტიკაში — „გავლენის სფეროების დრომოჭმულობა“ და ევროინტეგრაცია;

სამხედრო პოლიტიკაში — NATO-ში გაწევრება;

შიდა პოლიტიკაში — დემოკრატიის მშენებლობა;

ეკონომიკის სფეროში — NABUCCO-ს პროექტი და ქვეყნის მთავარ ენერგეტიკულ დერეფნად გადაქცევა;

განათლების სფეროში – ინგლისური ენის ლამის სახელმწიფო ენის დონემდე აყვანა;

სოციალურ და ჯანმრთელობის სფეროში და ა.შ. — ესენი სააკაშვილისთვის პრიორიტეტები არასოდეს არ ყოფილა.

**ახლა კი თვალი გადავავლოთ, თუ როგორ შესრულდა ეს პრიორიტეტები:**

სააკაშვილი რომ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენს, ამას, ალბათ, მხოლოდ ახალი დევნილები თუ იჯერებენ თავიანთ გეტოებსა და წეროვანის საკონცენტრაციო ბანაკში. სიმართლე კი ისაა, რომ ადრე ნაწილობრივ დაკარგულ ტერიტორიებსა და მათ სეპარატისტ მმართველებს სააკაშვილმა „დესერტად“ კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი აჩუქა, ხოლო სამაჩაბლოს სოფლები ისე დააცარიელა ქართული მოსახლეობისგან, რომ, ტანზე რაც ეცვათ, ისე აიძულეს გამოქცევა. ხოლო ამ ტერიტორიაზე კი, სადაც ცუდად თუ კარგად ქართველები ცხოვრობდნენ, ოსებმა მიწის პირიდან ბულდოზერებით აღგავეს ქართველების ნასახლარები.

**მაგრამ, ყველაზე უარესი მაინც ისაა, რომ საქართველოს ეს სეპარატისტული რეგიონები თავიანთ თავს „დამოუკიდებელ სახელმწიფოებს“ უწოდებენ, იქ უკვე რამდენიმე საელჩოა გახსნილი და საქართველოს შემადგენლობაში მათი დაბრუნება-არდაბრუნების საკითხი სააკაშვილის „დახმარებით“ შორეული მომავლისთვის გადაიდო! ამისთვის კი თავმოყვარე ერი ასეთ პრეზიდენტს გაასამართლებდა და შესაბამის ადგილს მიუჩენდა. თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორც ჩანს, სააკაშვილის აგებული ციხეები არ მოსწონს და ჰოლანდიის სატახტო ქალაქში უმზადებენ „კომფორტულ“ კამერას, სადაც ის, როგორც გვარწმუნებენ, ძალიან დიდ დროს გაატარებს.**

საგარეო პოლიტიკის მთავარი ვექტორი იყო და არის „ევროინტეგრაცია“, ამისთვის სპეციალური მინისტრიც კი არსებობს, რომელიც გადამხდელთა ხარჯზე სულ საზღვარგარეთ დასეირნობს და ამით თვით სააკაშვილსაც ეჯიბრება. როგორც აღვნიშნეთ, საგარეო პოლიტიკა მთლიანად ეყრდნობოდა ხელისუფლების საჯარო განცხადებებს, რომ „გავლენის სფეროებმა დრო მოჭამა“, რაც, მათი რწმენით, ნიშნავდა, რომ გავლენის სფერო შეიძლება ჰქონოდა მხოლოდ ამერიკას.

მოდი ვნახოთ, ა. წ. 19 ოქტომბერს თუ რას წერს ამ თემაზე წამყვანი ამერიკული პოლიტიკური გამოშვება **„T“-ი: „ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა სახელი გაითქვა იმით (შესაძლებელია სამწუხაროდაც), რომ განაცხადა — გავლენის სფეროები დრომოჭმული და საზიანოა. მაგრამ ეს არის საშიში შეცდომა.“ „ვაშინგტონმა და მოსკოვმა უნდა აღიარონ, რომ გავლენის სფეროების კონცეფცია „ცოცხალი და ჯანმრთელია“, მაგრამ მისი ყოვლად გაუმართლებელი დარღვევები სპობს „გადატვირთვის“ ყოველგვარ პერსპექტივას.“ „მოგვწონს ეს თუ არა, გავლენის სფეროები დარჩება მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ოცდამეერთე საუკუნეშიც, განსაკუთრებით სუპერსახელმწიფოთა ურთიერთობებში“.** აქ, მე მგონი, კომენტარი ზედმეტია, თან ისიც გავითვალისწინოთ, რომ წამყვანი ამერიკული გაზეთები სისტემატურად მოგვიხსენიებენ, როგორც „რუსეთის უკანა ეზოს“.

რაც შეეხება ევროკავშირს, როგორც ცნობილია, მან შარშან მაისში ექვს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასთან დადო ხელშეკრულება „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ შესახებ. ესენია: უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა, სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო. **ამის ინიციატორი იყო პოლონეთის მაშინდელი პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი და პარტნიორად მან მხოლოდ შვედეთი შეაგულიანა. როგორც ცნობილია, პოლონეთს გაუხმაურებელი, მაგრამ რეალური ტერიტორიული პრეტენზიები აქვს უკრაინასა და ბელარუსთან (მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტით წართმეული მიწები) და მათი ევროკავშირში შეყვანით, ალბათ, „მცოცავი“ ანექსიით შეეცდებოდა, დაებრუნებინა ეს ტერიტორიები, ისე, როგორც გერმანია უხმაუროდ ცდილობს კალინინგრადის ოლქის (აღმოსავლეთ პრუსიის) ეკონომიკურ ანექსიას.** ლუკაშენკო ამას მიუხვდა და ამ და სხვა მიზეზების გამო (რუსეთის სისტემატური ეჭვიანობა) ფეხი აითრია და ხელმოწერას არ დაესწრო. მაგრამ ეს პროექტი დიდი ხნით უჯრაში დარჩა. დღეს გვეუბნებიან, რომ სავიზო რეჟიმს ცოტათი გაგვიმარტივებენ, ოღონდ იმ პირობით, რომ ყველა ქართველ არალეგალს (ასეთი კი მრავალი ათეული ათასი იქნება) ევროპიდან შინ დავაბრუნებთ! აი, უკრაინას კი ამ დღეებში საერთოდ უვიზო რეჟიმი შესთავაზეს.

სახელისუფლო პროპაგანდა „ჯიბის“ ექსპერტებთან ერთად ხალხს სისტემატურად ატყუებს, რომ ეს ხელშეკრულება ერთი ნაბიჯია ევროკავშირის წევრობისკენ. ამ დღეებში კი „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ავტორებმა — პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა წერილით მიმართეს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ბარონესა კეტრინ ეშტონს. მასში აღნიშნულია, რომ **ამ ექვს ყოფილ საბჭოთა ქვეყანაში (მათ შორის საქართველოშიც) არ არის შესაბამისი პირობები და ამიტომ 2020 წლამდე ევროკავშირის გაფართოებაზე ლაპარაკიც არ ღირს.**

და ეს საკითხი განიხილეს და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღეს 25 ოქტომბერს ლუქსემბურში ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტზე.

თუმცა ამაში ახალი არაფერია. ჯერ კიდევ შარშან, მაისში, პრაღაში ამ ხელშეკრულების ხელმოწერის დროს, ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **თომაშ პოიარმა საჯაროდ განაცხადა, რომ ეს არ იყო ამ ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროგრამა;** ხოლო ბრიტანეთის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა (სააკაშვილის სიტყვებით – მისმა მეგობარმა) **დევიდ მილიბენდმა ასევე განაცხადა, რომ „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ არ შეიძლება იყოს ევროკავშირში გაწევრების საფეხური!**

ამის შემდეგ კი, ნოემბერში, ევროკავშირ-რუსეთის კომისია მხედველობაში მიიღებს იმ ფაქტს, რომ ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების იდეას წერტილი დაესვა 2020 წლამდე, ხოლო მერე რა იქნება, ამაზე ისლამის მიმდევრები იტყვიან — „ალაჰმა უწყის“...

ევროკავშირთან ყველაფერი ნათელია (სპეციალისტებისთვის მაინც). ახლა განვიხილოთ სააკაშვილის „ცისფერი ოცნება“ — ნატოში გაწევრება. **პრინციპში, „წითელი ბილეთი“ საბოლოოდ გვიჩვენეს აგვისტოს სააკაშვილისეული ავანტიურის შემდეგ, რომელსაც „New York Times“-მა „პატარა ჭუჭყიანი ომი“ უწოდა. მაგრამ მანამდე იყო ბუქარესტის სამიტი, სადაც ამაოდ ველოდით „სანატრელ“ MAP-ს, და რაღაც** ▶

## მოკლედ



### ალიევი მესამედ გაპრეზიდენტდება

**ჟურნალ Economist-ის ანალიზით, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ აზერბაიჯანში რაიმე ცვლილებები მოსალოდნელი არ არის და ქვეყნის მმართველის თანამდებობას კვლავ, უკვე მესამედ, ამჟამინდელი პრეზიდენტი ილჰამ ალიევი დაიკავებს.** ანალიზის თანახმად, ეს ქვეყანაში ალიევის განუსაზღვრელი ძალაუფლებისა და ოპოზიციის დათრგუნული მდგომარეობის შედეგი იქნება. Economist-ის აზრით, აზერბაიჯანი ამჟამად ელიტური ქვეყანაა, რომელთან მეგობრობასაც თვით აშშ-ც კი ცდილობს. ობამამ უკვე დაიწყო მასთან ერთ დროს გაციებული ურთიერთობის დათბობა და ცხადია, ალიევის მესამედ გაპრეზიდენტებაზეც თვალს დახუჭავს და იმაზეც, თუ მოქმედი პრეზიდენტი არჩევნების დროს ძალას გამოიყენებს.



### სააკაშვილს გალიები აღარ უნდა

**„პოლიტიკოსებმა პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება უნდა შეძლონ, რათა გაურკვეველი გარეგნობის ადამიანები კვლავ არ ჩასხდნენ გალიებში და საზოგადოება არ დააშინონ, უთხრან მსოფლიოს, მოგვაშორეთ ეს ხალხი, არ გვინდა ადამიანებს ვგავდეთო“,** — ეს განცხადება პრეზიდენტმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში სტუმრობისას გააკეთა და ბრძანა, რომ საზოგადოებაში სიღარიბის დასაძლევად ყველამ უნდა იმუშაოს. სიღარიბის დაძლევის მთავარ გზად პრეზიდენტმა კვლავ ტურიზმის განვითარება დაგვისახა, მაგრამ ჯერ მთავრობას მოუწევს ხელების დაკაპიწება, პრეზიდენტმა უთხრა, „ჩვენ ყველაფერში წარმატების მაგალითი უნდა მივცეთ ხალხს, რომ შემდეგ მათაც შეძლონ ყველაფრის გაკეთებაო“.



### „ქართველი ერის სირცხვილი“

**„წამომადგენლობითი სახალხო კრების“ საინიციატივო ჯგუფის წევრი ირაკლი ბათიაშვილი მცხეთაში „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ რეგიონალ კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა და პრეზიდენტ სააკაშვილის „სილაჩრეზე“ გაამახვილა ყურადღება.** მისი თქმით, ხალხს მშიშარა და ომის ველიდან გაქცეული მხედართმთავრის მმართველობის არ უნდა ეშინოდეს. „ქართველი ერის სირცხვილია, რომ ასეთი მშიშარა ადამიანი თავზე გვაზის. ის არის უსაქმური, გართობის გარდა არაფერს აკეთებს, ამავე დროს ფიქრობს, რომ ქართული საზოგადოება „დაჩმორებულია“... ნურავინ ჩათვლის, რომ ჩვენ ხალხს შევკრებთ და შემდეგ ეკლესიაში წავიყვანთ ან სახლში გავუშვებთ. ჩვენ დავიწყებთ და გამარჯვების საქმეს ბოლომდე მივიყვანთ“, — განაცხადა ბათიაშვილმა.



### ბაქრაძემ ვერაფერი გაიგო

**პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ვერაფრით მიხვდა, რას გულისხმობდა საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, როდესაც ქართულ მხარეს ძალის გამოუყენებლობის თაობაზე ვალდებულების აღებისაკენ მოუწოდებდა.** მაგრამ ამ გაუგებრობაში თავად სარკოზია დამნაშავე, მას საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს და უნდა სცოდნოდა, რომ მის წევრებს სიტყვა „ვალდებულებების“ მნიშვნელობა საერთოდ არ ესმით. „რთულია განმარტება, რას გულიხსმობდა საფრანგეთის პრეზიდენტი. მე აღვიქვი, რომ ეს იყო პერევიდან რუსული ჯარის გაყვანის პოზიტიური შეფასება, მაგრამ იქვე მკაფიოდ იყო გაცხადებული, რომ ეს არ არის პროცესის დასასრული“, — სულ ესაა, რაც ბაქრაძემ გაიგო.

# ამერიკას ინერციით უნდოდა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების კურსის გაგრძელება, რასაც დასავლეთ ევროპა კატეგორიულად შეეწინააღმდეგა

**ლამაზი არაფრისმთქმელი ფრაზით გამოგვისტუმრეს.** ნიშანდობლივია, რომ იმ სამიტზე სიტყვით გამოვიდა რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტი პუტინი, ხოლო შემდეგ გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის პირველმა პირებმა ვეტო დაადეს საქართველოსთვის მაპის, ანუ წევრობისთვის მოსამზადებელი პროგრამის მიცემას.

როგორც დასავლეთის პრესა იუწყება, **პრეზიდენტი სარკოზი დოვილში მთელი ორი დღე ეხვეწებოდა პრეზიდენტ მედვედევს, რომ ის 19 ნოემბერს ნატოს ლისაბონის სამიტს დასწრებოდა. ბოლოს მედვედევი დასთანხმდა. და უკვე ძნელი არ არის, წარმოვიდგინოთ, თუ რა პირობით.**

როგორც აღვნიშნე, ვარშავაში იკრიბება ნატოს ასამბლეა, სადაც მიიღებენ ლისაბონის სამიტის დღის წესრიგს, რომელიც შემდეგ ერთ კვირაში გაიმართება. მანამდე კი, სექტემბერში, შეიკრიბა ნატოს საბჭო, რომელზეც დიდი დაპირისპირება მოხდა ამერიკასა და დასავლეთ ევროპას შორის (კაჩინსკის დაღუპვის შემდეგ, ყოფილი კომუნისტური ქვეყნები უკვე ჩუმად არიან და ამერიკას ღიად ვეღარ უჭერენ მხარს). **ამერიკას ინერციით უნდოდა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების კურსის გაგრძელება, რასაც დასავლეთ ევროპა კატეგორიულად შეეწინააღმდეგა. ბოლოს კომპრომისამდე მივიდნენ და ეს კომპრომისი ლისაბონის სამიტზე იქნება მიღებული: შემდეგი ათი წლის განმავლობაში ნატოში მიიღებენ მხოლოდ სამ ბალკანურ სახელმწიფოს, რომელთაც მაპი, დიდი ხანია, მიღებული აქვთ.** ამით წერტილი დაესვა იმ დავალებას, რაც სააკაშვილს ამერიკელი ნეოკონებისგან ჰქონდა მიღებული — საქართველო მოემზადებინა ნატოში გასაწევრებლად. და თუ ის ამაშიც ჩაიჭრა — მხოლოდ საკუთარ თავს დააბრალოს და ნუ ლანძღავს ევროპის სამი წამყვანი ქვეყნის ლიდერებს (ობამასთან ერთად).

შიდა პოლიტიკაში სააკაშვილი თურმე დემოკრატიას გვიშენებდა და ამისთვის ახლადაგებული ციხეებიც კი არ ჰყოფნის, ხოლო პოლიტპატიმრების რაოდენობით პუტინი, დიდი ხანია, უკან მოიტოვა და ახლა ლუკაშენკოს ეჯიბრება. ის ყოფილა „შუა აღმოსავლეთის დემოკრატიის ჩირაღდანი“, როგორც ერთმა, გეოგრაფიაში გაუთვითცნობიერებელმა ოკეანისგაღმელმა სტუმარმა უწოდა, და აღმოსავლური ცეკვით საჯაროდ გამოხატა თავისი აღფრთოვანება სააკაშვილითა და მისი პოლიტიკით. სამაგიეროდ, **ამ ოკეანისგაღმელს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში თუ ლაყე კვერცხებით, დამპალი პომიდორებითა და ფეხსაცმელებით უმასპინძლდებოდნენ, ჩვენმა მიშიკომ მას მსოფლიოში ერთადერთი მისი სახელობის ფართო ქუჩა აჩუქა.**

**რით არ არის ეს დემოკრატიის მშენებლობა? ის, რომ სისტემატურად ყალბდება ყველა არჩევნები, ახალგაზრდებს პოლიცია პირდაპირ ქუჩებში ხვრეტს, ხოლო მსოფლიოში ერთადერთხელ მოხდა წამყვანი ტელევიზიის სასტიკი დარბევა სპეცდანიშნულების რაზმების მიერ — ეს რით არ არის დემოკრატიისკენ მიმართული რეფორმები, როგორც ზოგიერთი ნაყიდი დასავლელი ჟურნალისტი მოიხსენიებს ხოლმე?** საერთოდ, ეს თემა იმდენად ბანალურია, რომ მასზე წერაც კი არ მინდა: ახალს ვერაფერს ვიტყვი და ისედაც ყველამ ყველაფერი იცის!

რაც შეეხება ეკონომიკას, სიმბოლურია, რომ მის „მდგრადი განვითარების მინისტრად“ გაურკვეველი დამსახურებისთვის დანიშნულია ოთხი კლასის განათლების მქონე ახალგაზრდა სექსუალური გოგო! თუმცა **ტოტალურ პრივატიზაციას რომ შევეშვათ, ვინაიდან ქვეყანაში გასაყიდი პრაქტიკულად აღარაფერი რჩება, ხალხის გარდა, არის ერთადერთი პროექტი, რომელზეც სააკაშვილს ფსონი ჰქონდა დადებული და რატომღაც თავისად მიიჩნევდა. ეს, რასაკვირველია, არის ყბადაღებული NABUCCO-ს პროექტი და ამით ქვეყნის მთავარ საერთაშორისო ენერგეტიკულ დერეფნად გადაქცევა.**

ნაბუკოს პროექტი სინამდვილეში 2002 წელს გახმიანდა, ხოლო იმ წლის ივნისში პროტოკოლი გაფორმდა ხუთ (თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და ავსტრიის) კომპანიას შორის. ამას იმავე 2002 წლის ოქტომბერში მოჰყვა საბოლოო შეთანხმება. იქ წერია, რომ 3,300 კილომეტრის სიგრძის გაზსადენი დაიწყება თურქეთში, ერზრუმში და მიაღწევს ავსტრიამდე, საიდანაც ის ევროპაში გადანაწილდება. ეს თავიდანვე ჩაფიქრებული იყო, როგორც რუსეთის განზე დატოვების მცდელობა. მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა, რომ **სინამდვილეში ნაბუკოს პროექტთან დაკავშირებით არსად საქართველო არ ფიგურირებს — ერზრუმში ის ხომ შეიძლებოდა შეერთებოდა ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენს, მაგრამ ამის მაგივრად ვკითხულობთ, რომ ის უნდა შეუერთდეს თავრიზ-ანკარის გაზსადენს, ე.ი. ირანის გაზზეა ლაპარაკი. ამის წინააღმდეგი იყო ამერიკა, მაგრამ ევროპას თავისი გააქვს. პროექტის სავარაუდო ფასია ოთხი მილიარდი ევრო (EBRD, 2010 წლის 6 სექტემბერი, ბრიუსელი), მაგრამ დამფინანსებელი ჯერ არ ჩანს და ამ პროექტის საბოლოო ბედი ერთ თვეში უნდა გადაწყდეს.**

მაგრამ ამ პროექტს მარტო ფინასური პრობლემები კი არ აქვს, არამედ გაურკვეველია, მილსადენს ბოლოსდაბოლოს ვისი გაზი შეავსებს. **თურქმენეთმა სექტემბერში ხელი მოაწერა ჩარჩო ხელშეკრულებას ახალი გაზსადენის მშენებლობია თაობაზე ავღანეთის ტერიტორიიდან პაკისტანის გავლით ინდოეთისკენ, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას თურქმენეთის მიერ ნაბუკოსთვის ზურგის შექცევის სესახებ დეკემბერში აშხაბადში მიიღებენ.**

გარდა ამისა, თურქმენეთი ორიენტირებულია ჩინეთის მზარდი ბაზრის გაზით მომარაგებაზე და, როგორც ჩანს, სრულიად არ აინტერესებს ევროპის პრობლემები და ამავე დროს „გაზპრომის“ „სამხრეთის ნაკადის“ კონკურენტ პროექტში მონაწილეობას არ მიიღებს. **აზერბაიჯანსაც აქვს პრეტენზიები თურქეთთან და ამჯობინებს მთელი თავისი გაზი „გაზპრომს“ მისცეს. ხოლო რუსეთი, თავის მხრივ, კასპიის ჩრდილოეთ ნაწილში აპირებს ახალი მილსადენის მშენებლობას და მის „სამხრეთ ნაკადთან“ შეერთებას.**

**2009 წლის 13 ივლისს ანკარაში პროექტის ხუთმა მონაწილე ქვეყანამ ხელი მოაწერეს მთავრობათაშორის ხელშეკრულებას და იქ დაუპატიჟებელი სტუმრის სახით ვიხილეთ სააკაშვილი, რა კადრებიც სახელისუფლო ტელევიზიებმა გააპიარეს. მაგრამ ამით საქართველოსთვის არაფერი იცვლება, რადგან ამ პროექტში არ მონაწილეობს.**

სააკაშვილს ერთი რამის იმედი აქვს — იგი ცდილობს ამერიკას თავი იმით მოაწონოს, რომ დიდი რაოდენობით გაურკვეველი წარმომავლობის „ინგლისურის მასწავლებლები“ ჩამოჰყავს და ინგლისურს ლამის სახელმწიფო ენად აცხადებს. ამით საქართველოს მოსახლეობის მომსახურე პერსონალად გადაქცევის ამბიციურ გეგმას ახორციელებს და ეს არც დაუმალავს ბათუმში თავის გამოსვლაში. მან აღნიშნა, რომ 2010 წელს დამსვენებლები იქ სამი ქვეყნიდან ჩავიდნენ — სომხეთიდან, თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან. ოღონდ ერთი რამ გამორჩა — **ეს დამსვენებლები არ არიან ინგლისურის მცოდნე. იქ, ისევე, როგორც ეს ანტალიის რეგიონშია, რუსულ და თურქულენოვანი მომსახურე პერსონალი სჭირდებათ. ვინაიდან ბათუმის სასტუმროების ძირითადი ნაწილი თურქებისაა, ინგლისურენოვან ქართველებს ისინი გაყრიან და თურქებს ჩამოიყვანენ.**

სასტუმროთა ერთი ნაწილი კი ასევე თურქულენოვანი ყაზახებისაა, მაგრამ მათ რუსულენოვანი მომსახურე პერსონალი სჭირდებათ.

**ასე რომ, სად წავლენ ინგლისურენოვანი ქართველი ახალგაზრდები? ისინი საქართველოში სამუშაოს ვერ იპოვიან და საზღვარგარეთ წავლენ, საქართველოს კი სრული დეპოპულაცია ელის! არ ვიცი, ვისი დაწერილია ეს გეგმა, მაგრამ სააკაშვილი დიდი მონდომებით ასრულებს მას.**

## სად წავლენ ინგლისურენოვანი ქართველი ახალგაზრდები? ისინი საქართველოში სამუშაოს ვერ იპოვიან და საზღვარგარეთ წავლენ, საქართველოს კი სრული დეპოპულაცია ელის!

მაგრამ ეს მას არ უშველის 1-2 დეკემბერს ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ეუთოს უმაღლესი დონის საიუბილეო სამიტზე, სადაც ობამა და მედვედევი სწორედ მის მომავალზე სალაპარაკოდ მოიცლიან.

**თუ ამერიკას სააკაშვილმა ნებით თუ უნებლიეთ ჩვენს რეგიონში პრაქტიკულად ყველა გეგმები ჩაუშალა, არც მედვედევსა და არც პუტინს საპრეზიდენტო არჩევნების წინ სააკაშვილი აღარ სჭირდებათ — რუს ამომრჩეველთა თვალში ის მათი მტერია.**

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მმართველებმა კარგად იციან, თუ რა კარგი საქმეები გაუკეთა მათ ამ გაუწონასწორებელმა კაცმა. თუნდაც 1999 წელს სტამბულში გამართული ეუთოს წინა სამიტი გავიხსენოთ, როდესაც ეუთოსა და ამერიკის მაშინდელი პრეზიდენტის ბილ კლინტონის მოთხოვნით რუსეთის იმდროინდელი პრეზიდენტი ელცინი დაეთანხმა საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანას, რაც მას პრეზიდენტობად დაუჯდა. სააკაშვილმა კი „მოახერხა“ და საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ბაზები დააბრუნა! მეტი რა უნდა გაეკეთებინა?!

**„მავრმა თავისი საქმე გააკეთა, მავრი უნდა წავიდეს!“**

**რამაზ კლიმიაშვილი**

## სექტემბერში თურქმენეთმა ხელი მოაწერა ახალი გაზსადენის მშენებლობაზე ჩარჩო ხელშეკრულებას ავღანეთის ტერიტორიიდან პაკისტანის გავლით ინდოეთისკენ, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას თურქმენეთის მიერ ნაბუკოსთვის ზურგის შექცევის თაობაზე დეკემბერში აშხაბადში მიიღებენ

# სააკაშვილის მორიგი ფანდი თუ დაგვიანებული მეტამორფოზა

**თქვენ ფიქრობთ, რომ გონება გაეხსნა;
მე კი ვამბობ, რომ გაჭედა.
თქვენ ფიქრობთ, რომ, როგორც იქნა,
რეალობის გრძნობა დაუბრუნდა.
მე კი ვამბობ... კი არა და, სახარების
ჭეშმარიტებას გიმეორებთ —
„არ გასწორდების ძაღლის კუდი და
არცა კირჩხიბი მართლად ვალს“.**

ვინ არის მართალი, დრო გამოაჩენს, თუმცა პრეზიდენტ სააკაშვილის გარეგნული მეტამორფოზა რომ უკვე თავბრუს ახვევს მის გარემოცვას, ფაქტია.

ვისაც კოლექტიურმა ამნეზიამ დარია ხელი, ისე შესციცინებს უავგუსტესის თითოეულ სიტყვას, როგორც ბრჭყვიალა მძივით მონუსხული შიშველი აბორიგენი.

**ჯერ კიდევ ორი თვის წინათ, საკუთარ პრესსპიკერს ათქმევინა, რომ საქართველო მზად არის რუსეთთან მოლაპარაკებისთვის; შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრმა დააზუსტა — უპირობო მოლაპარაკებისთვისაც მზად ვართო.**

არ გვჯერაო, — შემოუთვალეს მოსკოვიდან და გაჩერდნენ.

კაცმა რომ თქვას, პირობა ორივე მხარეს ჰქონდა და ორივე დაჟინებით ითხოვდა მის შესრულებას: **რუსეთისთვის ეს პირობა სააკაშვილის გადადგომა იყო (და არის!), ხოლო საქართველოსთვის — დეოკუპაცია.**

არც ეს მიდის და არც ისინი გადიან.

**სულ მალე ამერიკა-ევროპის აღშფოთება-შეშფოთების მეორე ტალღის მომსწრენი გავხდებით, რადგან უკვე ყელში ამოუვიდათ „ამის“ სიჯიუტე.** მაინც ებღაუჭება... რა ვიცი, რას ებღაუჭება, იმედს? არა მგონია. კაცი კინაღამ მთლიანად გაშიშვლდეს და თავს მაინც არ ანებებენ. გაუშვი რა, გაიხაროს, ხომ ხედავ, მთლად „პაჭკა-პაჭკა“ ვეღარ ალაგებს აზრებს?!

ჩვენ, პატრონები, ჭირს კი ვმალავთ შეძლებისდაგვარად, მაგრამ ეს „ჭირი“ მხოლოდ აქ კი არა, თავს ევროპის მასშტაბითაც რომ არ მალავს?

**აი, ახლაც შვეიცარიის ქალაქ მონტრეში, ფრანკოფონიის ორგანიზაციის მე-13 სამიტზე ყოფნის დროს „ტვ5 მონდესთან“ საუბრისას განაცხადა, რომ „რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ მასთან საუბრის დაწყება აუცილებელია“ და „ყველა პრობლემური საკითხი მოლაპარაკებებით უნდა გადაწყდეს“.**

**„ჩვენ პრაგმატულები ვართ და კარგად გვესმის, რომ მეზობლად ისეთი დიდი მტრის ყოფნა, როგორიც რუსეთია, სახიფათოა და მასთან დიალოგის დაწყება აუცილებელია“,** — განაცხადა და იმედი გამოთქვა, რომ მოდერნიზირებული რუსეთი მომავალში არა საფრთხის წყარო, არამედ სტაბილურობის ფაქტორი იქნება.

თქვენ, ალბათ, ის გეიმედებათ, რომ, როგორც იქნა, მიხვდა: **„მეზობლად ისეთი დიდი მტრის ყოფნა, როგორც რუსეთია, სახიფათოა.“** მე კი, გულახდილად გეტყვით: თუკი ახლა გაიგო, რომ **„ყველა პრობლემური საკითხი მოლაპარაკებებით უნდა გადაწყდეს“**, კიდევ არა უშავს, ესე იგი „პაციენტი მკურნალობას ექვემდებარება“, მაგრამ, **თუკი ორი წლის წინათაც იცოდა, რასაც ახლა გვიმხელს (რომ დიდ რუსეთთან პატარა საქართველოს მტრობა სახიფათოა) და მაინც გამოიწვია და რუსულ სამხედრო მანქანას შეაწყვიტა ქართველობა, მაშინ... თუმცა ეს უკვე საერთაშორისო ტრიბუნალის განსასჯელია!**

## შიშველი პრაგმატულობით გამორჩეულ სააკაშვილს კი მოსვენებას არ აძლევს რუსეთის მხრიდან მოლაპარაკებების დაწყების მთავარი პირობა — საქართველოს პრეზიდენტის შეცვლა და ამიტომაც ელოდება მის მოდერნიზებას.

თავშივე გითხარით, გაჭედა-მეთქი, თქვენ კი აიჩემეთ, გონება გაეხსნა და რეალობის გრძნობა დაუბრუნდაო.

თუ დაუბრუნდა, ის დროა, მონტრედან ჰააგაში გაემგზავროს, რადგან სიზმრების ახდენის დრო მოვიდა: რაც ესიზმრებოდა, იმას ტრიბუნალზე „ლაივში“ აჩვენებენ.

**მიხეილ წერეთელი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ტიტველი მეფის ვნებანი

**ცურვა, იცოცხლეთ, ჯანმრთელობისთვის მისწრებაა. როგორც სპორტის სახეობა შესანიშნავია. ბათუმიც კარგი ქალაქია — ქალაქი-კურორტი. მათი რეკლამირებაც არ უნდა იყოს ცუდი საქმე. მაგრამ, როცა ჩვეულებრივი ფაქტის მოვლენამდე გაბერვას მოინდომებ, ხელში კარიკატურა შეგრჩება.**



რამ გამაოცა, იცით? იმან, თუ როგორ ახერხებენ კოლეგა ტელეჟურნალისტები დაბარებულებივით გაჩნდნენ იქ და იმ დროს, სადაც და როცა მიხეილ სააკაშვილი მსოფლიო რეკორდს ამყარებს.

რეკორდს თუ არა, „ათლეტების დისტანციასთან მიახლოებულ“ წყლის სივრცის გადაცურვას 3.500 მეტრზე, ანუ ჩვეულებრივი სპორტსმენის ყოველდღიური სავალდებულო დატვირთვის ერთი მესამედის ათვისებას — ჰა და ჰა, „ხელი გაიქნია ფეხის“ თავისუფალი სტილით. იოლია მარილიან წყალში ტივტივი სრული შტილის დროს.

**ტრიატლონის დისტანცია გაცურაო! ასეა. მაგრამ სამჭიდელები (ცურვა, ველო, კროსი) დროზე ცურავენ — ვინ უფრო სწრაფად! აქ კი, თუ გინდა, მთელი დღე „მიდექი და იცურავე“! გაგასწრებს ვინმე თუ რა!**

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სიამაყის გრძნობით იყო გაჟღენთილი ტელესიუჟეტის კარსმილმა ტექსტი.

კადრში კი მსხვილი პლანით ჩანდა შიშველი მეფე — მიქელანჯელოს „დავითივით“ ფლორენციის აკადემიის თაღებქვეშ დადგმის ღირსი ქანდაკება და ქადაგებდა.

როგორც ვერ გადაეჩვია საქართველოს ტროპიკულ ქვეყნად მოხსენიებას (ტროპიკული სიცხე ანაკლიის უდაბურ პლაჟზე და სხვა), ისე აიჩემა ტენიანობის მაჩვენებლის გრადუსებით განსაზღვრა: დისტანციის გაცურვის შემდეგ ნაპირზე ამოსული ნეპტუნი პლაჟის ქვიშაში სრულიად შემთხვევით აღმოჩენილი აიპედის მოშველიებით ჟურნალისტთა მარადმწვანე სინორჩეს უმტკიცებდა, რომ თეთრსა და ქათქათა ზღვისპირა ქალაქში „ტენიანობის პროცენტი“ გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ნიცაში, ბოდრუმში, ბარსელონაში და, რა თქმა უნდა, — იალტაში. მთლად ისეთი ვერაა, როგორიც საჰარის უდაბნოში, მაგრამ მიახლოებულია, ნაღდად! მიუთითებდა „დავითი“ აიპედის ეკრანზე, რომელზეც არაფერი ჩანდა.

**ხომ იყო აქამდე ჰოლივუდის „წვიმის კაცი“: ვნახეთ, დავიჯერეთ.**

**ახლა საკუთარი მეტეოკაცი გვყავს: ეკრანზე ვნახეთ გასულ კვირაში და უნდა დავიჯეროთ, რომ ორი საუკუნის განმავლობაში მეტეოროლოგები, ანუ მეცნიერები, რომლებიც დედამიწის ატმოსფეროს შეისწავლიან, ცდებოდნენ და კლიმატოლოგებთან ერთად „შეცდომაში შევყავდით“ — ბათუმი ტენიანი ქალაქიაო.**

**აზრი აჯანყებული, „დედამიწაზე დაუტევარი“! სააკაშვილი მეტეოროლოგიის წინააღმდეგ!**

**აჩვენეთ ეს კადრები ბავშვებს და უთხარით, რომ, კარგად თუ არ ისწავლიან, ასე დაემართებათ, და ბიძია მანდატურები სამტრედიის კოლონიაში გაამწესებენ!**

2010 წლის 20 ოქტომბრის შემდეგ ქართულ მეტეოროლოგიას ახალი პრინციპები დაედება საფუძვლად, რომელთაც „ბათუმის ფენომენი“ დაერქმევა, ლოხნესის ურჩხულივით ამოუხსნელი, მაგრამ სავალდებულო. დედიმისის შვილები არიან მეცნიერების ამ დარგში დასაქმებული პროფესიონალები, გაბედონ და სასწრაფოდ არ შეცვალონ საქართველოში გასავრცელებელი მეტეოინფორმაცია!..

მაგრამ ინტერნეტს რა ვუყოთ, რომელიც თავისაზე დგას და ბოლო ექვსი დღის ასეთ მონაცემებს გვთავაზობს: ***(იხ. ცხრილი).***

აი, ასეთი „პეტრუშკაა“, შიშველი თავდაჯერებულობა!

**ისინი კი ხალისობენ — მასმედია შინ და გარეთ, პუტინს მიბაძაო, ვინაც „ბატერფლაით“ ცურავდა „ციმბირის ტბაში“. მაგრამ, ჯერ ერთი, პუტინს არც მეტეოროლოგობა უკისრია, არც კლიმატოლოგობა და, მეორე, რატომ პუტინი და არა თავმჯდომარე მაო, რომელმაც მისი შერყეული ჯანმრთელობის შესახებ გავრცელებული ხმების გასაფანტად ჩინეთის უდიდესი მდინარე იანძი გადაცურა გასული საუკუნის სამოციან წლებში?**

ვერ არის ჯანზეო!

რატომ უდგათ ერთნაირი პრობლემები მაინც და მაინც პირველ პირებს?!

მაგრამ — არც ვლადიმერ პუტინი, არც — მაო ძედუნი! **უგულავას გამოცდილება გადმოიღო სააკაშვილმა, გიგისა, რომელმაც „ჟურნალისტი იცვლის პროფესიას“ მეთოდი დედაქალაქის მერის წინასაარჩევნო პერიოდში „მატრიოშკას“ პრინციპით გამოიყენა — ხაბაზობა, „ზაპრავშჩიკობა“, ყასბობა, კალატოზობა და კიდევ რალაცაობა ერთმანეთიდან ამოალაგა და ეკრანის დახლზე ისე დაალაგა, როგორც „თბილისობის“ დღეებში გასაყიდად გამოტანილი ხალხური რეწვის ნიმუშები...**

პარალელებში თითქოს გავერკვიეთ. მაგრამ მაინც რატომ გაისარჯა ასე საჯაროდ შიშველი მეფე?

ვისთვის რას იტყოდა?

პასუხი იმავე კვირის პარასკევ დღეს მივიღეთ პირადად სააკაშვილისგან: თურმე შავი ზღვის ნაპირზე მდგარი იგი ტელეეკრანის გამოყენებით, საკუთარი მაგალითის დამოწმებით მითითებებს აძლევდა აღმასრულებელი ხელისუფლების პირველ პირებს, რაიც განმარტა თვითონვე ვერონიკა ქობალიას მდგრადი განვითარების სამინისტროში ჩატარებული თათბირის შემაჯამებელ სიტყვაში. **ასე იმიტომ ვიქცევიო, ბრძანა მან, რათა მინისტრები თავად მივიდნენ იქ, სადაც ვიწროა და პერსონალური მაგალითით უჩვენონ, რა და როგორ უნდა გაკეთდესო.**

წავა, ვითომ, მინისტრი ვერონიკა ბათუმში და თავის მეგობართან, კურორტების სააგენტოს ხელმძღვანელთან ერთად „საცურაო კოსტუმში“ გამოწყობილები, ნოემბრის მცხუნვარე მზეს მიფიცხებულები, საკუთარი მაგალითით დაუმტკიცებენ პოტენციურ ტურისტებს, რომ საკურორტო სეზონი ჩვენს პლაჟებზე მთელ წელიწადს გრძელდება და კიდევ უფრო მეტ ხანს? ხელში ეჭირებათ ვარშალომიძის ნაჩუქარი აიპედები, რომლებზეც სააკაშვილის დამოწმებული გრადუსები იქნება გამოსახული.

არ გაცივდე, ბარაშკა-ჯააან!

როგორ ჩაუშხამა ხასიათი ვერონიკას მიხეილმა! **ქალი ტრაბახობდა: ამ წლის გეგმა პრივატიზაციის განხრით უკვე შევასრულეთ და დარჩენილ დროში გადავაჭარბებთ კიდეცო (რა ნაცნობი ტერმინოლოგიაა!). წლის ბოლოს სოცშეჯიბრში გამარჯვებულის გარდამავალი დროშის მისაღებად იყო განწყობილი, რომელზეც დაბნეული იქნებოდა „ბრწყინვალების ორდენი“, მაგრამ სააკაშვილმა ამჯერად არ გაუღო სამოთხის კარი.**

ქობალია პრეზიდენტის ლაითურ კრიტიკაზე — „თავში არ აგივარდეთო“ — ისე მიმიკრირებდა, როგორც უხარისხო ასანთის ღერი, ანუ წუმწუმა, რომელსაც გაჰკრავ, გაჰკრავ, ერთ-ორ ნაპერწკალს კი გააგდებს, მაგრამ ვერ აინთება — ვერ შერჩა ვერას სახეზე ღიმილი, რომლის იმიტირება რამდენჯერმე სცადა ტუჩების განმკლავით, რაც საწყის ფაზაშივე წაეშალა.

აკი მდგრადიაო?!

**არმაზ სანებლიძე**

| თარიღი | ქალაქი | ტემპერ. | ტენიან. |
|---|---|---|---|
| 22.10 | ბათუმი | 20 | 78 |
| 23.10 | -------- | 18 | 77 |
| 24.10 | -------- | 18 | 77 |
| 25.10 | -------- | 20 | 60 |
| 26.10 | -------- | 22 | 59 |
| 27.10 | -------- | 20 | 56 |
| 28.10 | -------- | 21 | 54 |
| 22.10 | ნიცა | 17 | 69 |
| 23.10 | -------- | 16 | 72 |
| 24.10 | -------- | 17 | 71 |
| 25.10 | -------- | 15 | 47 |
| 26.10 | -------- | 14 | 41 |
| 27.10 | -------- | 13 | 48 |
| 28.10 | -------- | 13 | 57 |
| 22.10 | ბოდრუმი | 27 | 39 |
| 23.10 | -------- | 20 | 71 |
| 24.10 | -------- | 20 | 76 |
| 25.10 | -------- | 21 | 73 |
| 26.10 | -------- | 23 | 72 |
| 27.10 | -------- | 23 | 68 |
| 22.10 | იალტა | 15 | 46 |
| 23.10 | -------- | 15 | 51 |
| 24.10 | -------- | 16 | 65 |
| 25.10 | -------- | 19 | 66 |
| 26.10 | -------- | 19 | 80 |
| 27.10 | -------- | 19 | 76 |
| 22.10 | ბარსელონა | 15 | 70 |
| 23.10 | -------- | 16 | 72 |
| 24.10 | -------- | 15 | 70 |
| 25.10 | -------- | 14 | 40 |
| 26.10 | -------- | 11 | 51 |
| 27.10 | -------- | 14 | 46 |

**P.S. დედაენის ძეგლის ჯინაზე ბათუმის „ეიფელის კოშკზე“ დაკიდებული ქართული ანბანის ძეგლის აგებას გვპირდებიან შთამომავლობისთვის დასატოვებლად; ეტყობა, იმ დროისთვის, როცა ინგლისური სრულად დაიპყრობს ჩვენს ეთნოსს. მედეას ძეგლიო, ალისა და ნინოსიო, კიდევ ვილაცის...**

**ისე, ჩანს, რომ პოსეიდონის, იგივე ნეპტუნის ქანდაკებაც არდასავიწყებლად დაგვიდგეს ძეგლების ხეივანში! ვის ტორსს გამოიყენებდნენ ნატურად, თქვენც კარგად ხვდებით...**

**ხოლო „ნათხოვარი ნასოსით“ გაბერილი პატივმოყვარეობა გასკდა და კარიკატურა შეგვრჩა ხელში.**

# ჟურნალისტიკიდან

## ანუ «საპატიო» მე-100 ადგილი

**საერთაშორისო ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ გამოაქვეყნა პრესის თავისუფლების 2010 წლის რეიტინგი, რომლის მიხედვით, 178 ქვეყანას შორის საქართველო „საპატიო“ მე-100 ადგილზეა. გასულ წელთან შედარებით, საქართველომ წელს რეიტინგში 19 ადგილით გაიუარესა არსებული მდგომარეობა (შარშან 81-ე ადგილზე იყო).**



პრესის თავისუფლების 2010 წლის ინდექსის დასადგენად, კვლევები 2009 წლის პირველი სექტემბრიდან 2010 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით ჩატარდა. **ჟურნალისტების დაშინება, მუქარა, ფიზიკური შეურაცხყოფა, თვალთვალი, მკვლელობა** (რომელშიც ჩარეული იყო პოლიციელი, სამხედრო პირი, ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების ჩინოვნიკი), **დაპატიმრება** (უსაფუძვლოდ), **ჩხრეკა** (ინფორმაციის განადგურების მიზნით), **ცენზურა და თვითცენზურა** (სახელმწიფოს მხრიდან გამოცემის სისტემური შემოწმება და კონტროლი), **საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა** — ეს ის კრიტერიუმებია, რითაც ხდება მსოფლიო რეიტინგის შედგენა, ქვეყნებში პრესის თავისუფლების შეფასების თვალსაზრისით.

### რატომ მე-100 ადგილი?

ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, საჭიროა, თვალი გადავავლოთ იმ მოვლენებს, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ქართული მედიის მარგინალიზაციის საქმეში. რატომ გაუარესდა სიტუაცია ერთ წელიწადში? მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 2009 წელს არ მოუკლავთ ჟურნალისტი, პრესის თავისუფლებამ მაინც განიცადა სტაგნაცია (უფრო სწორად, რეგრესი), რომელიც გამოიწვია სახელმწიფოს მხრიდან გადამეტებულმა ჩარევამ მედიის საქმიანობაში.

**ერთი შეხედვით, თვალი რომ გადავავლოთ ქართულ მედიასივრცეს, ადვილად შევამჩნევთ, თუ რა გამოკვეთილი ადგილი უჭირავს სახელისუფლო პროპაგანდით დატვირთულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ეს ყველაზე მკაფიოდ დღეს ქართული ტელევიზიების მაგალითზე წარმოჩინდება. ნაც-ტელეკომპანიები: „რუსთავი 2“, „იმედი“, „რეალ-ტვ“ ზედმიწევნით ზუსტად, თუ შეიძლება ითქვას, პირნათლად ასრულებენ მათი პოტენციური დამკვეთის, პრეზიდენტ სააკაშვილის მოთხოვნებს.** სააკაშვილიც ბრწყინვალედ იყენებს პიარის ტექნოლოგიებს და ე.წ **სპინ-**ის, ანუ პროპაგანდის მეშვეობით იმტკიცებს შერყეულ იმიჯს საზოგადოებაში. პროპაგანდის მიზანიც ხომ სურათის მხოლოდ ერთი მხარის ჩვენებაა. **ასევე, სრულიად გასაიდუმლოებულია ამ ტელეკომპანიების მფლობელთა ვინაობებიც, რომლებიც წურბელებივით ასხედან ტელეკომპანიებს და მედიასაშუალებების მართვას ცდილობენ.** ეს ყოველივე კლავს საზოგადოებაში ჯანსაღი აზრის წარმოშობასა და რეალობის სიღრმისეულ აღქმას და მხოლოდ ერთ გზას გვიტოვებს — ცხოვრება მშვენიერია.

**ხელისუფალნი, ასევე,** ▶

# ვარდების ევოლუცია და შიშველი მეფე

**როდესაც ტელევიზორი ჩავრთე, თავიდან მეგონა, რომ მორიგ შემეცნებით ფილმს ვუყურებდი, ამჯერად პირველყოფილი ადამიანების ცხოვრებიდან, ზღვის ფონზე ენერგიულად მოძრაობდა და ხელებს იქნევდა წელს ზემოთ შიშველი ჰუმანოიდი, რომელსაც თანამედროვე ადამიანებისგან ფრიად არასპორტული, არაპროპორციული აღნაგობა და ხშირი ბალნით დაფარული სხეული განასხვავებდა. ის ჩვეულებრივ ნეანდერტალელზე მაღალი ჩანდა და ვიფიქრე, რომ ფილმი „Homo erectus"-ებზეა, ისეთებზე, როგორებიც ზეზვა და მზია იყვნენ, რომლებსაც არქეოლოგებმა დმანისში მიაგნეს.**



თუმცა, როდესაც ის, ვინც თავიდან ერთი რიგითი პიტეკანტროპი მეგონა, უფრო ახლო ხედით აჩვენეს, მივხვდი, რომ ეს სულ სხვა კინოა და წელს ზემოთ შიშველი ადამიანი არც ზეზვა და, მითუმეტეს, არც მზია იყო; თქვენ, ალბათ, უკვე მიხვდით, თუ ვინ გამოჩნდა მრავალტანჯულ ტელეეკრანზე.

როგორც შემდეგ სახელისუფლო პროპაგანდამ ახსნა, **მიხეილ სააკაშვილი ცდილობდა, ბათუმისკენ ინვესტორებისა და ტურისტების ყურადღება მიეპყრო, თუმცა, ცხადია, ნებისმიერი საღი გონებისა და კეთილი ნების ადამიანი ამ შოკისმომგვრელი სურათის დანახვისას შეეცდებოდა, აღნიშნული ადგილისგან მაქსიმალურად შორს აღმოჩენილიყო.** უახლეს ისტორიას ორი მოცურავე მმართველი ახსოვს, სადამ ჰუსეინი და მაო ძედუნი, რომელმაც 73 წლის ასაკში 14 კილომეტრი გაცურა. სააკაშვილის სამნახევარი კილომეტრი ამ მაჩვენებელთან შედარებით სასაცილოდ გამოიყურება, თანაც, ის, ვინც ცურვაში ერკვევა, ყურადღებას მიაქცევდა იმას, რომ იმ მოუქნელი სტილით, რომლითაც სააკაშვილი მიცურავდა, 3,5 კმ. დისტანციის დაფარვა ძლიერ გაუჭირდებოდა, როგორც პროპაგანდის მიერ გამოცხადებულ დროში, ისე — საერთოდ.

საქმე, ალბათ, გაცილებით მარტივადაა და ტურისტებსა და ინვესტორებს ნაკლებად ეხება.

**სააკაშვილი მაქსიმალურად ცდილობს, საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდეს,**

**თუნდაც ამისთვის უაღრესად ექსტრავაგანტული ნაბიჯების გადადგმა მოუწიოს, რადგან, სავარაუდოდ, გრძნობს, რომ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ინტერესი მისდამი პრაქტიკულად ნულს გაუტოლდა.** საგულისხმოა, რომ ამ მოვლენების კომენტირებისას თითქმის არავის გამოუყენებია ფრაზა „მეფე შიშველია", რადგან, როგორც ჩანს, „მეფედ" (ფართო გაგებით მმართველად, რომელიც ყურადღებას, თუნდაც თავისი სტატუსის გამო იმსახურებს) სააკაშვილს აღარავინ აღიქვამს. ყურადღების მიპყრობის სურვილმა კი იგი ისეთ ნაბიჯამდე მიიყვანა, რომელიც საზოგადოების დიდმა ნაწილმა ლამის ექსგიბიციონიზმის აქტად შეაფასა; **„До чего же Вы дошли, эрцгерцог..."**

არადა, რა კარგად იწყებოდა ყველაფერი: **„დემოკრატიის შუქურა", „პროგრესული კაცობრიობის იმედი", ავანსები, კრედიტები, მხარდაჭერა... ასეთ სასტარტო პირობებში იგივე პიტეკანტროპი ზეზვა შვიდწლიანი ევოლუციის შემდეგ, როგორც მინიმუმი, პუანკარეს თეორემას დაამტკიცებდა და ნობელის პრემიას აიღებდა. თუმცა**

**მიხეილ სააკაშვილი სხვა გზით წავიდა და სტარტიდან შვიდ წელიწადში ბათუმის პლაჟზე ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომელიც, ალბათ, ზეზვასთვისაც სათაკილო იქნებოდა.**

ვერაფერს ვიზამთ, ევოლუცია შეიძლება როგორც პროგრესის, ისე რეგრესის გზით წავიდეს, თუ რა მიმართულებით წავიდა „ვარდების რევოლუციის" ევოლუცია, მგონი, ყველანი ვხედავთ.

თუმცა ჯერ სად ვართ, როგორც ვატყობ, ეს მხოლოდ დასაწყისია. სააგენტო „GHN"-ის ცნობით, „აჭარაში ნუდისტური პლაჟის გახსნა იგეგმება", რომლის მოწყობას, წინასწარი ინფორმაციის თანახმად, ერთ-ერთი ამერიკული ტურისტული კომპანია გეგმავს. ალბათ, მიხეილ სააკაშვილი ამ პლაჟის გახსნაზეც მივა, რადგან, როგორც წესი, ნებისმიერი ობიექტის გახსნას ესწრება. საქმეში ჩახედული ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ნამდვილი თავდავიწყება სწორედ ნუდისტური პლაჟის გახსნის ცერემონიაზე დაიწყება.

ისე, იმისთვის, რომ უცხოელი ნუდისტები მოიზიდო, მათ უნდა აჩვენო, რომ აჭარის ნუდისტურ პლაჟზე სიცოცხლე დუღს. **ალბათ, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ პლაჟის შესავსებად, პირველ ეტაპზე, იმ აქტივისტებს გამოიყენებენ, რომლებიც ხელისუფლებას სხვადასხვა ღონისძიებებზე „მადლიერი ხალხის" როლის შესასრულებლად დაჰყავს.** ასე რომ, ძვირფასო აქტივისტებო, შეიძლება საჯარო გაშიშვლება მოგიწიოთ. ჩვენ ვერაფრით დაგეხმარებით, რადგან ეს გზა ცხოვრებაში თქვენ თავად აირჩიეთ.

**დიმიტრი მონიავა**

# ჟურნალისტიკამდე,

◀ **ცდილობენ ბეჭდური მედიასაშუალებების გაკონტროლებასაც. პრესის კონტროლს კი ისინი დისტრიბუციის გზების ჩაკეტვით ახერხებენ.** თუ გაზეთს შეეზღუდება ბაზარზე გასვლის შესაძლებლობა, ცხადია, ისედაც მძიმე ფინანსურ მდგომაეობაში მყოფი, დაიხურება.

საერთაშორისო ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" კვლევებში დიდი ყურადღება ეთმობა ისეთ ფაქტებსაც, როგორიცაა ჟურნალისტისთვის საჯარო ინფორმაციის მისაწვდომობა. **ბოლო წლებში საქართველოში სერიოზულად გაუარესდა სახელმწიფო უწყებებიდან საჯარო ინფორმაციის გაცემა.**

ნებისმიერი სამინისტროდან უბრალო სახელფასო ინფორმაციის მიღება დიდ თავის ტკივილთანაა დაკავშირებული. რომ აღარაფერი ვთქვათ დღევანდელი თავდაცვის სამინისტროს ჩაკეტილ, გასაიდუმლოებულ ქმედებებზე. ერთგვარი „რკინის ფარდაა" დაშვებული სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის. ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტის მთავარი ფუნქცია — მიაწოდოს ხალხს რეალური, დამაჯერებელი ინფორმაცია — კნინდება და ჟურნალისტი მხოლოდ ხელისუფლების პიარის მკეთებელ სუბიექტს ემსგავსება.

ამ მხრივ კარგი მდგომარეობა არც საქართველოს რეგიონებშია. ბოლო დროს დაფიქსირდა ფაქტები, რომლებიც მხოლოდ მედიასივრცის თავისუფლების შეზღუდვას ემსახურება. სამწუხაროდ, გრძელდება დამოუკიდებელი საინფორმაციო სამსახურების შემცირება, რაც ხშირად ფინანსურ ან პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა რიგს მიეკუთვნება. **უკიდურესად გართულებულია რეგიონებში ინფორმაციის მიღება დამოუკიდებელი მედიასაშუალებების ჟურნალისტებისთვის** — საჯარო მოხელეები უარს აცხადებენ, რომ არასასურველ ჟურნალისტებს მიაწოდონ კომენტარები და საჯარო ინფორმაცია, ხოლო პრესსამსახურების მიერ წინასწარ ინფორმირება მხოლოდ სასურველი მედიასაშუალებების პრეროგატივაა. საჯარო სამსახურების თანამშრომლებს უკრძალავენ ხელისუფლებისთვის „არაკეთილმოსურნე გაზეთების" გამოწერას, ხოლო მეწარმეებს — ამ გაზეთებში რეკლამების განთავსებას; **გრძელდება დამოუკიდებელი მედიასაშუალებების მიმართ ცილისწამების, გადაუმოწმებელი და უსაფუძვლო ბრალდებების გავრცელება, რასაც, სამწუხაროდ, ხელისუფლების „ჯიბის" მედიასივრცე დაუღალავად ემსახურება.**

## ვინც აკონტროლებს მედიას, აკონტროლებს ხალხის გონებასაც

მსოფლიოში არსებობს „ხუთი პრეს-ცნება, კონცეფცია", რომელთა მეშვეობითაც ნებისმიერი სახის ნიუსი, ანუ ახალი ამბავი შესაძლებელია ფორმულირდეს სხვადასხვანაირად. მაგალითად, თუ ერთგან იტყვიან, რომ ომი მოვიგეთ, იმავე ამბავს მეორეგან სულ სხვა ინტერპრეტაციით გააშუქებენ, ანუ სახელმწიფო წყობის ინტერესიდან გამომდინარე მოხდება ნიუსის გადაკეთება.

ეს კონცეფციებია: **ავტორიტარული,** რომელიც არის ერთ-ერთი უძველესი კონცეფცია და ამავე დროს სულისჩამდგმელი, წარმომქმნელი XX საუკუნის ორი ახალი — **კომუნისტური** და **განვითარების (Developmental)** ცნებების. არსებობს ასევე **დასავლური** და **რევოლუციური** კონცეფციები.

**დღეს საქართველოში, სამწუხაროდ, ერთპიროვნული ავტორიტარული მმართველობაა, რომელიც ძირს უთხრის ქართულ ჟურნალისტიკას, ასამარებს, ანულებს მის როლს, როგორც საერთაშორისო, ასევე საქვეყნო საქმეში.**

2010 წლის 13 მარტს „იმედის" ეთერში გასული „მოდელირებული ქრონიკა" სახელმწიფოს ჩარევის, ჟურნალისტების უპასუხისმგებლობისა და საქართველოს მოქალაქეთა შეურაცხყოფის ნათელი მაგალითია. მაშინ, როცა საქართველოს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-13 მუხლის მეხუთე პუნქტი ნათლად განმარტავს: **„აუდიტორიის შეცდომაში შეყვანის თავიდან აცილების მიზნით, მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ახალ ამბებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში დადგმებისა და ინსცენირებების გამოყენებისგან ან ნათლად უნდა განმარტოს, რომ ეს არის დადგმა ან ინსცენირება. დოკუმენტური ან რეალური ფაქტების ყოველი სამაუწყებლო რეკონსტრუქცია ნათლად უნდა იყოს მითითებული."**

ამგვარად, ჩვენი ხელისუფლება მედია-მანიპულაციებს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ იყენებს. ცნობისთვის, **ამერიკაში 1948 წელს მიღებული „smis-mundt"-ის აქტი („Smith-Mundt Act") ამერიკაში მაუწყებელ მედიასაშუალებებს ნებას რთავს, სახელმწიფო პროპაგანდის შემცველი ნიუსები დაუბრკოლებლად გაავრცელონ მხოლოდ უცხოელი აუდიტორიისთვის და არა ადგილობრივი ამერიკელი მოსახლეობისთვის.** ამგვარად, ეს აქტი კრძალავს სამთავრობო პროპაგანდის ქვეყნის შიგნით გავრცელების შესაძლებლობებს **(რადიო „ამერიკის ხმა" ამას ბრწყინვალედ იყენებს).**

**ოთარ დალაქიშვილი**

**P.S. სამწუხაროდ, ჟურნალისტების დარბევის, დაშინების, მუქარის, ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები დღესაც გრძელდება და არა მგონია, სიტუაციის ამგვარად წარმართვის შემთხვევაში, დადებითად აისახოს ეს ყოველივე სამომავლოდ ქართულ ჟურნალისტიკაზე. ჟურნალისტმა ხომ „ყოველი აზრის მოძრაობას გზა უნდა მისცეს, ყოველიფერი შენიშნოს და ყოველიფერს პასუხი გასცეს; ერთი სიტყვით, უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმასა გასაუმჯობესებლად. ამ ძნელ საქმეში ჟურნალისტმა წინ მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი უნდა წაიმძღვაროს" (ილია ჭავჭავაძე).**

**სწორედ ეს გადაწყვეტს, ვიქნებით სარკე საზოგადოებისთვის თუ მხოლოდ ხელისუფლებას დაქვემდებარებული „გაპოლიტიკოსებული" ჟურნალისტები...**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ზაზა ხატიაშვილი:

# საქართველოში ფაშისტური რეჟიმია და ადვოკატთა კორპუსი სააკაშვილს აუცილებლად ასწავლის ჭკუას

**საქართველოში რომ პატიმრებს აწამებენ და ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ კატასტროფული მდგომარეობაა, დასავლეთში ადვოკატების მეშვეობით უკვე იციან, რადგან საქართველოდან ამასთან დაკავშირებით ევროსასამართლოში ათასობით განცხადებაა შესული. მაგრამ დღეს მათთვის უკვე ცნობილი ხდება, რომ ხელისუფლება ასევე არაადამიანურ პირობებში აყენებს უფლებადამცველებსაც.**



**საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა გამოხატონ პროტესტი და მოახდინონ რეაგირება საქართველოში ადვოკატთა კორპუსის წამების ფაქტებზე**

**„საქართველოში ადვოკატებს აწამებენ,"** — ეს შეფასება გერმანიის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა, ბრემენის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტმა გააკეთა მას შემდეგ, რაც ქართველ ადვოკატებს გაესაუბრა და საკუთარი თვალით ნახა, როგორ იდგნენ საათობით რიგში მერვე საპყრობილესთან. **ერიკ ჰიოსტერი საქართველოში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტის მოწვევითა და თხოვნით ჩამოვიდა. ადვოკატთა კორპუსი სააკაშვილის რეჟიმს ფაშისტურს უწოდებს და მას ბრძოლას უცხადებს.**

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა საქართველოში ადვოკატთა მძიმე მდგომარეობაზე და ხელისუფლების ზეწოლაზე ევროსაბჭოს უკვე მიმართა და კონკრეტული ფაქტებიც გააცნო. სწორედ ამის შემდეგ დაინტერესდნენ ევროპელი ადამიანის უფლებათადამცველები საქართველოში არსებული სიტუაციით.

**ზაზა ხატიაშვილი:**

— მე განვაცხადე, რომ პირველ სექტემბრამდე მივმართავდი ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს, რომ გამოეძიებინათ ადვოკატთა უკანონოდ დევნის, ადვოკატებზე ზეწოლის ფაქტები, შემდეგ კი დავიწყებდი საერთაშორისო სარბიელზე ბრძოლას იმისთვის, რომ ადვოკატების ინსტიტუციონალური დაცვისთვის მიმეღწია. მას შემდეგ, რაც მათი მხრიდან რეაგირება არ მოხდა, მივმართე ევროსაბჭოს, ევროპარლამენტს, ადამიანის უფლებათა დაცვის სხვადასხვა ორგანიზაციას და ასევე — ევროპის ადვოკატთა ასოციაციას.

**10 ივნისს ბაზელში მიმიწვიეს ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პლენარულ სხდომაზე, სადაც წარვადგინე ფილმი უკანონოდ დაკავებულ მარიამ იველაშვილზე, რომელიც სტუდია „მონიტორმა" ევროკავშირის ფინანსური დახმარებით გადაიღო. ევროპელ კოლეგებს დავუხატე ნათელი სურათი იმისა, თუ როგორ ხდება თავისუფალი პროფესიების დევნა საქართველოში. შემდეგ ევროკავშირმა ან ევროსაბჭომ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობას დაავალა ეს საკითხი და ევროკავშირის წარმომადგენლობასთან შედგა შეხვედრა ჩემს, დაზარალებულ ადვოკატებსა და ევროკავშირისა და ევროსაბჭოს პირველ პირებს შორის. შევთანხმდით, რომ ევროკავშირი მოიკვლევდა ამ ფაქტებს.**

შეხვედრაზე წავიყვანე ბატონი ვალერი ტაბაღუა, რომელიც, როდესაც ციხიდან ინფორმაცია გამოჰქონდა ნაწამებ პატიმარზე, გააჩერეს ციხეში, გაჩხრიკეს და პატიმრის განცხადება დაუხიეს, მაგრამ ტაბაღუა საკმაოდ ჭკვიანი ადამიანია და ორი განცხადება დააწერინა პატიმარს, შესაბამისად, ერთის გამოტანა მაინც მოახერხა. ეს არის ადვოკატის საქმიანობაში უხეში ჩარევა. ასევე, იქ იყო შალვა ხაჭაპურიძის ადვოკატი გრიგოლ გაგნიძეც, რომელმაც დაადასტურა ფაქტი, რომ, **როდესაც შალვა ხაჭაპურიძე ნაცემი მივიდა შს სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრში, მას უთხრეს, რომ იგი ადვოკატია და ექსპერტიზას არ ჩაუტარებდნენ.** იქ იყო, აგრეთვე, კობა სოხაძე, რომელსაც თავს დაესხა პატრული, ვინაიდან იგი იღებდა მოქალაქის ცემის ფაქტს ტელეფონით, წაართვეს ტელეფონი, დაუშალეს და შემდეგ კოტე კუბლაშვილის ლენინის ორდენოსანმა სასამართლომ მას 30-დღიანი პატიმრობა შეუფარდა.

ამასთან, გავმართე პრესკონფერენცია გერმანიის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრთან ერთად, რომელიც ბრემენის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტიცაა. იგი ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდა და, ჩემი თხოვნით შეისწავლა საქართველოში ადვოკატების გაუსაძლისი მდგომარეობა. ბატონი **ერიკ ჰიოსტერი 18 ოქტომბერს ჩემთან ერთად იმყოფებოდა №8 საპყრობილესთან და ნახა, რა გაუსაძლის მდგომარეობაში არიან ადვოკატები, რომლებიც დღეების განმავლობაში ელოდებიან თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფებთან შესვლას.** საერთაშორისო ორგანიზაციებს მივწერე, რომ ეს არის გაეროს პრინციპების დარღვევა და ადვოკატთა კორპუსის წამება. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, თუ რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციას კანონიერების რაიმე ნიშანი შერჩენილი აქვს, უნდა გამოხატოს პროტესტი და მოახდინოს რეაგირება.

**— საქართველოში ადამიანის უფლებები მუდმივად შელახული იყო. რა პერიოდიდან გამძაფრდა მდგომარეობა?**

— 2003 წლიდან, როდესაც „ვარდების რევოლუცია" მოვახდინეთ და რევოლუციური ჟინით შეპყრობილი ფაშისტური მენტალიტეტის ხალხი მოვიდა ხელისუფლების სათავეში, რომელმაც ხელისუფლებაში მოსვლიდან 2-3 თვეში დაუწყო დევნა თავისუფალ პროფესიებს. ალბათ, გახსენდებათ, **როცა სააკაშვილი გახდა პრეზიდენტი, პირველი, რაც გააკეთა, იყო ის, რომ შევარდა ტელეკომპანია „იბერიაში", სადაც ჟურნალისტები იატაკზე დააწვინეს. ყველა ფიქრობდა, რომ რევოლუციური ჟინი დაცხრებოდა, მაგრამ ამ ჟინმა მოიმატა. შემდგომ ისინი შევარდნენ „იმედში", გახსოვთ, რა უქნეს ჟურნალისტებს, როგორი არაადამიანური მეთოდებით გაუსწორდნენ?** ანუ, როდესაც **ადამიანი ხელისუფლებაში მოდის სახელმწიფო გადატრიალების გზით, ის ყველანაირი უკანონო მეთოდით ეცდება ხელისუფლების შენარჩუნებას. რასაც სააკაშვილი აკეთებს, ეს არის ჩვეულებრივი ავტორიტალური რეჟიმისთვის დამახასიათებელი მმართველობის ფორმა.**

**«ვარდების რევოლუციის» შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოვიდა რევოლუციური ჟინით შეპყრობილი ფაშისტური მენტალიტეტის ხალხი, რომელმაც ხელისუფლებაში მოსვლიდან 2-3 თვეში დაუწყო დევნა თავისუფალ პროფესიებს**

1992 წლიდან ჩვენ ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფო. 1992 წლიდან 2003 წლამდე დაახლოებით 10 ადვოკატი იყო პასუხისგებაში მიცემული, 2003 წლიდან 2007-მდე — 200-მდე ადვოკატი. **მიმდინარეობს მიზანმიმართული დარტყმა ამ პროფესიაზე, იმიტომ, რომ ადვოკატთა კორპუსმა ევროსასამართლოს მეშვეობით ამხილა სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი ადამიანის წამებაში, განადგურებაში და მოიგო ეს პროცესები.** ადვოკატების მეშვეობით იდება საერთაშორისო ორგანიზაციებში დასკვნები ამ რეჟიმის უკანონო ქმედებების შესახებ. ამიტომ სააკაშვილისთვის, მერაბიშვილისთვის, ადეიშვილისთვის ნომერ პირველ სამიზნედ იქცა ადვოკატთა კორპუსი.

**— გჯერათ, რომ თქვენი ბრძოლა შედეგს გამოიღებს?**

— შედეგი იქნება. ადვოკატთა კორპუსი სააკაშვილს აუცილებად დასვამს თავის ადგილზე და ასწავლის ჭკუას; გააგებინებს, რომ ადვოკატები მისი მონები არ არიან. ეს ადვოკატთა ასოციაციას უნდა დაეწყო 6 წლის წინათ, როდესაც მან ფუნქციონირება დაიწყო, მაგრამ ასე არ მოხდა. რადგან მე დავიწყე ეს ბრძოლა, სანამ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეობიდან წავალ, საქართველოში იქნება იდეალური სიტუაცია ადვოკატებთან მიმართებაში.

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს? თქვენს უფლებებს, ფაქტობრივად, ვერ იყენებთ.**

— იმიტომ ვერ ვიყენებთ, რომ **საქართველოში არის ფაშისტური რეჟიმი. ამ რეჟიმს ტაში კი არ უნდა დაუკრა, როგორც ადრე უკრავდნენ, უნდა ებრძოლო სამართლებრივ დონეზე.** სექტემბრამდე მე მოვაგროვე მასალები და მთავარ პროკურატურას მივმართე. როცა მთავარმა პროკურატურამ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს საჩივარზე პასუხიც არ გამცა, ევროკავშირს მივმართე. ახლა პასუხს ველოდები, დარწმუნებული ვარ, სერიოზულად გამომეხმაურებიან. ვითხოვ, ჩამოვიდნენ საქართველოში ის ორგანიზაციები, რომლებიც ამ ხელისუფლებასთან არ არიან შეკრულები, ისინი დადებენ რეალურ სურათს.

დღეს ბატონმა **ერიკ ჰიოსტერმა, ევროპის მასშტაბით ყველაზე ცნობილმა ადვოკატმა, განაცხადა, რომ საქართველოში მიმდინარეობს ადვოკატების წამება და მათ მიმართ არაადამიანური მოპყრობა.** მივაღწიე იმას, რომ ვინმე, უცხოელი, მაღალი რანგის პირი ჩამოსულიყო და ეთქვა, რა სიტუაციაა საქართველოში. **აქ ვინც ჩამოდის ამბობს, რომ მიშა მაგარია, იმიტომ, რომ მათ წინასწარ იციან, რისთვის ჩამოჰყავთ. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ ეს დამნაშავე ელემენტები გაიცნოს მთელმა ევროპამ, მათ უნდა ეშინოდეთ ადვოკატების, უნდა ეშინოდეთ სამოქალაქო საზოგადოების.** სააკაშვილი რაც მოვიდა ხელისუფლებაში, სამოქალაქო საზოგადოების პროცესის ჩახშობას ცდილობს. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი სამოქალაქო საზოგადოება, სააკაშვილზე უარესი პრეზიდენტიც რომ გვყავდეს, ვერაფერი დაუშავოს სამოქალაქო საზოგადოებას. სწორეს ამას ვცდილობ. ის, რომ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს ისინი შავნაბადაზე ვერ აიყვანენ და დათმობებზე ვერ წაიყვანენ, ადვოკატთა ინსტიტუციონალური დათმობის ხარჯზე, სააკაშვილმა, მერაბიშვილმა და ადეიშვილმა კარგად იციან.

**— არის ამის მცდელობა?**

— არა, მათ შესანიშნავად იციან, რომ მე პიროვნებებთან, რომლებიც ადამიანებს ქუჩაში ხვრეტენ, მოლაპარაკების მაგიდასთან არ ვჯდები. მხოლოდ ადვოკატთა კორპუსთან ერთან მოველაპარაკები ყველას.

**— ანუ გაქვთ იმედი, რომ ხელისუფლება წააგებს ადვოკატთა კორპუსის წინააღმდეგ ბრძოლას?**

— არც ერთ ქვეყანაში ადვოკატებთან ბრძოლა ხელისუფლებას არ მოუგია. ეს გამორიცხულია. მაგრამ ეს ბრძოლა იქნება ძალიან ხანგრძლივი. როცა ამდენი საერთაშორისო ორგანიზაცია, ამდენი ფულით და გაპიარებული გამოკითხვებით უდგას გვერდით ამ ხელისუფლებას, ეს ძალიან რთულია. **ის ფაქტი, რომ მათ შეუძლიათ იყიდონ ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის გამოკითხვის შედეგები, ძალიან ართულებს ჩვენს ბრძოლას, შეიძლება დაგვზარალდეთ, ბევრი ადამიანი დაგვიჭირონ, მაგრამ საბოლოო ჯამში ჩვენ მივიღებთ იმ სამოქალაქო საზოგადოებას, რომელსაც ეს პატარა ქვეყანა იმსახურებს.**

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

**ადვოკატთა კორპუსმა ევროსასამართლოს მეშვეობით ამხილა სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი ადამიანის წამებაში, განადგურებაში და მოიგო ეს პროცესები**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# უკანასკნელი ათასი წლის მანძილზე წლეულს ყველაზე ცივი ზამთარი იქნება

# პროდუქტები ისევ ძვირდება!

**ლარი დოლართან მიმართებაში გამყარდა, მაგრამ, როგორც წესი, გაძვირებულ პროდუქტზე ამას გავლენა არ მოუხდენია. მეტიც, ფასების ზრდა ისევ ძველებურად გრძელდება. ამ დღეებში თითქმის 12-15%-ით გაძვირდა რძის პროდუქტები და, საერთოდ, პროდუქცია ქართულ ბაზარზე. შესაბამისად, მატულობს ინფლაციის საშიშროება. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ფასები მინიმუმ 100 და მაქსიმუმ 400%-ით გაიზარდა, რაც, თავის მხრივ, უპირველესად, მოსახლეობის ყოფაზე აისახება.**



ოფიციალური ინფორმაციით, 2004 წელთან შედარებით, საქართველოში ფასები დაახლოებით 60-85%-ითაა მომატებული, თუმცა, არაოფიციალური მონაცემებით, ეს ციფრი უფრო მაღალია და 300-400%-ს შეადგენს. თვალსაჩინოებისთვის მარტივი მაგალითების მოყვანაც საკმარისი იქნება. თუ 2004-2005 წლებში ერთი კილოგრამი კარტოფილი სულ რაღაც 30 თეთრი ღირდა, დღეს მისი ფასი მინიმუმ 90 თეთრია, ანუ დღემდე კარტოფილის ფასი თითქმის 300%-ით გაიზარდა და, როგორც ვარაუდობენ, მისი ფასი ზამთრის დადგომასთან ერთად კიდევ უფრო აიწევს და 1,20-1,50 ლარს მიაღწევს.

**ექსპერტები ერთხმად აღიარებენ, რომ წლევანდელი ზამთარი მოსახლეობისთვის ეკონომიურად ძალიან მძიმე იქნება.** თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წლევანდელი ზამთარი უკანასკნელი ათასი წლის მანძილზე ყველაზე ცივი იქნება, სასიხარულოდ საქმე ნამდვილად არ გვაქვს. **მოსალოდნელ სიცივეზე პროგნოზს მეტეოროლოგები და სინოპტიკოსები აკეთებენ: თბილი დინება გოლფსტრიმი ნელ-ნელა ქრება, ევროპას არქტიკული ყინვებისგან ვეღარ დაიცავს და ჰაერის ცივი მასები ევრაზიის მთელ კონტინენტზე გავრცელდება.**

ჯერჯერობით მეტეოროლოგები და სინოპტიკოსები ვერ აკონკრეტებენ, ზუსტად სადამდე დაეცემა ტემპერატურა, მაგრამ აცხადებენ, რომ ეს იქნება ყველაზე ცივი ზამთარი და მოსახლეობას თადარიგის დაჭერას ურჩევენ. ყველაფერი ასე ძვირი რომ არ იყოს, თამამად ვიტყოდით, აბა, ყველამ ერთად მოვიმარაგოთ პროდუქტები, შეშა, ზამთრის გამათბობლისთვის ფული დავზოგოთ და მომზადებული შევხვდეთ ათასწლეულის ყველაზე ცივ ზამთარსო, მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ **მოსახლეობას დღიურად ძლივს გააქვს თავი და დანაზოგის გაკეთებას ვერ ახერხებს.**

თავდაპირველად, როდესაც პროდუქტებზე ფასების ზრდამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო, მოსახლეობას აღელვებდა მხოლოდ ინფორმაცია, დღეს კი გაძვირებულმა პროდუქტმა მოსახლეობა პანიკის ზღვრამდე მიიყვანა. უახლოეს მომავალში სუპერმარკეტებსა და მარკეტებში, შესაძლოა, ხორცი კიდევ გაძვირდეს. **როგორც სავაჭრო ობიექტებში აცხადებენ, აქამდე ხორცს საკოლმეურნეო ბაზრებში მოვაჭრეებისგან შედარებით იაფად ყიდულობდნენ და მცირე დანამატით სუპერმარკეტებსა და მარკეტებში ყიდდნენ. ახლა კი, როდესაც ხორცის აღება პირდაპირ სასაკლაოდან მოუწევთ, ერთ კილოგრამ ხორცზე 1,5-2 ლარით მეტი უნდა გადაიხადონ, რაც თავისთავად სარეალიზაციო ფასზეც აისახება. ყველა სუპერმარკეტი და მარკეტი ვალდებულია, რომ მაღაზიაში სასაკლაოში შეძენილი ხორცი გაყიდოს. აქამდე ერთი კილოგრამი ხორცის ღირებულება 8-დან 9-ლარამდე მერყეობდა, უახლოს მომავალში ხორცის ფასი 10-12 ლარამდე გაიზრდება.**

მსოფლიოში შაქრის ფასი ახალ რეკორდებს აღწევს. სექტემბერ-ოქტომბერში, ფასების მკვეთრი ზრდის შემდეგ, ლონდონსა და ნიუ იორკში ბირჟებზე კვლავ რეკორდული მაჩვენებლები ფიქსირდება. რაფინირებული შაქრის ფასი ლონდონში 1,1%-ით გაიზარდა და ტონაზე 706 დოლარს მიაღწია, რაც თებერვლის შემდეგ რეკორდული მაჩვენებელია. ამასთან, ტაილანდიდან მსოფლიო ბაზრებზე შაქრის მოწოდება გაისად 20%-ით შემცირდება. ბრაზილიაში კი მოსავალი 3,2%-ით დაიკლებს. **საქართველოში შაქარზე რეკორდული ფასი, უკვე დიდი ხანია, შეინიშნება, 2-2,20 ლარს შორის მეყეობს. მიუხედავად ხელისუფლების დაპირებისა, პროდუქტები დღითიდღე ძვირდება.**

თუ 2004-2005 წლებში ერთი ტომარა შაქარი 25 ლარი ღირდა, დღეს ის უკვე, დაახლოებით, 350%-ითაა გაძვირებული და 90 ლარი ღირს. ასევეა ფქვილის ფასიც — ნაცვლად 18-20 ლარისა, 50-55 ლარად იყიდება. შესაბამისად, გაძვირდა პურიც; პურის ის სახეობა, რომელიც 2003-04 წლებში 30-40 თეთრი ღირდა, დღეს 65-დან 80 თეთრი ღირს.

შარშან, დიასახლისი სადილის გაკეთებას 10 ლარად ახერხებდა, დღეს კი 20 ლარიც აღარ ჰყოფნის. ბოლო 3-4 წლის მანძილზე დაახლოებით 400%-ით მოიმატა ფასმა ბადრიჯანზე. თუ ბოსტნეულის ეს სახეობა „კარგ დროს" 15-20 თეთრი ღირდა, დღეს მისი ფასი 70-80 თეთრია. მომატებულია ფასი კიტრსა და პომიდორზეც, შესაბამისად, 300 და 400%-ით. თუ ერთი კილოგრამი კიტრის შეძენა ორიოდე წლის წინათ 25-30 თეთრად შეიძლებოდა, ახლა მისი ფასი მინიმუმ 70-80 თეთრია. ასევე გაძვირდა პომიდორიც, რომელიც, ნაცვლად 30-40 თეთრისა, აგრარულ ბაზრებში სულ ცოტა 1 ლარი ღირს.

**დაახლოებით 500%-ით მოიმატა ფასმა ნიორზე, რომელიც უკვე 9-12 ლარი ღირს, არადა, 2004-2005 წლებში ის მხოლოდ 2-2,5 ლარი ღირდა. გაძვირდა ხახვიც.**

**მნიშვნელოვნად მოიმატა ფასმა ხილის ზოგიერთ სახეობაზე, თუ ყურძნის, ატმის, მსხლის ფასი თითქმის არ შეცვლილა, „კარგი" ვაშლი, დაახლოებით, 400%-ითაა გაძვირებული და, ნაცვლად 40-50 თეთრისა, უკვე 2-2,5 ლარი ღირს.**

ბოლო წლებთან შედარებით გაძვირდა ბურღულეულიც. თუ ადრე ერთი კილოგრამი წიწიბურა 1 ლარი და 20 თეთრი ღირდა, დღეს ბაზარზე 5 ლარი ღირს...

**ანალოგიურად ფასებმა პირველადი მოხმარების საგნებსა და ჰიგიენურ საშუალებებზეც მოიმატა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ახალი საგადასახადო ცვლილებების მიხედვით ჰიგიენის საშუალებები უკვე იბეგრება, საკმაოდ მაღალი პროცენტით; საერთო ჯამში შეიძლება თამამად ითქვას, რომ ფასები, დაახლოებით, 150%-ითაც კი გაიზარდა.** შეიძლება ვინმესთვის სასაცილო იყოს ამ პროდუქტების ფასების ასე დეტალურად განხილვა, მაგრამ უბრალო მოკვდავთათვის სწორედ ეს პროდუქტებია ხელმისწვდომი და ყოვლდღიურად აუცილებელი. თორემ ის, ვინც გუდვილში ყველაფერს მზამზარეულს ყიდულობს, ბოსტნეულისა და სხვა დანარჩენის ფასზე ნერვიულობით თავს სულაც არ იკლავს.

**ევროპაში ლუდის 20%-ით გაძვირება საქართველოზეც იმოქმედებს. ამის შესახებ პოპულარულ ლუდ „ზიბერტის" იმპორტიორ კომპანიაში აცხადებენ. მათივე მტკიცებით, ევროპაში ლუდის გაძვირება არა მარტო შემომტან, არამედ მწარმოებელ კომპანიებზეც იმოქმედებს და მომხმარებლისთვის ფასის მომატება ეტაპობრივად, დანაზოგის ხარჯზე მოხდება. რაც შეეხება „ყაზბეგს", კომპანიიის დამფუძნებელი გოგი თოფაძე საქინფორმთან საუბარში აცხადებს, რომ მათთან ლუდის გაძვირება თებერვლამდე არ არის მოსალოდნელი.**

„ლუდის გაძვირების ტენდენცია მოუსავლიანმა წელმა განაპირობა, თუმცა ჩვენს კომპანიას ეს არ ეხება. ჩვენ გვაქვს გარკვეული მარაგი შვრიის... ლუდის დასამზადებლად საჭირო ნედლეულის, ამიტომ გაზაფხულამდე ლუდის გაძვირებას არ ვაპირებთ. ერთადერთი, რამაც შეიძლება ჩვენი კომპანიის ლუდი გააძვიროს, ლარის კურსის მომატება იქნება დოლართან მიმართებაში", — განაცხადა გოგი თოფაძემ.

**ნოდარ ხადური, ეკონომიკის ექსპერტი:**

— ფასების ზრდის ტენდენცია შეჩერებული არაა. იმპორტი ძვირდება, რადგან ძირითადი სამომხმარებლო საქონელი კორუმპირებულია. ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტი მოგების საშუალებას აძლევს ბაზარზე მოთამაშეს. მომხმარებლის უფლებები ამ მხრივ ძალიან ირღვევა, რადგან თავისუფალი ბაზრის მექანიზმები არ მუშაობს. ლარის კურსი და შესაბამისად ფასების თამაში არ რეგულირდება. იმპორტი მონოპოლისტური ჯგუფების ხელშია, ამდენად, მათ აქვთ საშუალება კონკურენცია დაძლიონ ბაზარზე, ფასებიც ისე დააწესონ, როგორც მათ მიზნებს შეეფერება. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, ლარის კურსის გამყარება არანაირად არ იმოქმედებს პროდუქციის ფასზე.

**ლილი მიროტაძე**
**თეო ტაბატაძე**

## მოკლედ



### ასლან აბაშიძეს სასჯელი არ შეუცვალეს

**ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი ხელმძღვანელის — ასლან აბაშიძის სარჩელი. ამით უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც აბაშიძეს 15-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი.** მასზე ამ დრომდე ძებნაა გამოცხადებული. შეგახსენებთ, აჭარის ექს-ლიდერს ბრალად ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სახელმწიფოს კუთვნილი ქონების დაზიანება და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცება-გაფლანგვა. ქუთაისის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება უზენაეს სასამართლოშია შესაძლებელი.




### 3,7 მილიარდი ვალად

**ჩვენს ქვეყანაში თუ რაიმე ნამდვილად განუხრელად და შეუფერხებლად იზრდება, ეს სახელმწიფო ვალია. 2010 წლის 30 სექტემბრის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალმა 3,7 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 1 აგვისტოს მონაცემებს 179 მილიონ 612 ათასი დოლარით აღემატება.** აქედან 2,7 მილიარდამდე მრავალმხრივი კრედიტორებისა გვმართებს, დაახლოებით 0,6 მილიარდი კი — ორმხრივი კრედიტორებისა. საქართველოს 1,3 მილიარდი დოლარი მსოფლიო ბანკისა მართებს, 1,07 მილიარდი დოლარი კი — საერთაშორისო სავალუტო ფონდისა. კრედიტორი სახელმწიფოებისაგან საქართველოს ყველაზე დიდი ვალი გერმანიისა და რუსეთისთვის აქვს დასაბრუნებელი. გერმანიას 200,9 მილიონი დოლარი უნდა გადავუხადოთ, რუსეთს კი — 117,4 მილიონი აშშ დოლრი.



### ბენზინს დიქტატორები გვიძვირებენ

**ჩვენს ქვეყანაში საწვავის ფასი თითქმის ყოველდღიურად რომ იზრდება, ეს ისედაც ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ლეიბორისტებმა მას შემდეგ, რაც კავკასიის ორი დიქტატორი — სააკაშვილი-ალიევის დუეტი გამოააშკარავეს, აღმოაჩინეს, რომ საქართველოში საწვავზე ფასის ზრდაც სწორედ ამ დუეტს უკავშირდება.** პარტიის ერთ-ერთი ლიდერის — გიორგი გუგავას თქმით, კომპანია „სოკარი" ალიევი-სააკაშვილის საოჯახო ბიზნესია. „ჩვენ კიდევ ერთხელ მივმართავთ აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილხამ ალიევს, მიიღოს კონკრეტული ზომები საქართველოში მონოპოლისტ ნავთობ კომპანიის ბანდიტური საქმიანობის აღსაკვეთად, რათა საქართველოში საწვავზე ფასები დარეგულირდეს და დაიწიოს რეალურ ღირებულებამდე," — განაცხადა გუგავამ.



### ნაციონალები ჟურნალისტების წინააღმდეგ

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, გარემოს დაცვისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე, გამგებლის ყოფილი მოადგილე გელა თეთრაული ჟურნალისტ ილია მარტყოფლიშვილისგან მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით 10.000 ლარის გადახდას ითხოვს.** ნაციონალური მოძრაობის სიით გასული დეპუტატის სარჩელში წერია, რომ ჟურნალისტის მიერ წლების მანძილზე გამოქვეყნებული სტატიებით მას და მის საქმიან რეპუტაციას მორალური ზიანი მიადგა. ინტერნეტგაზეთ „ქიზიყის" მთავარი რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი აცხადებს, რომ შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური ინფორმაცია არასოდეს გამოუქვეყნებია და მზად არის, სასამართლოს წინაშე წარსდგეს.

27 ოქტომბერი — 2 ნოემბერი, 2010 წელი. №39 (82)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ერთი ნაბიჯი გაგიჟებამდე

## მოვლენები დაახლოებით ასე განვითარდება: პრეზიდენტი პირდაპირ ეთერში ტიტლიკანა გამოდის, აქეთ-იქით დახტის და იძახის: «ლა თოფია, ლა თოფი!»

**„სასიკვდილო შენ ხარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გაგიზრდია!“ — ალბათ, ასე შეამკობდა აკაკი წერეთელი ედუარდ შევარდნაძეს, მისი აღზრდილის თუ კვლავ აღსაზრდელის, მიხეილ სააკაშვილის მკლავური რომ ენახა. „კაცმა“ ლამის შავი ზღვა გადაცურ-გადმოცურა და ამინდის პროგნოზისა თუ გლობალური დათბობა-გამყინვარების შესახებ ისე მოგვაწოდა ინფორმაცია, ერთიც არ დაუკვნესია.**

ცხადია, შევარდნაძე დიდ ქართველ პოეტს დაეთანხმებოდა, მართლაც სასიკვდილო ვარო, და შესაძლოა, ხარაკირიც ჩაეტარებინა, მაგრამ სული ტკბილია, განსაკუთრებით კი, ასაკოვანი და ცოდვილი სული. ასე რომ, ექს-პრეზიდენტი მხოლოდ „ღრმა მწუხარებით“ შემოიფარგლა.



**ედუარდ შევარდნაძე,** ექს-პრეზიდენტი:

**„ვერ გავზარდე, ვერა, სააკაშვილი, ცუდად გავზარდე!“**

აღიარება სასჯელის შემსუბუქების საფუძველია, თუ მას თან ახლავს გამზრდელის მიერ გაზრდილის მიმართ საჯაროდ გამოთქმული დამამცირებელ-დამცინავი შეხედულებები:

**„ახლა მთლად შიშველი ხომ არ იყო, ტრუსი ეცვა... ესე იგი კიდევ აქვს შანსი, ხალხი გააოცოს!“**

გამოდის, რომ უარესს უნდა ველოდეთ. თუ შევარდნაძის ქვენა აზრებს საფუძვლიანად გავაანალიზებთ, დავასკვნით, რომ უახლოეს მომავალში მიშა საქვეყნოდ კიდევ გაშიშვლდება, ოღონდ, ტრუსიც აღარ ეცმევა, ანუ დედიშობილა პრეზიდენტს ვიხილავთ!

მე მხოლოდ ის მაინტერესებს, ზურაბ ნოღაიდელი, რომელიც ბოლო დროს „პოლიტიკურ მოუსავლეთში“ იყო გაუჩინარებული, ნახევრადჩაცმულ სააკაშვილს დაამტვრევს ხელ-ფეხს თუ დედიშობილას.



**ზურაბ ნოღაიდელი,** „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი:

**„სააკაშვილისა და მერაბიშვილისთვის ხელფეხის დამტვრევისა და მათი პოლიტიკური ნეკროლოგების საკითხი კვლავ დღის წესრიგში დგას და მანამდე არ მოიხსნება, სანამ ეს ყველაფერი რეალურად არ იქნება შესრულებული!“**

რისი დამმტვრევი ხარ, ნოღაიდელო, შე გლახაკო და ასგზის საწყალობელო? ერთადერთი, რაც შენ დაამტვრიე და შენი „სეკვესტრირებული“ აზროვნებით მოინელე, ჩვენი ბედკრული საქართველოა. ვიცი, მომიბრუნდები და მეტყვი: მეო, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონები მაქვს ნაპარი, რომლითაც სასახლეები ავიშენე და ბედნიერად ვცხოვრობო. შენო, გახვრეტილი შაურიანიც არ გაბადია და კიდევ მე დამცინი, გლახაკი ხარო?

სადღაც მართალიც ხარ, გახვრეტილ შაურიანებთან დაკავშირებით, მაგრამ უმჯობესია, შენ იმ შავ კატებს მოუარო, რომლებიც ასე ხშირად გელანდებიან ხან სააკაშვილის, ხანაც მერაბიშვილის სახით და მოსვენებას არ გაძლევენ:

**„მე და ლევან გაჩეჩილაძეს არც განსაკუთრებული თანხმობა გვქონია და არც განსაკუთრებული უთანხმოება. ის, რომ შავმა კატამ გაირბინა ჩვენ შორის, მართალი არაა. საერთოდ, თუ შავმა კატამ სადმე უნდა ირბინოს, უფრო სხვა ადგილები უნდა შეარჩიოს“.**

„სეკვესტრირებული“ ნოღაიდელისგან განსხვავებით, „ეროვნული ფორუმის“ ლიდერის — კახა შარტავას სადარდებელი ის არის, რომ თურმე ადამიანი ყოფილა და არა პოლიტიკოსი. რაც მთავარია, მან ეს აღმოჩენა სწორედ ქართულ პოლიტიკაში აქტიურად ჩართვის შემდეგ გააკეთა.



**კახა შარტავა,** ეროვნული ფორუმის ლიდერი:

**„ადამიანი ვარ, ადამიანური სისუსტეები მახასიათებს; ამას გარდა, პოლიტიკოსი არ ვარ... პოლიტიკოსი მაინც ის არის, ვისაც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე აქვს გავლენები. მე ასეთი გავლენები ჯერ არ მაქვს“.**

არ გეწყინოს, ჩემო კახა, მაგრამ შენ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მსგავსი გავლენა არასოდეს გექნება. ეროვნული პოლიტიკა ისეთი თავისებურებებით ხასიათდება, რომ ყველას და ყველაფერს საცობივით თუ არ მოერგე, შენგან „ქართველი პოლიტიკოსი“ ვერ დადგება. ახლა მთლად იმედსაც ნუ გადაიწურავ, სცადე მაინც, იქნებ რამე გამოგივიდეს.

სიმართლე გითხრათ, როცა შარტავას მორიგი გამონათქვამი ამოვიკითხე, „გამეცინა, გამიკვირდა მეტად კიდევ“. თურმე, ერთ-ერთ მოსამართლეს კახასთვის ჩაქუჩის მაგიდაზე დარტყმით მიუნიშნებია, თუ ხელისუფლების შეცვლას აპირებთ, 16 დეკემბრამდე მოასწარით, თორემ მერე რაც მოხდება, თქვენს თავს დააბრალეთო.

**„როდესაც მოსამართლემ დაარტყა ჩაქუჩი, ამით გამოგვიცხადა, რომ კიდევ ერთი პოლიტიკური პატიმარი მზადდება. ამავე დროს თავისი ჩაქუჩის დარტყმით გვითხრა, რომ პოლიტიკური პატიმრების, სინდისის პატიმრების, უკანონო პატიმრების, დაჩაგრულებისა და დაბეჩავებულების განთავისუფლება თუ გსურთ, არსებობს ერთადერთი საშუალება, რომ ეს რეჟიმი შეიცვალოს უსწრაფესად, რომელიც ამ სიტუაციას ქმნის და თან მოგვცა კონკრეტული ვადა: 16 დეკემბრამდე გაქვთ დრო“.**

ვიდრე შარტავა მოსამართლისა და ჩაქუჩის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესახებ ფიქრობდა, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, თენგიზ სიგუამ გაბედა და საგაზეთო ინტერვიუს დროს კიდევ ერთხელ გამოიყენა ფრაზა „კარგი, რაა!“. რამდენჯერ გავაფრთხილე, ეს არ გააკეთომეთქი!



**თენგიზ სიგუა,** ყოფილი პრემიერ-მინისტრი:

**„როგორც რუსები იტყვიან, სააკაშვილი არის „პაკაზუხა“... არ არის პრეზიდენტის საქმე, რომ ხელში ეჭიროს ხელსაწყო და ამბობდეს, ნიცაში დღეს არის 6 გრადუსი, მაგრამ ნახეთ რა მაღალი ტენიანობაა, ბათუმში არის 28 გრადუსიო... კარგი რაა“.**

„პაკაზუხა“ პრეზიდენტის შესახებ ფიქრია ჩიხრაძემაც და გუბაზ სანიკიძემაც მაგრად „იღადავეს“. პირველმა თქვა, სააკაშვილი რეალურ სამყაროში არ ცხოვრობსო, და ეს მოსაზრება „მეცნიერულად“ დაასაბუთა. ხოლო მეორემ განაცხადა, მე მაგის გატიტვლების ამბავი გაცილებით ადრე ვიწინასწარმეტყველე და ამიხდა კიდეცო.

**მაშინ, როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტს ფრანგებმა ლამის წირვა გამოუყვანეს, ბერძნებმა ლამის მთელი ხელისუფლება გადაწვეს, ჩვენ მშვიდად ვუცქერით ჩვენი ქვეყნის საცოდაობას**



**ფიქრია ჩიხრაძე,** ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი:

**„რა არაადეკვატურ მდგომარეობაშიც იმყოფება სააკაშვილი, მონაცემებიც ისეთივეა, ეს ადამიანი არ ცხოვრობს რეალურ სამყაროში, ამას ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ ე.წ. მთავრობის სხდომებზე და საზღვაო თუ სამთო გაჭრებზე“.**



**გუბაზ სანიკიძე,** ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი:

**„ის ცხაკაია, ლილოს დირექტორი, არის პრეზიდენტის მონა, ტიტველი პრეზიდენტის მონა. ხომ ნახეთ, რომ ტიტველი პრეზიდენტი გვყავს. გაზეთში ვიხუმრე, რომ მალე გატიტვლდება-მეთქი და ეგერ, შუაგულ შემოდგომაზე, ტიტველი დარბის უკვე“...**

რაღა თქვენ და რაღა ვანგა! საინტერესოა, მომავალს ხილვების სახით ხედავთ თუ ყავასა და კარტზე მკითხაობთ. ისე, პარტიის შექმნასა და ამდენი თავსატეხის გაჩენას, ჯობდა, თქვენ და შარტავას ერთი სამკითხაო სახლი გაგეხსნათ, ბევრი კლიენტი გეყოლებოდათ და ფულსაც იშოვიდით. ბატონო გუბაზ, ბოლო დროს რაღაც ნამეტანი გულახდილები მეჩვენებით თქვენ და კახაბერი, როცა აცხადებთ, პოლიტიკისა არაფერი გაგვეგებაო. მერწმუნეთ, სიმართლის ასე საჯაროდ და მოულოდნელად გამჟღავნება თქვენი „პოლიტიკური ჯანმრთელობისთვის“ სასარგებლო არ არის.

**„მე ვლაპარაკობ გულახდილად. მე არც კლასიკური გაგებით დიპლომატი ვარ, ცეცხლს წაუღია პოლიტიკაც და ყველაფერიც, მაგრამ მთელ ქვეყანაზეა ლაპარაკი. შეხედეთ, ფრანგები რას შვრებიან, ხალხო!.. და რომ იტყვი, ფრანგები გვჯობიანო, რით ვართ მათზე ნაკლებიო? ყველაფრით ნაკლები ვართ!..“**

სამწუხაროდ, დღეს ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ისეა დაკნინებულ-დაცემული, რომ სხვა ერებთან შედარებაც კი არ შეიძლება. მაშინ, როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტს ფრანგებმა ლამის წირვა გამოუყვანეს, როდესაც ბერძნებმა ლამის მთელი ხელისუფლება გადაწვეს და წალეკეს, ჩვენ მშვიდად, შეშინებულ-გადმოკარკლული თვალებით ვუცქერით ჩვენი ქვეყნის საცოდაობას და მომავალი თაობისთვის მომავლის წართმევის მწვავე და საბედისწერო პროცესს.

არ მინდოდა, მკითხველისთვის გუნება-განწყობილება წამეხდინა. ისევ იმ ტემპში გავაგრძელოთ, ასე იქნება უმჯობესი ჩემთვისაც, თქვენთვისაც და ჭიჭიკიასთვისაც. ჭიჭიკია აქ შემთხვევით არ ვახსენე, იგი ქართული ანეკდოტების გმირებიდან (ბიჭიკია, მიხო, მარო და ა.შ.) გოგა ხაინდრავას ყველაზე საყვარელი პერსონაჟია. ხაინდრავა, ჭიჭიკიასა და „ეროვნული ფორუმის“ ლიდერების მსგავსად, ჯერ კიდევ თვითგამორკვევის პროცესშია. იგი მკითხველის წინაშე საკუთარი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ რიტორიკულ კითხვას სვამს, სწორი პასუხის გაცემის მსურველებს კი შეუძლიათ გამოეხმაურონ.



**გოგა ხაინდრავა,** ყოფილი სახელმწიფო მინისტრი:

**„ბოლოს და ბოლოს, მე გიჟი ხომ არ ვარ, როცა ვამბობ, რომ მერაბიშვილი არის რუსების რეზიდენტი საქართველოში... მერაბიშვილმა ორი სიტყვა გადაბმულად არ იცის რუსულად, მე მაინტერესებს ერთი, ვინ უბეჭდავს იმ ინტერვიუებს და რედაქტირებას ვინ უკეთებს რუსულ პრესაში, და რატომ ხდება საერთოდ ეს პიარი, გამაგებინეთ რა?! რა ლოგიკაში ჯდება?!“**

„რა ლოგიკაში ჯდება“, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ნინო ბურჯანაძე, ჩვენი რუბრიკის „მარადიული თანამგზავრი“, კვლავ პრეზიდენტობაზე ოცნებობს. იძულებული ვარ, იმდენი ვწერო მის შესახებ, სანამ ამ საშინელ და ბოროტ განზრახვაზე ხელს არ ავაღებინებ.



**ნინო ბურჯანაძე,** „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს ლიდერი:

**„საქმე გავაკეთოთ და მერე ნამდვილად მექნება პირველობის პრეტენზია! მერე უკვე პოლიტიკური ბრძოლა იქნება პოლიტიკოსებს შორის და პირველობის ამბიცია მერე ნამდვილად მექნება! დღეს ერთადერთი საფრთხე ის არის, რომ ამ ნახევრადშიშველმა კაცმა, შეიძლება კვლავ საომარ ვითარებაში ამოგვაყოფინოს თავი! ჩამოვაშოროთ ეს ხელისუფლება ქვეყანას და მერე გავარკვიოთ, ვინ პირველია და ვინ — მეორე!“**

ეტყობა, მამამ, ანზორ ბურჯანაძემ, დიდმა „მეფქვილეთუხუცესმა“ ქალიშვილს ბავშვობაში ისეთი ვარდისფერი სათვალე უყიდა, რომ ყველა თავისი ჩანაფიქრი და ოცნება იოლად მიღწევადი და განხორციელებადი ჰგონია. ცოტა ხნით მაინც მოიხსნით ან კარგად გაწმინდეთ ეგ სათვალე, ქალბატონო ნინო, იქნებ, ჩვენც დაგვინახოთ. მე ახლა ისე გაფრთხილებთ, როგორც თქვენ წლების წინათ აფრთხილებდით სააკაშვილს, გარემოცვა დაგღუპავსო, და არ დაგიჯერათ.

**„მე არაერთხელ გავაფრთხილე თავად სააკაშვილიც და, სხვათაშორის, იყო პერიოდი, როცა მისი ოჯახის წევრები ძალიან წუხდნენ და ჩემთანაც არაერთხელ გამოუთქვამთ ეს წუხილი — გარემოცვა ძალიან ცუდ ზეგავლენას ახდენს მასზე და აგიჟებსო!“**

„გაგიჟებამდე“ მხოლოდ ერთი ნაბიჯია დარჩენილი. მოვლენები დაახლოებით ისე განვითარდება, როგორც ეს ქართულ ფილმ „უდიპლომო სასიძოშია“: მისი უმაღლესობა, საქართველოს პრეზიდენტი პირდაპირ ეთერში დედიშობილა გამოდის, ილებს ხელში ორლულიან სანადირო თოფს, ტიტლიკანა აქეთ-იქით დახტის და იძახის: „ლა თოფია, ლა თოფი!“

**გიორგი არჩემაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ვინ მოკლა საშინელი წამებით ქართული პრესა და ტელევიზია?

**ყველაზე „დემოკრატიული“ სახელმწიფოს ყველაზე „დემოკრატიულ“ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს შეუძლია იამაყოს: მსოფლიოში პრესის თავისუფლების ინდექსის მიხედვით, საქართველო 178 ქვეყანას შორის სამარცხვინო მე-100 ადგილზე იმყოფება, რაც სწორედ მისი და „ვარდ-კოკორა“ ხელისუფლების დამსახურებაა. ვიდრე ამ შემაშფოთებელ-აღმაშფოთებელი ფაქტის შესახებ ვისაუბრებთ, უმჯობესია, უახლესი წარსული გავიხსენოთ.**





რატომ არის ჩემთვის მნიშვნელოვანი 2003 წელი და არა 2013, როდესაც მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის სავარძელს დატოვებს და მაინც პრეზიდენტი იქნება? იმიტომ, რომ **„ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლით, სწორედ ათი წლის წინათ დაიწყო ის დამღუპველი პროცესი, რასაც ეროვნული პრესისა და ტელევიზიის წამებით სიკვდილი ჰქვია.**

ახლა ქართული საინფორმაციო საშუალებები დაახლოებით იმ მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორშიც ანკარა წყაროს მაძიებელი დაჭრილი ირმების გუნდი იყო. სიმართლე გითხრათ, ერთდროულად კიდეც მეცინება და კიდეც მეტირება, როცა სადმე ამოვიკითხავ ან მოვისმენ, ამა და ამ „დამოუკიდებელმა“ ტელეკომპანიამ (გაზეთმა, ჟურნალმა და ა.შ) ხელისუფლების საქმიანობა გააკრიტიკაო.

**2003 წლიდან საინფორმაციო საშუალებებისთვის ახალი ხანა დადგა, რომელსაც პირობითად შეგვიძლია ბატონყმობის პერიოდი ვუწოდოთ. ქართულ ტელესივრცეში გაჩნდა „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“, რომელსაც მანამდეც სასათბურე პირობებში ამყოფებდნენ და ე. წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ „ნაციონალები“ თან გადაჰყვნენ, როგორც სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთ მონაწილეს.** არავინ იფიქროს, რომ შევარდნაძის ეპოქის ნოსტალგია მტანჯავს, უბრალოდ, მაშინაც თვალს ვუსწორებდი იმ რეალობას და მხედველობას არც ახლა ვუჩივი.

ცხადია, ყველას კარგად ახსოვს, თუ რა დღეში ჩააგდო სააკაშვილმა „დამარცხებული ხალხის ტელევიზიები და გაზეთები“, ყველას ერთბაშად გადაავლა და დახურვა მოუნდომა. **„ნაცისტები“ ჯერ წამყვან ტელეკომპანიებს დაერივნენ, დაუხურეს მაღალრეიტინგული პოლიტიკური თოქ-შოუები, რომლებიც მიშასა და „თავისუფლების ინსტიტუტის“ იდეოლოგიას ზიანს აყენებდნენ. სატელევიზიო სივრციდან „სამუდამოდ“ გაქრა საგამოძიებო ჟურნალისტიკა, უცებ შეიქმნა საინფორმაციო ვაკუუმი და ხალხის „ნათელი გონება მარადიულმა წყვდიადმა მოიცვა“.**

მეტიც, სააკაშვილის ხელის ბიჭები უარს ამბობდნენ „ოპოზიციურად განწყობილი“ ტელევიზიების პირდაპირ ეთერში გამოსვლაზე, აღარ „დებატობდნენ“ და პოლიტიკურ ოპონენტებს ზემოდან უყურებდნენ, საფინანსო-საგადასახადო სამსახურებს „უქსევდნენ“ მათ, ვისაც ვერ იმორჩილებდნენ, ხოლო **ერთ-ერთ ოპოზიციურ ტელეკომპანიას „სპეცნაზი“ დაახვიეს თავს და ჟურნალისტები ცემა-ტყეპით გამოყარეს.**

აი, ასე ჩაეყარა საფუძველი ახალი ტიპის „დამოუკიდებელ ტელევიზიებს“, რომლებიც შს მინისტრს, ვანო მერაბიშვილს დაუქვემდებარეს და რომლებსაც ხელისუფლების პიარი დღემდე ევალებათ. მათ კატეგორიულად აქვთ აკრძალული სააკაშვილის, მთავრობისა და „ნაცმოძრაობის“ საქმიანობის კრიტიკა. ისინი ვალდებულნი არიან, პირდაპირ ეთერში გადასცენ ყველაფერი, რასაც უბრძანებენ და მანამდე არ შეწყვიტონ ეს მარაზმი, სანამ ახალ ბრძანებას არ მიიღებენ.

**ალბათ, გახსოვთ, თუ როგორ დემონსტრაციულად დატოვა ცნობილმა ტელეწამყვანმა „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“, რადგან ველარ შეძლო „ნაცების“ პოლიტიკური დაკვეთების შესრულება, შერცხვა, სინდისმა შეაწუხა, ვაჟკაცობა ეყო პირდაპირ ეთერში განეცხადებინა — თქვენი კაპრიზებით დავიღალე და თავი დამანებეთო...**

ეს უკვე წარსულია, ახლა კი ჩვენი უბადრუკი აწმყოსა და სავალალო მომავლის შესახებაც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. საერთოდ, მიიჩნევენ, რომ დემოკრატიის უმთავრესი მონაპოვარი არის სიტყვის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, ანუ ამ კრიტერიუმებით განისაზღვრება კონკრეტულ სახელმწიფოში „დემოკრატიის დონე“. **თუ თქვენ აკრძალული გაქვთ განსხვავებული აზრის გამოხატვა, არ გაქვთ უფლება, რომ დაწეროთ ის, რასაც არსებულ რეალობაზე ფიქრობთ და არ გაძლევენ შეკრებების, მანიფესტაციების გამართვის უფლებას, მაშინ თქვენ დიქტატორული რეჟიმის მსხვერპლი ხართ!**

ვფიქრობ, რომ ორგანიზაციამ, „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ ქართული პრესის სავალალო მდგომარეობა კიდევ ზუსტად ვერ ასახა, თორემ ჩვენ ბოლო სამი ადგილის მფლობელების (თურქმენეთი, ჩრდილოეთ კორეა, ერითრეა) გვერდით აღმოვჩნდებოდით. ჩავთვალოთ, რომ გაგვიმართლა, მაგრამ **მსოფლიოში პრესის თავისუფლების ინდექსის მიხედვით დაკავებული მეასე ადგილი შემთხვევით იმის მანიშნებელი ხომ არ არის, რომ სააკაშვილმა დემოკრატიულ ღირებულებებზე ერთხელ და სამუდამოდ თქვა უარი?!**

## სატელევიზიო სივრციდან «სამუდამოდ» გაქრა საგამოძიებო ჟურნალისტიკა, უცებ შეიქმნა საინფორმაციო ვაკუუმი და ხალხის «ნათელი გონება მარადიულმა წყვდიადმა მოიცვა»

შემთხვევით კი არა, მართლაც ასეა, რასაც დღეს მოქმედი ტელეკომპანიებისა და გაზეთების ერთი თვალის შევლებითაც იოლად დაადგენთ. სააკაშვილი ამაოდ გვიჩიჩინებს, ევროპას გავუსწარითო. მიშას შსს-ს ქვედანაყოფების, „მიშავიზიების“ ეიმედება, რომლებიც ყველა წვრილმანს აპიარებენ და ცდილობენ, რომ ყოველდღიური სიყალბით თვალები დაგვთხარონ.

მინდა საქართველოს პრეზიდენტს ვკითხო: ბატონო მიხეილ, აგვიხსენით, რაში ვაჯობეთ ჩვენ ევროპელებს? იქნებ იმაში, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღატაკის ზღვარზეა, ან იქნებ უმუშევართა რაოდენობით, ან იქნებ უსაშველოდ გაზრდილი გადასახადებით, იქნებ დაკარგული ტერიტორიების მოცულობით, რომელიც თქვენს საპრეზიდენტო ვადაში უნდა დაგვებრუნებინათ, იქნებ კორუფციის მასშტაბებით, იქნებ „დემოკრატიის დონით“, იქნებ პრესისა და ტელევიზიის დამოუკიდებლობის მაჩვენებლით?..

იქნებ და იქნებ, ბოლოსდაბოლოს, თვალი გაახილოთ და აღიაროთ, რომ **თქვენ მერაბიშვილთან და მსგავს ინდივიდებთან ერთად საქართველოში ქმნით პოლიციურ რეჟიმს, რომელსაც ყველა უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდეს.** ვიცი, ბატონო მიხეილ, თქვენ იმ კითხვაზეც გექნებათ პასუხი მომზადებული, რომელსაც ახლა დავსვამ: **თუ ჩვენ დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი ქვეყანა ვართ, მაშინ რატომ არიან პრესის თავისუფლების ინდექსის მიხედვით წამყვან პოზიციებზე ფინეთი, ისლანდია, ჰოლანდია, ნორვეგია, შვედეთი, შვეიცარია და არა ჩვენ?**

იმიტომ ხომ არა, რომ „მიშავიზიებს“ ვაიძულებთ, პირდაპირ ეთერში გადასცენ ისეთი უმსგავსობა, რასაც თავის ლაქიებთან ერთად ბანჯგვლიანი პრეზიდენტის შავ ზღვაში ბანაობა ჰქვია; ან გაშლილ მდელოზე ჩატარებულ მთავრობის სხდომას პირდაპირ ეთერში გადავცემთ მანამ, ვიდრე თქვენ თვითონ არ მოგწყინდებათ?

თუ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, უხარისხო საღებავებით შეღებილი ფასადებით, შადრევნებით, თანამედროვე სასტუმროებით, რომლებიც ისევ თქვენს გარემოცვას ეკუთვნის და ტურისტების სიმრავლით, რომლებსაც მოსამსახურეებად ქართველები უნდა დაუყენოთ, ჩვენს გაბრიყვებას ცდილობთ, არაფერი გამოგივათ.

დარწმუნებული ვარ, რომ სახელმწიფოს მართვის იმ მეთოდს, რომელსაც „პური და სანახაობა“ ჰქვია, თქვენ წარმატებით ველარ გამოიყენებთ. გაიხსენეთ, რა დაემართა რომის იმპერიას — ნანგრევებად იქცა, ხოლო იმპერატორები საკუთარმა გარემოცვამ იმსხვერპლა.

**გიორგი გორგაძე**

## მოკლედ



### მცირე მეწარმეებმა ხმა ამოიღეს

**მას შემდეგ, რაც მცირე მეწარმეთა ლამის ნახევარი ხელისუფლებამ უკვე დააპატიმრა, მეორე ნახევარმა ხმის ამოღება გარისკა.** ლილოს ბაზრობის, ე.წ. დინამოს ბაზრობის, სავაჭრო ცენტრების „კიდობანის“ და „პასაჟის“ მოვაჭრეებმა გარემოვაჭრეებთან ერთად პარლამენტის წინ საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მოთხოვნა იყო „თავისუფლება წვრილ მოვაჭრეობას“ და როგორც თავად განმარტეს, ამ „თავისუფლებაში“ ხელმისაწვდომი ფიქსირებული გადასახადები იგულისხმება. მცირე მეწარმეთა განცხადებით, არსებული საგადასახადო პოლიტიკით მათ არანაირი მოგება არ რჩებათ და საგადასახადო სამსახურის ზეწოლის ქვეშ უკვე სულს ღაფავენ. პარალელურად, რამდენიმე დღეა, გაფიცულია ლილოს ბაზრობა.



### ძეგლები ინვესტორების მოსაზიდად

**უმრავლესობის წარმომადგენელმა გოკა გაბაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, რომ „ძეგლებისა და კოშკების მშენებლობის“ თაობაზე ოპოზიციის კრიტიკა „მხოლოდ მოკლევადიანი სოციალური პოპულიზმია“.** ამის შემდეგ გაბაშვილმა დეტალურად აგვიხსნა, რატომ გვაიძულებენ ცეცხლითა და მახვილით ინგლისურის სწავლას და რისთვის გვჭირდება ძეგლები. „უცხო ენის ცოდნა საქართველოს კულტურული იდენტობის გასაძლიერებლადაა საჭირო. რაც შეეხება ძეგლებსა და კოშკებს, ისინი ქვეყანას მხოლოდ იმიტომ სჭირდება, რომ ინვესტორები შემოვიდნენ და ადამიანები დასაქმდნენ...“. რომელმა ინვესტორმა დაიწუნა საქართველო „უძეგლობის“ გამო, გაბაშვილს არ დაუკონკრეტებია.



### ანტიჰუმანური სუბელიანი

**„თავისუფალმა დემოკრატებმა“ გენიალური აღმოჩენა გააკეთეს — თურმე „კობა სუბელიანის უწყებას დევნილთა პრობლემების გადაჭრის არც ნება და არც სურვილი გააჩნია“.** შესაბამისად, აღშფოთდნენ კიდეც და ახლა კატეგორიულად მოითხოვენ სუბელიანთან შეხვედრას, რათა მას საკუთარი მოვალეობის შესრულების ნება-სურვილს თუ ვერ გაუჩენენ, აიძულონ მაინც. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარის მოადგილე თეა წულუკიანი 70-მდე დევნილი ოჯახის წარმომადგენლებს შეხვდა და გაარკვია, რომ მათ არც კუთვნილი კომპენსაცია აუღიათ და, რიგ შემთხვევებში, არც საცხოვრებელი ფართით არიან უზრუნველყოფილნი. „სუბელიანის პოლიტიკა უსისტემო და ანტიჰუმანურია“, — დაასკვნა წულუკიანმა.



### „მისტრალი“ სრული კომპლექტით

**ვერტმფრენმზიდ „მისტრალის“ მწარმოებელი რუსეთისთვის ტექნოლოგიის გადაცემაში შეზღუდული არაა და ამ ტექნოლოგიებს სრულად გადასცემს რუსეთს. ოღონდ საამისოდ აუცილებელია, რომ კომპანიამ გაიმარჯვოს რუსეთის ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ ტენდერში, რომლის შედეგები 4 ნოემბრის შემდეგ გახდება ცნობილი.** ამის შემდეგ რუსეთი შეძლებს საკუთარ გემთსაშენ ობიექტებზე ასეთივე კლასის არა ორი, არამედ მეტი ვერტმფრენმზიდი ააშენოს. ზოგიერთი მედიასაშუალება ავრცელებდა ინფორმაციას, რომლის თანახმადაც საფრანგეთი რუსეთისთვის „მისტრალის“ მიყიდვას ყოველგვარი უახლესი მართვის სისტემის გარეშე აპირებდა, მაგრამ ეს ინფორმაცია საფრანგეთის გემთმშენებლობის სახელმწიფო კომპანიის დირექტორმა პიერ ლეგრომ უარყო.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## გაჟურნაზებული



**ვალერი გელბახიანი,**
**საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, ამჟამად სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დევნილი და პოლიტიკურ ემიგრაციაში მყოფი:**

საქართველოში შეიქმნა კარდინალურად განსხვავებული კანონმდებლობა, რომელიც, ფაქტობრივად, გამორიცხავს ევროპასთან თანამშრომლობას. ამიტომაც დაიწყება საქართველოს გარიცხვის პროცესი ევროპული ინსტიტუტებიდან. დაიწყება ქვეყნის ფინანსური იზოლაცია, დაიწყება გამოძიება არაერთ მძიმე დანაშაულზე, შეწყდება იმპორტი და ფინანსური დახმარებები. საქართველო აღმოჩნდება სრულ ეკონომიკურ კოლაფსში და რევოლუცია გახდება გარდაუვალი.

*„ასავალ-დასავალი“*



**ზურაბ ქაფიანიძე,**
**მსახიობი და შუმეროლოგი:**

თბილისში გვიზის ამირა, უცხოელებისგან მოთრეული ჭირი, რომლის აძაღლებასაც მთელი ერი სულმოუთქმელად ელოდება! ეს ხელისუფლება კი არა — შეგნებული მტერია, რომელიც ყოველდღიურად ქართველთა გადაჯიშებაზე, გარყვნასა და გადაგვარებაზე ფიქრობს. სრულიად საქართველო უნდა აღდგეს და გარეკოს ეს ჭირძაღლები! კაცი შუა შემოდგომაზე შიშველი დარბის პლაჟზე, ცურავს, ტენიანობას ზომავს და ამას აჩვენებენ მთელ ქვეყანას.

*„ასავალ-დასავალი“*



**ფიქრია ჩიხრაძე,**
**„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი:**

ჩვენ ძალიან მტკიცედ და ნათლად გადავწყვიტეთ, სანამ თავად არ დავრწმუნდებით, რომ კონკრეტული აქცია იქნება კონკრეტული შედეგის მომტანი, უბრალოდ, გულის მოსაფხანად ქუჩაში გამოსვლას არ ვაპირებთ.

*„კვირის ქრონიკა“*



**გიორგი გაჩეჩილაძე,**
**მწვანეთა პარტიის ლიდერი:**

საქართველოში გენმოდიფიცირებული პროდუქციის მთავარი ლობისტი არის მიხეილ სააკაშვილი! სააკაშვილმა ხარისხის კონტროლი რომ აღადგინოს, მერე როგორღა გაისქელებს ჯიბეს უცხოეთიდან შემოტანილი ნაგვის საკუთარ მოსახლეობაზე მიყიდვით?

*„ასავალ-დასავალი“*



**ივლიანე ხაინდრავა,**
**რესპუბლიკური პარტიის წევრი:**

ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩრდილოეთ კავკასია ფორმალურადაც და არსებითადაც რუსეთია და როგორ უნდა ვიმოქმედოთ ერთობლივად, როცა ამდენი გადაუჭრელი პრობლემაა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში?! თუ რუსეთი უკვე განვდევნეთ ჩრდილოეთ კავკასიიდან?

*„Weekend - 24 საათი“*



**გუბაზ სანიკიძე,**
**„ეროვნული ფორუმის“ ლიდერი:**

ეს ზონდერები იყვნენ დაახლოებით 100 კაცამდე, შეიძლება მეტნიც იყვნენ, პოლიციელები ზუსტად 10 მეტრში იდგნენ გუგულებივით, ასფალტზე ამოსული ყაყაჩოებივით, ჩემო ძვირფასო პოლიციელებო, არც თქვენ არ მოგიჩლექთ ენას, თქვენ ხართ ტიტველი მიშასა და ნაძირალა მერაბიშვილის მონები. ახლა გინდათ იხტუნავეთ და კედლებზე ირბინეთ.

*ტელეკომპანია „კავკასია“*



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი:**

წარმოიდგინეთ, საქართველოს 26 წლის ელჩი, რომელსაც პირზე დედის რძე არ შეშრობია, ელაპარაკება 70 წლის გამოცდილ გამობრძმედილ უცხოელ დიპლომატს! ამის შემდეგ ვინ აღიქვამს სერიოზულად საქართველოს და მის ხელისუფლებას?!

*„ასავალ-დასავალი“*

### ნესტან კირთაძე:

# მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა საქართველოს სახელმწიფოებრიობის შანსი მოუსპო

**ახლახან, ერევნის შემდეგ უკვე ბაქოში, გაიმართა სოციალისტური ინტერნაციონალის აღმოსავლეთ ევროპის, შავი ზღვის აუზის, კავკასიისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების კომიტეტის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ 12 სახელმწიფოს სოციალ-დემოკრატიული და ლეიბორისტული პარტიების პოლიტიკური ლიდერები. სოცინტერნში გაერთიანებული მემარცხენე მიმართულების პარტიების ნაწილი სხვადასხვა ქვეყანაში, ხელისუფლების სხვადასხვა შტოში, წამყვან პოზიციებს იკავებენ, ნაწილი კი ოპოზიციაშია. ამჯერად ბაქოში ამიერკავკასიის სამივე ქვეყანა იყო წარმოდგენილი — მასპინძელი ქვეყანა, საქართველო და სომხეთი. ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივანთან, პროფესორ ნესტან კირთაძესთან საუბარი სწორედ იმ ფაქტის ხაზგასმით დავიწყე, რომ ბაქოში დელეგაცია ერევნიდან ჩავიდა.**



— ცოტა გაოცებული ვიყავი, როდესაც სოცინტერნის გენერალურმა მდივანმა ლუის აიოლამ მოახერხა სომხეთში აზერბაიჯანის დელეგაციის ჩამოყვანა. ახლა კი უკვე სომხეთის დელეგაცია ესტუმრა ბაქოს. ლუის აიოლა პირადად შეხვდა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილხამ ალიევს და პირადად შეათანხმა სომხეთის დელეგაციის აზერბაიჯანში ჩამოსვლის საკითხი. მიუხედავად ასეთ მაღალ დონეზე შეთანხმებისა, როდესაც სომხეთის დელეგაცია ჩამოვიდა, ბაქოში ხალხმრავალი აქცია გაიმართა, იყო რაღაც ექსცესებიც, თუმცა შეხვედრა შედგა. იყო, რა თქმა უნდა, მწვავე საუბრები, თუმცა აზერბაიჯანელები მასპინძლის როლსაც არ ივიწყებდნენ. ამიტომაც თითქოს იჩრდილებოდა ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც სოცინტერნის ამ დიდი კომიტეტის სხდომამ წარმოადგინა, რადგან არამხოლოდ აზერბაიჯანული, არამედ მსოფლიო პრესის ყურადღება ამ ფაქტმა მიიპყრო.

წარმოიდგინეთ, ამდენი წლის შემდეგ ორი დაპირისპირებული მხარე საუბრობდა მომავალზე, რომელიც არცთუ მთლად ნათელია; **ხშირად ისმოდა სიტყვა „ომი“. აზერბაიჯანი ხშირად აცხადებს, რომ ომი გარდაუვალია და მისი ყველაზე საიმედო მოკავშირე ამ ომში იქნება თურქეთი.**

**— ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ყარაბაღის კონფლიქტს ეძღვნებოდა ეს სხდომა. ამას გარდა, რამდენად მნიშვნელოვანია ეს შეხვედრა კავკასიის მომავლისთვის?**

— მართალია, ყარაბაღის თემამ დაჩრდილა ყველა სხვა საკითხი, თუმცა, ვინაიდან პირველი დღის მთავარი თემა იყო რეგიონული კონფლიქტები, შესვენების შემდეგ სიტყვით გამოსვლისას ვითარება შევაფასე და 12 ქვეყნის წარმომადგენლებს, კოლეგებს, მოვუწოდე, დიდი ყურადღება დაეთმოთ საქართველოს საკითხისთვის, ვინაიდან მე იქ წარმოვადგენდი არა მხოლოდ ლეიბორისტულ პარტიას, არამედ სახელმწიფოებრივად დაშლილ და ტერიტორიულად დაქუცმაცებულ საქართველოს.

**ჩვენი თანამემამულე ალექსანდრე ჭაჭია არის ძალიან თანმიმდევრული თეორეტიკოსი, რომელმაც უამრავი უსერიოზულესი ნაშრომი მიუძღვნა სწორედ იმის მოდელირებას, როგორ შეიძლებოდა გადარჩენილიყო საქართველო, როგორც ერთიანი სახელმწიფო**

**კოლეგებს გავაცანი ჩვენი ინიციატივა, რომელიც სოხუმის დაცემის დღეს, 27 სექტემბერს, წამოვაყენე პირველად — ესაა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლის შექმნის იდეა, რომელიც იქნება სამშვიდობო ინსტიტუცია და ის ადგილი და გარემო, სადაც დაიწყება პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან და ოსებთან ყველა საკითხზე, მათ შორის, დასაწყისისთვის შეიძლება ავიღოთ ჰუმანიტარული პრობლემები.** სოცინტერნის გენერალურ მდივანს, ლუის აიოლასა და თორმეტივე ქვეყნის წარმომადგენლებს ვთხოვე, რომ დაიწყონ მზადება დიდი საერთაშორისო კონფერენციის ჩასატარებლად საქართველოს საკითხთან დაკავშირებით, რომელზეც მსოფლიოს გავლენიანი სახელმწიფოები შეძლებენ რეალური პოზიციების გამოკვეთას საქართველოსთან დაკავშირებით.

**ჩვენი ამერიკელი და ევროპელი კოლეგები ხშირად დიპლომატიურად გვიცხადებენ მხარდაჭერას, მაგრამ ჩვენ გვჭირდება რეალური საფუძვლების შექმნა საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.**

**— ერევანი, ბაქო... ხომ არ იგეგმება მესამე შეხვედრის უკვე თბილისში გამართვა?**

—ეს წინადადება შევთავაზე სოცინტერნის სამდივნოს, მაგრამ უფრო მეტად მინდა, რომ ამგვარი სხდომა გაიმართოს არამხოლოდ საქართველოში, არამედ ეს იყოს საერთაშორისო მასშტაბით საქართველოსთვის.

ჩემდა გასაოცრად, პირველი, ვინც მხარი დაუჭირა ჩემს წინადადებას, იყო რუსეთის წარმომადგენელი, რომელმაც თქვა, რომ მიესალმება ამ იდეას და ითხოვა დრო თემის მოსამზადებლად. საინტერესოა, რას გულისხმობდა. მან თქვა, რომ დამეხმარებიან აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი კონტაქტების დამყარებაში და ძალისხმევას არ დაიშურებენ ამ იდეის ხორცშესხმისთვის, რათა რეალურად დაიწყოს მსჯელობა მშვიდობისთვის კავკასიის რეგიონში და საკუთრივ საქართველოში.

უფრო მეტიც, ლუის აიოლამ შემოგვთავაზა, რომ, თუკი ეს მოესწრება (შეგახსენებთ, რომ 15-16 ნოემბერს პარიზში გაიმართება არა კომიტეტის დონეზე, არამედ სოცინტერნის საბჭოს სხდომა, სადაც ნახევარი პლანეტა მოიყრის თავს), ამ საბჭოს სხდომაზე წარვადგინო ეს საკითხი. ვნახოთ, რამდენად მოესწრება. მთავარი ჩემი სიტყვის მომზადება კი არ არის, მთავარია შედეგზე ორიენტირებული ზუსტი სვლა, ანუ ეს უნდა იყოს კომპლექსურად მომზადებული და რაღაც პრინციპების დონეზე შეთანხმებული.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს, მისი მომავლის საკითხი არამხოლოდ პოლიტიკურ და სოციალურ სიბრტყეში, არამედ სახელმწიფოებრივ სიბრტყეში ახალ-ახალ მხარდამჭერებს იძენს და ახალ რეალობებს აჩენს მომავლისთვის. ეს მომავალი არის ერთიანი ქართული სახელმწიფო.

**— ქალბატონო ნესტან, მიუხედავად ასეთი მხარდაჭერისა, ჩვენი პრობლემების გასაღები მაინც რუსეთის ხელშია. მოსკოვში ყოფნისას ყველა შეხვედრაზე მუდმივად ვკითხულობდი, თუ რაში ხედავენ ისინი გამოსავალს.**

**მმართველი პარტიის წარმომადგენლის, დეპუტატ მარკოვის თქმით, გამორიცხულია მოლაპარაკება პირადად პრეზიდენტ სააკაშვილთან, მაგრამ ვაშინგტონმა უნდა დაავალოს სააკაშვილს, რომ ქართველმა მინისტრებმა დაიწყონ დიალოგი რუს კოლეგებთან. საგარეო საქმეთა სამინისტროს დსთ-ის დეპარტამენტის ხელმძღვანელი კელინი გამორიცხავს ყოველგვარ მოლაპარაკებას, სანამ საქართველო ხელს არ მოაწერს ცეცხლის განუახლებლობის შესახებ ხელშეკრულებას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. ამასთან, რუსეთის საზოგადოებრივი პალატის წარმომადგენელი, შევჩენკო, აცხადებს, რომ მშვიდობის თაობაზე უნდა ელაპარაკო იმას, ვისაც ომის გაჩაღება შეუძლია...**

**გარკვეულწილად ჩიხური სიტუაცია იქმნება... ასეთ პირობებში რა შეიძლება გააკეთოს სოცინტერნმა?**

— ეს ჩიხური სიტუაცია არ არის, ეს არის საქართველოს ეროვნული ტრაგედია და ამ ტრაგედიის შექმნაში თავიდან ბოლომდე მონაწილეობდა, ავტორი თუ არ იყო, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება. მე ენას ვერ მოვუჩლექ ვერც საერთაშორისო ასპარეზზე, მით უმეტეს, ▶

# მსოფლიოს დიდი აქტიორები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვის ექნება დომინანტის როლი კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში

ვერც ქვეყნის შიგნით, იმ ხელისუფლებას, რომელმაც აბსოლუტურად გამორიცხა ყველა პოლიტიკური ნაბიჯი საიმისოდ, რომ საქართველო ერთიანი სახელმწიფოებრივი მომავლის მქონე ქვეყანა ყოფილიყო. უფრო მეტიც, **სააკაშვილის რეჟიმმა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრიობის შანსი მოუსპო და ჩვენ დავრჩით მხოლოდ მისი მომავლის განსაზღვრაში და ველოდებით იმ ისტორიულ შანსს, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ მამაზეციერი გააჩენს საქართველოსთვის და მომავალი თაობა ხელს ჩასჭიდებს ამ ისტორიულ შანსს და მიაღწევს საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთიანობას.**

დღევანდელმა რეჟიმმა ერთი ნაბიჯიც კი არ გადადგა საქართველოს მომავლისკენ. უფრო მეტიც, ჩვენ ვიყავით იმის მოწმენი, როგორ ჩამოიშორა ამ ხელისუფლებამ ყველა ის სამშვიდობო ინსტიტუცია, რომელიც წინა ხელისუფლების დროს ხელს უწყობდა დაახლოებას სამაჩაბლოსა და აფხაზეთის მიმართულებით. **ომის პროპაგანდით, მილიტარისტული რიტორიკით, ანტირუსული პროპაგანდით, რომელიც შემდგომ უკვე პოლიტიკური აგრესიიდან ღია სამხედრო კონფრონტაციაში გადაიზარდა, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ საქართველოს მისი სასიცოცხლო სივრცე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სახით დაეკარგა.**

სოციალისტური ინტერნაციონალი, როგორც ძალიან გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაცია, ერთი მიმართულებაა. არსებობს კიდევ სხვა მიმართულებები.

ვისაც უნდა, იმას დაელაპარაკოს რუსეთის ხელისუფლება, ეს ჩვენი ასარჩევი არ არის, ამას არჩევენ ძალმოსილი სახელმწიფოები, მაგრამ **საქართველო არ შეეგუება, ერთის მხრივ, ავანტიურისტ და ომის გამჩაღებელ ხელისუფლებას და მეორეს მხრივ, არ შეეგუება მისი სახელმწიფოებრივი მთლიანობისა და ტერიტორიული ერთიანობის დაშლას.**

**— ქალბატონო ნესტან, მოსკოვში შეხვედრების დროს მუდმივად მიხდებოდა იმის თქმაც, რომ საქართველო არასოდეს შეეგუება ამ ორი კუთხის მოწყვეტას და ცალკე სახელმწიფოებად გამოცხადებას და ვერც ერთი ხელისუფალი ვერასოდეს ვერ გაბედავს მათი დამოუკიდებლობის აღიარებას...**

— მწარედ ცდებით! **მიხეილ სააკაშვილი მზად არის, აღიაროს როგორც აფხაზეთის, ასევე სამხრეთ ოსეთად წოდებული ტერიტორიის დამოუკიდებლობა...**

იგი მზად არის, ეს ყველაფერი გააკეთოს, ოღონდ თავისი პოლიტიკური გვამი ერთი სავარძლიდან მეორეში, ამჯერად უკვე პრემიერ-მინისტრის სავარძელში გადაიტანოს და ავლაბრის რეზიდენციაში გამაგრდეს განუსაზღვრელი ვადით. იგი მზად არის და, როდესაც ამ საკითხზე ვლაპარაკობთ, მე პასუხს ვაგებ თითოეულ ჩემს სიტყვაზე.

ამ ხელისუფლებას, ამ რეჟიმს და მიხეილ სააკაშვილს ქვეყნის შიგნით ექსცესების ეშინიათ, თორემ ერთი სული აქვთ, წარმოადგინონ დოკუმენტი ამ ტერიტორიების ირიბი აღიარების შესახებ.

**— თავის დროზე, 1997 წელს დადგა საქართველოს ფედერაციის შექმნის საკითხი. ფედერაციის სუბიექტებად განიხილებოდა აფხაზეთი, ე. წ. სამხრეთ ოსეთი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. ამ იდეის ავტორმა ევგენი პრიმაკოვმა აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი ვლადისლავ არძინბაც ჩამოიყვანა თბილისში. პრეზიდენტმა შევარდნაძემ ფედერაციის იდეა უარყო, გადადგომის შემდეგ კი განაცხადა, რომ მას შეეშინდა, — ქართველი ხალხი სწორად ვერ გამიგებდა ამ ერთგვარ დანაწევრებასო.**

**შემდგომ კიდევ უფრო გამწვავდა ვითარება და ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ შექმნილი რთული მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი კონფედერაციაში დაინახა.**

**თქვენი აზრით, დღეს რა გამოსავალი არსებობს? ჩვენ კი გვინდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მაგრამ რეალობა გარკვეულ პირობებს გვკარნახობს...**

— სხვათაშორის, არავის არასოდეს არ უხსენებია ეს სახელი — **ჩვენი თანამემამულე ალექსანდრე ჭაჭია. მინდა, დავადასტურო ამ ადამიანის მიმართ ჩემი უღრმესი პატივისცემა ბევრი რამის გამო. იგი არის ძალიან თანმიმდევრული თეორეტიკოსი, რომელმაც უამრავი უსერიოზულესი ნაშრომი მიუძღვნა სწორედ იმის მოდელირებას, როგორ შეიძლებოდა გადარჩენილიყო საქართველო, როგორც ერთიანი სახელმწიფო.**

რაც შეეხება ედუარდ შევარდნაძეს, მე ვიცი მისი პოლიტიკური ფასი, ვიცი მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებიც, მაგრამ არ არის მართალი, როდესაც ამბობს, რომ ქართული საზოგადოების შეეშინდა. ჯერ ერთი, მას ჰქონდა საკმაოდ დიდი უფლებამოსილების მანდატი, ეს იყო კონსტიტუციური მანდატი და არა არჩევნებით მოპოვებული. იგი ყოველთვის კარგად გრძნობდა ისტორიულ დროს და ეს იყო მართლაც ის ისტორიული მომენტი, როდესაც მას, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, ექსკლუზიური უფლებით უნდა აეღო პასუხისმგებლობა სწორედ საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთიანობაზე. შევარდნაძეს ჰქონდა შესაძლებლობა, რომ ეს გაეკეთებინა, თუმცა მან ეს მანდატი არ გამოიყენა. იმიტომ კი არა, რომ ქართველი ხალხის შეეშინდა, — ეს არის სიყალბე! მას აიძულებდნენ, ამ სიტყვის პოლიტიკური გაგებით. **რაც უფრო გაღრმავდებოდა კონფლიქტი, დასავლეთი მეტ საბაბს მოძებნიდა კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში შემოსვლის, ინსტიტუციებად დაშლის და შემდეგ დომინანტის როლის მოპოვებისთვის. ედუარდ შევარდნაძეს სურდა რუსეთის როლის შემცირება და დასავლეთის უფრო მეტად შემოყვანა საქართველოში აფხაზეთის კონფლიქტის საბაბით. მან ეს ამჯობინა ერთიანი სახელმწიფოებრიობის განცდას.**

აქედან ერთადერთი დასკვნა, რომელიც უკვე ჩვენმა შემდგომმა თაობამ უნდა გააკეთოს, ის არის, რომ პოლიტიკოსობას როცა დაიჩემებთ, მინიმუმ კარგად შეამოწმეთ თქვენი თავი, რა ხარისხით გიყვართ თქვენი სამშობლო.

**რაც შეეხება კონფედერაციას, ყველანაირი მოდელი განიხილება, მთავარი ახლა გემოვნების საკითხი კი არ არის, თუ რომელ მოდელს ავირჩევთ, მთავარი დღევანდელი რეალობაა. რეალობა კი ისაა, რომ მსოფლიოს დიდი აქტიორები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვის ექნება დომინანტის როლი კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში.**

მაშინ, როდესაც რუსეთს აგვისტოს ომის შემდგომ გაცხადებული აქვს საგარეო პრიორიტეტების 5 პუნქტი და მათ შორისაა კავკასიაში უცილობელი დომინანტის როლის შესრულების შესახებ, ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ეს არის ინტერესთა ასპარეზი და ამ დროს საქართველო უნდა იყოს ყველაზე პრაგმატიკოსი, ყველაზე გონიერი და მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები მხოლოდ ისეთ მოდელზე, რომელიც მის სახელმწიფოს წაადგება.

**— თქვენი აზრით, როგორი მოდელია საქართველოსთვის მისაღები? ბოლოსდაბოლოს, დემოგრაფიული ვითარება იცვლება ამ რეგიონებში, დრო კი, ფაქტობრივად, ჩვენს საწინააღმდეგოდ მუშაობს...**

**— დამოუკიდებელი და ერთიანი საქართველოსთვის ისტორიული დრო გაჩერდა.** ამ წუთში ყველას გვმართებს, თავი მოვუყაროთ გონიერებას, სიბრძნეს, გამოცდილებას, მომავლის აღქმის უნარს — ყველაფერს, რაც კი საქართველოს გამოადგება.

ესაუბრა
**ბონდო მძინარაშვილი**

## გაბრაზებულნი



**შალვა ნათელაშვილი,**
**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:**

საქართველო არის უუფლებო მონა, კოლონია და ამ კოლონიაში თამაშის წესებს ადგენს სხვა, თამაშის ეს წესები მოიცავს არჩევნებამდე გამოკვლევების ჩატარებას, ვითომ რეიტინგების დადგენას, სადაც დაიწერება ის შედეგი, რაც უნდა, რომ ნახოს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოში.

*„კვირის ქრონიკა“*



**ლევან ღვინჯილია,**
**ენის სახელმწიფო პალატის ყოფილი თავმჯდომარე:**

საცურაო სეზონის ბოლო დღედ რატომ დააწესა ჩვენმა პრეზიდენტმა მაინცდამაინც 11 ნოემბერი, ამის მიხვედრა, არც ისე ადვილია, მაგრამ არანაკლებ ძნელია იმის გამოთვლა, მაისის ბოლოდან 11 ნოემბრამდე როგორ გამოვა 6 თვე? ჩემი ანგარიშით, 5 თვე და 11 დღე გამოვიდა. ეტყობა, მე სწორად ვერ დავთვალე.

*„კვირის ქრონიკა“*



**დავით გამყრელიძე,**
**„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი:**

მე დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ძვირი ფასის გადახდა მოუწევს პირადად სააკაშვილს აი, იმისთვის, რომ მან არც ევროპელების, არც ვენეციის კომისიის და არც ამერიკელების რეკომენდაცია კონსტიტუციასთან დაკავშირებით არ გაითვალისწინა...

*ტელეკომპანია „მაესტრო“*



**კახაბერ შარტავა,**
**„ეროვნული ფორუმის“ ლიდერი:**

ქუჩაში ნებისმიერ დაძახილზე გადიან-გამოდიან, ბოდიში მომითხოვია და ტვინი უნდა გაენძრიათ, ეფიქრათ, რატომ და რისთვის უნდა გასულიყვნენ. ახლა მაინც გაერკვნენ, ვის დაძახილზე უნდა გავიდნენ და რა უნდათ, თვითონ მოითხოვონ პოლიტიკოსებისგან გამოსვლა. ამის თავი თუ არ აქვს საზოგადოებას, მაშინ იქნებიან მიშას ქვეშ.

*„კვირის ქრონიკა“*



**სოსო ჯაჭვლიანი,**
**მსახიობი და მკლავჭიდელი:**

არის ისეთი რაღაცები,რაც შეიძლება, არ ილაპარაკო და გააკეთო! მე ველოდები, რომ 25 ნოემბერს სახალხო კრების დიდ ყრილობაზე გამოჩნდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც იტყვიან, არ მეშინია, თუ წინ წასვლაა საჭირო, პირველი მე ვიქნები, დაე, მე მომხვდეს ის ტყვია!

*„ასავალ-დასავალი“*

## მოკლედ



### სახელმწიფო მოხელეები დაიჭირეს

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებულია წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი ალექსანდრე ირემაძე, ხოლო სამსახურებრივი სიყალბის ფაქტზე — სოფელ თიაქ-ქილისას რწმუნებული მალხაზ კონცელიძე.** გამოძიების ცნობით, დაკავებულია კიდევ ერთი სახელმწიფო მოხელე, წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ოგანეს ტაზაიანი, რომელმაც უკანონო სამშენებლო სამუშაოების შესრულების სანაცვლოდ მოქალაქეს ქრთამის სახით 400 ლარის ოდენობის თანხა გამოართვა. წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 341-ე და 338-ე მუხლებით მიმდინარეობს.



### ყველაზე რეიტინგული თარგამაძე

**მიხეილ სააკშვილისა და გიგი უგულავას დაკვეთით, ამერიკულმა კომპანია „Greenberg Quinlan Rosner“-მა საზოგადოებრივი აზრი გამოიკვლია და დაასკვნა, რომ ოპოზიციონერთა შორის საზოგადოებაში ყველაზე მეტი პოპულარობით „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი გიორგი თარგამაძე სარგებლობს.** რესპოდენტებს ოპოზიციონერი ლიდერების დასახელება სთხოვდნენ და თურმე 47%-მა პირველ რიგში გიორგი თარგამაძე გაიხსენა, 40%-მა — „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია, 22%-მა — „ლეიბორისტების“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი, 11%-მა — „ეროვნული ფორუმის“ ლიდერი კახა შარტავა, 9%-მა — „ახალი პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე, 8%-მა — „მრეწველების“ ლიდერი გოგი თოფაძე.



### სუბარის ჰორიზონტები

**მას შემდეგ, რაც „ქართული პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა სოზარ სუბარმა ჰორიზონტი გულდასმით შეისწავლა, დაასკვნა, რომ „აფხაზეთისა და ცხინვალის დაბრუნების რეალური გზა ჰორიზონტზე არ ჩანს“.** სუბარმა ეს და მეორე მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ „დაკარგული ტერიტორიების შემოერთება ძალიან რთული საკითხია“, არასამთავრობო ორგანიზაციებს გაანდო. „დაკარგული ტერიტორიების შემოერთებისთვის ძირითად შემადგენელ ნაწილებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, რუსეთთან დიალოგის დაწყება, აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი კავშირის დამყარება წარმოადგენს, მაგრამ ეს საკმარისი არაა. ფაქტია, რომ დღეს ტერიტორიების დაბრუნების რეალური გზა ჰორიზონტზე არ ჩანს და, თუ ვინმე ამბობს, რომ მან ეს გზა იცის, ტყუის“, — აცხადებს სუბარი.



### საბჭოთა საქართველო

**ბურჯანაძემ ბათუმში გამართული „სახალხო წარმომადგენლობითი კრების“ შეფასება ქართული ტელევიზიების კრიტიკით დაიწყო და აღნიშნა, რომ გარდა მეორე არხისა, ოპოზიციის გამოსვლებს ყველა სრულ იგნორირებას უწევს.** ამ თემის ამოწურვის შემდეგ კი საქვეყნო პრობლემებზე გადავიდა და სკოლებში ქართული ენის საათების შემცირებით აღშფოთდა. „ყველაფერს ქართულს ამ ქვეყანაში კლავენ, ეს არის დანაშაული ქართველი ხალხის წინაშე. დღეს საქართველო გახდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, დაწყებული მედიის დაშინებით, დამთავრებული დატერორებული ბიზნესით“, — ასეთი იყო საბოლოო დიაგნოზი. შემდეგ კი საგარეო პოლიტიკაზე გადავიდა და დაასკვნა, რომ სააკაშვილის ეპოქაში რუსეთის მხრიდან სერიოზულ ნაბიჯებს არ უნდა ველოდოთ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# საქართველო ჩრდილოკავკასიელებთან სახიფათოდ «თამაშობს»

**გასულ კვირას ჩეჩნეთის მეთაურმა რამზან კადიროვმა საქართველო ჩეჩენი „ბოევიკების“ დაფინანსებაში დაადანაშაულა. კადიროვის განცხადება ჩეჩნეთის რესპუბლიკის მთავრობის პრესსამსახურმა გაავრცელა: „ბოევიკებს ახლა მორალური და ფინანსური მხარდამჭერი ცოტა დარჩათ. ადრე ისინი ფინანსებსა და იარაღს საქართველოს ტერიტორიიდან იღებდნენ. ასევე, საქართველოს გავლით შედიოდნენ ჩეჩნეთში ბანდიტური დაჯგუფებები. დღეს შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ერთადერთი წყარო, რომელიც მათ ეხმარება და სადაც ისინი ემზადებიან, საქართველოა“.**

## «საქართველოში რომ ჩეჩენ ბოევიკებს ამზადებენ და შავ ფულს ათეთრებენ, ამის შესახებ მინიშნებები მეც გამიკეთებია»

კადიროვის მტკიცებით, არსებობს ინფორმაცია, რომ საქართველოში ამჟამად ახალგაზრდებს იბარებენ და ჩეჩნეთში გზავნიან: **„არიან უდუგოვისა და ზაკაევის მსგავსი გამვლელები, რომლებიც საქართველოში თუ ინგლისში ჩადიან. მათ იქ მხარს უჭერენ. არ გვაძლევენ ამ ტერორისტებს, რომ აქ კანონის შესაბამისად გავასამართლოთ“.**

ჩეჩენი ბოევიკების საქართველოში მომზადების საკითხს ოპოზიციის ნაწილიც ეთანხმება. ცოტა ხნის წინათ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა რუსულ პრესაში განცხადებებიც გაავრცელა, რითაც საქართველოში ჩრდილოეთკავკასიელი „ბოევიკების“ „მზადების ფაქტი დაადასტურა“.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე კი აცხადებს, რომ **„რუსეთისთვის ჩრდილოეთ კავკასია ძალზე მძიმე თემაა და იმ შემთხვევაში, თუ ამ თემით პროვოცირება არ შეწყდება, ეს ყოველივე რუსეთის ძლიერ გაღიზიანებას გამოიწვევს და საქართველოს კიდევ ერთხელ მოხვდება „დიდი ტორი“. მის საშველად ტანკებს არავინ გამოუგზავნის, რაც არც აქამდე მომხდარა“.**

ნინო ბურჯანაძემ ირაკლი ოქრუაშვილის ცოტა ხნის წინანდელი განცხადებებიც ახსენა, რომლებითაც **თავდაცვის ყოფილი მინისტრი ამტკიცებდა, რომ საქართველოში ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების მომზადება მიმდინარეობს.** ბურჯანაძემ განმარტა, რომ რუსეთის ხელისუფლება ოქრუაშვილის ამ განცხადებებს სათანადო ყურადღებას მიაქცევს, რაც, ბურჯანაძის აზრით, მათი მხრიდან ომის დაწყების შანსს ზრდის. **„საქართველოში რომ ჩეჩენ ბოევიკებს ამზადებენ და შავ ფულს ათეთრებენ, მინიშნებები მეც გამიკეთებია,“** — აღნიშნა ბურჯანაძემ.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის — აკაკი მინაშვილის განცხადებით, **„საქართველოს ტერიტორიაზე „ბოევიკების“ მზადების დამადასტურებელი მტკიცებულებები ნინო ბურჯანაძეს არასდროს ექნება, რადგან ასეთი ფაქტი ბუნებაში არ არსებობს“.**

მაგრამ ცხადია, რომ უკანასკნელ პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიელებთან საქართველომ სახიფათო „თამაშები“ წამოიწყო, რაც რუსეთმა, შესაძლოა, მისთვის ხელსაყრელ კონტექსტში გამოიყენოს. არსებობს საფრთხე, რომ ჩვენი ხელისუფლების მიერ ამ საკითხის სპეკულირებით საქართველო შესაძლოა, ისეთ პროვოკაციაში აღმოჩნდეს ჩათრეული, საიდანაც სრულიად დაშლილი გამოვა. **საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩრდილოეთ კავკასიის თემით სპეკულირება რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების გაღიზიანებას გამოიწვევს და საქართველოს ხელისუფლების უგუნურმა ქმედებებმა, შესაძლოა, საქართველო კიდევ ერთხელ ჩააბას რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში.**



### თენგიზ სიგუა:

## ჩრდილოეთ კავკასიაში გახშირდა ტერაქტები... მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლება სპეცოპერაციებსაც ატარებს, მაინც ვერ აღკვეთა. ჩნდება კითხვა: საიდან მარაგდებიან ეს ტერორისტები და ვინ ეხმარება მათ ფინანსურად?

ქართველი და ჩეჩენი ხალხის ურთიერთობების შესახებ ექსპრემიერმინისტრ **თენგიზ სიგუას** ვესაუბრეთ.

**— 90-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე მართლაც ემზადებოდნენ ჩეჩენი ბოევიკები. ფულადი გადარიცხვებიც საქართველოს გავლით ჩადიოდა ჩეჩნეთში.**

მაგრამ **დაახლოებით ორი წლის წინათ აქ იყო ჩამოსული აშშ-ის სპეციალური წარმომადგენელი, რომელმაც მკაცრად გააფრთხილა ჩვენი ხელისუფლება, რომ თავი დაენებებინა ასეთი საქმიანობისთვის.**

ბოლო დროს ჩრდილოეთ კავკასიაში ძალიან გახშირდა ტერორისტული აქტები; უკანასკნელ პერიოდში 50-მდე ადამიანია ამ ტერაქტებში დაღუპული. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლება სპეცოპერაციებსაც ატარებს, მაინც ვერ აღკვეთა. ჩნდება კითხვა: საიდან მარაგდებიან ეს ტერორისტები და ვინ ეხმარება მათ ფინანსურად?

**რაკი საქართველოში ადრე მართლაც მზადდებოდნენ ჩეჩენი ბოევიკები, ახლაც აქეთ იშვერენ ხელს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა სერიოზულად დაგვიქნიეს თითი, არა მგონია, დღევანდელი ხელისუფლება თავისი „ყველაზე მნიშვნელოვანი“ მოკავშირის წინააღმდეგ წავიდეს და ამ საქმიანობას აგრძელებდეს.** თუმცა ბოლომდე დარწმუნებულიც არ ვარ, რადგან ეს სახელმწიფო საიდუმლოებას განეკუთვნება. **ამგვარი ქმედებები თუ მართლა ხდება საქართველოში, ესე იგი ჩვენ ღიად გამოვდივართ ტერორისტების მხარდამჭერები, ეს კი ქვეყნისთვის დამღუპველია.**

**— საერთოდ, როგორ შეაფასებთ ჩვენი და ჩეჩენი ხალხის ურთიერთობას?**

— ურთიერთობა, ადრინდელთან შედარებით, მაინცდამაინც არ გაუმჯობესებულა, ვგულისხმობ 10-15 წლის წინათ რა ურთიერთობაც იყო. ჩეჩნეთის დღევანდელი ხელისუფლება, კადიროვის მეთაურობით, ძალიან ანტიქართულადაა განწყობილი. ის ურთიერთობა, რაც იყო გასული საუკუნის 50-60-იან წლებში, როდესაც ჩეჩნები საქართველოში ჩამოდიოდნენ სასწავლად და თვლიდნენ, რომ საქართველო არის კავკასიის ცენტრი, დღეს ასე აღარაა. საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში შეიქმნა ისეთი გარემო, რომ რუსეთმა ჩრდილოკავკასიელი ხალხი ერთმანეთს დააპირისპირა. არ ვიცი, დადგება თუ არა ის დრო, როდესაც ეს ხალხები ისევ კეთილმეზობლურ ურთიერთობაში იქნებიან.

**— პრეზიდენტი სააკაშვილი ბოლო დროს ძალიან ბევრს საუბრობს საერთო კავკასიური სახლის შექმნაზე. რამდენად შესაძლებელია ეს?**

— იმდენად დიდია დაპირისპირება ამ ხალხებს შორის, რომ ეს შეუძლებლად მიმაჩნია. დაპირისპირება კი არა, თითქმის მოსისხლე მტრები არიან ინგუშები და ოსები. ამ ეტაპზე მათი მორიგება წარმოუდგენლად მიმაჩნია. მაგათ ერთ მაგიდასთან ვერ დასვავ. ასეთივე მდგომარეობაა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ყაბარდო-ბალყარეთი ერთ ავტონომიაში არიან, უკიდურესად დაძაბული მდგომარეობაა მათ შორისაც. ამიტომ, **საერთო კავკასიურ სახლზე საუბარი ამ ეტაპზე სისულელეა. მაშინ, როცა მიხეილ სააკაშვილმა ქართველების, აფხაზებისა და ოსების მოლაპარაკების ერთ მაგიდასთან თავმოყრა ვერ შეძლო, რატომ ჰგონია, რომ ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან შეძლებს ამას?**

ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**

## მოკლედ



### ტიმოშენკოს საცხედ ამზადებენ

**უკრაინის გენერალური პროკურატურა მზად არის, შეისწავლოს სერთაშორისო აუდიტის მასალები იულია ტიმოშენკოს მთავრობის მუშაობის შესახებ და ექს-პრემიერის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასაც არ გამორიცხავს.**

უკრაინის საკონტროლო სარევიზიო სამმართველომ იულია ტიმოშენკოს მთავრობას 6,5 მილიარდი დოლარის დარღვევები აღმოაჩინა. ამის შესახებ მედიას თავად უწყების ხელმძღვანელმა პიოტრ ანდრეევმა განუცხადა. „თანხის დიდი ნაწილი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოიხსნა და ტიმოშენკოს საარჩევნო კამპანიაზე დაიხარჯა“, — თქვა მან. ტიმოშენკოს მთავრობამ საბანკო დეპოზიტებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხები დაბალი პროცენტით ან საერთოდ უპროცენტოდ განათავსა.



### სააკაშვილის ვერცხლისწყალივით მთავრობა

**პრეზიდენტ სააკაშვილს ახალი ინიციატივა აქვს — „მთავრობა ვერცხლისწყალივით უნდა იყოს“ და ადრე თუ მინისტრებს ხორცის ნაჭრებთან აიგივებდა, ახლა მათ პირდაპირ კაბინეტებში დადებულ უსულო ნივთებად განიხილავს.** „იცით, რომ ეკონომიკის სამინისტროსთან დაკავშირებით მქონდა შენიშვნები, რის გამოც მთელი ხელმძღვანელობა გამოიცვალა, რადგან მთავრობის წევრს, რომელიც კაბინეტში დევს და ელოდება როდის მიუტანენ ქაღალს, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში არ მოაწერს ხელს, ჩვენ არ მოვითმენთ. ჩვენ გვჭირდება მთავრობა, რომელიც ვერცხლისწყალივით, ნიკოლაიშვილის, ქობალიას და სხვების მსგავსი იქნება. გვჭირდება მთავრობა, რომელიც ხალხს მაგალითს მისცემს“, — განაცხადა პრეზიდენტმა.



### ხაჭაპურიძე ხელისუფლების წინააღმდეგ

**საქართველოს ხელისუფლების მიერ ეგრეთ წოდებული ვარდების რევოლუციიდან ამ დრომდე ჩადენილი მთელი რიგი უკანონო ქმედებების ნუსხით ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ სასარჩელო განცხადებას აგზავნის.** როგორც თავად ხაჭაპურიძემ განაცხადა, დოკუმენტში აქცენტი გაკეთებულია ძალაუფლების უზურპაციის მიზნით სააკაშვილის მთავრობის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ბაზის დეტალებზე, რეფორმებზე, რომლებმაც საბოლოოს სისტემების პარალიზება გამოიწვია, უკანონო დაპატიმრებების სერიებზე, დარბევებზე, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ხელისუფლების მიერ საკუთარი ხალხის წინაშე ჩადენილ დანაშაულზე. სასარჩელო განცხადება 400-გვერდიანია.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ზურაბ კვარაცხელია:

# საქართველოს გამთლიანებას ყველაზე მეტად აფხაზეთში დაბადებულ-გაზრდილი კაცის სულისკვეთება სჭირდება

**იმ საჭირბოროტო პრობლემის მიზეზი, რომელიც მომაკვდინებელ საფრთხეს უქმნის საქართველოს აწმყოსა და მომავალს, უნდა ვეძებოთ არა მარტო ხელისუფლებაში, არამედ ჩვენშივე, საზოგადოების თითოეულ წევრში, ჩვენს გათითოკაცებაში, ჩვენს სამარცხვინო აპათიასა და ნიჰილიზმში, ჩვენს ე. წ. ოპოზიციაშიც, რომელიც თავისი უუნარობითა და უმოქმედობით დღევანდელ ხელისუფლებას არსებობას უხანგრძლივებს. ამ და სხვა საკითხებზე ,,საქართველო და მსოფლიოს“ თავის მოსაზრებას უზიარებს სოხუმის მკვიდრი, ამჟამად ზუგდიდში მცხოვრები, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი ზურაბ კვარაცხელია.**



— ამ ბოლო დროს ჩვენს სამშობლოში ძალზე საეჭვოდ და ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით მრავლდება პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთა სახეები, ძირითადად, ახლო წარსულში სააკაშვილის პოლიტიკური ხროვიდან სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზით გამოძევებული პერსონები არიან. ისინი ცდილობენ, საზოგადოებამ რაც შეიძლება სწრაფად დაივიწყოს მათი ,,საქმენი საგმირონი“ და მხარდაჭერა მოიპოვონ. შეინიშნება გარკვეული გააქტიურებაც იმ ე. წ. ოპოზიციური ლიდერებისა, რომლებმაც ასევე ახლო წარსულში თავიანთ ე. წ. ოპოზიციურ საქმიანობაში ,,ჩაისვარეს“, ასეულათასობით ჩვენი თანამემამულე გააწბილეს. ნამდვილად მეცოდება საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც, შესაძლოა, კიდევ სწამს, რომ ეს ხალხი რაიმე სიკეთეს მოუტანს ჩვენს ერსა და სამშობლოს.

**— ბატონო ზურაბ, რა გზას უნდა დაადგეს ჩვენი მოსახლეობა, როგორ დააღწიოს თავი ამ ვითარებას?**

— მე მინდა საზოგადოების იმ ნაწილს მივმართო: ჩემო კარგებო, ჩვენ უკვე ვნახეთ ფილმები იმ ადამიანების მონაწილეობით, ვნახეთ მათი ,,ოპოზიციური ვნებანი და თავგანწირვანი“; ეს ხომ არ იყო შორეულ წარსულში, აგერ ახლახან იყო, გუშინ, გუშინწინ; ხომ გვახსოვს ზოგიერთი მათგანის ,,სასახელო მამულიშვილური“ ქმედებანი ხელისუფლებაში. **ჩვენ არ უნდა გვქონდეს მოკლე მეხსიერება და უნდა მივხვდეთ იმას, რომ ესენი მიშასავით მთლად შლეგებად თუ არ გამოიყურებიან, მიწაზე არ ფორთხავენ და ჰალსტუხს არ მიირთმევენ თავიანთი პოლიტიკური პლატფორმით, სტრატეგიული აზროვნებითა და იდეოლოგიით თითქმის არ განსხვავდებიან მისგან. ერთადერთი, რაც მათ ამოძრავებთ, ხელისუფლებაში მოსვლის სურვილია, ძალაუფლების ხელში ჩაგდების წყურვილია და, თუ ეს აისრულეს, მერე კვლავ გაგრძელდება ლათაიები ნატოზე, მსოფლიო მეგობრობაზე, რუსეთის იზოლაციაზე და ა.შ., ანუ პოლიტიკური ვექტორი უცვლელი დარჩება.**

> **ესენი მიშასავით მთლად შლეგებად თუ არ გამოიყურებიან, მიწაზე არ ფორთხავენ და ჰალსტუხს არ მიირთმევენ, თავიანთი პოლიტიკური პლატფორმით, სტრატეგიული აზროვნებითა და იდეოლოგიურად თითქმის არ განსხვავდებიან მისგან**

ამიტომ მე მივმართავ ამ ე.წ. ოპოზიციურ ძალებს, დაგვანებონ თავი, შეეშვან თავიანთ პოლიტიკას, სხვაგან ეძებონ საარსებო წყაროები და ამით სასარგებლო საქმეს გაუკეთებენ ჩვენს ხალხსაც და ქვეყანასაც.

ამ ვითარებიდან გამოსავალი თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარ თავსა და საკუთარ აზროვნებაში უნდა ვეძებოთ. უპირველესად, კარგად უნდა გავიხსენოთ, ვინ რას ამბობდა და აკეთებდა გუშინ; ვინ რას ამბობს და აკეთებს დღეს, იმასაც კარგად უნდა დავაკვირდეთ. უნდა გავაანალიზოთ, თუ რამ მიგვიყვანა აქამდე, ვიფიქროთ გამოსავალზე და იქნებ იმასაც მივხვდეთ და გაგვახსენდეს, რომ **ამ სიბნელეში წინა წლებშიც და, საბედნიეროდ, ახლაც არიან პიროვნებები, თუ პიროვნება, ვინც ყოველთვის საღად აფასებდა მოვლენებს, ჭვრეტდა მომავალს და პრინციპულად დაჟინებით გვთავაზობდა ეროვნული კატასტროფიდან გამოსასვლელ გზას. თუ მაინცდამაინც ჩამეძიება ვინმე და მკითხავს, თუ ვინ შეიძლება მამულის გასამთლიანებლად და ერის გადასარჩენად მომავალ ბრძოლაში წინ გაგვიძღვეს, ვუპასუხებ: საქართველოს გამთლიანების საშურ საქმეს დღეს ყველაზე მეტად ჩვენი დაკარგული მიწა-წყლის შვილის, აფხაზეთში დაბადებული და გაზრდილი კაცის მამულიშვილურ-პატრიოტული ჟინი და სულისკვეთება სჭირდება. და ჩვენი მრავალტანჯული ერი, რაც უფრო მალე მიხვდება ამას, მით უკეთესი იქნება თითოეული ჩვენგანისთვის.**

**— ბატონო ზურაბ, ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე ურთულესი პრობლემაა რუსეთთან დამოკიდებულება, რაც პირდაპირ დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან. რაში ხედავთ გამოსავალს?**

— საქართველოს ვაიხელისუფლების აშკარად ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებისა და მოუზომელი ნაბიჯების გამო, რუსულ-ქართული ურთიერთობა აშკარად ჩიხშია შესული და იქიდან გამოსვლის პერსპექტივა ბუნდოვნადღა ჩანს. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე და ამ ჩიხიდან გამოსავალიც იოლად მოიძებნოს, რაც თავისთავად სამომავლოდ შესაძლებელს გახდის ქართველების, აფხაზებისა და ოსების ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ხელახალ ინტეგრაციას. თუმცა **ყოველგვარ სიკეთო პერსპექტივაზე ფიქრიც კი ზედმეტია, თუ უახლოეს მომავალში სააკაშვილის რეჟიმი წარსულს არ ჩაბარდა და ხელისუფლებაში არ მოვიდა ისეთი ეროვნულ-პოლიტიკური ძალა, რომელსაც ექნება სახელმწიფოს გაერთიანების, გამთლიანების ნებელობა და შესაძლებლობაც. ჩვენ ამ პიროვნებაზე ჯერჯერობით მხოლოდ მინიშნებებით ვსაუბრობთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მხოლოდ მას ხელეწიფება რუსეთთან გართულებული ურთიერთობის მოგვარება, რასაც უნდა მოჰყვეს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა.**

ესაუბრა **ლადო ქირია**

ზუგდიდი

## გაფრაზებულნი



**დიმიტრი მედვედევი,**
**რფ-ის პრეზიდენტი:**

მე ვიზიარებ მიდგომას, რომ უნდა განვავითაროთ კასპიისპირა თანამშრომლობა, თანაც მარტივი, მაგრამ თვალნათელი თეზისიდან გამომდინარე: კასპია ჩვენი სიმდიდრეა და ჩვენ თავად შეგვიძლია გავერკვეთ კასპიისა და კასპიისპირეთის თანამშრომლობის ყველა პრობლემასა თუ პერსპექტივაში.

*newsru.com*



**სერგეი ბაგაფში,**
**აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი:**

სასაზღვრო ზონაში წესრიგის დასამყარებლად უნდა გაირკვეს, ვინ ცხოვრობს იქ, რა საქმიანობას ეწევიან, საერთოდ რა ხალხი არიან და ვის მოქალაქეებად თვლიან თავს. არ შეიძლება სასაზღვრო ზონაში უსაბუთო, ჩაუწერელი და გაურკვეველი ხალხი ცხოვრობდეს.

*აპსნი პრესი*



**ანდრეი კლიუევი,**
**უკრაინის პირველი ვიცე-პრემიერი:**

ჩვენ ყველასთან ვმეგობრობთ. რაც შეეხება საქართველოს შეიარაღებას, პირველად მესმის. ვფიქრობ, რომ ეს დეზინფორმაციაა... ჩვენ საქართველოს გამო რუსეთთან ურთიერთობას არ გავიფუჭებთ, რუსეთთან ჩვენ ძმური ურთიერთობები გვაკავშირებს.

*rbc.ru*



**რამზან კადიროვი,**
**ჩეჩნეთის მეთაური:**

ბოევიკებს მორალური და ფინანსური მხარდაჭერის სერიოზული წყაროები არ გააჩნიათ. ადრე ისინი იარაღსა და ფულს საქართველოს ტერიტორიიდან იღებდნენ. იქიდან ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ყაჩაღების მთელი დაჯგუფებები შემოდიოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი წყარო, საიდანაც ტერორისტებს ეხმარებიან, საქართველოა. მაქვს ინფორმაცია, რომ იქ ქირაობენ ახალგაზრდებს ამზადებენ და ჩეჩნეთში ტერორისტული აქტების ჩასატარებლად აგზავნიან.

*rbc.ru*



**პაკ კილ იონი,**
**ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე:**

მანამ, ვიდრე ამერიკის ბირთვული ავიამზიდები ჩვენი ქვეყნის ირგვლივ ზღვებში ტრიალებენ, უარს არ ვიტყვით ჩვენს განკარგულებაში არსებულ ბირთვული შეკავების საშუალებებზე — პირიქით, კიდევ უფრო მეტად გავაძლიერებთ მათ.

*Associated Press*

## მოკლედ



### ჟირინოვსკიმ მოსკოვს ჰიმნი უძღვნა

**მალე მოსკოვს ახლებურად უმღერებენ — რუსეთის ყველაზე ეპატაჟურმა პოლიტიკოსმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ დედაქალაქისთვის ჰიმნი შექმნა და, როგორც ავტორის პარტიის პრეს-სამსახური ირწმუნება, უკვე გაგზავნა კიდეც რუსეთის ყველა რადიოსადგურში.**

ჰიმნის სახელწოდებაა „მოსკოვი“ და ჩანაწერში მას თავად ავტორი — ვლადიმერ ჟირინოვსკი რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდთან ერთად ასრულებს. ჰიმნი საკმაოდ პოლიტიზირებული გამოვიდა — ტექსტში გამოხატულია სურვილი, რომ მოსკოვის ახალმა მერმა რუსეთის დედაქალაქის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გამოასწოროს და სწორი პოლიტიკური კურსი შეარჩიოს. მასში რამდენიმე ცნობილი გვარიც მოიხსენიება, მათ შორის პირველი კოსმონავტი იური გაგარინიც.



### კუნთების თამაშიდან ზღვაში ხტომამდე

**საქართველოს პრეზიდენტი რომ მუდამ მზად იყო ქვეყნისათვის თავგანწირვისა და გმირობისთვის, ამაში ეჭვი არც აქამდე გვეპარებოდა, მაგრამ ორიოდე დღის წინათ თავადაც მიგვითითა საკუთარ ღვაწლზე.** ჰოდა, ვინც კომენტარების გარეშე ვერ გაიგო, რატომ ეშვება პრეზიდენტი თავით ზღვაში, რატომ იცვამს სათხილამურო მწვანე კომბინიზონს და ასე შემდეგ, განმარტებები მისსავე გამოსვლებში შეუძლია ეძებოს. „ნამდვილად გამოვედი იმ ასაკიდან, რომ კუნთები ვათამაშო, მაგრამ ორი დღის წინათ მე თვითონაც ჩავხტი ზღვაში და გავცურე, რათა დაგვენახებინა, რომ ბათუმს აქვს პერსპექტივა“, — ბრძანა სააკაშვილმა. სააკაშვილის ზღვაში „ჩახტომა“ თუ ქალაქისა და ქვეყნის პერსპექტიულობას განაპირობებს ან ვინმეს თვალში ამტკიცებს, მალე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვევებს უნდა ელოდოს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ამერიკელი მეცნიერის სკანდალური აღიარება — სიმართლე ერაყის შესახებ

**კაცმა რომ თქვას, ამ ისტორიის მთავარი გმირი ასდოლარიანი ქაღალდია, უფრო ზუსტად, — ასეთი ქაღალდების მთელი კოტლეტი. ამ შესანიშნავ საბანკო ნიშნებთან ჩემი პირველი შეხვედრა ერაყის სულეიმანიის ამერიკულ უნივერსიტეტში მასწავლებლის თანამდებობაზე დანიშვნისას, გასაუბრების ბოლოს მოხდა. რექტორი ჯოშუა მიტჩელი დაინტერესდა, რა დამიჯდა ჩამოსვლა, შემდეგ ჯიბიდან დააძრო ასდოლარიანების მძიმე დასტა, დაიფურთხა თითებზე, გადათვალა თერთმეტი ბანკნოტი (ჩემი ბილეთის ფასი) ლაზათიანად თხლიშა მაგიდაზე და ამაყად ამოიბდღვინა: „ასე ვაკეთებ საქმეს!“**




**უნივერსიტეტში ორასამდე სტუდენტი თუ სწავლობდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, როგორ უნდა გარდაექმნა ამ მცირერიცხოვან ჯგუფს მთელი ქვეყანა, რომლის მოსახლეობა 26 მილიონს აღემატებოდა.**


ჯონ აგრესტო


ჯორჯ ბუში და დიკ ჩეინი

ამერიკელებს, ჩვეულებრივ, პირკატა ეცემათ ხოლმე დიდი რაოდენობით ნაღდი ფულის დანახვისას, ამერიკელი მეცნიერები კი, რომლებიც მეტისმეტი წესიერებით გამოირჩევიან, არასოდეს დაყრიდნენ მაგიდაზე ამდენ ფულს ყოველგვარი ხელწერილისა და სხვა ფორმალობათა გარეშე.

არ დაგიმალავთ, რომ ამ ფართო ჟესტმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. როცა ზეფრთხილ პედანტთან შეხვედრის მოლოდინში ხარ და აღმოჩნდები აშკარად ბანდიტური ზნის კაცის პირისპირ, რაღაც გაუკუღმართებულ მიმზიდველობას იგრძნობ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბანდიტი ნაღდი ფულის დასტას გჩრის.

მე და ჩემი ცოლი კეტრინი ბოლო წლებში გავღატაკდით, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — ქუჩაში გამოგვყარეს და საკვები პროდუქტების პუნქტების ნაწყალობევით გაგვქონდა თავი.

**ერაყში ფულის საშოვნელად გავემგზავრეთ, არა იმიტომ, რომ გვჯეროდა ნეოკონსერვატორული უაზრობის — ერაყის მომავალი ლიდერების დასავლეთის დიადი იდეების სულისკვეთებით აღზრდის შესახებ.**

ფაკულტეტის ყველა ლექტორი ერაყში მხოლოდ ფულის გულისთვის იყვნენ ჩამოსულნი. სმას რომ შეუდგებოდნენ, პირველივე ჭიქის შემდეგ ავიწყდებოდათ ყველა სისულელე ტირანიის ბნელ სამეფოში დემოკრატიის სხივის შესახებ და ყველა მოურიდებლად იწყებდა ტრაბახს ჯერ არ შეძენილი ჯიპებითა და აგარაკებით.

სულეიმანიას უნივერსიტეტი (ერაყის ჩრდილოეთში ჩარგული) ჰყვაოდა ამერიკელი გადამხდელების ჯიბიდან ამოღებული დოლარების სასუქით. ერთ საღამოს, მორიგი საფაკულტეტო ლოთობის დროს, გამოცდილმა პედაგოგებმა გაგვანდეს ამ სახელოვანი სასწავლო დაწესებულების აღმოცენების საიდუმლო ისტორია. ისინი გვიმტკიცებდნენ, რომ უნივერსიტეტი თავის დაარსებას ჯონ აგრესტოს უნდა უმადლოდეს, მემარჯვენე შეხედულებების მეცნიერსა და ჩეინის კლანის ვასალს, რომელმაც გადაჰკვეთა თურქეთის საზღვარი ნახევარმილიონიანი „ქეშით“.

რამდენადაც დაუჯერებელია ეს ამბავი, ჭეშმარიტებასთან მაინც ახლოს დგას, რადგან გაცილებით უცნაური ამბები ხდებოდა ამერიკელების მიერ ერაყის ოკუპაციის პერიოდში, როცა საბიუჯეტო თანხების უდიდესი ნაწილი ილექებოდა ამ ქვეყანაში. აგრესტო კი საკმარისი პოლიტიკური გავლენით სარგებლობდა, ეს ნაკადი თავისკენ რომ მიემართა.

**ოკუპაციის პირველ სტადიაზე აგრესტოს დაავალეს ერაყის განათლების სისტემის „რეფორმირება“ რესპუბლიკურ ღირებულებათა სულისკვებით...**

80-იან წლებში რეიგანმა აგრესტო ჰუმანიტარული მეცნიერებებისთვის შემოწირულობების ეროვნულ ფონდში (NEH) დანიშნა, სადაც იგი თავის მოძღვართან — ბილ ბენეტისთან ერთად მუშაობდა მემარცხენეთა ფინანსური განიარაღების მასშტაბურ პროექტზე. შემდეგ იგი წამოაყენეს ამ ფონდის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობაზე, რომელსაც, წესის თანახმად, კონგრესი ამტკიცებს. აი, სწორედ აქ კაპიტალურად შეარცხვინეს აგრესტო. ამერიკელ მკვლევართა ასოციაციამ იგი მწარედ გააკრიტიკა როგორც „უფერული და პოლიტგანაწყენებული“. ათზე მეტმა სამეცნიერო ორგანიზაციამ კი გაავრცელა განცხადება, რომლითაც დაგმო მისი „აშკარა ფანატიკოსის რეპუტაცია“. ბევრი შეკითხვა დაბადა იმანაც, რომ აგრესტოს მხარდამჭერს აღმოაჩნდა მისი პირადი მითითებით გაცემული სოლიდური გრანტი. ამ ყველაფრის შემდეგ მისი კანდიდატურა მოხსნეს.

ასეთი დამცირება აგრესტოს მთელი კარიერის მანძილზე თან სდევდა... ხოლო, **როცა ბოროტებამ და ბიუჯეტის ფულმა აღმოაცენა ამერიკული უნივერსიტეტი ჩრდილოეთ ერაყის ქურთულ ოლქში, რექტორად აგრესტო დადგა. რატომ მაინც და მაინც ეს მშვიდი ქალაქი აირჩია? იმიტომ, რომ სულეიმანიას სეპარატიზმისა და ანტიარაბული წინააღმდეგობის რეპუტაცია ჰქონდა მოპოვებული. თვით სადამი აღიარებდა, რომ „გველის თავი სულეიმანიაშია“.**

**სულეიმანიაში ახალ კადრებთან ერთად 2009 წლის სექტემბერში ჩავედი. თავიდან საკმაოდ შეშინებულები ვიყავით, მაგრამ მალე გავარკვიეთ, რომ აქ ტერორისტები კი არა, ჯიბის ქურდებიც არ არიან. ქურთ მოხალისეთა ლაშქრის პეშმერგის მებრძოლები უზრუნველყოფენ წესრიგსა და უსაფრთხოებას. ქურთები ზრდილნი და საკმაოდ ფლეგმატურნი არიან. მალე გავარკვიეთ, რომ ყველაზე დიდი საფრთხე ქუჩაზე გადასვლისას გველოდა. ნებისმიერი ადამიანი, ვინაც სულიში მცირე წარმატებას მაინც მიაღწევს, დაუყოვნებლივ ყიდულობს ჯიპებს — Kia Sportage ან Toyota Landcruisr, მანქანის ტარება კი არავინ იცის.**

უცხოელებს არავინ ერჩის, ყოველ შემთხვევაში, მე მსგავსი არაფერი გამიგია.

ერთხელ უნივერსიტეტელ კოლეგა ქალს ვკითხე — უპატივცემულობა ხომ არ უგრძვნია სტუდენტების მხრიდან. მან ისე შემომხედა, როგორც გიჟებს უყურებენ ხოლმე: „არა, რასაკვირველია! პრობლემებს სტუდენტები კი არ გვიქმნიან, არამედ ის გაბღენძილები, რომლებიც მთავარ შენობაში სხედან“.

მთავარი შენობა ამაყად აღმართულიყო საუნივერსიტეტო ქალაქის შუაგულში. ქალაქი ორ ნაწილად იყო გაყოფილი, როგორც ომამდელი პლანტაცია: ცენტრში ბეტონის კარ-მიდამო, გარშემო — მომსახურეთა ქოხები. ქოხების როლს ასრულებდა უგემოვნო, პატარა, ბლოკის სახლები, რომლებიც თეთრი ფურცლოვანი ფოლადით იყო შეკრული, რომლებიც გაგანია მზეში არნახულად ხურდებოდა. ამ სახლებში მიმდინარეობდა მეცადინეობა, აქვე იყო მასწავლებლების კაბინეტები, ხოლო მთავარ შენობაში, რომელიც ქვით იყო ნაგები და გადაწყვეტილი იყო პომპეზურ საბჭოთა სტილში, ადმინისტრაციის უამრავი ოფისი იყო განთავსებული.

ჩასვლის მეორე დღეს წაგვიყვანეს კამპუსში და გაგვანაწილეს ყბადაღებულ თეთრ სახლებში. იქვე გაირკვა, რომ ეს პატარა სახლები თითქმის ისეთივე მამალი ტყუილია, როგორც მითიური აკადემქალაქი უნივერსიტეტის საიტზე. ისინი ისე დაუდევრად იყო აგებული, რომ ჩემი იქ ცხოვრების პერიოდში თითქმის ყველა სახლის კარს სახელურები მოძვრა. ჩემი კარის გასაღები კი უდროო დროს შემრჩა ხელში, როცა დილით მოსწავლეების ნაწერების შემოწმების პროცესში ბევრი ყავა დავლიე და ჩემმა გადავსებულმა შარდის ბუშტმა დაჟინებით მომთხოვა გათავისუფლება. გარეთ გასვლა რომ დავაპირე, სწორედ მაშინ მოძვრა კარს სახელური, რომელსაც, როგორც სუვენირს, მას შემდეგ თან დავატარებ.

**რექტორის ყველა განცხადება ისეთივე ყალბი, იდიოტური სულით იყო გაჟღენთილი და ისეთივე ტრაბახი იყო, როგორც ამერიკელების ყველა წამოწყება ერაყში.**

უნივერსიტეტის მიერ აღებული ვალდებულებები სასაცილო იყო: **ჩვენ უნდა გარდაგვექმნა ერაყული კულტურა, აღგვეზარდა მისი მომავალი ლიდერები ახალი, დემოკრატიული იდეალების სულისკვეთებით. უნივერსიტეტში ორასამდე სტუდენტი თუ სწავლობდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, როგორ უნდა გარდაექმნა ამ მცირერიცხოვან ჯგუფს მთელი ქვეყანა, რომლის მოსახლეობა 26 მილიონს აღემატებოდა.**

ლექციების კითხვა რომ დავიწყე, აშკარა გახდა, რომ სტუდენტები აბსოლუტურად მზად არ არიან, აღიქვან საუნივერსიტეტო დონის ინგლისურენოვანი მასალა. მე რომ ისე შემეფასებინა სტუდენტების ცოდნა, როგორც ამერიკულ უნივერსიტეტში, პირველივე სესიის შემდეგ მათი ორი მესამედი გავარდებოდა უმაღლესი სასწავლებლიდან. უფრო მყარი მორალური პრინციპების მქონე მასწავლებელი, ალბათ, გამოიჩენდა პრინციპულობას. მე კი ძალიან მომწონდა ასდოლარიანი კუპიურები და ამიტომ უხვად ვწერდი სამიანებს და ოთხიანებს მინუსით.

**ჩვენ ვერავინ გვიწოდებდა მეცნიერების შუქურებს. უნივერსიტეტში იყვნენ ღირსეული მასწავლებლებიც, არ დავასახელებ ვინ, რადგან ჩემგან შექებულებს ავტომატურად დაითხოვენ. ისინი მხოლოდ იმიტომ გადარჩნენ, რომ არსად ეჩრებოდნენ და თავისთვის იყვნენ გაყუჩებულები.**

ყველა ხელმძღვანელი თანამდებობა ეკავა მყვირალა შტერებს და მემარჯვენე კონსერვატორებს მიყრუებული პერიფერიებიდან. გარკვეული აზრით, უნივერსიტეტი მთელი ამერიკული პოლიტიკური სისტემის ჭრილად წარმოდგებოდა, იმ სისტემისა, რომელმაც შვა იგი: **ყველაზე ღირსეულთ კატასტროფულად აკლდა სულის სიმტკიცე, უარესები კი ხვეტდნენ ფულს და სისულელეებს ლაყბობდნენ.**

## წარმატებული პროფესორები — უდიპლომო ნაძირალები სოფლის შტატებიდან

**უნივერსიტეტში წარმატების მოსაპოვებლად საჭირო იყო, მისადაგებოდი მარტივ და მკაფიო ფორმულას: უნდა ყოფილიყავი თეთრკანიანი მამაკაცი სამხრეთ შტატებიდან, რესპუბლიკური პარტიის წევრი და ვირტუოზულად უნდა გქონოდა ათვისებული უფროსების უკანალის ლოკვის ტექნიკა. სამეცნიერო წოდება და ხარისხი, ისევე, როგორც უნივერსიტეტში მასწავლებლობის გამოცდილება, სავალდებულო არ იყო. ზოგიერთი პედაგოგი იმდენად უნიჭო იყო, რომ ამას სტუდენტებიც ამჩნევდნენ.**

ამერიკის ისტორიის მასწავლებლად აგრესტომ ქრესტომატიული ეკზემპლარი დანიშნა, რომელშიც თავმოყრილი იყო ჩვენი უნივერსიტეტის ყველა ნაკლი. მეცნიერული ობიექტურობისადმი მისი მხრიდან **თავისებური მიდგომის პირველი ნიშანი სახელმძღვანელოს შერჩევა იყო: საშინელი პასკვილი სახელწოდებით „ამერიკა: მსოფლიოს უკანასკნელი იმედი“, რომლის ავტორია უილიამ ბენეტი. დიახ, დიახ, ის უილიამ ბენეტი, რომელიც რეიგანის დროს განათლების მინისტრი იყო.** ეს გაბერილი ჩერჩეტი წლების განმავლობაში ლაყბობდა მაღალი ზნეობის შესახებ, სანამ ბანქოს თამაშის დროს დაგროვილმა ვალებმა მისი გაბღენძილობა არ გადაწონა.

წიგნის სახელწოდება იდეალურად წარმოაჩენს მის არსს: ამერიკა ბუკვალურად და ცალსახად არის კაცობრიობის ერთადერთი იმედი. წყალსაც წაუღია ჩინეთი ან ბირმა, ან ეკვადორი, მსოფლიოს ყველა ქვეყანა, მომავალი ჩვენია, ჩვენ ვართ ალფა და ომეგა. კლასიკური რეაქციული თეზისია: **„ვერ წარმომიდგენია, რომ არსებობს ქვეყანა, რომელიც სიდიადით შეედრება ამერიკას, მაშასადამე, ასეთი ქვეყანა არც შეიძლება არსებობდეს“.**

სტუდენტები ამ წიგნს შესვენების დროს ზოგ- ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ ჯერ თავიანთ მერხებზე ტოვებენ. ერთხელ ავიღე და გადავფურცლე. რა თქმა უნდა, ვეჭვობდი, რომ იგი საშინელია, მაგრამ ის, რაც იქ ვნახე, ვერ წარმომედგინა... ბენეტი ცრემლებს მოადენდა იმპერიალიზმის ყველაზე თავგადაკლულ აპოლოგეტსაც კი... ბენეტი, ვისაც ძლივს შეუძლია სიტყვები წინადადებად დაალაგოს და ცხოვრებაში არასოდეს უწარმოებია სერიოზული მეცნიერული კვლევა, არცხვენს ამ ბანდის ყველაზე უნამუსო წარმომადგენლებსაც კი.

ერთმა სტუდენტმა, დამოუკიდებლობისთვის გამოჩენილი მებრძოლების ვაჟმა, რომელსაც გულწრფელად სჯეროდა ინტელექტუალური თავისუფლების, გაბედა და იჩივლა ასეთი სახელმძღვანელოს შერჩევის გამო. მასწავლებელმა უპასუხა: **„საერთოდ ეს უნივერსიტეტი კონსერვატულია და ჩემი ამოცანაა, გაგაცნოთ შესაბამისი თვალსაზრისი“.** პატიოსანი პასუხი კი ასეთი იქნებოდა: **„მისმინე, ბიჭო, მე სამუშაოზე მომაწყო ჯონ აგრესტომ, უილიამ ბენეტის დიდმა მეგობარმა, და ჩემი დიდი ხელფასი დამოკიდებულია იმაზე, რამდენ ასეთ სისულელეს ჩაგტენით თავში“.** ახლაც მახსოვს, როგორი ზიზღით დაემანჭა სახე სტუდენტს, რომელიც ამ ამბავს მომიყვა...

ბენეტის თვეში თხუთმეტ ათას დოლარს უხდიდნენ. სამეცნიერო სტატუსი საერთოდ არ გააჩნდა. არც სწავლების გამოცდილება ჰქონდა, არც პუბლიკაციები — სამეცნიერო გამოცემებში. იგი სამხრეთის მემარჯვენე ელიტის ყველაზე უფრო მდიდარ და კორუმპირებულ პოლიტიკოსებთან დაკავშირებული ლობისტი იყო, ახლო ურთიერთობა ჰქონდა სენატორ საქსბი შამბლისთან, რომელიც სენატში 2002 წელს აირჩიეს იმ ფურცლების წყალობით, რომლებზეც მისი წინამორბედი მაქს კლელანდი იყო გამოსახული ოსამა ბენ ლადენის ფოტოსურათების გვერდით. ჯონ მაკეინმაც კი დაგმო ფოტოშოპის ეს ნაყალბევი. ამას გარდა: კლელანდმა, რომლის პატრიოტიზმის შამბლისს არ სჯეროდა, კიდურები დაკარგა ვიეტნამში ბრძოლის დროს. საქსბი შამბლისმა კი შეძლო სამხედრო სამსახურისთვის თავი აერიდებინა მუხლის ტკივილის მომიზეზებით, რომელიც დაუყოვნებლივ მოურჩა, როგორც კი საქსბიმ გასაწვევ ასაკს გადააბიჯა.

პირველი შეკრება განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა: **ინგლისური ენის ერთ-ერთ მასწავლებელს ორმა ადგილობრივმა ჯერ მანქანით მიყვანა შესთავაზეს, შემდეგ გააუპატიურეს. ეს ამბავი მხოლოდ ჭორად გავიგეთ. მთავარ შენობაში ამაზე არაფერს ამბობდნენ.** მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მიტჩელმა რაღაც „ინციდენტი“ ახსენა. ამ შემთხვევის გამო მოწვეულ კრებაზე გავეცანით მიტჩელისეულ მოხსენებას კრიტიკული სიტუაციის შესახებ: გაჭიანურებული, უაღრესად არეული და მრავალსიტყვიანი ლაყბობა, რომლითაც ორატორი ცდილობდა, შეერბილებინა სამწუხარო ამბავი. **მაშინ მტკიცედ შევისისხლხორცეთ, რომ, რაც გინდა მოხდეს, ყველაფერში ჩვენ თვითონ ვიქნებით დამნაშავენი.**

მიტჩელის გაურკვეველმა ბრალდებამ ვერ დააკმაყოფილა დენიზ ნატალი, დეკანი სტუდენტურ საკითხებში. იგი წამოხტა და აწიკვინდა, რომ დამნაშავეა ქალი, რომელსაც მოკლესახელოებიანი კაბა ეცვა! მაგრამ იგი ცრუობდა. სიცრუე იყო მისი უსაფუძვლო ბრალდებაც, რომ უნივერსიტეტში ნახევრად შიშველი ქალები დადიან.

წიკვინა ხმით განცხადებულ ამ სისულელეს შეკრებილნი სერიოზულად ისმენდნენ.

ინციდენტის შესახებ პრაქტიკულად ვერაფერი გავიგეთ, სანამ ჩვენი უსაფრთხოების უფროსმა, ქურთმა, რამდენიმე კვირის შემდეგ მომხდარში არ გაგვარკვია. იგი ისე იქცეოდა, როგორც, მისი აზრით, უნდა მოიქცნენ ამერიკელები: მშვიდად, ზრდილობიანად, დაუძაბავად. როცა მას სთხოვეს, განემარტა, როგორ მოხდა გაუპატიურება, მან გვიპასუხა მშვიდად და გასაგებად: **„ქურთმა ახალგაზრდებმა სმა არ იციან. თქვენს ადგილზე არ წავიდოდი იქ, სადაც ახალგაზრდა ქურთები სვამენ“.** როგორც ყოველთვის, ქურთებმა სრულიად უარყვეს ყველა შეხედულება მათზე, რის შთაგონებასაც ჩვენთვის ცდილობდნენ კონსერვატორი უფროსები. **ქურთები უკეთესი ამერიკელები აღმოჩნდნენ, ვიდრე ამ შესანიშნავი ხალხის წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობდნენ, ეხელმძღვანელათ უნივერსიტეტისთვის.**

### ნაწილი მეორე

## მკვლელობის დიდი საშიშროება

განსაკუთრებით ნათლად გამოიკვეთა ეს, როცა ჩვენმა წიკვინა დეკანმა სტუდენტურ საკითხებში, დენიზ ნატალიმ მუქარის წერილი მიიღო.

ყველაფერი ტიპური მოუქნელი დირექტივით დაიწყო, რომელიც მთავარმა შენობამ გამოსცა. მასწავლებლებს ევალებოდათ, ყოველდღიურად მოეხსენებინათ ყველა გაცდენის შესახებ. თუ სტუდენტი ორ მეცადინეობას გააცდენდა, ეს უნდა შეგვეტყობინებინა ნატალისთვის, თუ ოთხჯერ გააცდენდა, სტუდენტს რიცხავდნენ. არავითარ განმარტებას მხედველობაში არ მიიღებდნენ, სტუდენტს სერიოზული ოპერაციაც რომ გადაეტანა...

**შუა სემესტრისთვის ნატალიმ რამდენიმე სტუდენტის გარიცხვა მოასწრო. სწავლების საფასური ფრიად დიდი იყო, ამიტომ ყველა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელი წვრილშუბლების გარდა, გრძნობდა, რა უსიამოვნებებიც გველოდა. მაგრამ როგორც მათ უფროსობას, რომელიც ერაყში შეჭრას ხელმძღვანელობდა, უნივერსიტეტის ბოსებსაც ვერ წარმოედგინათ, რომ ნორმალური ადამიანური რეაქციის მოწმენი გახდებოდნენ. როცა საპასუხო აგრესიამაც არ დააყოვნა, მათ ისე შეეშინდათ და იმდენი სიმდაბლე გამოამჟღავნეს, როგორ ამპარტავნობასა და უგულობასაც ამჟღავნებდნენ სტუდენტების მიმართ.**

ვიღაცას, ჩანს, არ მოეწონა საყვედური თუ გარიცხვა და ნატალის კარს მიაკრა მუქარის ბარათი.

როგორც ყოველთვის, რექტორ მიტჩელის რეაქციას რამდენიმე დღეს ველოდით. და, როგორც ყოველთვის, მოგვიწევდა პომპეზურ კრებაზე დასწრება, გაჭიანურებული სიტყვის მოსმენა და ნაკლებგასაგები სამსახურებრივი ბარათის წაკითხვა.

ეს სამსახურებრივი ბარათი



სულეიმანიის უნივერსიტეტის სტუდენტები

ქურთები უკეთესი ამერიკელები აღმოჩნდნენ, ვიდრე ამ შესანიშნავი ხალხის წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობდნენ, ეხელმძღვანელათ უნივერსიტეტისთვის.

ისტორიის კუთვნილება გახდა, იმდენად შეურაცხმყოფელი და სასაცილო აღმოჩნდა. ფაკულტეტის ყველაზე ჩუმი და დათრგუნული თანამშრომლების მოთმინების ფიალაც კი აივსო. წერილ-დირექტივაში აშკარად ჩანდა — **განსხვავებული აზროვნება დასჯადია! აგრესტომ და მიტჩელმა უკვე მოასწრეს ამის გამო გაეყარათ ეკონომიკის ფაკულტეტის თითქმის მთელი შემადგენლობა.**

მიტჩელს ეგონა, რომ მისი მრისხანე მიმართვის შემდეგ, სტუდენტები, ვინაც დასავლური ცივილიზაციის დიად ღირებულებებს ეუფლებიან, პატიებას მოითხოვენ და რექტორატის კარის ზღურბლთან დამნაშავის თავს სინით დადგამდნენ.

მსგავსი არაფერი მომხდარა.

**მიტჩელი და აგრესტო თავიანთ ჩავარდნას ზუსტად ისე მოეკიდნენ, როგორც ბუში და ჩეინი ერაყის წინააღმდეგობას: თავიდან მხოლოდ და მხოლოდ ცრუობდნენ, საქმე წინ მიიწევსო.**

**რამდენიმე კვირის შემდეგ ნატალი დაუბრუნდა სამუშაოს. გათვალა, რომ უმჯობესი იყო, გაეგრძელებინა ფულის შოვნა უაღრესად უმნიშვნელო რისკის პირობებში და არ დაბრუნებულიყო ამერიკაში — დედამიწაზე ყველაზე კოშმარულ ქვეყანაში უმუშევარი და უფულო ადამიანებისთვის.**

ასეთივე გადაწყვეტილების მიღების წინაშე დავდექი მეც, რადგან დადგა 2010 წლის გაზაფხული და, მიუხედავად იმისა, რომ ყველა თანამშრომელს გაუგრძელეს ხელშეკრულებები, მე არავინ არაფერს მეუბნებოდა. ეს ცუდი ნიშანი იყო.

თითქოს კარგად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას, მაგრამ რატომღაც გვერდს მივლიდნენ. ამიტომ შევხვდი აგრესტოს და ვთხოვე, კიდევ ორი წლით გაეხანგრძლივებინათ ჩემთან დადებული ხელშეკრულება. მისმა პასუხმა სულის სიღრმემდე შემძრა: **„თქვენ ხომ ჩემთან არასოდეს გისადილიათ“.**

არ მისადილია კი იმიტომ, რომ გულის რევის საშინელმა სენმა დამრია ხელი. ღებინების შეტევა დილის ხუთ საათზე მეწყებოდა და მთელ სასწავლო დღეს გრძელდებოდა. ჩემი სტუდენტები შეეჩვივნენ, რომ ხშირად და სასწრაფოდ გავრბოდი აუდიტორიიდან, ვცდილობდი, ადმინისტრაციისთვის ეს ჩემი სისუსტე დამემალა.

ვერ გავიგე, რა მჭირდა, რადგან უნივერსიტეტში ექიმი არ გვყავდა (თუმცა გვპირდებოდნენ, რომ იქნებოდა). უფრო მეტიც, მთელ ქალაქში არ იყო მეტ-ნაკლებად ნორმალური ექიმი. **როცა ჩემს მეგობარ ქურთს ვკითხე, სად შეიძლებოდა ექიმის პოვნა, მან მიპასუხა: „ქურთები ექიმთან არ დადიან. საავადმყოფოში მივდივართ იმიტომ, რომ მოვკვდეთ“.**

**სიკვდილზე უფრო სიღარიბის მეშინოდა, ამიტომ ტიტანური ძალისხმევით ვაიძულე ჩემი თავი, ვმჯდარიყავი აგრესტოსთან ერთად და თან გაღიმებული ვყოფილიყავი.** აგრესტოს ჩემი ხალისიანი განწყობილება მოეწონა და გამოთქვა სურვილი ერთ-ერთ ლექციაზე დამსწრებოდა. ითქვა და გაკეთდა. და აი, ბოლოს და ბოლოს, პორტფელში მიდევს ორწლიანი კონტრაქტი, რომელიც ასე მჭირდებოდა. ამას კი მივაღწიე აგრესტოსთვის თავის მოქონვით, როცა სადილის დროს ცოტა შევაქე.

მაშინ ფიქრადაც ვერ გავივლებდი, რომ ისინი იმდენად შტერები და ზარმაცები აღმოჩნდებოდნენ, თავს არ შეიწუხებდნენ ჩემი, იუმორისტი მწერლის, ტექსტების მოძებნით ინტერნეტში. ამასთან დაკავშირებით **გამახსენდა ირლანდიის წინააღმდეგობის მებრძოლის — მაიკლ კოლინზის ისტორია. სანამ კოლინზი იატაკქვეშეთში იჯდა და პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებდა ბრიტანელების წინააღმდეგ, მისი ნათესავი ბრიტანული ადმინისტრაციის ჩინოვნიკთან მდივნად მოეწყო. ეს რომ შეიტყო გაკვირვებულმა კოლინზმა შენიშნა: „როგორ შეძლეს ამ ადამიანებმა ასეთი იმპერიის აშენება?!“**

ჩემს შემთხვევაში შეკითხვა სხვანაირად უნდა დაისვას: **„როგორ მოახერხეს ამ ამერიკელებმა ასე სწრაფად გაენიავებინათ იმპერია?!“**

პასუხი უკიდურესად მარტივია: **სიზარმაცითა და უგნურებით. პოტენციური მოკავშირეები მტრებად აქციეს.**

ყველაფერი — როგორც ყოველთვის!

გაირკვა, რომ მათ ჩემი გვარ-სახელი გუგლში არც მოუძებნიათ, ჩემი რეზიუმეც კი არ წაუკითხავთ. წარმოდგენა არ ჰქონდათ, ვინ ვარ და რას ვწერ, და როცა გაიგეს, უაღრესად პრიმიტიულად და, როგორც მოსალოდნელი იყო, ისე მოიქცნენ.

## ჩემი გამგზავრება

და აი, 2010 წლის ივლისში ვილაც ენატანიამ ჯონ აგრესტოს მიუთითა ჩემს სტატიაზე, რომელიც 2005 წელს ერაყის ომზე დავწერე. აგრესტომ დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება. ერთ მშვენიერ დღეს, როცა სიეტლში არდადეგებზე ვიყავი ჩასული, წავიკითხე მისი გამოგზავნილი წერილი:

**„ძვირფასო ჯონ დოლან. ჩვენ გაგვიჩნდა პრობლემა, რომელიც ახლახან გახდა ჩვენი ყურადღების საგანი... სტატია, რომელიც თქვენი გვარითაა ხელმოწერილი, რის გამოც თქვენ პროტესტი არ გამოგითქვამთ, დავრწმუნდით, რომ მართლაც თქვენი დაწერილია. მისი უდიერი ტონი და რასისტული განცხადებები, ისევე, როგორც თქვენს სხვა წერილებში, უკიდურეს ზიზღს იწვევს. უფრო მეტიც, ისინი პირდაპირი და შეგნებული შეურაცხყოფაა ყველა იმ ღირებულებისა, რომლებსაც ჩვენი უნივერსიტეტი ეყრდნობა... მისი მსგავსი ერაყში რომ გამოქვეყნებულიყო, თქვენს, ისევე, როგორც ჩვენს სიცოცხლეს, და უნივერსიტეტის არსებობას სერიოზული საფრთხე დაემუქრებოდა.**

**ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ამ შემთხვევაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება: 1) გთხოვთ, დაწეროთ განცხადება საკუთარი სურვილით წასვლის შესახებ და 2) გადაგიხადოთ სრულად ანაზღაურება მიმდინარე ხელშეკრულების ვადის გასვლამდე და გავაუქმოთ მომდევნო...**

**ჯონ აგრესტო,**
**პრორექტორი“.**

სტატია, რომელზეც ის მიუთითებდა, ახალ თანამდებობაზე ჩემს დანიშვნამდე, 2005 წელს, გამოქვეყნდა და მითითებული იყო ჩემს რეზიუმეში... წერილით მაფრთხილებდნენ თუ მემუქრებოდნენ, რომ სულეიმანიაში დაბრუნების შემთხვევაში მომკლავდნენ. ჩემი სტატია მკაცრი სატირაა, რომელშიც ბუშის ქორებს ვადარებდი ზომბებს დენის ბოილის ფილმიდან „28 კვირის შემდეგ“. არა მგონია, მას შეურაცხეყო თუნდაც ერთი ქურთი. ზომბებს ვადარებდი თეთრკანიანებს, ამერიკელებს. **ერთადერთი, ვისაც ჩემი მოკვლა სურდა, სწორედ ჯონ აგრესტო და მისი მეგობარი ნეოკონები იყვნენ. ასე რომ, სრული უფლება მქონდა, დამესკვნა, რომ, თუ დავბრუნდებოდი, ისინი მომკლავდნენ.**

აგრესტოს ბრალდებების სერიოზულად აღქმაც კი შეუძლებელია. ერთადერთი „რასიზმი“, რისი უფლებაც ჩემს თავს მივეცი, შემდეგი სენტენცია იყო: **აფროამერიკელები, რომლებმაც გააპროტესტეს ერაყთან ომი, ერთადერთი ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანები აღმოჩნდნენ ქვეყანაში, დანარჩენი ამერიკელები კი „ბოთლების ერია“.** თუ სწორად მესმის რასიზმის განმარტება, მე, როგორც თეთრკანიან ამერიკელს, უფლება მაქვს, უდიერად მოვიხსენიო დანარჩენი თეთრკანიანი ამერიკელები და ამის გამო, რასიზმში ბრალს ვერ დამდებენ.

აგრესტო გარკვეულად ცნობილი გახდა 90-იანი წლების შუა ხანს მემარჯვენე კონსერვატორულ წრეებში. იცით, რატომ და როგორ? ვერ გამოიცნობთ: სახელი მოიხვეჭა იმით, რომ გამოდიოდა პოლიტკორექტულობის დასაცავად ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში! **თუ გიტაცებთ ფარისევლობის დიადი მაგალითების შესწავლა, აუცილებლად წაიკითხეთ აგრესტოს წერილი „პოლიტიკურად კორექტული უნივერსიტეტების რეფორმა ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან უნდა დაიწყოთ“.** ამ გაბედულ ტრაქტატში აგრესტო ამტკიცებს, რომ ამერიკის უნივერსიტეტებში ინტელექტუალური თავისუფლებისკენ დაბრუნების გასაღები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა იდეოლოგიურ მრავალფეროვნებაში დევს.

ძნელი სათქმელია, რამ გაიმარჯვა ამ კაცში — სისულელემ თუ ღვარძლმა, თუ საერთოდ შეიძლება მათი განცალკევება.

**მე შესანიშნავად მესმის, რომ ჩემი მონაწილეობა ამ სამარცხვინო პროექტში მკითხველის მოწონებას ვერ დაიმსახურებს. დიდ ფულს გამოვეკიდე, მაგრამ ყალთაბანდებმა გამომაგდეს.** ეს არ არის იდეოლოგიური მარტვილობის ისტორია. ლექი, რა თქმა უნდა, დარჩა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქვემძრომები კვლავ დიდ ფულს იჯიბავენ, მე კი — ველარ.

გულახდილად ვაცხადებ, ვერა და ვერ გამირკვევია, რატომ და როგორ მოხდა ეს ყველაფერი. თუმცა ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: როგორც კი მორიგი მემარჯვენე შტერი დაიწყებს ლაყბობას „პოლიტკორექტულ ლიბერალებზე“ ან „მემარჯვენე ცენზურაზე“, პირდაპირ სიფათში მივაფურთხებ.

**ჯონ დოლანი,**

**The Exiled, აშშ,**
**2010 წლის 16 ოქტომბერი**

**მოამზადა**
**არმაზ სანებლიძემ**

**იბეჭდება უმნიშვნელო შემცირებით.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## უკრაინა იარაღს აღარ მოგვყიდის



**უკრაინა საქართველოსთვის შეირაღების მიყიდვის განახლებას არ გეგმავს, — ამის შესახებ უკრაინის პირველმა ვიცე-პრემიერმა ანდრეი კლიუევმა განაცხადა.** უკრაინული „MIGnews“-ის ცნობით, ჟურნალისტის კითხვაზე, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს ინფორმაცია საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობის განახლების შესახებ, კლიუევმა უპასუხა: **„ჩვენ ყველასთან ვმეგობრობთ, მაგრამ, რაც შეეხება საქართველოსთვის შეირაღების მიყიდვას, მე ამის შესახებ პირველად მესმის. ვფიქრობ, ეს დეზინფორმაციაა“.**

## აზერბაიჯანი ტანკების მოდერნიზაციას ახდენს



**აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრომ ისრაელის კომპანია „Elbit Systems“-თან დადო კონტრაქტი, რომელიც აზერბაიჯანის არმიის შეირაღებაზე არსებული „T-72“-ების მოდერნიზაციას ითვალისწინებს.** ამასთანავე, „APA“-ს ცნობით, აზერბაიჯანი უცხოურ კომპანიებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს ძველი ტანკების („T-54“ და „T-55“) ბაზაზე საინჟინრო ტექნიკის შექმნის შესახებ. 2009 წლის მონაცემებით, აზერბაიჯანის სატანკო პარკში წარმოდგენილი იყო 182 „T-72“, 100 „T-54“ და „T-55“, ასამდე „T-62“ და „T-64“ და 15 „T-80У“.

## დიდი ბრიტანეთი ავიამზიდებს ემშვიდობება



**ბრიტანეთის მთავრობა აპირებს, ფლოტის შემადგენლობიდან გაიყვანოს მისი ფლაგმანი, ავიამზიდი „Ark Royal“-ი.** ადრე ამის გაკეთება 2014 წლისათვის იგეგმებოდა, თუმცა თავდაცვითი ხარჯების მასშტაბური შემცირების გამო მას, „BBC“-ის ცნობით, „საბრძოლო მორიგეობიდან თითქმის დაუყოვნებლივ მოხსნიან“. კიდევ ერთი ავიამზიდი „Illustrious“ რემონტშია და მისი შემდგომი ბედი გაურკვეველია. ეკონომიკური კრიზისის გამო ეჭვქვეშ შეიძლება დადგეს ახალი ავიამზდების — „Queen Elizabeth“-ის და „Prince of Wales“-ის აგების პროგრამაც.

## „Horus“-ი: საინტერესო სიახლე ტანკისტებისთვის



**იტალიურმა კომპანიამ „OtoMelara“ შექმნა უპილოტო საფრენი აპარატი „Horus“-ი, რომლის გაშვება ტანკის ლულიდანაა შესაძლებელი.** ერთჯერადი საფრენი აპარატი 1,3 კილოგრამს იწონის, მისი სიგრძე 98 სანტიმეტრია, საკრეისერო სიჩქარე — 6 მ/წ, მაქსიმალური — 30 მ/წ, პატრულირების ხანგრძლივობა — 30 წუთი. კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, „Horus“-ი სატანკო ქვედანაყოფის მეთაურს სადაზვერვო ინფორმაციის დამოუკიდებელი წყაროს ოპერატიული გამოყენების შესაძლებლობას მისცემს, — წერს „International Defence Review“-ი.

# ინგლისელები და ფრანგები ბათუმის დაბომბვას აპირებდნენ

**1940 წლის 5 აპრილს, 11 საათსა და 15 წუთზე, სოფელ სარფის თავზე თურქეთის მხრიდან შემოფრენილი თვითმფრინავი შეამჩნიეს. 7 წუთის შემდეგ ბათუმის გარეუბანში განლაგებულმა საზენიტო ბატარეამ მას ცეცხლი გაუხსნა. თვითმფრინავმა კურსი შეცვალა და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მიმართულებით გაფრინდა. იქ მას ხელმეორედ გაუხსნეს ცეცხლი, თუმცა მფრინავმა, ბრიტანეთის საჰაერო ძალების ერთ-ერთმა საუკეთესო პილოტმა სიდნეი კოტონმა, ამ შემთხვევაშიც მოხდენილი მანევრით მოახერხა ხიფათის არიდება და თურქეთისკენ გაფრინდა.**



თვითმფრინავი „Lockheed 14 Super Electra“ ერაყში, ჰაბანიის აეროდრომზე დაზიანებების გარეშე დაბრუნდა, ზედიზედ მეორე სახიფათო მისიის შემდეგ, პირველი გაფრენა 30 მარტს ბაქოს მიმართულებით განხორციელდა. ოთხკაციანი ბრიტანული ეკიპაჟის ამოცანას კავკასიის სანავთობო ინფასტრუქტურის აეროფოტოდაზვერვა წარმოადგენდა. ეს აუცილებელი წინაპირობა იყო იმ საჰაერო დარტყმების განსახორციელებლად, რომელთაც ბრიტანეთისა და საფრანგეთის გენერალური შტაბები გეგმავდნენ.

მოკავშირეების ამ გეგმას ხშირად საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ომში ჩარევის მცდელობას უკავშირებენ, რაც არასწორია. ოპერაციის მომზადება ამ ომზე გაცილებით ადრე დაიწყო და მისი დასრულების შემდეგაც გაგრძელდა. საქმე ისაა, რომ **ლონდონსა და პარიზში საბჭოთა კავშირს გერმანიის პოტენციურ მოკავშირედ, მისთვის ნავთობპროდუქტების შესაძლო მიმწოდებლად აღიქვამდნენ. კავკასიაში კი მაშინ იწარმოებოდა საბჭოთა საავიაციო ნავთის 80%, ლიგროინისა და ნავთის 90%, სამანქანო ზეთების 96%.**

საკითხის განხილვა ბრიტანეთისა და საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში 1939 წლის შემოდგომაზე მიმდინარეობდა, წლის ბოლოს შტაბები ოპერაციის დაგეგმვას შეუდგნენ.

1940 წლის 22 თებერვალს გენერალმა მორის გამელენმა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ ედუარდ დალადიეს გაუგზავნა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც წარმოდგენილი იყო ოპერაციის ზოგადი მონახაზი. იერიშების მიტანა ბაქოსა და ბათუმზე იგეგმებოდა, რადგან გროზნოსა და მაიკოპს მოკავშირეთა ავიაცია ვერ სწვდებოდა; ამისთვის, გამელენის აზრით, საჭირო გახდებოდა 6-8 ავიაჯგუფის გამოყენება (თითოეულში 13 მძიმე ბომბდამშენი).

**28 თებერვალს შესაბამისი გეგმა საფრანგეთის საჰაერო ძალების შტაბმა წარმოადგინა, სადაც ბაქოსა და ბათუმის გარდა, ფოთიც იყო მოხსენიებული.** საბოლოო ჯამში შეიქმნა ორი, თითქმის იდენტური გეგმა ბრიტანული „სთ-6“ **და ფრანგული „RIP“: კავკასიის წინააღმდეგ 90-100 თვითმფრინავს უნდა ემოქმედა, 9 ავიაჯგუფიდან ხუთში ამერიკული წარმოების ბომბდამშენების „GLEN MARTIN 167“, ხოლო ოთხში ბრიტანული „BLENHEIM MK-4“-ების გაერთიანება იგეგმებოდა.** ბაქოს სანავთობო ინფრასტრუქტურის განადგურებას 15 დღე ეთმობოდა, გროზნოს — 12 დღე, ბათუმს — დღე-ნახევარი. ამავე დროს, ბრიტანეთის საგარეო უწყების დოკუმენტების თანახმად, რომლებიც 1971 წელს გამოქვეყნდა, იგეგმებოდა მოკავშირეთა ესკადრის რეიდი შავ ზღვაში (2 ლინკორი, რამდენიმე კრეისერი, საესკადრო ნაღმოსნების ორი ფლოტილია, სუბმარინები).

მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ბრიტანული ბომბდამშენები „Blenheim MK-4“ ამ მომენტისთვის უაღესად საჭირო იყო ბრიტანეთში, ვერმახტის სავარაუდო ოპერაციების მოსაგერიებლად, ძველი მოდიფიკაციის „Blenheim“-ები კი (შესაძლებლობების ზღვარზე) ერაყიდან მხოლოდ ბაქომდე თუ მიაღწევდა. რაც შეეხება „Glen Martin 167“-ებს, რომელთა გამოყენებას ფრანგები აპირებდნენ, სირიიდან მხოლოდ ბათუმს ▶

# «Ocelot»-ი ავღანეთში მიემგზავრება

**როდესაც ავღანეთში მიმდინარე ბრძოლებს თვალს ვადევნებთ, ვხედავთ, რომ კოალიციის ძირითადი დანაკარგები არა თალიბების გამაგრებული პოზიციების შტურმს, არამედ გზებზე ჩვეულებრივ გადაადგილებას, ნაღმებსა და თვითნაკეთ ასაფეთქებელ მოწყობილობებს უკავშირდება. ამერიკული „M1114 Humvee“ და ბრიტანული „Land Rover Snatch“-ი (თავისთავად შესანიშნავი მანქანები) ავღანეთში მიმდინარე ომის გამოწვევების ადეკვატური არ აღმოჩნდა.**



რასაკვირველია, „ISAF“-ის კონტინგენტს აქვს უკეთ დაცული „Cougar“-ი, „Mastiff“-ი, „Ridgeback“-ი და პრაქტიკულად იდეალურად დაცული „Buffalo“, თუმცა პრაქტიკა აჩვენებს, რომ მძიმე, „MRAP“-ის ნაღმსაწინააღმდეგო დაცვის სისტემით არჭურვილ მანქანებს მეტ-ნაკლებად ნორმალურ გზებზე კოლონების გაცილება, მათი საცეცხლე და ტექნიკური მხარდაჭერა შეუძლია, მაგრამ, როგორც კი აუცილებელი ხდება გადაადგილება მთიან რეგიონში ან სხვა ტიპის რთულ რელიეფზე (ავღანეთში საკმარისზე მეტია), ეს დინოზავრები, პრაქტიკულად, უსარგებლო ხდება.

**„MRAP“-ის ადაპტირება მსუბუქი „HUMVEE“-სთვის და „SNATCH“-სთვის შეუძლებელია. ამ მანქანების აღჭურვა ისე, მინიმალურად დაცულნი რომ გახდნენ, 100 ათას დოლარამდე ჯდება, თანაც ამ პროცედურის შემდეგ მანქანა, იგივე „BUFFALO“-სგან განსხვავებით, მაინც „ერთჯერადად“ რჩება.**

ნებისმიერ რამდენადმე სერიოზულ აფეთქებას კორპუსის სიახლოვეს ის მწყობრიდან რამდენიმე კვირით ან ერთი თვით გამოჰყავს. **ავღანეთის ომმა ცხადად აჩვენა, რომ ამერიკელ და ბრიტანელ სამხედროებს ახალი მანქანა სჭირდებათ.**

თუ სამხედროების მოთხოვნებს შევაჯამებთ, ასეთ სურათს მოვიღებთ: ახალი მანქანა რთული რელიეფის პირობებში ისევე უპრობლემოდ უნდა გადაადგილდებოდეს, როგორც „Humvee“, თუმცა დაცული „Cougar“-ივით უნდა იყოს და ლათინური „V“-ს მსგავსი ძირი უნდა ჰქონდეს. ამასთანავე, მისი მასა 7-8 ტონას არ უნდა აღემატებოდეს („Cougar“-ის მასა 14,5 ტონაა). ბრიტანულ კომპანია „Ricardo“-ს მიერ შექმნილი მანქანა „Ocelot“-ი, რომელსაც დღეს განვიხილავთ, ამ მოთხოვნებზე ადეკვატური პასუხის გაცემის მცდელობა გახდა.

**რევოლუციური იდეა „სკეიტბორდის“ ტიპის შასის გამოყენება გახდა** (ეს კონცეფცია 90-იან წლებში შვედმა კონსტრუქტორებმა შექმნეს). „სკეიტბორდის“ არსი იმაშია, რომ მანქანის ყველა მნიშვნელოვანი კვანძი „V“-ს მსგავსი დაჯავშნული პლატფორმის შიგნით თავსდება (ძრავა, ტრანსმისია, დიფერენციალები, საწვავის ავზი და ა.შ.), მერე უკვე ამ პლატფორმაზე მაგრდება კაბინა და სადესანტო განყოფილება. „სკეიტბორდი“ „Ocelot“-ის ყველაზე მძიმე ნაწილია; შესაბამისად, მისი სიმძიმის ცენტრი გზის ზედაპირთან მაქსიმალურად ახლოს მდებარეობს.

**საინტერესოა, კომპოზიტური მასალებისგან დამზადებული კორპუსიც. მისი დაყენება (ან მოხსნა) „სკეიტბორდზე“ ძალიან სწრაფად შეიძლება, ის სამი განყოფილებისგან შედგება. წინ ორადგილიანი კაბინაა, შემდეგ სადესანტო განყოფილება ოთხი მებრძოლისთვის, შემდეგ განყოფილება ნაღმსაწინააღმდეგო რადიოელექტრონული აპარატურისთვის და დიდი კარი. სადესანტო განყოფილებას ორი ლუკი აქვს, კიდევ ერთი კაბინაში მყოფი მეთაურისთვისაა განკუთვნილი.** სტანდარტული ექვსადგილიანი კორპუსის გარდა, შექმნილია სატვირთო და საბრძოლო ვერსია „2+2“, კორპუსის გამოცვლას (მაგა- ▶

◀ სწვდებოდა და მათი გამოყენება ბაქოს წინააღმდეგ შესაძლებელი მხოლოდ მოდერნიზაციის შემდეგ გახდებოდა.

ამ გეგმაზე მუშაობა 1940 აპრილში შეწყდა. 9 აპრილს გერმანელები დანიასა და ნორვეგიაში შეიჭრნენ. სიტუაცია სწრაფად და დრამატულად იცვლებოდა. **მოკავშირეთა „უმაღლესი სამხედრო საბჭოს“ 22-23 აპრილის სხდომაზე საფრანგეთის პრემიერმა პოლ რეინომ კავკასიის ოპერაციაზე საუბარი სცადა, თუმცა მისმა ბრიტანელმა კოლეგამ ნევილ ჩემბერლენმა შეაწყვეტინა და განაცხადა, რომ „ბრიტანეთს ზედმეტი ბომბდამშენები არ გააჩნია“.**

10 მაისს გერმანელებმა დასავლეთის ფრონტზე ფართომასშტაბიანი შეტევა დაიწყეს, 17 ივნისს საფრანგეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა.

ჰქონდა თუ არა ოპერაციას კავკასიის სანავთობო ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ წარმატების შანსი? აღსანიშნავია, რომ 1940 წლის 4 აპრილს საბჭოთა კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთის მიმართულების საზენიტო არტილერიითა და გამანადგურებლებით გაძლიერების შესახებ. თბილისისთვის, ბაქოსთვის, ბათუმისთვის, ტუაფსესთვის და ნოვოროსიისკისთვის დამატებით საშუალო კალიბრის 17 საზენიტო დივიზიონი შეიქმნა, მათ შორის ბაქოსთვის — 7 დივიზიონი.

**გარკვეული პარალელების გავლების შესაძლებლობას ის საჰაერო კამპანია გვაძლევს, რომელსაც ინლისელები და ამერიკელები 1942-44 წლებში, რუმინული სანავთობო ცენტრის, პლოეშტის წინააღმდეგ აწარმოებდნენ. მან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, დანაკარგები კი ძალიან დიდი იყო. 1943 წლის 1 აგვისტოს იერიშის შემდეგ 143 ბომდამშენიდან („B-24“) ბაზებზე მხოლოდ 88 დაბრუნდა.** აღსანიშნავია, რომ მოკავშირეთა შეტევების მოგერიებას, კამპანიის დასკვნით სტადიაზე რუმინელების მოძველებული, ფრანგული წარმოების გამანადგურებლები ახერხებდნენ (გერმანული ავიაცია რუმინეთიდან სხვა მიმართულებებზე გადაისროლეს). ეს თვითმფრინავები კი თავისი მახასიათებლებით ბევრად ჩამოუვარდებოდა იმ გამანადგურებლებს, რომელთა გამოყენება სსრკ-ს 1940-ში კავკასიაში შეეძლო. თავად ინგლისელებსა და ფრანგებს თავიანთი ბომბდამშენების დაცვა გამანადგურებლებით არ შეეძლოთ (მანძილის გამო); შესაბამისად, ისინი იძულებულნი გახდებოდნენ პრიორიტეტი ღამის დაბომბვებისთვის მიენიჭებინათ, რაც მათ ნაკლებად ეფექტურს გახდიდა. საბოლოო ჯამში, განხილული საჰაერო კამპანიის წარმატებული განხორციელება მეტად საეჭვო ჩანს.



◀ ლითად, საპატრულო მანქანის სამედიცინოდ გარდაქმნას) სულ ერთი საათი სჭირდება. რაც შეეხება „სკეიტბორდის“ შიგნით განთავსებულ კვანძებს, მათი გამოცვლისთვის კორპუსისა და კაპოტის დახრაა საჭირო (ამას სხვა მანქანის დახმარება სჭირდება).

**„OCELOT“-ის კონსტრუქტორების მტკიცებით, „სკეიტბორდში“ განთავსებული ყველა დეტალის გამოცვლას ეკიპაჟის ძალებით, მაქსიმუმ, 30 წუთი სჭირდება. კორპუსზე შესაძლებელია 2,5 ტონამდე დამატებითი ჯავშნის დამაგრება („Ocelot“-ის საბრძოლო მასა 7,5 ტონაა). მანქანის სიგრძე 5,32 მეტრია, სიგანე — 2,1 მ., სიმაღლე — 2,35 მ., მაქსიმალური სიჩქარე — 113 კმ/ს. 80 კმ/საათში მას შეუძლია 19,75 წამში აკრიფოს. „Ocelot“-ზე** შეიძლება დამაგრდეს სტანდარტული მოდული „WMIK“ ტყვიამფრქვევებითა და ავტომატური ყუმბარმტყორცნით ან კომპლექსური მოდული დისტანციური მართვით „RWS“, რომელსაც ოპერატორი ჯოისტიკისა და ტელეკამერების მეშვეობით მართავს.

**მომავალ წელს ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო აპირებს 400 „SNATCH“-ისა და „SNATCH VIXEN“-ის ჩამოწერას და „OCELOT“-ებით მათი ჩანაცვლების დაწყებას.** მიუხედავად იმისა, რომ დღეს ეს მანქანა ძალზე ორიგინალური და მიმზიდველი ჩანს, შავი და თეთრი, რომ იტყვიან, ავღანეთში გამოჩნდება. გამორიცხული არაა, ამ მანქანას გარკვეული ხარვეზები ჰქონდეს და თალიბებმა ბრიტანული არმიის „Ocelot“-ზე ისევე ინტენსიურად და წარმატებულად ინადირონ, როგორიც გასული საუკუნის მონადირეები ნამდვილ ოცელოტებზე (კატისებრთა ოჯახის წარმომადგენელი „Leopardus Pardalis“), რამაც ეს სახეობა განადგურების პირას მიიყვანა. თუმცა **სამხედრო მანქანებში „სკეიტბორდის“ გამოყენების იდეა მეტად პერსპექტიული ჩანს და იმ შემთხვევაშიც კი, თუ „OCELOT“-ის დებიუტი წარუმატებელი აღმოჩნდება, მომავალში კონსტრუქტორები ამ იდეას საკმაოდ დიდი ალბათობით არაერთგზის დაუბრუნდებიან.**



# პარლამენტმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებები გააპარა

**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია პარლამენტს რეგლამენტის დარღვევაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ აღნიშნული ფაქტი ახალი სისხლის სამართლის პროცესში შეტანილი ცვლილებების არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი უნდა გახდეს.**

ადვოკატთა კორპუსმა ცოტა ხნის წინათ მიმართა როგორც ხელისუფლებას და საკანონმდებლო ორგანოს, ასევე დიპლომატიურ წარმომადგენლობებს და თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, არ დაეშვათ საქართველოს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ანტიკონსტიტუციური ცვლილებების შეტანა. წინააღმდეგ შემთხვევაში ადვოკატთა კორპუსი ხელისუფლებას სერიოზული ღონისძიებების გატარებით ემუქრებოდა, **რადგან ახალი საპროცესო კოდექსი მკვეთრად აუარესებდა როგორც დაზარალებულისა და ბრალდებულის, ასევე ადვოკატის უფლებასაც.**

ადვოკატები იმედოვნებდნენ, რომ ხელისუფლება გაითვალისწინებდა იმ ცვლილებებს, რომლებიც მათ საკანონმდებლო ორგანოს წარუდგინეს. თუმცა ამ დროს, შს სამინისტროს პოლიციის აკადემიაში უკვე მიმდინარეობდა ჯერ ძალაში შეუსვლელი კოდექსის მიხედვით, პოლიციის თანამშრომლების გადამზადება, რაც, ცხადია, იმაზე მიუთითებდა, რომ კანონში ცვლილებების გათვალისწინებას არავინ აპირებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას წინასწარ არ დააზეპირებდნენ შს სამინისტროს ათასობით თანამშრომელს, რომელთა გადამზადებაც, სხვათაშორის, საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.



## ამ ცვლილებების მიხედვით, პირისთვის მსჯავრის დადება შესაძლებელი იქნება აღიარების გარდა მხოლოდ ერთი მტკიცებულების საფუძველზე

**დღეს ქვეყანას უკვე აქვს სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში აცხადებენ, რომ პარლამენტმა იგი ჩუმად მიიღო. უფრო ზუსტად კი, იგი რეგლამენტის დარღვევას არ მოერიდა იმისთვის, რომ კანონში სასურველი პუნქტები გაეპარებინა.**

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადებით, **„2010 წლის სექტემბერში, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე რამდენიმე დღით ადრე, საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებულ რეჟიმში, დახურულ კარს მიღმა, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით მიერ დადგენილი პრინციპების დარღვევით მიიღო საპროცესო კოდექსის ცვლილებათა პაკეტი, რითაც საშუალება წაართვა დაინტერესებულ მხარეებს, გამოეთქვათ და დაეცვათ საკუთარი მოსაზრებები პროექტში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით.**

**მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის სამინისტრომ ცვლილებათა პროექტის პრეზენტაცია 1 სექტემბერს წარმოადგინა, პროექტის პარლამენტში გადაგზავნილი ვერსია საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი აღარ გამხდარა.**

**საკანონმდებლო პროცესის გამჭირვალობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც საკანონმდებლო ცვლილებებმა, შესაძლებელია, უშუალო და არსებით გავლენა მოახდინოს თითოეული მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებზე.**

**საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები ცალკეული საკითხების დარეგულირებასთან ერთად აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას, დაბლა წევს რა მტკიცების სტანდარტს პირის მსჯავრდებასთან და ცალკეული ხასიათის მტკიცებულებების დასაშვებობასთან დაკავშირებით. მაგალითად, თუ ცვლილებების განხორციელებამდე ბრალდებულის აღიარება არ შეიძლებოდა საფუძვლად დადებოდა გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი არ დასტურდებოდა სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით, განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, პირისთვის მსჯავრის დადება შესაძლებელი იქნება აღიარების გარდა მხოლოდ ერთი მტკიცებულების საფუძველზე.**

**განხორციელებული ცვლილებები, ასევე, ერთით ამცირებს ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტის მიღებისთვის აუცილებელი ხმების რაოდენობას, რაც მსჯავრდების სტანდარტს დაბლა სწევს. ცვლილებებს შემოაქვს საპროცესო შეთანხმება განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ, ბრალდებულის ინტერესების სათანადო დაცვის გარეშე და სხვ.**

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებები საქართველოს რეგლამენტით დადგენილი წესების დარღვევით განხორციელდა. როგორც ეს პარლამენტიდან მოძიებული ინფორმაციიდან ჩანს, იმ ცვლილებათა უმრავლესობა, რომლებიც კოდექსში განხორციელდა, არასოდეს გამხდარა პირველი მოსმენით საქართველოს პარლამენტის მსჯელობის საგანი.**

**პარლამენტმა იგი რეგლამენტის დარღვევით, მხოლოდ მეორე და მესამე მოსმენით მიიღო. რაც „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებების არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველს წარმოადგენს“.**

**სოფო გელაშვილი**

## მოკლედ



## გლდანში პატიმრები შიმშილობენ

**არაადამიანური მოპყრობის გამო გლდანის სამკურნალო დაწესებულებაში პატიმრები შიმშილობენ, თუმცა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტრო აღნიშნულ ფაქტს არ ადასტურებს.**

მოშიმშილე პატიმრები მოითხოვენ, მათ მიმართ არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა შეწყდეს. გარდა ამისა, მათი მოთხოვნაა, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ ხათუნა კალმახელიძესთან და სახალხო დამცველ გიორგი ტუღუშთან შეხვედრა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველი საქმის კურსში ადვოკატებმა ჩააყენეს და დაუყოვნებლივ რეაგირებაც სთხოვეს. მინისტრთან შეხვედრის იმედი კი, ალბათ, თავად მოშიმშილეებსაც ნაკლებად აქვთ.



## დიდი მანდატურობა სკოლებში

**საქართველოს განათლების სამინისტროს მანდატურული პროექტი თანდათან ძალას იკრებს, ოღონდ მანდატურები სკოლებში ბავშვებზე მეტად ჯერჯერობით მასწავლებლებს „აკონტროლებენ“ და სადამსჯელო ღონისძიებებსაც მათ წინააღმდეგ მიმართავენ.**

სასჯელი ეგრეთ წოდებული ოქმის შედგენითა და ხელფასიდან 20%-ის დაქვითვით იწყება და სამსახურიდან გაგდებით მთავრდება.

ფაქტებიც გამოჩნდა — ორიოდე დღის წინათ ბათუმის №10 საჯარო სკოლაში მანდატურმა ინგა ვანიევამ, საყოველთაო პროტესტის მიუხედავად, ისტორიის პედაგოგი შარლოტა ქორიძე სკოლიდან მას შემდეგ გააგდო, რაც ამ უკანასკნელმა გაკვეთილზე დაგვიანებულ მოსწავლეს თითქოსდა ხელი მოუქნია. პედაგოგები თვლიან, რომ მათი ბედი მანდატურების ხასიათზეა დამოკიდებული.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net


# ფიცი მწამს, განაჩენი მაკვირვებს

## ნაფიცი მსაჯულები – დემოკრატიული სასამართლო სისტემის შემადგენელი ნაწილი თუ მხოლოდ მართლმსაჯულების არაეფექტური ნარჩენები, რომელთაც დრო თან გაიყოლებს?!

**დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის ქვეყნებში უამრავი დისკუსია, განხილვა ეწყობა და ყველა ცდილობს, უპასუხოს შეკითხვას: ეფექტურია თუ არა ნაფიც მსაჯულთა სისტემა? ამიტომ დღევანდელ ნომერში თქვენს ყურადღებას შევაჩერებ 12 ქვეყნის მაგალითზე, რომლებშიც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, დიდი ხანია, მოქმედებს და სწორედ მათზე დაყრდნობით ადვილი იქნება, დავასკვნათ, რამდენად ეფექტურია ანდა ხელისშემშლელი ზემოხსენებული სასამართლოს ახალი სისტემა.**

**„ნაფიც მსაჯულთა ჟიურის შესწევს ძალა, განაჩენი კანონისა თუ ფაქტების საწინააღმდეგოდ გამოიტანოს“**
**(მოსამართლე ოლივერ ვენდელ ჰოლმსი, 1920 წელი).**

1 ოქტომბრიდან საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ამოქმედდა, რომლის თანახმადაც 12 რიგით მოქალაქეს, სისხლის სამართლის საქმეზე, საერთო თათბირის შემდეგ გამოაქვს განაჩენი. ნაფიცი მსაჯული არ შეიძლება იყოს პოლიტიკოსი, იურისტი, ძალოვან უწყებაში მომუშავე პირი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი და სასულიერო პირი.

თავდაპირველად ნაფიცი მსაჯულები 109-ე მუხლით ბრალდებულების საქმეს განიხილავენ, რაც დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობას ითვალისწინებს. ეს ყოველივე ქართველ საზოგადოებას პრესკონფერენციების, ბრიფინგებისა თუ სამსერიანი ფილმის სახით უკვე გააცნეს. შთაბეჭდილება, რაც რიგით მოქალაქეს ამ კანონთან მიმართებაში შეიძლება შეექმნას, გამოწვეულია იმ დიდი პასუხისმგებლობის, დაკვირვების, სწორი გადაწყვეტილებების მიღების გრძნობით, რომლის მეშვეობითაც სწორედ ამ რიგითმა მოქალაქემ უნდა განსაზღვროს განსასჯელის (რომელიც, შესაძლოა, იყოს დამნაშავე ან უდანაშაულო) ბედი. იქიდან გამომდინარე, რომ **ჩვენთან ეს საპილოტე პროგრამაა და ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯების გადადგმას იწყებს, მართებული იქნება მსოფლიოს 12 ქვეყნის მაგალითების მოშველიებით გარკვეული შთაბეჭდილების შექმნა.**

### მცირე ისტორიული ექსკურსი

**ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უძველეს წინაპრად მიიჩნევენ ძველ ათენში არსებულ დიკასტერიას, იგივე ჰელიეიას. დიკასტერია ერქვა მთავარ სასამართლო ადგილს, რომელიც მდებარეობდა ქალაქის მოედანზე. სახალხო მოსამართლეებს დიკასტებსა და ჰელეასტებს უწოდებდნენ.**

**ათენის დიკასტერია გამოირჩეოდა მოსამართლეთა სიმრავლით, სხდომათა საჯაროობითა და უაპელაციო გადაწყვეტილებებით.**

**არისტოტელეს ცნობით, დიკასტერია შედგებოდა ხალხის მიერ არჩეული 1500 მოსამართლისგან, რომელთაგან 501 კაცი იხილავდა ჩვეულებრივ, სამოქალაქო და ყოფით საქმეებს. განსაკუთრებით სერიოზულ საქმეებს, რასაც შედეგად, შესაძლოა, მოჰყოლოდა სიკვდილით დასჯა, თავისუფლების დაკარგვა, განდევნა, სამოქალაქო უფლებების დაკარგვა, საკუთრების ჩამორთმევა, იხილავდა ათასიდან ათას ხუთასამდე დიკასტი.**

**გადაწყვეტილება მიიღებოდა ფარული კენჭისყრით. საკითხი წყდებოდა ხმათა უბრალო უმრავლესობით, ხოლო თუ ხმები თანაბრად გაიყოფოდა, განსასჯელი გამართლებულად ითვლებოდა.**

### 12 უცხოური მაგალითი

საბერძნეთი

**თანამედროვე საბერძნეთში, ცხადია, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ამ ფორმით აღარ არსებობს. დღეს საბერძნეთში არის ერთგვარი „ნარევი“ სისტემა, ნაფიცი მსაჯულისა და მოსამართლის.** სისხლის სამართლის დანაშაულის განხილვას ესწრება სამი პროფესიონალი მოსამართლე და ოთხი შემთხვევით შერჩეული ნაფიცი მსაჯული, რომლებიც ერთმანეთთან შეთანხმებით განიხილავენ ბრალდებულის საქმეს. უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კი ამტკიცებს განსასჯელის ბრალეულობას.

**ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული ფორმითაა წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, ეს სისტემა პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: 1) მთლიანად ნაფიცი მსაჯულებისგან (რიგით მოქალაქეებისგან) შემდგარი ჟიური, რომელსაც განაჩენი პროფესიონალ მოსამართლეებთან შეთანხმების გარეშე გამოაქვთ და 2) ეგრეთ წოდებული „ნარევი“ ჟიური, რომელიც წარმოდგენილია, როგორც რიგითი ნაფიცი მსაჯულებით, ასევე პროფესიონალი მოსამართლეებით. ერთიანი მსჯელობის შემდეგ ხდება საერთო პოზიციის გამოკვეთა და განაჩენის მიღწეული შეთანხმებიდან გამოტანა.**

ავსტრალია

**ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იშვიათია ავსტრალიაში და ის მიმართულია მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებებში მომხდარი მკვლელობების საქმეებზე. ცალკეული საქმისთვის ხდება 12 რიგითი მოქალაქის შემთხვევითი არჩევა.** მართლმსაჯულების აღსრულებისთვის, სასჯელის მისჯისთვის ან გამართლებისთვის საკმარისია ნაფიც მსაჯულთა ჟიურის უმრავლესობის გადაწყვეტილება ( მაგ: თერთმეტი 1-ის წინააღმდეგ ან 10 — 2-ის). თუმცა ბოლო დროს, ქვეყნის კონსტიტუციაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ნაფიც მსაჯულთა ერთსულოვნებას საბოლოო ვერდიქტის გამოტანისას.

ბელგია

**ბელგიაშიც მოქმედებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. თუმცა აქ, თორმეტი შემთხვევით შერჩეული მოქალაქის გარდა, განაჩენს სამი პროფესიონალი მოსამართლისგან შემდგარ ჟიურისაც გამოაქვს.** ასევე აღსანიშნავია ერთი ფაქტი. იმ შემთხვევაში, თუ ნაფიც მსაჯულთა თორმეტკაციანი ჟიურის ხმები განაჩენის გამოტანისას თანაბრად განაწილდება (ანუ 6/6-ზე), მაშინ განსასჯელს გაამართლებენ.

ბრაზილია

**ბრაზილიაში მკვლელობასთან, ეკონომიკურ თაღლითობასთან, პრესის ხელყოფასთან დაკავშირებული სასამართლო საქმეები ნაფიც მსაჯულთა მიერ განიხილება და დასკვნის გამოტანისას უმრავლესობის გადაწყვეტილებას ენიჭება მნიშვნელოვანი როლი.** თუმცა, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, აქ ნაფიცი მსაჯულები ერთად არ განიხილავენ განსასჯელის საქმეს, არამედ ცალ-ცალკე აძლევენ ხმას თითოეულისთვის სასურველ პოზიციას (განსასჯელს ან ამართლებენ, ან ადანაშაულებენ). საბოლოო ჯამში კი ხმების უმრავლესობა წყვეტს საქმის ვითარებას.

დიდი ბრიტანეთი

**გაერთიანებულ სამეფოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არის გავლენიანი ინსტიტუტი. თავის დროზე, ბევრმა ბრიტანულმა კოლონიამ (აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატები) მიითვისა ინგლისის სამართლის დაუწერელი კანონები, რომელშიც ნაფიც მსაჯულთა პროცესი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ბევრი ტრადიცია, მათ შორის ჟიურის შემადგენლობის თორმეტი კაცით განსაზღვრა, სწორედ ინგლისში წარმოიშვა.**

**ინგლისში სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედებები სამ ჯგუფად იყოფა: 1) ნაკლებად მძიმე დანაშაული, რომელიც განიხილება მხოლოდ მაგისტრატების სასამართლოში; 2) განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რომელსაც განიხილავს ინგლისისა და უელსის სასამართლოს ყველაზე დაბალი რგოლი –გვირგვინის სასამართლო (Crown Court); 3) ხოლო „ორმხრივად განსჯადი“ დანაშაულები შეიძლება განსაჯოს როგორც მაგისტრატების, ასევე გვირგვინის სასამართლომ (Crown Court). თუ ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობს და პროცესი გაგრძელდება, მაშინ საქმეს განიხილავენ ნაფიცი მსაჯულები.**

უნდა აღინიშნოს, რომ დიდ ბრიტანეთში ბრალდებულთა უმეტესი ნაწილი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ირჩევს იმ რწმენით, რომ აქ გამართლების მეტი შანსია, ვიდრე ერთპიროვნულად საქმის განმხილველი მოსამართლის პირობებში. მსაჯულები ასევე მონაწილეობენ სამოქალაქო საქმეთა განხილვაშიც, განსაკუთრებით ცილისწამების საქმეებზე და, ასევე, იმ კატეგორიის საქმეებზე, სადაც მეორე მხარე სახელმწიფოა.

შოტლანდიაში ნაფიც მსაჯულთა ჟიური სისხლის სამართლის საქმეებზე შედგება 15 წევრისგან, ხოლო სამოქალაქო საქმეებზე — 12 წევრისგან. სისხლის სამართლის საქმეებზე აუცილებელი არ არის ვერდიქტი იყოს ერთსულოვანი. 15 ნაფიცი მსაჯულიდან 8-ის ხმა ცალსახად წყვეტს — დამნაშავეა თუ არა განსასჯელი.

ირლანდიასა და უელსშიც ბრიტანულ ნაფიცმსაჯულთა მოდელზე დაფუძნებული სასამართლო სისტემაა.

**ინგლისური ზეგავლენით ნაფიც მსაჯულთა** ►

## მოკლედ



### ევროპაში ტრადიციებიანად მივდივართ

**ევროპასა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ გიორგი ბარამიძეს უცხოელ სტუმრებთან ერთად ტივით გასეირნებისას ისე აუჩუყდა გული, აღტაცებულმა წამოიძახა, ევროგაერთიანებაში ჩვენი ტრადიციული ღირებულებებით შევალთო.** რომელ ღირებულებებს გულისხმობდა, არ დაუკონკრეტებია და არც ის უთქვამს, ვინ დახვდა ევროგაერთიანების კართან „ტრადიციული ღირებულებების“ გარეთ დატოვების მოთხოვნით. „თბილისობის აღნიშვნა მხოლოდ ტრადიცია არ არის. ამას უფრო დიდი ღირებულება გააჩნია ჩვენთვის. თუ რამე ფასეული აქვს საქართველოსა და თბილისს, ეს ღირებულია იმისთვის, რომ ჩვენ ევროპის სრულუფლებიანი ნაწილი გავხდეთ“, — ბრძანა მინისტრმა.



### სამთავრობო საწნახელი

**31-ე თბილისობის ტრადიციულ ადგილას, რიყეზე, გამართვას იქ მიმდინარე სკვერის მშენებლობამ შეუშალა ხელი, მაგრამ „ვარდოსნები“ არ დაიბნენ და ღონისძიება „ვარდების მოედანზე“ გადაიტანეს.** „ვარდების მოედანზე“ მოთავსდა ის 12-მეტრიან საწნახელიც, რომელშიც წლევანდელი მწირი მოსავლიდან 7 ტონა ყურძენს ჩაუძახეს და რევაზ ლაღიძის „თბილისოს“ ფონზე თბილისის მერმა გიგი უგულავამ, პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ და მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა დაწურეს. ყურძნის დაწურვას თბილისში სტუმრად მყოფი მსოფლიოს 46 ქალაქის მერი და ვიცე-მერი ადევნებდა თვალს და ზოგიერთმა თავადაც მოსინჯა ძალები.



### ჩაკვეტაძეს პატიმრობა შეუფარდეს

**თბილისის საქალაქო სასამართლომ „ეროვნული ფორუმის“ წევრ ზაზა ჩაკვეტაძეს აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.** მოსამართლემ არ დააკმაყოფილა თავდებობის მოთხოვნა. არადა, ჩაკვეტაძეს თავდებად „ეროვნული ფორუმის“ ლამის ყველა ლიდერისა და წევრის გარდა, საქართველოს საპატრიარქოც უდგებოდა. ჩაკვეტაძე 21 ოქტომბერს ლილოს ბაზრობასთან მომხდარი ინციდენტის დროს დააკავეს და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა დასდეს ბრალად, რაც ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. არადა, ინცინდენტში მონაწილეთაგან არც ერთ სამართალდამცავს პოლიციის ფორმა არ ეცვა. პოლიტიკურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ჩაკვეტაძეს უკვე უწოდეს პოლიტპატიმარი.



### სააკაშვილმა ყველს «უშველა»

**საქართველოს უმაღლესმა სამხედრო მთავარსარდალმა და პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, შეისწავლა რა სომხური ყველის მდგომარეობა, დაასკვნა, რომ ის მკვეთრად გაუმჯობესდა.** პრეზიდენტის განცხადებით, ჯავახეთამდე ახალი გზის დაგებამ სომხურ ყველს დიდი წარმატება მოუტანა. ეს სასოფლო-სამეურნეო რძის პროდუქტი, პრეზიდენტის ვარაუდით, აქამდე კარჩაკეტილი იყო უგზოობის გამო. რაც „ვარდების რევოლუციამ“ საქართველოში შემოაბიჯა და გზების რეაბილიტაცია დაიწყო, სომხურ ყველსაც ეშველა — თბილისამდე ჩამოაღწია და დახლებზე განთავსდა. სააკაშვილის აზრით, ჯავახეთის რეგიონში ერთმანეთის მხარდამხარ ძმური სიყვარულითა და ურთიერთგაგებით თანამეგობრობენ და საერთო პროექტებზე მუშაობენ სომხები და აზერბაიჯანელები.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# თვით დემოკრატიული სასამართლოს მქონე ზესახელმწიფოები, ხშირ შემთხვევაში, არასწორად გამოტანილი განაჩენის გამო, გაუმართლებლად მიიჩნევენ ნაფიც მსაჯულთა სისტემის არსებობას

◀ **სასამართლო გავრცელდა ინგლისის ყოფილ კოლონიებსა თუ სხვა ქვეყნებში, რომლებიც ადრე ინგლისურ ზეგავლენას განიცდიდნენ და შემდეგ „საერთო სამართლის" სისტემას შეუერთდნენ. ესენია: ამერიკის შეერთებული შტატები, ირლანდია, ავსტრალია, კანადა და ახალი ზელანდია.**

### ამერიკის შეერთებული შტატები

**1898 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნაფიც მსაჯულთა ჟიური სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას 12 პირისგან უნდა შედგებოდეს, თუმცა ამგვარი მოთხოვნა არ ვრცელდებოდა სამოქალაქო საქმეების განხილვისას. 1970 წელს უზენაესმა სასამართლომ ასეთი მიდგომა მიიჩნია „ისტორიულ შემთხვევითობად" და დაადგინა, რომ ორივე კატეგორიის საქმეებზე გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია 6 პირისგან შემდგარი ნაფიც მსაჯულთა ჟიური.** ამერიკაში მსაჯულებს ირჩევენ ეგრეთ წოდებული ‚სიმართლის თქმის პრინციპით. ამ პროცედურისას მოსამართლე პოტენციურ მსაჯულს წინასწარ დაკითხავს, რათა გამოვლინდეს, არის თუ არა ის კვალიფიციური ან მისაღები კანდიდატურა ნაფიცი მსაჯულის ფუნქციების შესასრულებლად. ნაფიც მსაჯულს შეიძლება დაუსვან შეკითხვები მისი გამოცდილების, სტერეოტიპების, საქმის სამართლიანად გადაწყვეტის უნარის შესახებ. 1970-იანი წლებიდან ძალიან პოპულარული გახდა ე. წ მსაჯულთა მეცნიერულ საფუძველზე შერჩევა (Scientific jury selection). ასეთ შერჩევას იყენებდნენ ვიეტნამის ომის საქმეთა განხილვისას.

ამგვარ მეცნიერულ საფუძველზე მსაჯულთა ჟიურის შერჩევა პირველად პილიპ ბერიგანმა და ექვსმა ომის მოწინააღმდეგე აქტივისტმა დანერგა სასამართლოში.

როგორ ხდება ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში საბოლოო ვერდიქტზე შეჯერება?

უწინარესად, საუბარია ნებისმიერ გარეშე პირთან რაიმე კონტაქტის გამორიცხვაზე. მოსამართლის ნებართვით, ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, სათათბირო ოთახში ჰქონდეთ ნივთიერი მტკიცებულებები და დოკუმენტები, რომლებიც, მათი აზრით, ხელს შეუწყობს ჯეროვანი ვერდიქტის გამოტანას. ამავე მიზნით მოსამართლე მათ ურიგებს იმ დანაშაულების წერილობით ჩამონათვალს, რომელთა შესახებაც უკვე ჰქონდა საუბარი შემაჯამებელ სიტყვაში და რომელთა გამოც უნდა იქნეს გამოტანილი ვერდიქტი. **ვერდიქტის გამოტანისას ნაფიცი მსაჯულები ითვალისწინებენ როგორც მოსამართლის სიტყვას, ისე მხარეთა წინადადებებს. მსაჯულთა უმრავლესობა კი წყვეტს მსჯავრდებულის ბრალეულობას, ხოლო ბრალდებულის გასამართლებლად ჟიურის ერთსულოვანი პოზიციაა მისაღები.**

### ესპანეთი

**ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციამ ფრანკოს დიქტატურის შემდეგ კანონით დაუშვა მსაჯულთა ინსტიტუტი, რომელსაც ეწოდა „სახალხო მსაჯული". აღნიშნული კონსტიტუციის თანახმად, მოქალაქეებს შეეძლოთ, მონაწილეობა მიეღოთ სისხლის სამართლის საქმეებზე. თუმცა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, ევროპის სხვა ქვეყნების ფონზე, ესპანეთში ნელა ინერგებოდა და ხშირ შემთხვევაში სასურველ შედეგსაც არ იძლეოდა.**

1995 წელს, კონსტიტუციაში გარკვეული ცვლილებების შემდეგ, ესპანეთმა ხელმეორედ განაახლა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომლის თანახმადაც ჟიურიში რიგითი მოქალაქეების რაოდენობა ცხრა კაცით განისაზღვრა. ამ ცხრა კაციდან შვიდის ხმა საკმარისია, რომ მსჯავრდებული დამნაშავედ ცნონ. ხოლო მსჯავრდებულის გამართლების შემთხვევაში, საჭიროა, მკვეთრად იყოს გამოკვეთილი ნაფიც მსაჯულთა ერთსულოვნება.

ალსანიშნავია ერთი ფაქტი: **ესპანური ნაფიცი მსაჯულის სასამართლოს დამახასიათებელი, განსაკუთრებული თვისებაა ის, რომ რიგითმა მსაჯულებმა არ გაითვალისწინონ საქმეში წარმოებული ფაქტები და მათთვის გვერდის ავლით, საკუთარი გონივრული ეჭვის საფუძველზე გამოიტანონ განაჩენი.**

### რუსეთი

**ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რუსეთში 1864 წელს ამოქმედდა, როდესაც რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ხელი მოაწერა მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებას. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გააუქმეს ნაფიცი მსაჯულის ინსტიტუტი.** 1993 წელს, თითქმის 76-წლიანი ინტერვალის შემდეგ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რუსეთში დაბრუნდა და ექსპერიმენტის წესით დაინერგა ფედერაციის 5 სუბიექტში, 1994 წლის 1 იანვრიდან კი – კიდევ 4 სუბიექტში. ნაფიც მსაჯულთა სისტემის ხელახალი დანერგვა რუსეთში ჯერ კიდევ „პერესტროიკის" პერიოდში მომწიფდა.

მხოლოდ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილების შემდეგ, **2004 წლის 1 იანვრიდან რუსეთის მთელ ტერიტორიაზე, გარდა ჩეჩნეთის რესპუბლიკისა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამოქმედდა, რომლის თანახმადაც 12 მსაჯული და ერთი მოსამართლე განიხილავს სისხლის სამართლის რთული კატეგორიის საქმეებს. უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამტკიცებს განსასჯელის ბრალეულობას.**

### იტალია

**სერიოზული კრიმინალური საქმეები იტალიაში განიხილება ნაფიცი მსაჯულების მიერ.** ეგრეთ წოდებული ნარევი სასამართლო შეიცავს ორ პროფესიონალ მოსამართლესა და ექვს შემთხვევით შერჩეულ რიგით მოქალაქეს. ვერდიქტის გამოტანისას მსაჯულები და მოსამართლეეები, საქმეში არსებული ფაქტებიდან გამომდინარე, ერთად განიხილავენ განსასჯელის საქმეს.

## ნაფიც მსაჯულთა გახმაურებული სასამართლო საქმეები

**რიგითი მოქალაქეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში არ სრულდება სასურველი შედეგით. მსოფლიო ქვეყნების მაგალითებიდან გამომდინარე, არის შემთხვევები, როდესაც მსაჯულთა ჟიურის არასწორი ვერდიქტი გამოუტანია (მკვლელი გაუმართლებია და უდანაშაულო დამნაშავედ უცვნია). ამიტომ რიგ ქვეყნებში სასამართლოს ამ სისტემის ეფექტურად მოქმედების შესაძლებლობები ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარა.**

მეტი ილუსტრაციისთვის გამოდგება ესპანეთში ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა. ეს არის ახალგაზრდა ბასკი ნაციონალისტის – მიქელ ოტეგის საქმე, რომელიც გაასამართლეს 1997 წელს ორი ბასკი პოლიციელის მკვლელობის გამო. **1997 წლის 7 მარტს ოტეგი ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გაამართლა, რადგან, ჟიურის აზრით, მან მკვლელობა ჩაიდინა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია სიმთვრალეში მის მიმართ პოლიციელთა მხრიდან განხორციელებულმა ძალადობამ, რის შემდეგაც მოსამართლემ ბრალდებული გაათავისუფლა.**

ამ ვერდიქტით მთელი ესპანეთი შოკირებული იყო, რადგან, საზოგადოების აზრით, ვერდიქტი არ შეესაბამებოდა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და ამგვარი გადაწყვეტილების გამოტანა განპირობებული იყო ბასკი ნაციონალისტებისადმი სიმპათიით. ამან წარმოშვა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გაუქმების ან ბასკების მხარეში მისი ფუნქციონირების დროებით შეჩერების შესახებ მოთხოვნა. მაგრამ კომპრომისის მეშვეობით, ნაფიც მსაჯულთა შესახებ სპეციალური კანონით შემოღებული ეს ინსტიტუტი დღემდე განაგრძობს არსებობას.

ნაფიცი მსაჯულების მიერ გამოტანილი განაჩენი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა საქმეში ფიგურირებს. **ამ მხრივ ალსანიშნავია, ამერიკაში გამართული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, სადაც 11 სექტემბრის ტერაქტში ეჭვმიტანილი ზაქარიას მუსაი რიგითმა მსაჯულებმა ერთსულოვნად ცნეს დამნაშავედ. თუმცა ამჟამად ნაფიცი მსაჯულების მიერ წარმართული სასამართლო პროცესები, როცა ეჭვმიტანილი ტერორისტია, ან შემცირებულია, ან, რიგ შემთხვევებში, — სრულიად გაუქმებული.** აკრძალვის ორი მიზეზი არსებობს: 1) შესაძლოა, ტერორისტმა დააშინოს ნაფიცი მსაჯულები და აქედან გამომდინარე გამოტანილი ვერდიქტი ვერ იქნება ადეკვატური და 2) ტერორისტმა მოახდინოს მსაჯულთა ჟიურის პოლიტიზირება და ამით სცადოს გარკვეული უწესრიგობის შეტანა საქმის წარმოებაში.

**(ამ თემას მომავალშიც მივუბრუნდებით და უფრო საინტერესო და სკანდალურად გახმაურებულ საქმეებს გაგაცნობთ, ნაფიცი მსაჯულების მიერ გამოტანილი სამართლიანი თუ უსამართლო ვერდიქტების თაობაზე).**

## ბოლოთქმა

**არის დღევანდელი ქართული საზოგადოება მზად ნაფიცი მსაჯულის მძიმე მისიის შესასრულებლად თუ ეს მხოლოდ ხელისუფლების მორიგი გაუაზრებელი ნაბიჯია, ევროკავშირისთვის თვალის ახვევის ანდა მათ წინაშე პოლიტიკური ქულების ჩაწერის მიზნით?**

მიმაჩნია, ზემოთ მოყვანილი სხვადასხვა ქვეყნის მაგალითი საზოგადოებამ დაწვრილებით უნდა იცოდეს. შესაბამისად, საზოგადოების ამ საკითხში გასათვითცნობიერებლად საჭიროა, მხოლოდ კომპეტენტურმა პირებმა (და არა მსახიობებმა) საჯაროდ განიხილონ უკვე მიღებული პროექტის დადებითი და უარყოფითი მხარეები. მხოლოდ სამსერიანი ფილმით ნაჩვენები რეალობა სრულად ვერ ასახავს ამ პროექტის მიზანს.

**თვით დემოკრატიული სასამართლოს მქონე ზესახელმწიფოები, ხშირ შემთხვევაში, არასწორად გამოტანილი განაჩენის გამო, გაუმართლებლად მიიჩნევენ ნაფიც მსაჯულთა სისტემის არსებობას და მაშინ, როცა საქართველოში სასამართლო მძიმე დღეშია, ათმაგი ყურადღება და დაკვირვება მართებს თითოეულ მოქალაქეს, რათა მის მიერ გამოტანილ საბოლოო განაჩენში არ შეცდეს.**

**ოთარ დალაქიშვილი**

## გავრცელებული



**ნანა კაკაბაძე,**
**„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" თავმჯდომარე:**

დღეისთვის საქართველოში რამდენიმე ათეული პოლიტპატიმარია. ყველა მათგანი მსჯავრდადებულია შეთითხნილი ბრალდებების საფუძველზე, ძირითადად, ნარკოტიკების ან იარაღის შენახვისთვის.

*„ყველა სიახლე"*



**ირაკლი კაკაბაძე,**
**პოეტი:**

თბილისში არ უნდა იყოს ბუშის ქუჩა, რადგან ეს კაცი არის საერთაშორისო დონის კრიმინალი, უამრავი უდანაშაულო ადამიანი ჰყავს დახოცილი. არსად არ არის ჯორჯ ბუშის ქუჩა, თბილისის გარდა, თვით ამერიკაშიც კი. რატომ გახდა აუცილებელი, რომ საქართველო ასე ექლესებოდეს ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე ცუდად დასამახსოვრებელ ექსპრეზიდენტს?

*„ალია"*



**ზაზა ხატიაშვილი,**
**ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე:**

დღეს ადვოკატურა მეშახტის დონის რისკის სფეროა. თუ ადვოკატი კლიენტს ისე დაიცავს, რომ პროკურორთან ბინძურ გარიგებაზე არ წავა, შეიძლება გამოგონილი ბრალდებებით დააპატიმრონ.

*„ალია"*



**ირაკლი ალასანია,**
**„თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი:**

სააკაშვილი ფიქრობდა, რომ ქვეყანას გააერთიანებდა, მაგრამ ამის მაგივრად ომში ჩაითრია და დამარცხდა. ფიქრობდა, რომ ნატოში შეიყვანდა საქართველოს და დამარცხდა, სააკაშვილი ფიქრობს, რომ ქვეყნის სათავეში დარჩება პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგაც, მაგრამ აქაც აუცილებლად დამარცხდება. სააკაშვილი დღეს არავისთვის — არც ევროპისთვის, არც ამერიკისთვის საიმედო პარტნიორი არ არის!

*„ყველა სიახლე"*



**რევაზ მიშველაძე,**
**მწერალი:**

არავითარი ოპოზიციური პარტია საქართველოში არ არსებობს... არსებობენ მარტო თავმჯდომარეები, გენერალური მდივნები და ასე შემდეგ, ზოგიერთ პარტიაში რომ მხოლოდ 11 წევრია, ერთი საგარეო საქმეებს განაგებს, მეორე — საშინაოს, მესამე — კულტურას, მეოთხე — განათლებას... იმის ნაცვლად, რომ ტელევიზორში ჭკუადამჯდარი ადამიანების საუბარი ისმოდეს, ყოველდღე ვხედავ გაკოტრებულ სახეებს.

*„ალია"*



**გიორგი შენგელაია,**
**რეჟისორი:**

დღეს მიხეილ სააკაშვილი ხშირად ლაპარაკობს ტურიმზის განვითარების აუცილებლობაზე, მაგრამ იცის კი, რომ ტურიზმი იქ ვითარდება კარგად, სადაც კარგ ფილმებს იღებენ. სახელმწიფო მხოლოდ ატრაქციონი, შუშის ხიდები და კარგი გზა არ არის. სახელმწიფოს სავიზიტო ბარათი, უპირველესად, კულტურაა.

*„ყველა სიახლე"*



**შალვა ხაჭაპურიძე,**
**პარტია „ჩვენი საქართველოს" ლიდერი, ადვოკატი:**

თუ შენ დღეს ქუჩაში იბრძვი ხალხის დასანახად და საღამოს სააკაშვილთან ერთად რესტორანში ზიხარ ან შავნაბადას სპეცბაზაზე ყურში ეჩურჩულები, ასე არაფერი გამოვა და ბრძოლა არ დამთავრდება. მე მინდა ქართველ ხალხს გულწრფელად ვუთხრა და გარანტია მივცე, რომ, თუ მე გამოვჩნდი ამ აქციებზე, ჩემს პარტნიორებთან ერთად, ან გამარჯვებული გამოვალ ამ ბრძოლიდან, ან კიდევ გამახვიეთ ჩემი სამშობლოსა და პარტიის დროშაში და დამასაფლავეთ იმ დროშით... უკან დამხევი არ ვარ!..

*„ალია"*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ექსპორტი ლითონის გემოთი

**საზოგადოდ, ვინ ვისთან მეგობრობს, ვინ ვის უჩვენებს ზურგს, კარგადაა ცნობილი. ვთქვათ ასე: მიშას მეგობარი ჯონია, ვალოდიას ანგელა ურჩევნია და კიდევ — „ინტიმური“ დამოკიდებულება აქვს იტალიელ სილვიოსთან. შედეგად — საერთაშორისო მოედანზე დამატებითი ხვეულები, სტრესები და სოლიდური დონის დისჰარმონია მივიღეთ. ამასთან, ყველა ფიგურანტს ერთი სურვილი ამოძრავებს: მაგარი ბიჭების სახელი დაიმკვიდრონ; ვისაც მხოლოდ უკეთილშობილესი მიზნები ამოძრავებს. ისინი ხომ საზოგადოებისთვის ირჯებიან და მხოლოდ იმისთვის ზრუნავენ, კაცობრიობის ეკონომიკური „ხვალე“ „დღევანდელზე“ უკეთესი რომ იყოს.**



## 2010 წლის იანვარ-აგვისტოში საგარეო სავაჭრო ბრუნვა 24 პროცენტით შემცირდა, ექსპორტი — 9 პროცენტით, იმპორტი — 28 პროცენტით!

### სტრინგერი ბატონი პუტინის წინააღმდეგ?

ახსოვთ ეს ჩვენთანაც, სამხრეთში. თანაც მსოფლიო ეკონომიკურ ურთულეს ვითარებაში, როცა უმრავლესობას ერთი სურს, ვაჟკაცი ჰუსარი და მისი კეთილმოსურნენი თითქოს კატეგორიულად ამის წინააღმდეგნი არიან.

მიხვდით, რაზეა ლაპარაკი?

რუსეთის მოსალოდნელ შესვლაზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და საქართველოს პოზიციაზე ამ საკითხთან დაკავშირებით რუსეთ-საქართველოს დიდი ხნის წინათ და უიმედოდ გაუარესებული ურთიერთობის ფონზე. თუმცა ხალხის მასები, მანიაკალურად იმეორებენ ზოგიერთები, საზოგადოებრივ-კულტურულ-ინტელექტუალური იდეალური თანამშრომლობის მაგალითად რჩება წარსულში. სხვანი კი, პირიქით 200-წლიან მონობაზე საუბრობენ, ეროვნული სულის წარყვნის გაკვეთილებზე და ა.შ.

**რუსეთი ეპირება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლას-მეთქი, იქ, სადაც საქართველო დიდი ხნის მკვიდრია და უფლება აქვს, ვისი „ფეისიც“ არ მოეწონება, უარი უთხრას მიღებაზე.**

ახლახან, მასმედიის ცნობით, რუსეთის ფედერაციის ფინანსთა მინისტრმა ალექსანდრ კუდრინმა განაცხადა, რომ ვაშინგტონმა და მოსკოვმა ყველა ის პრობლემა გადაწყვიტა, რომლებიც აბრკოლებდა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მიღებას, რომ **ეს პროცესი უახლოეს თვეებში უნდა დაიწყოს. მაგრამ ვაშინგტონის ადმინისტრაცია ამ საკითხის თაობაზე ხმას არ იღებს.** თუმცა რუსეთელთა მიმართ ოკეანისგაღმელი პრეზიდენტის კეთილგანწყობა სრულად გამოითქვა მედვედევის ვაშინგტონში ვიზიტის დროს. ისიც კი გაჟღერდა, რომ უახლოეს პერიოდში რუსეთი შეაბიჯებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფართოდ გაღებულ კარში.

**ბატონი კუდრინის აზრით, ქართული ფაქტორი საერთოდ არ არსებობს. ეტყობა, ესმის, რომ რუბიკონი პატრონმა, აშშ-მა, გადალახა და „ბანანის რესპუბლიკის“ პოზიცია ამ შემთხვევაში არავის აინტერესებს.**

**ცუდად გცნობიათ, ბატონო კუდრინ, „ნაციონალები“ და მათი მეთაური, რომელმაც უამრავ ხიფათს გადაჰყარა არა მარტო „უახლოესი მეგობრები“, არამედ „შორეული ნათესავები“.**

მინისტრის სიტყვები ბეტონივით ჯერ არ გამყარებულიყო, როცა ქართულ მასმედიაში პრეზიდენტის პრესსპიკერის პირით გაცხადდა: **საქართველო მხარს არ დაუჭერს რუსეთის ფედერაციის შესვლას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მანამ, სანამ რუსეთი თბილისის პირობებს არ შეასრულებს.**

ეს, უპირველეს ყოვლისა. მეორე, ძველი მოთხოვნები ძალაში რჩება: **ერთობლივი კონტროლის დაწესება საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე აფხაზეთში, მდინარე ფსოუზე, და როკის უღელტეხილთან სამხრეთ ოსეთში, ასევე, ქართული პროდუქციის რუსეთში შეტანა. და, რა თქმა უნდა, ტერიტორიული საკითხი — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემა.**

მოკლედ, ბატონი სააკაშვილის აზრით, მის ხელთაა სტინგერი, რომელიც მან დაუმიზნა „რუსული ეროვნების“ ცნობილ სახეებს და შესთავაზა ერთი დაკვრით ყველა ქართული პრობლემის გადაჭრა. ჰოდა, რატომ არ დაუმატონ ყველაფერ ამას, ვთქვათ, კონტრიბუციის გადახდა ქართველებისთვის, როგორც ხუთდღიან ომში გამარჯვებული მხარისთვის?!

ეფექტური იქნება და მსოფლიოც გაჰკვირდება ურთიერთობებში ჩვენი სიმტკიცითა და თანმიმდევრობით!

ისე კი, შიდა მოხმარების საქონლისა და წარმავალი პიარის დონეზე რჩება ყველაფერი, რაც აფთიაქის დოზებით თუ მოქმედებს პირველი პირის ჰეროიზაციაზე — უმამაცეს, ბრძენსა და გულანთებულ პატრიოტზე.

თუ სერიოზულად შევხედავთ საკითხს, ეკონომიკური პარადოგმა ჩვენს დონეზე არ ჩანს — სხვა ხარისხის მოთამაშეებთან გვაქვს საქმე. პოლიტიკურს კი მივყავართ არსაით! რადგან საზოგადო აზრით, დინების წინააღმდეგ ცურვა საკმაოდ საშიშია. **აბსურდულია, იმედი დავამყაროთ იმაზე, რომ მოწინააღმდეგე მხარე თავის პოზიციას ჩვენს სასარგებლოდ შეცვლის.**

**თანაც, ვიმეორებ, ეს ჩვენი თამაში არ არის.**

რუსეთი კი იმდენს უთმობს მეტოქეებს თავის გეო და, უბრალოდ, პოლიტიკაში, ირანის ჩათვლით, რომ ამერიკელების პოლიტიკური პრეტენზიები თანდათან იწურება და ზემოქმედების იარაღად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მიღება-არმიღების საკითხიღა რჩება.

ამასთან დაკავშირებით, უპრიანია, რუსეთის პრემიერის მოსაზრება გავიხსენოთ, რომელმაც აღნიშნა, რომ **რუსეთი შეიძლება მუდმივად შედიოდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, მაგრამ არავითარ წინმსწრებ ცალმხრივ მოვალეობას საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე თავის თავზე არ აიღებს.**

ასე რომ, ჩვენ, სცენარის მიხედვით გვევალება მხოლოდ ხმა შევუწყოთ „უფროს პატრონს“, რასაც პატიოსნად ვასრულებთ კიდეც. თუმცა საკუთრივ ჩვენი ეკონომიკური და სხვა საკითხები „ფრიადზე“ ვერ ქაჩავს.

### პროცენტები ვერ გაგვაძღებს

**საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ მიმდინარე წლის 8 თვეში 4051 მილიონი დოლარი შეადგინა, არაორგანიზებული ვაჭრობის ჩაუთვლელად. ყველა მონაცემით, 2010 წელს გაცილებით უკეთ და აქტიურად ვვაჭრობთ, ვიდრე შარშანდელ შესაბამის პერიოდში. ზრდა 17 პროცენტია.**

გავაუმჯობესეთ ჩვენი, ტრადიციულად სუსტი ადგილი, ექსპორტიც. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ექსპორტის მოცულობის სავაჭრო მაჩვენებელმა 977 მლნ დოლარი შეადგინა, რაც 35 პროცენტით აღემატება შარშანდელს. იმპორტის მაჩვენებელიც 12 პროცენტით გაიზარდა და ფულად გამოსახულებაში 3074 მლნ დოლარი შეადგინა. აი, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი (2098 მლნ დოლარი) კვლავ ზრდის ტენდენციას ინარჩუნებს, 4 პროცენტზე ცოტა მეტს.

**2010 წლის იანვარ-აგვისტოში საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2008 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 24 პროცენტით შემცირდა, ექსპორტი — 9, იმპორტი — 28 პროცენტით!**

არ გამოვრიცხოთ მსოფლიო კრიზისისა და ხუთდღიანი ომის ზეგავლენა, მაგრამ არც ჩვენი წამგებიანი ეკონომიკური სტრატეგიის უგულებელყოფა ეგების. არავითარ კომენტარს არ საჭიროებს ჩვენი ექსპორტის პირველი რაოდენობრივი მუხლი: ფეროშენადნობები — 131.058.400 დოლარი, საერთო მოცულობის თითქმის 16 პროცენტია. უარესია მანქანების ექსპორტი, მესამე — შავი ლითონის ჯართი კი დამაფიქრებელია.

ჯართი, დიდი ხანია, გააქვთ მეზობელ თურქეთში და იქიდან ჩვენ და ჩვენს მეზობლებს სხვადასხვა იარაღის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო იარაღის სახით გვიბრუნდება. ბუნებრივია, რომ მზა საქონლის მომგებიანობისა და ღირებულების შედარება გატანილ „ნედლეულთან“ აბსურდია, რადგან წამგებიანია აშკარად. არადა, **რუსთავში საბჭოთა კავშირის ინდუსტრიის გიგანტი მეტალურგიული კომბინატი სწორედ ნედლეულის შიმშილს განიცდის და ნელთბილად მუშაობს. კომბინატს გატანილი ლითონის ოდენობის ათჯერ მეტის ათვისება შეუძლია. მაგრამ სხვა „ბიზნეს-ინტერესების“ ზეგავლენით სიტუაცია ტრაგიკომიკურ ელფერს იძენს.**

პირველი: იკარგება რეალური ფული. მეორე: იზრდება დაუსაქმებელთა რაოდენობა. მესამე: კაპიტალისტური ქვეყანა სოციალისტური საქართველოს ხარჯზე აგრძელებს ცხოვრებას, მისი ჯართით სულდგმულობს და საექსპორტო გრაფაში პროცენტების მრუდს მაღლა სწევს. თუ ამას დავუმატებთ ავტომანქანებს, რომლებსაც მეზობლებში ვყიდით, მანამდე კი ჩვენ ვყიდულობთ საზღვარგარეთ, აშკარად გამოჩნდება, საგარეო ვაჭრობის შესაძლებლობანი საკმაოდ მწირია.

### მიმართვა უთამომავლებს

**ფაქტები ჯიუტია. იმედიანად ჟღერს ჟურნალისტური სათაური: საქართველო ზრდის საქონლის ექსპორტს აზერბაიჯანში.**

სტატსამსახურის მონაცემებით, **2010 წლის იანვარ-აგვისტოში საქონლის ექსპორტი საქართველოდან აზერბაიჯანში 2009 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 29,5 პროცენტით გაიზარდა და დაახლოებით 155 მილიონი შეადგინა.**

8 თვის განმავლობაში საქართველოდან აზერბაიჯანში ექსპორტირებულ იქნა მსუბუქი ავტომანქანები (რეექსპორტი) 69,2 მილიონი დოლარის ოდენობით, რაც თითქმის ორჯერ აღემატება ანალოგიური პერიოდის შარშანდელ მაჩვენებელს.

### რეექსპორტი სულ უფრო გამოიკვეთა, როგორც ჩვენი საგარეო ვაჭრობის მძლავრი ფაქტორი.

**ის დროა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეიქმნას სპეციალური სამსახური დოლარების შოვნის საკითხში მრჩევლებისა და კონსულტანტების.**

ხომ ურჩია ვიღაცამ ჯანდაცვის ახალ მინისტრს, რომ აღადგინოს აფთიაქებში წამლების გაყიდვის რეცეპტების სისტემა. ნამდვილად განსაკუთრებული მდგომარეობაა პენსიონერებისა და უპოვართათვის, რომლებიც წამლის საფასურის გარდა, 8-დან 12 ლარამდე უნდა დახარჯონ ექიმთან ვიზიტზე.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი რამ შეიძლება მოხდეს ჩვენს განვითარებად საზოგადოებაში. მაგრამ განა ნაკლებ საოცარი ამბები ხდება ჩვენთან? მაგალითად, წამლის ფასის ევროპული დონე სულაც არაევროპული ჩვენი ხელფასებისა და პენსიების ფონზე?

იმავე სტატისტიკის მიხედვით, ჩვენს სამედიცინო სექტორში საკმაოდ საინტერესო ტენდენცია ყალიბდება. თურმე, შავი ლითონის ნაცვლად, თურქეთიდან თითქმის ექსკლუზიურად შემოგვაქვს წამლები! **მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში თურქეთიდან შემოტანილ საქონელში ლიდერობს სამკურნალო საშუალებები. აღნიშნულ პერიოდში იმპორტირებულია 241.156.000 დოლარის ღირებულების 233.700 ტონა სამკურნალო საშუალება.**

მიზეზი ამ ქვეყნის სამედიცინო წინსვლაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ წამლების შედარებით სიიაფეში, რომლებიც შემდეგ ჩვენთან პარიზულ ფასად იყიდება.

აი, ეს არის სავაჭრო ჭკუაგამჭრიახობის მაგალითი, რომელიც სახელმწიფო პატრონაჟით ხორციელდება და ჭეშმარიტ საქმეთა ნაცვლადაა ფართოდ გავრცელებული საქართველოში.

**საქინფორმი**

## თურქეთიდან იმპორტირებულია 241.156.000 დოლარის ღირებულების 233.700 ტონა სამკურნალო საშუალება. ამის მიზეზი წამლების შედარებით სიიაფეა, შემდეგ ჩვენთან პარიზულ ფასად რომ იყიდება

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «ორი კულტურა — ერთი სარწმუნოება»

## ვორონეჟი, ფართომასშტაბიანი კულტურული ღონისძიების ფარგლებში ქართულ კინოს უმასპინძლებს

**23-27 ნოემბერს რუსეთში, ქალაქ ვორონეჟში, გაიმართება ფართომასშტაბიანი კულტურული ღონისძიება „ორი კულტურა — ერთი სარწმუნოება", რომელიც ქართული კინოს დღეებს მიეძღვნება. ღონისძიებაზე მიწვეულნი არიან ქართული კულტურის მოღვაწეები, რეჟისორები: რეზო ჩხეიძე, გიგა ლორთქიფანიძე, რეზო ესაძე; სახალხო არტისტები: ლეილა აბაშიძე, ქეთევან კიკნაძე. დაგეგმილი ღონისძიებისა და, ზოგადად, რუსეთ-საქართველოს შორის არსებული კულტურული კავშირების შესახებ გვესაუბრებიან ბატონი გიგა ლორთქიფანიძე და ბატონი რეზო ჩხეიძე.**

**— ალბათ, ბუნებრივი იქნება, თუ ინტერვიუს ქართულ კინოინდუსტრიაში შექმნილ მდგომარეობაზე საუბრით დავიწყებთ...**

**გიგა ლორთქიფანიძე:**

— დღეს ქართულ თეატრსა და კინოში ძალზე მძიმე მდგომარეობაა. ყოველ შემთხვევაში პროგრესი არ ჩანს. ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის, რომ არ არსებობს მატერიალური ბაზა ფილმის გადასაღებად. თავის დროზე მე მქონდა ჩანაფიქრი და გამზადებული სცენარი, ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობების მიხედვით გადამეღო 12-სერიანი ფილმი, რომელშიც შევიდოდა ყაზბეგის ყველა დიდი და მნიშვნელოვანი ნაწარმოები (ეს ისეთი ძლიერი ლიტერატურაა, რომ საცოდაობაა, ტელეეკრანზე არ აღიბეჭდოს), მაგრამ ვერ მოიძებნა ფული ამ ფილმის გადასაღებად. დღეს უკვე გვიანიც არის ჩემთვის 12-სერიან ფილმზე ფიქრი, თუნდაც იმიტომ, რომ რამდენიმე დღეში 83 წლის ვხდები და, ბუნებრივია, გამიჭირდება. თავის დროზე, დიდი სურვილი მქონდა, რომ ალექსანდრე ყაზბეგი მსოფლიო ეკრანზე დარჩენილიყო.

**რეზო ჩხეიძე:**

— სამწუხარო რეალობაა, რომ დღეს საქართველოში არ მოიძებნება საიმისო თანხა, რომ ფილმი დაფინანსდეს და რეჟისორმა შეძლოს საკუთარი ნიჭის, შესაძლებლობების გამოვლენა. **საბჭოთა პერიოდში, მაშინ, როცა იქმნებოდა ეს გენიალური ფილმები, სახელმწიფო მთლიანად ედგა რეჟისორს გვერდით. მაგალითად, ავიღოთ თუნდაც „ჯარისკაცის მამა". ის ჯარისკაცები, სამხედრო ტექნიკა სრულიად უფასოდ მოგვაშველეს,** რომელიც, რა თქმა უნდა, დადებითი ფაქტი იყო ფილმის შესაქმნელად, ანუ ეს იყო ერთ მთლიანობაში აწყობილი მექანიზმი, რომელსაც ჰქონდა შინაარსი და სულიერი სიღრმე. **დღეს, სამწუხაროდ, არ არის ქართული ფილმი სახელმწიფოს პრიორიტეტებში. ერთ-ერთ შეკრებაზე მე ასეთი რამ განვაცხადე, რომ მარტო გენიალური სერგო ფარაჯანოვი და თენგიზ აბულაძე აღარ არიან, დანარჩენი რეჟისორები ხომ ვართ ცოცხლები?!** მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, თუ არავინ დაგვეხმარა, ბაზა თუ არ მოგვიმზადა ფილმის გადასაღებად, მარტო ჩვენ, რეჟისორები ვერაფერს გავხდებით.

**— ნოემბრის დამლევს რუსეთში, ქალაქ ვორონეჟში, დაგეგმილია მასშტაბური კულტურული ღონისძიება „ორი კულტურა — ერთი სარწმუნოება", რომელიც ქართული კინოს დღეებს ეძღვნება. ამ ღონისძიებაზე მიწვეული თქვენც ბრძანდებით. ბატონო გიგა, თქვენი აზრით, რუსეთ-საქართველოს დღევანდელი დაძაბული ურთიერთობის ფონზე, რამდენად ეფექტურია ამგვარი კულტურული ღონისძიებების გამართვა სამომავლო ურთიერთობების აღსადგენად?**

**გიგა ლორთქიფანიძე:**

— სამწუხაროდ, ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ მივდივარ და ვერ დავესწრები ამ ღონისძიებას. თუმცა ქართული კინოს დღეებზე აჩვენებენ ჩემს ფილმს, „დათა თუთაშხიას". რა თქმა უნდა, ეს კარგი საქმეა. **ჩვენ პოლიტიკური ლიდერების დაპირისპირება არ უნდა გადავაქციოთ რუსულ-ქართული კულტურების დაპირისპირებად, თუნდაც იმიტომ, რომ კულტურაში ჩვენ ბევრი საერთო გვაქვს, მრავალწლიანი ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკული გამოცდილება.** დღეს სწორედ ეს ურთიერთობები უფრო მოაგვარებს არსებულ კონფლიქტურ სიტუაციებს, ვიდრე სახელმწიფო მეთაურების ამბიციები.



### გიგა ლორთქიფანიძე:

### პოლიტიკური ლიდერების დაპირისპირება არ უნდა გადავაქციოთ რუსულ-ქართული კულტურების დაპირისპირებად



### რეზო ჩხეიძე:

### ჩვენ ერთად თანაცხოვრების საუკუნოვანი ფესვები გვაკავშირებს

**— ორი ქვეყნის დაძაბულმა პოლიტიკურმა რეალობამ გარკვეულწილად კულტურულ ურთიერთობებზეც იმოქმედა. თითქოს ერთგვარი ბზარიც კი გაჩნდა. ხომ არ გამოიწვია ყოველივე ამან ქართველი და რუსი საზოგადოების გათიშვა, გაუცხოება?**

**გიგა ლორთქიფანიძე:**

— რა თქმა უნდა. საუბედუროდ, ის ხალხი, რომელთანაც ურთიერთობა მქონდა (მწერლები, რეჟისორები თუ მსახიობები) თითქმის აღარავინაა ცოცხალი. დღეს არც კი ვიცი, ვინ იღებს ფილმებს, ვინ წერს პიესებს, ანუ არავითარი კავშირი აღარ გვაქვს. ეს ძალიან ცუდია. **სხვათაშორის, რუსულ სახელმწიფოსთან ყველა კონფლიქტურ სიტუაციაში რუსული ინტელიგენცია მუდმივად ჩვენს მხარეს იდგა. რუსი მწერლები, მსახიობები, რეჟისორები აქტიურად უჭერდნენ მხარს საქართველოს დამოუკიდებლობასა და თვითმყოფადობას. ასე რომ, ეს გათიშულობა ჩვენს სასარგებლოდ არ მოქმედებს.**

ჩემთვის რუსეთი არის, ისეთი ბრწყინვალე პიროვნებები, როგორებიც იყვნენ ოლეგ ეფრემოვი, ანატოლი ეფროსი და ასევე შესანიშნავი რუსი მწერლები, რომლებიც შეყვარებული იყვნენ ქართულ კულტურასა და ხელოვნებაზე. ამასთან დაკავშირებით ერთ ისტორიას გავიხსენებ. მე მოსკოვში ვსწავლობდი სარეჟისორო ფაკულტეტზე. იმ პერიოდში, 1948 წელს, რუსეთის მწერალთა კავშირში ჩატარდა ზაბოლოცკის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების განხილვა. ამ ღონისძიებაზე ჩემ გარდა რამდენიმე ქართველი სტუდენტიც იყო. (ასეთი უთავბოლობა ქართველებისა, რა თქმა უნდა, ყოვლად მიუღებელია ჩემთვის, რომ 1948 წლამდე ვაჟა-ფშაველა არც ერთ ენაზე არ იყო ნათარგმნი და ამ გენიოსს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არავინ იცნობდა). ზაბოლოცკის ამ გამოსვლას მწერალთა კავშირში ესწრებოდა რუსული ლიტერატურისა და კულტურის ელიტა. როდესაც ამ ნაწარმოებების კითხვა დამთავრდა, ტაშით დაინგრა დარბაზი. აღფრთოვანებულები იყვნენ რუსები. პირველი წამოდგა ბორის პასტერნაკი და თქვა, როგორ მოახერხეთ აქამდე „ჰომეროსის" დამალვაო, ანუ ვაჟა-ფშაველა ჰომეროსის დონის მწერლად მიიჩნიეს. მართალია, ჩვენზე, იქ მყოფ ქართველ სტუდენტებზე, არ მოახდინა წარუშლელი შთაბეჭდილება ნათარგმნმა ვაჟა-ფშაველამ, თუნდაც იმიტომ, რომ არ მოგვეწონა არაქართული ჟღერადობა, მაგრამ რუსებმა ხომ გაიგეს ვაჟას ნამდვილი გენიალური ხასიათების ჭიდილი. ასე რომ, ვფიქრობ, ეს ურთიერთობები უნდა დალაგდეს. თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, სრულ განადგურებამდე მივიდეთ.

**— „ორი კულტურა – ერთი სარწმუნოება" — ასე ერქმევა ღონისძიებას. რა იქნება ამ კულტურული ღონისძიების მთავარი გზავნილი?**

**გიგა ლორთქიფანიძე:**

— თემიდან გამომდინარე, ნათელია, რა მიზანსაც ემსახურება ეს კონკრეტული ღონისძიება. ესაა ორი მჭიდროდ დაკავშირებული კულტურის უკვდავყოფა. თუნდაც ის, რომ ასეთი ურთიერთობების ფონზე, ვორონეჟში ტარდება ქართული კინოს დღეები, ეს ჩემთვის თავიდან ყოვლად წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ იმართება და, რა თქმა უნდა, მივესალმები. უნდა აღვნიშნო, რომ **რუსეთის ინტელიგენციას ქართული კულტურის მიმართ უწყვეტი ინტერესი აქვს და ერთ დროს ეთაყვანებოდნენ კიდეც ქართულ თეატრს, კინოს. ეს კი შველოდა ჩვენს ურთიერთობებს. ასეთი კასტური აზროვნება, რაც დღეს ქართულ საზოგადოებაშია, წარმოუდგენელი და მიუღებელია, ანუ არ უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისგან რუსული და ქართული კულტურა.**

რუსული ენა არის ერთ-ერთი საინტერესო ენა მსოფლიო ენებს შორის. თუ შენ არასწორად იქცევი, ენას რას ებრძვი?! ერთი ამბის გახსენება მინდა. **მაშინ, როცა ტიციან ტაბიძე დააპატიმრეს, მისმა მეგობარმა, გენიალურმა პიროვნებამ, ბორის პასტერნაკმა თავისი ნათარგმნების ჰონორარიდან აღებული 17000 მანეთი სანდო პირს გაატანა ტიციანის ოჯახთან და თან დააფიცა, რომ არ ეთქვა მათთვის, თუ ვინ უგზავნიდა ამ თანხას. მითუმეტეს რომ პასტერნაკი არ იყო ფინანსურად განებივრებული კაცი. სწორედ ეს არის ჩემთვის სათაყვანებელი და მისაღები ურთიერთობა.** არ შეიძლება კულტურის პოლიტიკის სამსახურში ჩაყენება. პირიქით, მე ვფიქრობ, რომ კულტურამ უნდა განსაზღვროს პოლიტიკა, კულტურამ უნდა მოახერხოს ხალხთა შორის ურთიერთობების დამყარება და საერთო ენის გამოძებნა.

**რეზო ჩხეიძე:**

— კეთილმეზობლური ურთიერთობები რომ შენარჩუნდეს და საბოლოოდ არ წაიშალოს ქართველებსა და რუსებს შორის, აუცილებელია რელიგიური და კულტურული კავშირების გაღრმავება. დღეს კი ამგვარი კულტურული ღონისძიებები ქართველებსა და რუსებს ჰაერივით გვჭირდება. მაშასადამე, როგორც კი გამოჩნდება ურთიერთობების დათბობის შესაძლებლობა, ორივე მხარემ უნდა გამოვიყენოთ.

ქალაქ ვორონეჟში ბევრი ქართველი ცხოვრობს და, შესაბამისად, უპირველესად, იქ მცხოვრები ქართველებისთვისაა დღესასწაული ამ ღონისძიების ჩატარება. როგორც ჩემთვისაა ცნობილი, ამ ყველაფრის ორგანიზატორები არიან საერთაშორისო კინოფესტივალი „ოქროს რაინდი" და ვორონეჟის ოლქის გუბერნატორი. მაშასადამე, **თვითონ რუსების ინტერესშია დღეს არსებული ურთიერთობის დეფიციტის აღმოფხვრა. ბოლოსდაბოლოს, ჩვენ ხომ ერთად თანაცხოვრების საუკუნოვანი ფესვები გვაკავშირებს. ეს ეხება, როგორც ლიტერატურას, ასევე მუსიკას, კინოსა და, ზოგადად, ხელოვნებას.**

გავიხსენოთ გენიალური ხელოვანები, როგორებიც იყვნენ, ბალეტმაისტერი ვახტანგ ჭაბუკიანი (მან დიდი როლი ითამაშა რუსული ბალეტის ჩამოყალიბებაში), პოეტი ევგენი ევტუშენკო, საოპერო მომღერალი თედორე შალიაპინი და სხვა მრავალი გენიალური პიროვნება, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. თავის დროზე სწორედ, ასეთი ხალხი აღვივებდა რუსებსა და ქართველებს შორის სიყვარულის, მეგობრობისა და თანადგომის გრძნობას.

**— მხოლოდ ქართული ფილმების ჩვენებით შემოიფარგლება ეს ღონისძიება თუ უფრო მრავალფეროვანი სახე ექნება?**

**რეზო ჩხეიძე:**

— ნაჩვენები იქნება ელდარ შენგელაიას „ცისფერი მთები" და „შერეკილები", თენგიზ აბულაძის „მონანიება", გიორგი შენგელაიას „ფიროსმანი" და „ვერის უბნის მელოდიები", თემურ ბაბლუანის „ბეღურების გადაფრენა", გიგა ლორთქიფანიძის „დათა თუთაშხია", ლანა ღოღობერიძის „როცა აყვავდა ნუში". ჩემი ფილმებიდან აჩვენებენ „ჯარისკაცის მამას" და ახალ ფილმს, რომელიც 2008 წელს გადავიღეთ. ფილმს ჰქვია „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი". სხვათაშორის, ეს არის რუსულ-ქართული („ქართული ფილმისა" და „მოსფილმის" ერთობლივი) პროექტი. ამ ფილმზე მთლიანად ქართული კოლექტივი ვმუშაობდით, რუსებმა კი ფილმის ბიუჯეტი დააფინანსეს. ასევე, ამ ღონისძიებაზე, ჩემი ინფორმაციით, მოეწყობა იური მეჩითოვის ფოტო-გამოფენა, რომელიც მთლიანად ქართულ კინოს მიეძღვნება.

**თვითონ რუსების ინტერესშია დღეს არსებული ურთიერთობის დეფიციტის აღმოფხვრა. ბოლოსდაბოლოს, ჩვენ ხომ ერთად თანაცხოვრების საუკუნოვანი ფესვები გვაკავშირებს. ეს ეხება, როგორც ლიტერატურას, ასევე მუსიკას, კინოსა და, ზოგადად, ხელოვნებას**

ესაუბრა
**ოთარ დალაქიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მიკლოშ ხორტი — ფაშიზმი უნგრულად

**მიკლოშ ხორტი 1868 წლის 18 ივნისს უნგრეთის დიდი დაბლობის ცენტრში მდებარე მამისეულ მამულში დაიბადა. იგი საშუალო მიწათმფლობელის იშტვან ხორტის ოჯახში მეხუთე შვილი იყო. მშობლები ცდილობდნენ, კარგი განათლება მიეცათ და მკაცრი დისციპლინისთვის მიეჩვიათ. თავიდან ფრანგი მასწავლებლების მეთვალყურეობით დააწყებინეს სწავლა, შემდეგ კი, ჩათვალეს რა, რომ სამსახურებრივი წინსვლისთვის გერმანული ენის ცოდნა აუცილებლად დასჭირდებოდა, 10 წლის ასაკში ქალაქ შოპრონის გერმანულენოვან ვაჟთა გიმნაზიაში გაამწესეს.**


მიკლოშ ხორტი


მიკლოშ ხორტი და ადოლფ ჰიტლერი

1882 წელს ხორტი იმ 42 ახალგაზრდას შორის მოხვდა, რომლებიც 612-დან შეარჩიეს და სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში ჩარიცხეს, 1886 წელს კი იმ 27 წარმატებულ სტუდენტთა შორის იყო, რომელთაც საზღვაო კადეტის წოდება მიანიჭეს. ამასობაში სერბული და იტალიური ენებიც ისწავლა და სამსახურშიც სწრაფად მიიწევდა წინ. 1900 წლიდან პირველი რანგის კაპიტან-ლეიტენანტის წოდებით ორთქლის პირველ გემს ხელმძღვანელობდა.

1901 წელს, საზაფხულო შვებულებისას, უნგრელი პარლამენტარის — იანოშ პურგლის ქალიშვილი, 19 წლის მაგდა შეირთო ცოლად და საპორტო ქალაქ პოლეში დასახლდა. **1909 წელს ხორტის მესამე რანგის კაპიტნის წოდება მიანიჭეს და მის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ცვლილებები მოხდა — ერთობლივმა ავსტრო-უნგრულმა სამხედრო სამინისტრომ უმაღლესი ოფიცრის თანამდებობა შესთავაზა. ეს იმპერატორ ფრანც-იოსების ოთხი ფლიგელ-ადიუტანტიდან ერთ-ერთის ადგილის დაკავებას ნიშნავდა; მანამდე აღნიშნულ თანამდებობაზე მხოლოდ ავსტრიელები ინიშნებოდნენ.**

1909-1914 წლებში ხორტი უშუალოდ იმპერატორთან — უნგრეთის მეფესთან მსახურობდა. ბალკანეთის მეორე ომის პერიოდში იგი სანაპირო დაცვას ედგა სათავეში, შემდეგ კი იმპერატორის სასახლეში დაბრუნდა.

**1918 წელს რუსეთში მიმდინარე მოვლენების გავლენით ავსტრო-უნგრულ არმიაშიც აირია სიტუაცია. მეფე-იმპერატორი მდგომარეობით უკმაყოფილო იყო და, მიანიჭა რა კონტრ-ადმირალის წოდება, ფლოტის ხელმძღვანელად ხორტი დანიშნა. მან კი დისციპლინის დასამყარებლად დაშინების მეთოდს მიმართა და მოიწონა სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ფლოტში ამბოხების ორგანიზატორ ორ მეზღვაურს სიკვდილი მიესაჯათ. განაჩენის სისრულეში მოყვანას სხვა გემების დელეგატებიც ესწრებოდნენ, მაგრამ მონარქია ამან ვერ გადაარჩინა.**

**1919 წლის 21 მარტს უნგრეთი საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადდა და ხორტიმ ანტიბოლშევიკური მთავრობის სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე თანხმობა განაცხადა.** 6 ივნისს ქალაქ სეგედში გადასახლდა და „უნგრეთის ნაციონალური არმიის" ფორმირების საქმეს შეუდგა. **ამ არმიის მეთაურები და რაზმელები თავიდანვე სისასტიკით გამოირჩეოდნენ და „წესრიგის დამყარების" მიზნით ათას საშინელებას აკეთებდნენ.**

**16 ნოემბერს 50-ათასიანი „ნაციონალური არმია" — იმ დროისთვის ერთადერთი რეალურად ძლევამოსილი ძალა — საზეიმოდ შევიდა ბუდაპეშტში. 1920 წლის 1 მარტს კი ნაციონალურმა კრებამ 52 წლის ხორტი რეგენტად, ანუ უნგრეთის მმართველად აირჩია. მაგრამ, თანამდებობაზე დათანხმებამდე, ადმირალმა საკუთარი პირობები წამოაყენა — რეგენტის უფლებამოსილებათა გაზრდა მოითხოვა და დათანხმდნენ კიდეც. შედეგად, გახდა რა სახელმწიფოს მმართველი, ხორტიმ არმიის მთავარსარდლობაც აიღო. მხოლოდ მის თანხმობაზე იყო დამოკიდებული მშვიდობისა და ომის ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა, ხოლო 1937 წლიდან ომის გამოცხადებისა და ზავის დადებისთვის მთავრობისა და პარლამენტის თანხმობაც აღარ სჭირდებოდა.** მის ხელში იყო მთავრობის წევრების დანიშვნა, საკანონმდებლო ინიციატივები, პარლამენტის მოწვევა-დათხოვნის უფლება. **სისასტიკის წყალობით გზიდან ჩამოიცილა ყველა მოწინააღმდეგე, მათ შორის სამეფო დინასტიაც და ყოველივე ამის გამო ხორტის ეპოქას „უნგრული ფაშიზმი" ეწოდა.**

**1933 წლიდან ხორტიმ ფაშისტურ გერმანიასთან დაახლოებისთვის აქტიური ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. მან მშვენივრად იცოდა, რომ ცენტრალურ ევროპაში გერმანიის გავლენა დღითიდღე იზრდებოდა და ის ანგარიშგასაწევ ფაქტორად ყალიბდებოდა. 1936 წლის 11 ივლისს გერმანია-ავსტრიული „პარალელური პოლიტიკის" ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ხორტი პირველად შეხვდა ჰიტლერს. როგორც შემდეგ ანალიტიკოსები აფასებდნენ, ხორტის ეპოქა ტოტალიტარიზმთან წილნაყარი, ჰიტლერზე ორიენტირებული რეჟიმი იყო, მაგრამ მას მასიური ფაშისტური მოძრაობებისთვის არ მიუმართავს.** 1938 წლის 13 მარტს გერმანიის ჯარებმა ავსტრიის საზღვრები გადაკვეთეს და უნგრეთი ჰიტლერული გერმანიის უშუალო მეზობელი გახდა. უკვე 1937 წლის ბოლოდან ფაშისტური ძალები და მათი მეთაური სალაში უნგრეთში ხელისუფლებაზე აცხადებდნენ პრეტენზიას და ჰიტლერის დახმარების იმედი ჰქონდათ. შედეგად სალაში სამი წლით ციხეში გამოკეტეს, უნგრეთმა კი გერმანიასთან დაახლოება განაგრძო. იტალიის დახმარებით ხორტიმ ჰიტლერს მიმართა და „ოთხეულის" საერთაშორისო კონფერენციის შექმნა სთხოვა. **1938 წლის 2 ნოემბერს სამხრეთ სლოვაკიის 12000 კვადრატული კილომეტრი ფართობი მილიონიანი მოსახლეობით უნგრეთს შეუერთდა.**

**პოლონეთის აოხრების შემდეგ უნგრეთი ორ მეომარ გიგანტს — საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის მოექცა. ხორტი ამბობდა, რომ უნგრეთს პირველად ემუქრებოდა საფრთხე ყველა მხრიდან.**

1940 წლის გაზაფხულზე ჰიტლერმა ხორტის რუმინეთისკენ ტანკების გატარება სთხოვა და თანხმობაც მიიღო, მაგრამ ხორტის თავადაც გაუჩნდა რუმინეთთან სადავო ტრანსილვანიის ტერიტორიების სახით და ამის თაობაზე, ცხადია, ჰიტლერს მისწერა. იმავე წლის აგვისტოში ტრანსილვანიის ჩრდილოეთი 2,5-მილიონიანი მოსახლეობით უნგრეთს დაუბრუნდა. ხორტი არბიტრაჟის სანახევრო მხარდაჭერით უკმაყოფილო იყო, მაგრამ პროპაგანდამ მას, ცხადია, ქვეყნის გადამრჩენის გვირგვინი ადგა. სიტუაციის ნამდვილ მმართველად ისევ ჰიტლერი რჩებოდა, მხოლოდ ახლა მას ხორტიზე ზემოქმედების ერთით მეტი ბერკეტი ჰქონდა და ანგარიშის გასწორებაც მალე მოითხოვა — **1940 წლის 16 სექტემბერს სალაში ციხიდან გამოუშვეს. სალაშმა იმავე ზაფხულს პროფაშისტური სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა სცადა. ჰიტლერმა კი უნგრეთისგან გერმანია-იტალია-იაპონიის „სამთა კავშირთან" მიერთება მოითხოვა. ამით ეჭვქვეშ დადგა უნგრეთის დამოუკიდებლობა და ქვეყანა ფაშისტური გერმანიის მოკავშირედ იქცა.** კავშირს არ მიუერთდა იუგოსლავია. გერმანიამ მისი ლიკვიდირების გადაწყვეტილება მიიღო და უნგრეთს კვლავ ჯარების გატარება სთხოვა. ხორტი დათანხმდა, მაგრამ მალე ბრიტანეთმა განაცხადა, რომ, თუ უნგრეთის მხრიდან გერმანიის ჯარი იუგოსლავიას შეუტევდა, ლონდონი მასთან დიპლომატიურ კავშირს გაწყვეტდა. **ამ ამოცანის გადაჭრას პრემიერი ტელეკი შეეწირა — თვითმკვლელობამდე მან ხორტის სახელზე დაწერილ წერილში სინანული გამოთქვა, რომ ქვეყანა „ავაზაკების მხარეს ბრძოლისგან" ვერ დაიცვეს.**

1941 წლის 26 ივლისს უნგრეთი საბჭოთა ბომბებით დაიბომბა. მრავალი ისტორიკოსი ამას გერმანიის პროვოკაციად მიიჩნევს, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, უნგრეთმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომი გამოაცხადა. ბუდაპეშტამდე საბჭოთა ბომბდამშენებმა მხოლოდ 1942 წლის სექტემბერში მიაღწიეს. 1943 წლის იანვარში ვორონეჟთან უნგრეთის მეორე არმია საბჭოთა ჯარმა გაანადგურა. დანაკარგები 100-140 ათას ადამიანს შეადგენდა, სულ 20-დან 60-ათასამდე ჯარისკაცი გადარჩა.

**1944 წლის 17 მარტს ხორტი ჰიტლერს თავის შტაბ-ბინაში ეახლა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა — ქვეყანა გესტაპოს აგენტებით გაივსო და 400-მდე „საეჭვო" პოლიტიკოსისა თუ საზოგადო მოღვაწის დაპატიმრებები დაიწყო. დაბრუნდა რა გერმანელების მიერ ოკუპირებულ ბუდაპეშტში, 1944 წლის 19 მარტს ხორტიმ საბჭო შეკრიბა და განუცხადა, რომ უნგრეთის პროვინციად გადაქცევას არ დაუშვებდა. მიუხედავად ამისა, მაშინვე დაემორჩილა ფიურერის მოთხოვნას და გადააყენა პრემიერი, რომელსაც ჰიტლერი არ ენდობოდა. სინამდვილეში ის თავისი სახელითა და ავტორიტეტით ფარავდა გერმანიის აგრესიასა და ძალადობას. მიუხედავად ოკუპაციისა, უნგრეთის სახელმწიფო დე იურე არსებობას განაგრძობდა და ხორტი ხელისუფლებაში რჩებოდა. ქვეყანაში ნამდვილი უფლებამოსილება კი ესესის ხელმძღვანელ ვეზენმაიერისა და პოლიციის უფროსის ხელში იყო.**

ხორტიმ ახალ პრემიერად გერმანელების ნდობით აღჭურვილი გადამდგარი გენერალი დემე სტოიანი დანიშნა.

გერმანელებმა არმიის ტოტალური მობილიზაცია გამოაცხადეს, ომში ახალი რაზმები გაგზავნეს და ებრაელების დეპორტაცია დაიწყეს. 25 მაისს გერმანიაში 140.000 ებრაელი იყო გაგზავნილი. 11 ივლისამდე დეპორტირებულთა საერთო რაოდენობამ 437.402 ადამიანი შეადგინა. რეგენტმა დეპორტაცია მხოლოდ უნგრეთის ეკლესიის, ოპოზიციური პარტიების ლიდერებისა და რომის პაპის მრავალჯერადი მიმართვის შემდეგ შეაჩერა. **ბოლშევიზმის შიშითა და საკუთარი გარანტიების შესანარჩუნებლად ხორტიმ მთლიანად დაუთმო უნგრეთი ჰიტლერს, შემდეგ კი ომიდან გასვლა მოინდომა, მოსკოვში დელეგაცია გაგზავნა და 11 ოქტომბერს ზავის ხელშეკრულება გააფორმა.** ზავის პირობების თანახმად, უნგრეთს ჯარები ფრონტიდან უკან უნდა გაეყვანა და გერმანიისთვის ომი უნდა გამოეცხადებინა. **ხორტიმ რადიოთი გამოაცხადა, რომ გერმანული რეიხის დამარცხება უკვე ცხადი იყო და არც ერთი ნაცია არაა ვალდებული, თავი შესწიროს მოკავშირეს. შემდეგ დასძინა, რომ გერმანელებმა უნგრელ ხალხს ყველაზე ღირებული — თავისუფლება და დამოუკიდებლობა წაართვეს.**

**16 ოქტომბერს რეგენტმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობები მოიხსნა და პრემიერ-მინისტრად უნგრელი ფიურერი სალაში დანიშნა. თავად კი ესეს-ელების ტყვეობაში ცხოვრობდა ხიშბერგის სასახლეში, ვიდრე 1945 წლის 1 მაისს ამერიკელებმა არ გაათავისუფლეს.** ამის შემდეგ მან ექვსი თვე გაატარა გერმანიისა და ბელგიის დეპორტირებულთა ბანაკებში და ბოლოს ნიურნბერგის ციხეში გადაიყვანეს. **1945 წლის 18 დეკემბერს ამერიკელებმა ხორტი გაათავისუფლეს, მაგრამ 1957 წლის 9 თებერვალს ის გარდაიცვალა, რომ სამშობლოში დაბრუნება ვერ შეძლო.**

1993 წლის სექტემბერში ხორტის სურვილი მაინც ასრულდა — მიუხედავად უნგრელების მხრიდან საკითხისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებისა, სამშობლოში გადაასვენეს.


მიკლოშ ხორტი წვეულებაზე


მიკლოშ ხორტი ცოლთან და შვილებთან ერთად

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ხალიდ მუჰამედი: მე ამერიკის მტერი ვარ!

**11 სექტემბრის ტერაქტების ჰოლივუდური სცენარის მოფიქრებასთან უსამა ბენ ლადენს საერთო არაფერი აქვს. გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის — რობერტ მიულერის აზრით, სცენარის ავტორიცა და რეჟისორიც არაბი ხალიდ აშ-შეიხ მუჰამედი გახლდათ. ფართო საზოგადოებისათვის მისი სახელი სწორედ 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ გახდა ცნობილი, მაგრამ სპეცსამსახურები მანამდეც დიდი ხნის მანძილზე ელოდნენ მისგან საფრთხეს. იმის დასტური, რომ არ ცდებოდნენ, ამერიკელებმა გუანტანამოში გამოკეტილი ტყვეების დაკითხვების შედეგად მიიღეს და სულ არ უდარდიათ, რომ უსამას დევნაში თავიანთი ყოფილი მოკავშირეები, ავღანელი თალიბები, დაბომბეს. მსოფლიოს შემცვლელი ტერაქტების გონებრივი ცენტრი მაინც ავღანეთში იყო. იქიდან და საუდის არაბეთიდან მოედინებოდა ფულიც, მაგრამ დამრტყმელი ჯგუფების საბოლოო ფორმირება გერმანიასა და აშშ-ში განხორციელდა. გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ისიც დაასკვნა, რომ ხალიდ მუჰამედი ჯერ კიდევ 1999 წელს ჰამბურგში პირველად შეხვდა მომავალ კამიკაძეებს.**

რამდენად უცნაური და არასასიამოვნოც უნდა იყოს, ამერიკის მთავარი მტრების უმნიშვნელოვანესი თავისებურება დღეს მათი აღმსარებლობაა. ალ-ქაიდაცა და მისი განშტოებებიც რელიგიური ორგანიზაციებია. მათი წევრები სტანდარტული ანკეტის გრაფაში „საქმიანობა“ გულწრფელი პასუხის შემთხვევაში „ჯიჰადს“, ანუ „რწმენისთვის წმიდა ომს“ უნდა უთითებდნენ. **2001 წელს აშშ-მა მათ შორის ყველაზე საშიშთა ოცეული გამოაქვეყნა და ხალიდ შეიხ მუჰამედიც მასში შეიყვანა. ამერიკელები მასზე ინფორმაციისთვის 5 მილიონი დოლარის ჯილდოს აწესებდნენ, მოგვიანებით ჯილდო 25 მილიონამდე გაზარდეს.**

გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემებით, ხალიდ მუჰამედი 1964 ან 1965 წელს ქუვეითში დაიბადა. მასზე, ისევე, როგორც ყველა ტერორისტზე, ბევრი ინფორმაცია არ მოიპოვება. კუვეითური გაზეთი „ალ-კაბასი“ ირწმუნება, რომ მამამისი კუვეითის ალ-ახმადის მეჩეთის იმამი იყო. ქუვეითის ხელისუფლება აცხადებს, რომ მუჰამედი პაკისტანელია და კუვეითის მოქალაქეობა არასდროს ჰქონია. **თავად ხალიდმა განათლება აშშ-ში, ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში მიიღო და ინჟინერის დიპლომიც ჰქონდა, მშვენივრად ფლობდა ინგლისურ ენას.**

მან არაერთხელ იფრინა ამერიკის შიდა ავიახაზებით და უამრავჯერ დაუნახავს თვითმფრინავის ილუმინატორიდან ცათამბჯენების ის ნაცრისფერი სვეტები, რომლებსაც ასე სასტიკად გაუსწორდა. **მრავალი წლის მანძილზე ცხოვრობდნენ ამერიკაში აზ-ზავაჰირიც და ის კამიკაძეებიც, რომლებმაც საბოლოოდ განახორციელეს 11/09.**

სწავლის დამთავრების შემდეგ ხალიდი აშშ-დან გაემგზავრა, მაგრამ არა მშობლიურ კუვეითში, არამედ ავღანეთში, სადაც „წითელი შაითანის“ წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში მომავალი ალ-ქაიდას პირველი პირები ბრძოლის პრაქტიკას გადიოდნენ. ინგლისურისა და არაბულის ბრწყინვალედ მცოდნე ახალგაზრდა ინჟინერმა ნაღმებისა და ჭურვების აფეთქების საქმეც იოლად აითვისა და ოცი წლის ასაკში ავღანეთის საველე მეთაურის — საიაფის მდივანი გახდა.

**ამერიკელებმა ერთი რამ ვერ გაითვალისწინეს — ჯიჰადი დაუსრულებელი პროცესია; ის არც მაშინ დასრულებულა, როცა საბჭოთა ჯარი ავღანეთიდან გავიდა და არც მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი საერთოდ დაიშალა. ენერგიული, განათლებული, წარმატების მოსურნე ახალგაზრდებმა თავიანთი სპეციფიური ცოდნისა და შესაძლებლობების გამოსაყენებლად ახალი ფრონტების ძებნა დაიწყეს.**

სულ მალე ავღანეთში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მებრძოლი ხალიდ მუჰამედის სახელი გამოძიების ფედერალური ბიუროს საქაღალდეებში რამზი ახმად იუსეფის გვერდით აღმოჩნდა. ეს უკანასკნელი 1993 წელს ნიუ იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრის აფეთქებისთვის სამუდამო სასჯელს იხდის. უკვე იმ დროიდან დაიწყეს სპეცსამსახურებმა ხალიდის აქტიური ძებნა; ცხადია, უშედეგოდ.

ამის შემდეგ ხალიდის კვალი 1995 წელს გამოჩნდა. იგი ფილიპინებში ცხოვრობდა თავის ნათესავებთან ერთად, წყალქვეშა ცურვაში მეცადინეობდა, მილებს მართავდა, ვერტმფრენებს ქირაობდა და ცხოვრებით ტკბებოდა. და კიდევ, თავისი მომავალი ოპერაციების უმეტესობას გეგმავდა. იმავე 1995 წელს ტერორისტებმა ფილიპინებში მაქსიმალურად ბევრი სატვირთო ლაინერის მიტაცება სცადეს. ლაინერები წყნარი ოკეანის თავზე ან ამერიკაში შერჩეულ სამიზნეებთან შეჯახებით უნდა აფეთქებულიყო. **ეს გეგმა, რომელსაც „ფეთქებადი პროექტი“ ერქვა, მოსამზადებელი პერიოდის უკანასკნელ ეტაპზე ჩაიშალა — ასაფეთქებელი ნივთიერებებით** სავსე კონსპირაციულ ბინაში ხანძარი გაჩნდა. მხოლოდ ამის წყალობით გაიგეს სპეცსამსახურებმა მოსალოდნელი საშინელების შესახებ და ორი ტერორისტი დააკავეს, მაგრამ ხალიდმა გაქცევა მოახერხა. **ხალიდის დანაშაული იმდენად თვალნათლივ ჩანდა, რომ 1996 წელს ნიუ იორკის საოლქო სასამართლომ მას განაჩენიც კი გამოუტანა.** პარალელურად ამერიკული პრესა რალაც ახალი მუსლიმან-სუიტების რადიკალური დაჯგუფების გამოჩენის თაობაზე ალაპარაკდა. **1997 წელს კი უსამა ბენ ლადენმა გახსნილად გამოაცხადა ებრაელებისა და ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ისლამური ფრონტის“ შექმნის თაობაზე, რასაც მოგვიანებით ალ-ქაიდა ეწოდა.**

მომხდარის შემდეგ ხალიდ აშ-შეიხ მუჰამედი უსამა ბენ ლადენის მსგავსად ახალ საფრთხობელად აქციეს და უამრავ ბოროტებასთან დააკავშირეს, მაგრამ ამას მხოლოდ ამერიკის სპეცსამსახურების ოპერატიული მუშაობისთვის ჰქონდა მნიშვნელობა. მსოფლიოს კი სულ სხვა კითხვა აწუხებდა — **რატომ მოხდა ისე, რომ ამერიკასა და ამერიკელებთან ასე დაახლოებულმა განათლებულმა და ინტელიგენტმა „ალაჰის მეომრებმა“ ასე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეიძულეს ამერიკა და ვინ აქცია ისინი მოჯაჰედებად?**

თვითკმაყოფილი დასავლეთი კი ამ კითხვაზე პასუხის გაცემას არც „დიდი ავღანური ჯიჰადის“ დროს ცდილობდა და არც მას შემდეგ შეუწუხებია თავი.

ფილიპინების ოპერაციის შემდეგ მუჰამედი პირდაპირ ბენ ლადენთან გაემგზავრა, ფინანსურ დახმარებასა და ბოევიკი-კამიკაძეების მთელ არმიას დაჰპირდა, ოღონდ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის 20 ავიალაინერი ჩაეგდოთ ხელში. თავიდან გეგმა ორი ნაწილისგან შედგებოდა. თვითმფრინავები ფრთიანი რაკეტების სახით უნდა გამოეყენებინათ და აშშ-ის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროების ქალაქებში აეფეთქებინათ, მაგრამ შემდეგ განაწესი შეიცვალა და თვითმფრინავების აფეთქება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტერიტორიაზე გადაწყდა.

მოგვიანებით ბენ ლადენმა გეგმის მიზანშეწონილობა საერთოდ ეჭვქვეშ დააყენა და საბოლოოდ განაცხადა მასზე უარი. უფრო სწორად, უარი განაცხადა გეგმის განხორციელების ადგილზე და ოპერაციის მონაწილეების შემადგენლობა შეცვალა. თავდაპირველად კამიკაძეების როლის შესრულებლად სხვადასხვა ქვეყანაში ალ-ქაიდის მომხრეთა შორის შერჩეულიყვნენ, მაგრამ ბენ ლადენმა მისია მხოლოდ საუდის არაბეთის მკვიდრით ანდო. სპეცსამსახურების აზრით, ამის მოტივი ის იყო, რომ კარგი ურთიერთობების წყალობით არაბები გაცილებით ადვილად შეაღწევდნენ აშშ-ში. **კანდიდატების საგულდაგულო შერჩევის შედეგად ოთხი ყველაზე საიმედო ტერორისტი დასახელდა. მათგან ორმა ამერიკის ვიზა ვერ მიიღო და მათი შეცვლა გახდა საჭირო. 1999 წელს ეს ოთხეული სპეციალური მომზადების გასავლელად ავღანეთში მდებარე ალ-ქაიდას ბანაკებში გაამწესეს. ამ მომზადების შედეგები მთელმა მსოფლიომ 2001 წლის 11 სექტემბერს იხილა. ტყუპების აფეთქებას 3000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.**

მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც მუჰამედმა ამის შესახებ თავად განაცხადა „ალ-ჯაზირას“ ეთერში, სპეცსამსახურებმაც გაარკვიეს, რომ მას საკმაოდ დიდი წონა ჰქონდა ალ-ქაიდაში, უსამა ბენ ლადენისა და აიმან ალ-ზავაჰირის შემდეგ იერარქიულად მესამე ადგილი ეკავა და მსოფლიოს 90 ქვეყანაში ორგანიზაციის განშტოებებს ხელმძღვანელობდა. დაპატიმრების შემდგომი მისივე აღიარების თანახმად, მუჰამედი ალ-ქაიდას საბრძოლო კომიტეტის ხელმძღვანელი გახლდათ და ავღანეთში საბჭოთა კავშირთან ომისას ფინანსების განაწილება, ახალი მომხრეების გადაბირება და მოჯაჰედების მომზადება ევალებოდა. როგორც სპეცსამსახურებმა დაასკვნეს, მისი ხელი ურევია უკლებლივ ყველა გახმაურებულ ტერაქტში, რომელიც ორგანიზაციამ უკანასკნელი წლების მანძილზე განახორციელა.

**2003 წლის 27 თებერვალს შეიხ მუჰამედი პაკისტანში დააკავეს და მას შემდეგ, რაც გარკვეული დროის მანძილზე დაუდგენელ ადგილას მალავდნენ, გუანტანამოში გადაიყვანეს.**

დაკავებიდან ორი დღის მანძილზე მუჰამედი დუმდა, სავარაუდოდ, მოკავშირეებს თავის გადარჩენისთვის დროს აძლევდა, შემდეგ კი, საშინელი წამების შედეგად, ჩვენების მიცემას დათანხმდა. **დაკითხვებზე დამსწრე ამერიკელებმა, პაკისტანელების განცხადებით, უტყუარ მეთოდს მიმართეს და ხალიდს მისი 7 და 9 წლის შვილების წამებით დაემუქრნენ.**

„მე პასუხს ვაგებდი 11 სექტემბერს განხორციელებულ ოპერაციაზე „ა“-დან „ჰ“-მდე“, — განაცხადა უკვე კუბაში, აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების გუანტამოს ბაზაზე მდებარე სპეცციხეში გამოკეტილმა ხალიდ შეიხ მუჰამედმა. პენტაგონმა ტერორიზმთან დაკავშირებული ამ საქმის მოსმენის სრული სტენოგრამა გამოაქვეყნა, მაგრამ განსასჯელის ზოგიერთი განცხადება, ისინი, რომლებიც პენტაგონმა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველად მიიჩნია, ამოჭრეს.

**ხალიდ შეიხ მუჰამედმა სულ 28 ტერაქტის დაგეგმვა და დაფინანსება აღიარა. მათგან ნაწილი არც განხორციელებულა. ასევე აღიარა ჟურნალისტ დენიელ პერლის მკვლელობა, რომელსაც, მისივე განცხადებით, საკუთარი ხელით მოჰკვეთა თავი.**

აღიარების თანახმად, მისი დაგეგმილი იყო პარიზი-იემენის რეისის თვითმფრინავის აფეთქება. ბრიტანელ რიჩარდ რიდს ასაფეთქებელი ნივთიერება ფეხსაცმლის ლანჩში ჰქონდა დამალული, მაგრამ მიზანი ვერ განახორციელა.

მუჰამედმა თავი დამნაშავედ სცნო ბიგ ბენისა და ლონდონის „ჰიტროუს“ აეროპორტის აფეთქებების დაგეგმვაში, მანვე გამოიკვლია ჩიკაგოს უამრავი ხიდი და ცათამბჯენი, ცხადია, აფეთქების მიზნით. **მას 9/11-ის გამო ბოდიში არ მოუხდია, მაგრამ განაცხადა: „მე არ მიყვარს ადამიანების დახოცვა. ვწუხვარ, რომ 9/11-ს ბავშვები შეეწირნენ“.**

აღიარება წერილობითი სახის იყო, ზეპირსიტყვიერად კი ხალიდ მუჰამედმა მხოლოდ ის ახსნა, რომ ამით საკუთარი თავის „წამებულ გმირად“ წარმოჩენას არ ცდილობდა, უბრალოდ, ამერიკას „ომის ენაზე“ ელაპარაკება. **„რა თქმა უნდა, მე ამერიკის მტერი ვარ!“** — განაცხადა მუჰამედმა.






## დაკითხვებზე ამერიკელებმა, უტყუარ მეთოდს მიმართეს და ხალიდს მისი 7 და 9 წლის შვილების წამებით დაემუქრნენ

## ამერიკელებმა ერთი რამ ვერ გაითვალისწინეს — ჯიჰადი დაუსრულებელი პროცესია

გვერდები მოამზადა **მაია სვიანაძემ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ერან-თურანის ამბები

## თრიალეთი

**არ ვიცი, ვისთვის როგორ, მაგრამ ჩემთვის ერან-თურანი ადრე მხოლოდ ცენტრალურ აზიას და ირანის მიმდებარე ტერიტორიას წარმოადგენდა, მაგრამ ზუსტად ასეთი ისტორიულ-გეოგრაფიული მიკროქვეყანა რომ ჩვენშიც, თრიალეთშიც, არსებობდა, გვიან გავიგე.**





შიპიაკის (საბატე) ჩაქირული ეკლესიის წარწერიანი ქვები

ერან-თურანის ხევი არჯევნის მთიდან მოემართება და ამავე მთით გამოეყოფა ჩრდილოეთით არსებულ გორის რაიონს, კერძოდ კი თეძმის სათავეებს.

ხევის თავში არსებული ამჟამინდელი სომხური სოფლებიდან რომელიღაც ორს სწორედ ერანი და თურანი უნდა რქმეოდა, ხევის ცენტრში მდებარეს — ჭიტები, ხოლო სულ ქვედა სოფლებს — ტამალია, კოხტა, საბატე და ბეშქენაშენი.

ბეშქენაშენი რომ ამჟამინდელი ბეშთაშენია, ამის შესახებ წინა მოგზაურობისას ვისაუბრეთ, საბატე კი ის შიპიაკი უნდა იყოს, უფრო ადრინდელ მოგზაურობაში რომ ვეძებდით (იხ. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“ 2010 წ. №36).

ბეშთაშენიდან სამხრეთ-დასავლეთით წალკის ხელოვნური ტბა იწყება. სწორედ ტბის ამ მონაკვეთშია ჩაძირული ერან-თურანის ქვედა სოფელი ძველი შიპიაკი, რომლის ურუმი მოსახლეობა ჯერ კრასნოდარის მხარეში გადაუსახლებიათ, მერე კი უკანვე დაუბრუნებიათ და ამჯერად ახალიკთან ახლოს დაუსახლებიათ. ასე გაჩნდა ახალი შიპიაკი იმ ძველი შიპიაკის ნაცვლად, რომელსაც ურუმების აქ მოსვლამდე, როგორც ვთქვით, **საბატე** ერქვა. საბატე მოზრდილი, ღონიერი სოფელი ყოფილა, მისი მთავარი ტაძარი — ნათლისმცემლის ეკლესია კი ყველაზე ლამაზი და მოხდენილი მთელს თრიალეთში. ასე ამბობს ექვთიმე თაყაიშვილი, რომელსაც ნანახი ჰქონია ეს ამაყად მდგარი ტაძარი, ასე ლაპარაკობენ ჩვენს ეროვნულ მუზეუმში შენახული ამ ტაძრის წარწერიანი ქვებიც.

ბალავრის უმშვენიერეს ქვაზე წერია: **„ქ. სახელითა ღმრთისაითა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაითა და ძალითა და შეწევნითა ყოველთა წმიდათა მისთათა, მე კარკეჩინ აღვაშენე წმიდაი ესე ეკლესიაი ზეობასა, ადიდენ ღმერთმან, რატ ერისთავისასა, სალოცველად მზეგრძელობისა და სულისა მათითათვის და სალოცველად ძისა მათისა ლიპარიტ ერისთავისა მზეგრძელობისათვის და სახსრად ცოდვილისა სულისა ჩემისათვის. დაიწერა...“** ტექსტი აქ წყდება, რადგან ამ ადგილზე ქვა ჩამოთლილია. არადა, აქ აუცილებლად ზუსტი თარიღი იქნებოდა მინიშნებული. როგორც ჩანს, ტაძრის აგებიდან ოდნავ მოგვიანებით, ახალი კარის ჩადგმის დროს, უბირ ხელოსანს ღიობის სიმაღლე არ ეყო და ბალავარს ქევიდან რამდენიმე სანტიმეტრი ჩამოათალა. არის სხვა წარწერებიც: ძველი ლავგარდანის გაყოლებაზე ჩუქურთმის მაგივრობას რელიეფური წარწერა ასრულებდა. **„ესე ეკლესიაი შეწირული ჩნდეს (მეფის)ა გიორგისა, სადა ვაკურთხე... ეკითხოს მამასახლისს და წერილი წ... და ვინცა ვინ შეუცვალოს, წმიდაი ნათლისმცემელი (იყოს განმკითხავი)“...**



კარიაქის (ჭიტები) ძველი და ახალი ეკლესიები



ვეება ქვაზე, რომელიც კარიდან მარჯვნივ ყოფილა ჩასმული, წერია: **„სახელითა ღმრთისაითა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაითა დაისუა ქუაი ესე ქველის ავაგისათა“.**

ცოცხალი რატი ერისთავთ-ერისთავის, მისი ძის ლიპარიტ ერისთავისა და მეფე გიორგის ერთდროულად ხსენება იმას გვეუბნება, რომ ტაძარი აგებულია რატი I-ის, ლიპარიტ III-ს და მეფე გიორგის I-ის სიცოცხლეში, ანუ 1014 წლიდან 1021 წლამდე...

ერან-თურანის ხეობას ზევით მივუყვებით და მალე სოფელ კარიაქში შევდივართ. ჩვენი აზრით, ამ სოფლის ძველი ქართული სახელი **ჭიტები** უნდა ყოფილიყო.

კარიაქში ორი ეკლესიაა: ერთი XIX საუკუნისაა და დიდი, მეორე — პატარა და ძველი. იგი სოფლის ზედა უბანში, სასაფლაოზე დგას და აღდგენილია. ...ეკლესიის მომვლელი ღრმად მოხუცი ქალი, მგონი, ბერძნულ ენაზეც ვერ უბნობს, მაგრამ ჩვენი დანახვით გამოწვეულ სიხარულს ვერ მალავს — მღვდელიც არ ვიყო (ჩემი ჭაღარა წვერის მიუხედავად), ქრისტიანი ხომ ნამდვილად ვიქნები, რომ ტაძარს ასე გულმოდგინედ ვათვალიერებ... ეკლესია სუფთაა და მოვლილი. ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით ქართული ტაძარი არც გარედან და არც შიგნიდან შეცვლილი არ არის. ერთი ესაა მხოლოდ ინტერიერი თეთრ-ლურჯ ფერებშია გადაღებული. კამარის დამჭერი ოდნავ შეისრული თაღები საკურთხევლის აფსიდის მხრებს და გრძივ კედლებში ჩადგმული ნახევარპილასტრების კრონშტეინებს ეყრდნობა. ფასადები აბსოლუტურად ხელუხლებლადაა დატოვებული. სუფთად გათლილი რუხი ტუფის ქვები და საბურველი, ალბათ, გამაგრებამდეც არ იქნებოდა კატასტროფულ მდგომარეობაში. საყდრის ერთადერთი, სამხრეთის კარი, ბეშთაშენის ეკლესიის მსგავსად, შიგნიდანაც და გარედანაც თაღოვანია, მაგრამ აქ მისი ზედა ნაწილი საერთო ქვაშია გამოთლილი და სისქეში 70 სმ-ია. კარის თავსართი ქუსლებზე შემოდგმული ჯვრებითაა გაფორმებული. თავსართსა და თაღს შორის არსებულ ადგილზე ამოკვეთილი ასომთავრული წარწერა ასე შეიძლება აღვადგინოთ: **„ქრისტე მეუფეო შეიწყალე ვარაზ!“**

მეორე, უფრო მოზრდილი ქტიტორული წარწერა, აღმოსავლეთ ფასადზე, ლამაზი სამკაულებით მორთული სარკმლის თავზეა: **„უფალო ღმერთო, შეიწყალენ სულითა ბასილი მემღვიმე და ძმაი მისი და შეუნდვენ დედასა და მამასა“.**

ეს ტაძარიც XI საუკუნისა უნდა იყოს...

კარიაქიდან სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 5-6 კილომეტრში, არის ერან-თურანის კიდევ ერთი სოფელი — სანთა, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი არ იცნობს. მას ამ ადგილებში სხვა სოფელი — **უწყლო** აქვს მონიშნული. ძნელი სათქმელია, სანთა და უწყლო ერთი და იგივე სოფელია თუ არა, მაგრამ ამ მიდამოებში რომ სასმელი წყალი ჭირს, ეს უდავოა. სანთა პატარა სოფელია, მაგრამ ურუმებს 1874 წელს დიდი, ჯვარგუმბათოვანი ტაძარი აუგიათ. მშენებლობაში რომ ძველი, დაქცეული ქართული საყდრის ქვები გამოუყენებიათ, ამაში ექვთიმე თაყაიშვილს ეჭვი არ ეპარებოდა. მას უნახავს ტაძრის დასავლეთ კედლის სამხრეთ კუთხეში ჩადგმული ძველი ქართული ეკლესიის ბალავარი, რომელზეც გაჭირვებით ამოუკითხავს 10-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. მასში ნათქვამი ყოფილა, რომ ამ ადგილას მთლად უძველესი ძეგლი მდგარა, მაგრამ დანგრეულა და X საუკუნეში რატი ერისთავის ზეობის ჟამს ხელმეორედ აუგია თევდორე ხუცესს. ზუსტი ტექსტი ასეთია:

**„სახელითა ღმრთისაითა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა მარიამისათა ღმრთისმშობლისათა, ესე ეკლესია მეორედ ავაგნე თეოდორე ხუცესმა. დავიწყე ესე ეკლესიაი, დავდევ ბალავარი ზეობასა რატი ერისთავისასა, ადიდენ ღმერთმან, მეოხად სულისა ჩემისა და სალოცველად მშობელთა ჩემთათვის. ამინ!“**

ეს წარწერიანი ბალავარი ახალი ეკლესიის დასავლეთ კედელში აღარ დევს. ურუმებს ჩამოუხსნიათ და გალავნის გარეთ დაუმხიათ. მისი გადაბრუნება სამწუხაროდ სამმა კაცმა ვერ შევძელით.

იგივე ამბავი მომხდარა ერან-თურანიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სოფელ თიაქილისის სამნავიან ძველ ქართულ ტაძარში, რომლის სამხრეთ კედელში, ზევით, ექვთიმე თაყაიშვილის თქმით, უძველესი საფლავის ასომთავრული წარწერიანი ქვა ყოფილა ჩადგმული. წარწერის ტექსტი, დაზიანების გამო, მას სრულად ვერ წაუკითხავს: **„სახელითა ღმრთისაითა და მეოხებითა წმიდისა ღვთისმშობლისაითა მღია (?) მადლმან ამან მონა ვატ...რთე ვინცა ასულთა დედა-მამათა, შეუნდვენ ღმერთმან“.**

ეს წარწერიანი ქვა სამხრეთის კედელში, თურმე იმ ადგილას დებულა, სადაც ზარიანი ხარიხა ყოფილა შერჭობილი. ახლა აქ სამსართულიანი ბერძნული სამრეკლოა მიდგმული და წარწერიან ქვას ამაოდ დავეძებ. როგორც ჩანს, ის, ხარიხასთან ერთად, სადღაც მოისროლეს — ხელს უშლიდათ და გუნებას უფუჭებდათ, ალბათ... ეს ამბავი კარგა ხნის წინათ უნდა მომხდარიყო.

ვდგავარ და ჩაფიქრებული ვუმზერ ძველ ტაძარს, რომლის ახალ სამრეკლოზე საბერძნეთისა და საქართველოს სახელმწიფო ალმები ფრიალებს (?!.). წლევანდელ ფერისცვალებაზე დაუნერგავთ ეს „ნოვაცია“ ყოფილ თიაქილისელებს, რომლებიც საბერძნეთიდან ჩამოსულან სტუმრად.

მიუხედავად ყველაფრისა, თიაქილისის ძველქართული კლასიკური სამნავიანი ეკლესია მაინც ქართულად გამოიყურება. ვერც ამ წარწერიანი ქვის დაკარგვა, ვერც ბერძნული სამრეკლო და ვერც თეთრ-ლურჯად გადაღებილი ინტერიერი თავისი ხელოვნური ყვავილებით, ქართველი ხუროთმოძღვრის ღვაწლსა და გემოვნებას ვერაფერს დააკლებს. თანაც, ქართველები ნელ-ნელა ბრუნდებიან თრიალეთში...

**გელა ქოქიაშვილი**

ავტორის ფოტოები



სანთის გადაკეთებული ეკლესია და ძველი ბალავარი





თიაქილისის სამნავიანი ეკლესია

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# შეტევა ახალციხეზე

**1828 წლის ივლისის ბოლოს მოქმედი კორპუსი რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა, რომლის გადაწყვეტაზეც მთლიანად იყო დამოკიდებული ომის ბედი. დაეცა ყარსი, ახალქალაქი, ხერთვისი, მაგრამ წინ ისევ გაურკვეველი მომავალი იდო.**



ახალციხე თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მიუდგომელ ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. სიტყვა „ახალციხე“ თურქულია და ქართულად „ძლიერ ციხესიმაგრეს“ ნიშნავს. იგი მდინარე ახალციხეჩაის მაღალ ნაპირზე ფრიალო კლდეზე იდგა. ამდენად, რვაათასიან რუსულ კორპუსს იგი მნიშვნელოვან სირთულეებს შეუქმნიდა.

**ახალციხეს აშკარად ეტყობოდა ქრისტიანული მოსახლეობის არსებობის საკმაოდ მნიშვნელოვანი კვალი, რომელიც, თავის დროზე, შესაძლოა, იძულებული გახდა, ჩამოსულიყო ცხოვრების სცენიდან და თავისი ადგილი ამ მხარეში უფრო ძლიერისათვის დაეთმო.**

**ისტორია მოგვითხრობს, რომ კოშკების ქონგურები, ქრისტიანული ეკლესიების ნანგრევები... ავბედითი ივერიის ხალხთან ამ პატარა მხარის მჭიდრო კავშირზე ღაღადებენ.**

მთელ საფაშოში ბევრი რამ თამარ-დედოფალთან — მეფე თამარის სახელთანაა დაკავშირებული. მასზე მოგვითხრობს სალ კლდეებზე აღმართული, მცხოვრებთა მშვიდი ძალისა და უსაფრთხოების მოდარაჯე კოშკები; ხეობა, სადაც ერთ დროს თამარის დარბაზები და სამხეცეები იყო და ბოლოს, ვარძია — ეს პოეტური ციხე ლეგენდარული მეფისა.

**თვით ახალციხე, ერთ დროს ზემო ქართლის დედაქალაქი, თავადთა ქალაქად იწოდებოდა. აქ ცხოვრობდნენ მეფისნაცვლები (მაშინ ათაბეგებად წოდებულნი). საფარის მონასტრის ნანგრევებში, ახალციხიდან 7-8 ვერსის დაშორებით, ცნობისმოყვარე მოგზაური ახლაც იპოვის ძველი დიდებისა და ამ ხელისუფალთა ცხოვრების მრავალ ნაკვალევს.**

ქვის გალავანი, ოდესღაც ამ წმინდა ადგილს რომ იცავდა, დიდი ხნის წინათ დაინგრა, მაგრამ დღემდე შემორჩა ათაბეგების ნასახლართა ნანგრევებს.

**როცა ივერიას მთელი თავისი ძალების დახარჯვა ძლიერ მეზობელთან ბრძოლებში უწევდა, ამ სიტუაციით ისარგებლეს ახალციხის ათაბეგებმა და მხარე დამოუკიდებლად გამოაცხადეს. თავიანთი ძალაუფლების განსამტკიცებლად და ქართველ მეფეებთან საბრძოლველად დახმარებისათვის ლეკებს მიმართეს. სწორედ მაშინ გამოჩნდნენ პირველად ამ მხარეში კავკასიელი მთიელების შეიარაღებული რაზმები. ბევრი მათგანი მოიხიბლა ამ ქვეყნის მშვენიერებით, სადაც სრულიად შემთხვევით მოხვდნენ, დაივიწყეს კავკასიის პირქუში მწვერვალები და ახალ მიწაზე დასახლდნენ.**

ახალციხის მცხოვრებთა სიმდიდრესა და უზრუნველად ცხოვრებაზე გავრცელებულმა ხმამ მთელი კავკასიიდან მოიზიდა დევნილები. მათ არა მარტო განამტკიცეს მხარის დამოუკიდებლობა, არამედ ადგილობრივ მცხოვრებთ გაწუვითარეს საბრძოლო სული, რამაც მალე ახალციხის სახელი ცნობილი გახადა მთელს მცირე აზიაში.

დადგა თურქთა ლაშქრობების ეპოქაც. ფეოდალთა შორის დანაწევრებულ საქართველოს მტერი ადვილად ჯაბნიდა. XVI საუკუნის მიწურულს თურქებმა ახალციხის მხარე დაიპყრეს. ათაბეგები ჯერ ისევ ინარჩუნებდნენ ხელისუფლებას, მაგრამ უკვე თურქი ფაშას ტიტულით, რაც მათთვის საკუთარი რწმენისა და ეროვნულობის ღალატის საფასური იყო. დიდხანს არ მოუწიათ რენეგატებს ამ ფორმით ქვეყნის მართვა. **XVII საუკუნის 30-იან წლებში, თურქეთ-პრუსიის სისხლისმღვრელი ომის დროს, პრუსიელებმა დაიპყრეს ახალციხე. ოცდასამდღიანი ალყის შემდეგ თურქებმა იგი უკან დაიბრუნეს. იქიდან მოყოლებული თურქმა ბელადმა ჰასანმა და მისმა ნაგრამმა ქართველი ათაბეგებისგან მემკვიდრეობით მიიღეს ახალციხის ფაშას ტიტული და ამიერიდან ამ აყვავებულ და მდიდარ მხარეში საუკუნოდ დასამარდა ქართული დამოუკიდებლობა.** თურქთა ბატონობა კი მთელ ზემო ქართლზე გავრცელდა. თურქი ფაშები, ისლამის გამავრცელებლები, პირველ რიგში, ცდილობდნენ ქართველი დიდებულების თავიანთ სარწმუნოებაზე გადაყვანას. ეს უკანასკნელნი არ აღმოჩნდნენ თავიანთ სიმაღლეზე და ქედი მოიდრიკეს თურქთა ნების წინაშე. **პირადი კეთილდღეობისა და გამორჩენის მიზნით, ძველი ქართველი დიდებულების შთამომავლები ზურგს აქცევდნენ წინაპრების რწმენას და მუხლს იყრიდნენ ყურანის წინაშე.**

სწორი გზიდან გადახვეული დიდებულები ვერ იყვნენ სამაგალითონი უბრალო ხალხისთვის. მათაც მალე დაივიწყეს მართლმადიდებლური ეკლესიები და ქრისტიანულ ტაძრებში განსვენებულ მამა-პაპათა საფლავები. **სულიერი მამები, აფასებდნენ რა შექმნილ სიტუაციას, ან წამებით და თავდადებით ცდილობდნენ თანამოძმეთა გამოფხიზლებას, ან გამოქვაბულებს მიაშურებდნენ და განდეგილობის მძიმე ხვედრს იტვირთებდნენ.**

ახალციხის მხარეში დამყარდა თურქული წესები. მაჰმადიანობამ საბოლოოდ შეავიწროვა ქრისტიანული სარწმუნოება, წარსულის ხსოვნა მხოლოდ სახელწოდებებში შემორჩა; ადამიანები, რომლებიც რწმენით მუსულმანები იყვნენ, თავიანთ თავს გურჯებს უწოდებდნენ და ჩვენს დრომდე შემოინახეს სოფლებისა და ადგილების ქართული სახელწოდებანი.

**ბრძოლების, ამბოხებებისა და საყოველთაო ნგრევის ეპოქას, შეუძლებელია, თავისებური ზეგავლენა არ მოეხდინა ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე. ძირძველ მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილი ხმლებს ემსხვერპლა, მეორე ნაწილი პოლიტიკური მიზნით გადაასახლეს თურქეთის იმპერიის შიგნით, მათი ადგილი კი უცხოელებმა დაიკავეს. ასე რომ, ახალციხის საფაშოს მოსახლეობას შეადგენდნენ ქართველები, სომხები, აჭარლები, ლაზები, ყარაფაფახიანები, ქურთები და თურქმენები.**

აჭარლები იგივე ქართველები იყვნენ. რამდენადაც ისინი ცხოვრობდნენ მთიან და ტყიან ქვეყანაში, სხვებზე უფრო დიდხანს შეინარჩუნეს თავიანთი დამოუკიდებლობა და ძველი ქართული ტრადიციები. მთებში, ვიწრო ხეობებში ცხოვრობდნენ ლაზები — ერთ-ერთი უძველესი აზიელი ხალხი, რომლებსაც შენარჩუნებული ჰქონდათ თავიანთი წინაპრების (მცირე აზიაში დიდი გადატრიალებების მონაწილეთ) საბრძოლო ტრადიციები. ცხოვრობდნენ ომებითა და ქურდობა-ყაჩაღობით, არ ერიდებოდნენ ხიფათს, არ ეშინოდათ სიკვდილის და მთელი თავისი ნახევრად ველური და პირქუში ცხოვრებით თავს საამისოდ ამზადებდნენ. თურქული არმიის რიგებში ისინი საუკეთესო ქვეით ჯარს წარმოადგენდნენ. გამოირჩეოდნენ რა მიზანში სროლით და მთებში გადაადგილების ოსტატობით, ფართოდ გაითქვეს სახელი მთელ შუა აზიაში. **თუ ლაზები საუკეთესო ქვეით მებრძოლებად ითვლებოდნენ, ყარაფაფახიანები, ქურთები და თურქმენები საუკეთესო ცხენოსნებს წარმოადგენდნენ. რაც შეეხება ლეკებს, ისინი დასახლებულნი იყვნენ უპირატესად ახალციხესა და მის შემოგარენში.**

თურქეთის ხელისუფლების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ახალციხის პროვინციის მუსლიმანები თავისუფლდებოდნენ ყველა გადასახადისგან, სამაგიეროდ, ვალდებულნი იყვნენ, ჰქონოდათ გამართული იარაღი და პირველი დაძახებისთანავე გამოცხადებულიყვნენ ბრძოლის ველზე.

ქრისტიანები და ებრაელები ამ სახალხო ლაშქარში არ მონაწილეობდნენ, სამაგიეროდ, ისინი ერთ სულზე თითო ჩერვონეცს იხდიდნენ სახალხო ლაშქრის შესანახად. ამგვარად, ახალციხის საფაშო მკვეთრად განსხვავდებოდა მეზობელი ყარსის საფაშოსგან, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობა ან საერთოდ არ იღებდა მონაწილეობას, ან პასიურად მონაწილეობდა სამშობლოს დაცვის საქმეში.

**თურქებმა თავიდანვე დაინახეს, თუ რა სარგებელს მოუტანდა მათ თავიანთ საზღვართან ისეთი ძლიერი „ბუდის“ გაკეთება და ყოველნაირად ცდილობდნენ ამ ადგილას მებრძოლი მოსახლეობის დასახლებისთვის ხელის შეწყობას.** აქ მორბოდა ყველა, ვისაც არ უნდოდა, დამორჩილებოდა რუსულ წესებს და ვინც კანონს ემალებოდა. აქედან (ისევე როგორც ანაპიდან და ფოთიდან) **ხშირად გზავნიდნენ მუსლიმან ღვთისმსახურთ, რომლებიც აბუნტებდნენ რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფ თათარ მოსახლეობას.**

ახალციხის საფაშოს მეამბოხე დამპყრობლებმა იცოდნენ საკუთარი თავის ფასი და თურქეთის ხელისუფლებას არაფრად აგდებდნენ. ხალხის ძალამ არაერთხელ ამოსდო ლაგამი მოუსვენარ ხელისუფალთა განუსაზღვრელ ძალას.

არცთუ ისე იშვიათად ხდებოდა ხოლმე, რომ რომელიღაც აჭარელი ან ჩალდირელი ბეგი ახალციხის ფაშასთან მოსაკითხად ჩამოვიდოდა, ფაშა საკუთარი უსაფრთხოების მიზნით სამხედრო ზომებს იღებდა — კეტავდა ციხესიმაგრის კარებს, აძლიერებდა გარნიზონს, რადგან ბეგს ჩვეულებრივ თან ახლდა ასობით თავზეხელაღებული მკვლელი, რომლებსაც ქალაქში შესაძლოა ახლობლებიც ჰყოლოდათ. შეხვედრების დროს ძალიან ორიგინალური სცენები იმართებოდა. **ეტიკეტის გათვალისწინებით ბეგი, როგორც ქვეშევრდომი, ფაშასთან მარტო უნდა შესულიყო და გარეთ უნდა დაეტოვებინა თავისი შეიარაღებული დაცვა; მაგრამ, ამისდა მიუხედავად, თითქმის ყოველთვის, ათი ან მეტი კაცი შევარდებოდა ხოლმე მისაღებში და მდუმარედ დადგებოდა კარებთან აუდიენციის დამთავრებამდე. ფაშასაც ისეთი სახე უნდა მიეღო, თითქოს ამას ვერ ამჩნევდა.**

მმართველთა საჩივრები ამის თაობაზე არა ერთხელ მისულა სულთნებამდეც. მაგრამ ერთხელ, როცა ერთმა მათგანმა, ახმედ III-მ, სურდა, ბოლოს და ბოლოს, აღეკვეთა ეს უტიფარი საქციელი, ახალციხეში ბეგ ლევან-ფაშა გაგზავნა ოცდახუთიათასიანი კორპუსით. ახალციხის ლაშქარმა იგი ისე დალეწა, რომ კონსტანტინოპოლის სასახლე იძულებული გახდა, ელიარებინა მის წინაშე საკუთარი უძლურება.

ბოლო სულთანმა, რომელიც ყოველთვის წარმატებული იყო, ვერ გაბედა, ახალციხის საფაშოს შეხებოდა და ხელისუფლების ეს საშინელი მტრები უდრტვინველად ცხოვრობდნენ იქ ახალციხის რუსეთთან შეერთებამდე. აი, ისტორიულად ასე აეწყო ურთიერთობა თურქეთის ხელისუფლებასა და ახალციხის ხალხს შორის. სულთნებმა, ბოლოს და ბოლოს, დაანებეს მას თავი.

აი, ამ მებრძოლ ტომებთან ელოდა ახლა პასკევიჩს სისხლისმღვრელი ბრძოლა.

**ვასილი პოტო**
**ხუთტომეული ნაშრომიდან „კავკასიის ომი“**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**




**გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეთერთმეტე ნომერი**

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გაითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ზრადი დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ნანოტექნოლოგიების ანტიკური ანალოგი



**ქვიშის მარცვალი ერთდროულად პატარაცაა და დიდიც, იმდენად გაორებულია, რომ ამ მოვლენას სულ ახლახან მოუძებნეს ახსნა.**



ქვიშა ნანოსისტემის შესწავლის თეორიული სირთულეების უმარტივესი მაგალითია. მთავარი განსხვავება ისაა, რომ ქვიშისთვის ამ სირთულეს მექანიკური ხასიათი აქვს, ნანომეტრული მასშტაბის სისტემისათვის კი — კვანტომექანიკური. ქვიშის მარცვლები ძალიან წვრილი და ძალიან ბევრია საიმისოდ, რომ მყარი სხეულების მოძრაობის სისტემის განტოლების გამოყენება იყოს შესაძლებელი, მაგრამ ამავე დროს ისინი ძალიან დიდები და ძალიან ცოტანი არიან იმისათვის, რომ აირის ან ჰიდროდინამიკის მეთოდები იქნეს გამოყენებული. ათობით ან ასობით ნანომეტრიანი სისტემა (ასი ნანომეტრი დაახლოებით ათასჯერ პატარაა ერთ მარცვალ ქვიშაზე!) შეიცავს ატომებისა და მოლეკულების იმდენად დიდ რაოდენობას, რომ შეუძლებელია სისტემის საიდუმლოების ამოხსნა კვანტური მექანიკის ზუსტი განტოლებების საშუალებითაც. ამავე დროს, ის ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ კვანტური სტატისტიკის მეთოდებით დამუშავდეს. ამ სირთულის შედეგები თვალნათელია: ქვიშის ბუნებრივი „ნაგებობები“ აბსოლუტურად წარმოუდგენელ და მოულოდნელ ფორმებს იღებს.



ამ ყველაფრიდან გამომდინარე, სულაც არაა გასაკვირი, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ქვიშა უამრავ მეცნიერს იზიდავდა. არქიმედეს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაშრომის (287-212 წლები ჩვენს ერამდე) სათაური „ქვიშის მარცვლების გამოთვლაა“ და ყველაზე ხშირად იპყრობს თანამედროვე მეცნიერთა ყურადღებას. ამ ნაშრომში საუბარი საერთოდ არ ეხება ქვიშის მარცვლების ზომასა და მათ ქცევას, არქიმედეს აინტერესებდა, თუ რა რაოდენობის ქვიშა იქნებოდა საჭირო მთელი სამყაროს ასავსებად და ცდილობდა, ისეთი ციფრები ჩაეწერა, რომელთა საშუალებითაც ეს კოლოსალური რაოდენობა რამენაირად გამოიხატებოდა. არქიმედემ ამოცანისთვის თავის გასართმევად საკმაოდ ბევრი იშრომა; დღევანდელი საზომებით, მისი პასუხი, შესაძლოა, არც იყოს დამაკმაყოფილებელი, მაგრამ მთავარი ის ფორმებია, რომელთაც ქვიშის ამოუხსნელი ფენომენის წყალობით არაერთხელ გაუოცებია კაცობრიობა:

თითეული მარცვალი ერთდროულად დიდიცაა და პატარაც, ამის გამო ქვიშას აქვს უნარი, თავად იქცეს მდინარედაც და ნაპირადაც;

საჰარაში ქვიშის სოკოები იზრდება. ქარისგან ჩამოშლა სტიქიური უბედურება არაა, ეს შემოქმედებითი პროცესია;

დედამიწაზე უცნაური და ამოუხსნელი წრეები მხოლოდ უცხოპლანეტელების სტუმრობის შედეგად არ ჩნდება. ხანდახან უდაბნოს ქარს წრეზე ტრიალი და ქვიშის მარცვლების სიმეტრიულ ფიგურებად გამოსახვა შეუძლია;

ქვიშაზე წარსულის კვალი რჩება. ამიტომ მას მეხსიერებაც აქვს, მაგრამ ძალიან ხანმოკლე;

დიუნა დიდი მამა (**Big Daddy**) ნამიბიაში ცნობილია არა მხოლოდ როგორც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი (240 მეტრზე მეტი), არამედ როგორც ერთ-ერთი ყველაზე სტაბილურიც. ის, პრაქტიკულად, არ იძვრის ადგილიდან და არც ფორმას იცვლის;

ტანერიფის კუნძული თავისი სამგლოვიარო ფერის ქვიშითაა ცნობილი;

დუბაიში პერიოდულად ქვიშის ქარბუქებიც მძვინვარებს და ჰაერთან შერეული ქვიშის მარცვლები ხანდახან საშიშ იარაღადაც იქცევა ხოლმე;

ყველაზე ბუნებრივად პირამიდები ქვიშის სამფლობელოში — უდაბნოში გამოიყურება. ამიტომაც ძველ დროში მათ ასაშენებლად ქვებს ათეულობით კილომეტრიდანაც ეზიდებოდნენ.

# მცოცავი ქვები

**ამერიკაში, კალიფორნიის შტატში, ნაკრძალ „სიკვდილის ველზე“ მდებარე დამშრალი ტბის რესტრეიკის ფსკერზე „ბინადარი“ ქვები, მათ შორიც მომცრო ზომისა და ნახევარ ტონამდე წონისაც, უცნაურად დასეირნობენ. ეს დედამიწაზე ყველაზე ცხელი ადგილია. 1917 წელს 43 დღის განმავლობაში ცელსიუსის შკალაზე მაჩვენებელი +50 გრადუსს არ ჩამოსცილებია.**

ქვები ნელა „დადიან“, ზოგჯერ სწორი ტრაექტორიით, ზოგჯერაც ზიგზაგისებურად და ათობით მეტრზე მკაფიო კვალს ტოვებს. ისინი არ ტრიალებენ, არ დაქრიან, უბრალოდ მიცოცავენ, თითქოს უხილავმა ხელმა თოკი გამოაბა და თავისკენ ექაჩება.

ადამიანებმა უამრავჯერ სცადეს მოსიარულე ქვები მოძრაობის მომენტში ვიდეოფირზე აღებეჭდათ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ შეძლეს. საკმარისია დამკვირვებლები ტერიტორიას მოსცილდნენ, ქვები მაშინვე იწყებენ გადაადგილებას, ხანდახან საათში ნახევარი მეტრის სისწრაფითაც.





# წყალქვეშა გამოქვაბული ანხელიტა

**ის, რაც აკვალანგისტებმა ამ გამოქვაბულში ჩაყვინთვისას იხილეს, ნამდვილი ფანტასმაგორიაა.** წყალქვეშეთში, 30 მეტრის სიღრმეზე, გამოჩნდება კუნძული, მდინარე, ხეები და ამ ხეების ტოტებიდან დაცვენილი ფოთლები. მექსიკის საოცრება — ანხელიტას გამოქვაბული ნამდვილად გააოგნებს მნახველს. მაგრამ, როგორც მეცნიერები ამბობენ, ეს წყალქვეშა მდინარე გოგირდწყალბადის ფენაა.





# მსოფლიოს ყველაზე უცნაური კანონები

კანადა

1985 წლის კანონის შესაბამისად, შენაძენისთვის, რომელიც 25 დოლარზე მეტი ღირს, ერთდოლარიანი მონეტებით გადახდა იკრძალება.




გრენადა

ქალაქში საცურაო კოსტიუმით სიარული აკრძალულია. გარდა ამისა, დაჯარიმდება ყველა, ვისაც დაბალწელიანი ჯინსი აცვია.



ამერიკის შეერთებული შტატები

ოჰაიოს შტატში კანონი კრძალავს თევზების ერთმანეთზე მიწებებას; ალაბამას შტატში აკრძალულია ავტომობილის მართვა ადამიანისთვის, რომელსაც თვალები აქვს ახვეული; ვერმონტში კი გათხოვილი ქალი კბილის პროთეზს ვერ გაიკეთებს, ვიდრე საამისოდ ქმრისგან წერილობით ნებართვას არ მოიპოვებს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყველაზე ძვირადღირებული მონეტები

**ფული ურთიერთობის, ღირებულების განსაზღვრის საშუალებაა და ხშირად დაგროვების საგანსაც წარმოადგენს, მაგრამ მისი როლი საზოგადოებაში ამ ყოველდღიურობით არ ამოიწურება. ფულის ზოგიერთ ნიშანს ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ეწოდოს ხელოვნების ნიმუში და სწორედ ამ ეგზემპლარებით ინტერესდებიან კოლექციონერები.**



ორმაგი არწივი

ნუმიზმატების სპეციალურმა პორტალმა Dig4Coins.Com ყველაზე ძვირადღირებული მონეტების რეიტინგი წარმოადგინა. პირველ ხუთეულში ის მონეტები მოხვდა, რომელთა ხელში ჩასაგდებად აზარტულმა კოლექციონერებმა უზარმაზარი თანხა გადაიხადეს:

**„ორმაგი არწივი“, 1933 წელი — 7 590 200 დოლარი.**

„ორმაგი არწივი“ ამერიკული 20-დოლარიანის ნომინალია. ის 1850-დან 1933 წლამდე პერიოდში გამოჭედეს. ამ პერიოდში პრეზიდენტმა რუზველტმა გადაწყვიტა, უარი ეთქვა ოქროს სტანდარტზე, ამიტომ უკლებლივ ყველა „ორმაგი არწივი“ ბრუნვიდან უნდა ამოეღოთ და გადაედნოთ. ამ მოთხოვნას სულ რამდენიმე ეგზემპლარი გადაურჩა და ამიტომაც ამ ულამაზესი მონეტების ღირებულება კოლოსალურ ციფრებში გამოიხატება.

მონეტის ერთ მხარეს მთელი სიმაღლითაა გამოსახული თავისუფლების სიმბოლო მარჯვენა ხელში ჩირაღდნით, მარცხენაში კი — ზეთისხილის რტო. მზის სხივებით განათებულ გამოსახულებას ირგვლივ 46 ვარსკვლავი აქვს გარშემორტყმული და თითო ვარსკვლავი, ისევე, როგორც აშშ-ის დროშაზე, თითო შტატს განასახიერებს (მონეტის მოჭრის მომენტში აშშ სწორედ ამდენი შტატისგან შედგებოდა).



ვერცხლის დოლარი

მონეტის მეორე მხარეს ჰაერში მოლივლივე არწივია გამოსახული. კარგად დათვალიერების შემდეგ ყველა ხვდება, რომ „ორმაგი არწივი“ ნამდვილად ძვირადღირებული ნივთია, რომელიც ხელოვნების ნიმუშს უფრო ჰგავს, ვიდრე ანგარიშსწორების საშუალებას;

**„1804 წლის ვერცხლის დოლარი“ — 3 737 500 დოლარი.**

„1804 წლის ვერცხლის დოლარი“ ძალიან საინტერესო მონეტაა. ამ ნომინალის 15 მონეტას შორის ის ერთადერთია, რომელსაც არა მხოლოდ დასახელებაში ჩაერთო ციფრი 1804, არამედ ამასთან დაკავშირებული საინტერესო ისტორიაც აქვს.

რაც უნდა უცნაური იყოს, „1804 წლის ვერცხლის დოლარი“ 1834 წელს გამოჭედეს. სწორედ მაშინ უბრძანა აშშ-ის მთავრობამ ზარაფხანას მონეტების სასაჩუქრე ნაკრების გამოშვება. ნაკრებში უნდა ყოფილიყო ყველა მონეტა, რომლებიც იმ პერიოდში ბრუნვაში იყო. მუშების შეცდომის შედეგად გაჩნდა „1804 წლის ვერცხლის დოლარი, რომელიც 1834 წელს, ცხადია, ბრუნვაში არ იყო. სწორედ ამის გამოა, რომ მონეტის ხელში ჩასაგდებად ნუმიზმატების მიერ ბოლოს გადახდილი თანხა ლამის ოთხ მილიონს უახლოვდება;



დაიმ ბარბერა

**დაიმ ბარბერა, 1894 წელი, 1 552 500 დოლარი.**

დაიმი 10-ცენტიანი ნომინალია. მას XVIII საუკუნის დასასრულიდან ჭრიდნენ და დიზაინსაც ხშირად უცვლიდნენ. ახლა დაიმი, რომელზეც თავისუფლების სიმბოლოდ აღქმული ქალის თავია გამოსახული, მცირე ნომინალის ერთ-ერთ უიშვიათეს მონეტად ითვლება. მისი მოჭრა 1892 წელს დაიწყეს. ამ დიზაინის დაიმების სერიას ბარბერა ეწოდა მისი შემქმნელის — ჩარლზ ბარბერას საპატივცემულოდ. 1894 წლის მონეტები ძალზე ძვირადღირებულია, ვინაიდან სულ 24 ეგზემპლარი დამზადდა და მათგან ამ დრომდე მხოლოდ 9 ერთეულის კვალია ცნობილი;

**„ვერცხლის დოლარი თავისუფლება“, 1870 წელი — 1 300 000 დოლარი.**



თავისუფლება

ამჟამად არსებული 11 მონეტიდან ყველაზე ძვირადღირებული ლუი ელიასბერგის მონეტაა, რომელიც 1,3 მილიონ დოლარად გაიყიდა. მონეტაზე გამოსახულია თავისუფლების სიმბოლო, რომელიც ამჯერად ზის და ხელში ამერიკის დროშა უჭირავს. მონეტის მეორე მხარეს თეთრთავიანი არწივია;

**ავსტრალიური პენი, 1930 წელი — 517 345 დოლარი.**

1930 წლის ავსტრალიური პენი იშვიათი ფულის კატეგორიას განეკუთვნება. მრავალი ექსპერტი-ნუმიზმატი იზიარებს აზრს, რომ მსოფლიოში



ავსტრალიური პენი

მელბურნის ზარაფხანის მიერ გამოშვებული სულ ექვსი ასეთი მონეტაა. ისინი ვერცხლისგან დაამზადეს და ზემოდან სპილენძით დაფარეს. ეს მონეტა უმაღლესი „პრუფის“ ხარისხის მქონეთა კატეგორიას განეკუთვნება და, შესაბამისად, სარკისებური ზედაპირი აქვს.

ამ მონეტების ექვსი ეგზემპლარიდან ოთხი კერძო საკუთრებაშია, ერთი ბრიტანეთის მუზეუმშია გამოფენილი, ერთი — ავსტრალიის სამხატვრო გალერეაში. ავსტრალიური პენი ყველაზე ძვირადღირებული ავსტრალიური მონეტაა და მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი სპილენძის მონეტა.

# მსოფლიოს ყველაზე უცნაური კონკურსები

**კონკურსების უცნაურობებით მსოფლიოში ორი ქვეყანა — ჩინეთი და იაპონია ლიდერობს. მართალია, მსოფლიოს ყველაზე უცნაური კონკურსების ზოგიერთი ნომინანტი მხოლოდ ერთ ქალაქშია პოპულარული, მაგრამ არსებობს უფრო ცნობილი შეჯიბრებებიც, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით ტარდება, ხანდახან კი — საერთაშორისო დონეზეც. ამჯერად სწორედ ასეთ კონკურსებზე ვისაუბრებთ.**



## ჯუჯის სროლა



**ეს შეჯიბრი ავსტრალიაში გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ტარდება. როგორც წესი, მოქმედება დიდ ბარში ხდება.**

იატაკზე სპეციალური საფენები ლაგდება, ჯუჯაც განსაკუთრებულ, ამორტიზირებად სამოსს იცვამს და კონკურსიც იწყება. გამარჯვებულად ის ჩაითვლება, ვინც ჯუჯას ყველაზე შორს გაისვრის. ზოგიერთ შემთხვევაში პირობების გასართულებლად კონკურსანტებმა ის რბილი კედლის მეორე მხარეს უნდა გადააგდონ.

ბოლო პერიოდში ეს კონკურსი ნახევრადლეგალურად ტარდება — ადამიანის უფლებათა დამცველები მუდმივად მოითხოვენ ჯუჯის უფლებების დაცვას და კონკურსის აკრძალვას.

## ექსტრემალური დაუთოვება



**ეს საკმაოდ სახიფათო კონკურსია, ვინაიდან კლდეებზე ძრომიალს ან წყალქვეშ ჩაყურყუმალავებას მოითხოვს.** კონკურსის პირობების მიხედვით, ყველა მონაწილეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს თან საკუთარი უთო და რამდენიმე ხელი ტანსაცმელი. სასურველია, საუთავებელი მაგიდაც. ამ აღჭურვილობით კონკურსანტები ყველაზე მოუხერხებელ და მიუვალ ადგილებში, მაგალითად, კლდის ციცაბო ფერდობზე ან ტბის ფსკერზე უნდა მოეწყონ და აუთოვონ.

## უხილავ გიტარაზე დაკვრის ჩემპიონატი



**კონკურსი 1980-იანი წლებიდან შვედეთსა და ამერიკაში წამოიწყეს, 1996 წლიდან კი ის ფინეთის მუსიკალური ფესტივალის განუყოფელ ნაწილად იქცა.** თავიდან კონკურსი ხუმრობით ტარდებოდა ნამდვილი როკ-ვარსკვლავების გამოსვლამდე, მაგრამ დროთა განმავლობაში დამოუკიდებელ ღონისძიებად იქცა. შეჯიბრს ძალიან სასაცილო პირობები აქვს — აკრძალულია რეალური ან ვირტუალური სიმღერისა და ცეკვის თანხლებით გამოსვლა, ასევე სასტიკად იკრძალება ნებისმიერი რეალური ინსტრუმენტის გამოყენება. სამაგიეროდ, უხილავი, წარმოსახვითი გიტარა შეიძლება ელექტროც იყოს და აკუსტიკურიც. კონკურსანტმა წარმოსახვით გიტარაზე ზუსტად ისე უნდა დაუკრას, როგორც რეალურზე. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ წარმოსახვითი გიტარისგან თითებზე კოჟრები არ უჩნდებათ.

## საუნაში გაძლების ჩემპიონატი

**მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იგივე შეჯიბრი არაოფიციალურად, კერძო სანაძლეოების მოსაგებად იმართება, ფინეთში კი ყველაფერი ძალზე სერიოზულადაა.** ქალაქ ჰეინოლაში მსოფლიოს 20 ქვეყნიდან ჩადიან პრეტენდენტები და ხელს აწერენ დოკუმენტებს, რომელთა მიხედვითაც საკუთარ თავზე იღებენ მთელს პასუხისმგებლობას, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკები გამო. ფორმალობების მოგვარების შემდეგ კონკურსანტები შედიან საუნაში, სადაც ტემპერატურა 110 გრადუსია და ყოველ 30 წამში ერთ ლიტრ წყალს ასხამენ. შეჯიბრის მონაწილეებს მოეთხოვებათ, რაც შეიძლება დიდხანს ისხდნენ საკუთარ მუხლებზე დაყრდნობილი იდაყვებით ისე, რომ საუნაში არსებული ნივთებიდან არც ერთის ზედაპირს არ შეეხონ. ვინც უფრო დიდხანს გაძლებს, გამარჯვებულიც ისაა.



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



## გათხოვება საკუთარ თავზე



**30 წლის ტაივანელი ჩენ ვეი-ii საკუთარ თავს მისთხოვდება. ცერემონია, რომელზეც ქალმა სამი ათეული მეგობარი მიიწვია, მომდევნო თვეს გაიმართება. ქორწილი ჩენ ვეი-იის 50 ტაივანური დოლარი დაუჯდება.**

„30 წელი ჩემთვის მნიშვნელოვანი თარიღია. სამუშაოსა და პიროვნულ განვითარებასთან დაკავშირებით ყველაფერი რიგზეა, სამაგიეროდ, პარტნიორს დღემდე ვერ მოვაგენი. ასე რომ, სხვა გამოსავალი არც მქონდა," — ახსნა თავისი ნაბიჯი ქალმა. ამასთან, ჩენმა იმედი გამოთქვა, რომ მის მაგალითს სხვა ქალებიც მიჰბაძავენ.

## ჩინელი „თოვლის ქალბატონები" მამაკაცებს ატერორებენ



**ჩინელი მეცნიერები მზად არიან, 1,5 მლნ დოლარი გაიღონ იდუმალი ადამიანების მოსაძებნად, რომლებიც „თოვლის კაცის" მსგავსად გამოიყურებიან. ისინი ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, პროვინცია ხუბეიში, ბინადრობენ.** მათ „ჩინური იეთი" ეწოდებათ. ამ უცნაურ არსებებს მკვლევართა 5 ჯგუფი შეისწავლის. ამ ობიექტების შესახებ ცოტა რამაა ცნობილი. თუმცა უკვე არსებული ინფორმაცია შემაშფოთებელია. თვითმხილველთა სიტყვებით, უცნაური არსებების სიმაღლე ორ მეტრს აღემატება. ისინი მოწითალო-მოყავისფრო ბეწვით არიან დაფარულნი და უსაზღვრო „სექსუალური მადით"გამოირჩევიან. უკვე ცნობილია ორი შემთხვევა, როცა მდედრმა უცნაურმა არსებებმა ადგილობრივ მამაკაცებზე იძალადეს. „თოვლის ქალბატონების" საბინადრო არეალი ტყის რაიონია. მათ, ძირითადად, მთისპირი იზიდავთ, ხშირი ტყეებით დაფარული ადგილები. ამ ადგილებს ჩინეთში მრავალი ცრურწმენა უკავშირდება. ალბათ, ამ გარემოებით აიხსნება ზოგიერთი სპეციალისტის აზრი, რომ არავითარი „იეთის" ქალები არ არსებობენ. მათი აზრით, თვითმხილველებს ისინი ორანგუტანგის ჯერ კიდევ შეუსწავლელ ჯგუფში აერიათ.

## საფრანგეთში 11 ადამიანი დემონის შიშით ფანჯრიდან გადახტა



**პარიზის გარეუბან ლა ვერერში 11 ადამიანი მესამე სართულიდან, საკუთარი ბინის ფანჯრიდან, გადახტა. დაზარალებულები ერთ ოჯახში ცხოვრობდნენ.** ამასთან დაკავშირებით, ფრანგული გამოცემა „ლე პარიზიენ" ანეკდოტურ ვერსიას გვთავაზობს: თურმე ფანჯრიდან გადახტომის მიზეზი დანით შეიარაღებული ადამიანისგან თავის დაღწევა ყოფილა. ერთ-ერთი ვერსიით, დაზარალებულთა ოჯახი სამზარეულოში სპირიტუალ სეანსს ატარებდა. ამ დრო მათთან შევიდა მათი აფრიკული წარმომავლობის მეზობელი, რომელიც მათ ვიზუალურად დემონს მიამსგავსეს.

# ამერიკის ზნეობრივი კრიზისი, ანუ ადამიანობის ხარჯზე აშენებული ეკონომიკა

**ნოემბრის არჩევნების შემდეგ ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის გამწვავება გარდუვალია. პრეზიდენტი ობამა ღატაკებისა და გარემოს დამცველი პროგრესული კანონმდებლობის მიღების იმედს დაკარგავს. ყველა მნიშვნელოვანი კანონი და რეფორმა 2013 წლის დადგომამდე, ანუ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე „ჩაკვდება". ეკონომიკური უძრაობისა და მასმედიის ენამწარობის ფონზე მიმდინარე ისედაც რთული სიტუაციები კიდევ უფრო აუტანელი გახდება და შიგნიდან დაშლილი ამერიკისგან მსოფლიო ლიდერობის განსაკუთრებულ გამოვლინებებს არ უნდა ელოდოს.**



ამერიკის უდიდესი ნაწილი საშინელ განწყობაზეა და თანაგრძნობის რიტორიკაც პრაქტიკულად სადღაც გაქრა. **ორივე პოლიტიკური პარტია თავისი საარჩევნო კამპანიების მდიდარ სპონსორებს ემსახურება და ორივე დაჟინებით გაიძახის, რომ საშუალო ფენას იცავს. არც ერთი და არც მეორე არც კი ახსენებს ღარიბებს, რომლებიც, ოფიციალური მონაცემების თანახმად, მოსახლეობის 15%-ს შეადგენენ, სინამდვილეში კი, თუ ჯანდაცვის, საცხოვრებელი სახლის, სამსახურისა და სხვა პრობლემებთან შეჯახებულ ყველა ოჯახს გავითვალისწინებთ, გაცილებით ბევრნი არიან.**

რესპუბლიკურმა პარტიამ თავისი შეხედულებები თუ წინასაარჩევნო დაპირებები ახლახან გამოცემული სისულელეებით სავსე დოკუმენტში „პირობა ამერიკას" ჩამოარაკრაკა. მხოლოდ იმის მტკიცება რად ღირს, რომ მაღალი გადასახადები და სახელმწიფოს მხრიდან გაძლიერებული რეგულირება ამერიკაში უმუშევრობის მაღალი დონის მთავარი მიზეზი ყოფილა. მასში მოყვანილი პრეზიდენტ ჯონ კენედის ციტატის თანახმად კი, მაღალი გადასახადები ეკონომიკას დაახრჩობს. არადა, კენედი ამის შესახებ ნახევარი საუკუნის წინათ ლაპარაკობდა, მაშინ, როდესაც გადასახადების მაქსიმალური დონე ზუსტად ორმაგად აჭარბებდა ახლანდელს. **რესპუბლიკელების წინასაარჩევნო პროგრამაში თანაგრძნობისთვის ადგილი საერთოდ ვერ მოიძებნა.**

ამერიკა დღესდღეობით არის მდიდარი ქვეყნის პარადოქსული მაგალითი, რომელიც მთავარი ღირებულებების სრული კრახის გამო იშლება. მწარმოებლობის დონით ის მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებს, ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავალი 46.000 დოლარს უტოლდება, რაც სავსებით საკმარისია არა მხოლოდ არსებობის, არამედ აყვავებისთვისაც. მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, ქვეყანა უსახური ზნეობრივი კრიზისის აგონიაში ღაფავს სულს.

**შემოსავლების დონეებს შორის უთანასწორობამ ისტორიულ სიმაღლეებს მიაღწია, მაგრამ მდიდრები ცალსახად აცხადებენ, რომ დანარჩენი საზოგადოების წინაშე რაიმე ვალდებულება არ აკისრიათ და კატეგორიულ უარს აცხადებენ გაჭირვებულთა დახმარებაზე.** სამაგიეროდ, ყველა შესაძლებლობას იყენებენ, რათა კიდევ ერთხელ მოითხოვონ გადასახადების შემცირება. თითქმის ყველა ჩივის და წუწუნებს, თითქმის ყველა აგრესიულად იცავს თავის ვიწრო, მოკლევადიან ინტერესებს და არავინ ცდილობს, წინ გაიხედოს ან სხვისი მოთხოვნები გაითვალისწინოს.

**ის, რასაც ამერიკელები პოლიტიკურ დებატებს უწოდებენ, სინამდვილეში არის ორი პარტიის შეჯიბრი იმაში, ვინ მეტს დაჰპირდება საშუალო ფენას. ჰპირდებიან, ძირითადად, ბიუჯეტისთვის დამღუპველი გადასახადების შეკვეცის ხარჯზე და თანაც მაშინ, როდესაც ამ ბიუჯეტის დეფიციტი უკვე აჭარბებს საერთო შიდა პროდუქტის 10%-ს. როგორც ჩანს, ამერიკელები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს მომსახურებით სარგებლობის უფლებას ბუნებრივად ფლობენ და ამისთვის არაფერი არ უნდა გადაიხადონ. ამერიკის პოლიტიკურ ლექსიკაში სიტყვა გადასახადები თავისუფლების მთავარ მტრად მოიაზრება.**

იყო დრო, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, როდესაც ამერიკელები ქვეყნის შიგნით და მთელს მსოფლიოშიც სიღატაკის მოსპობაზე საუბრობდნენ. ლინდონ ჯონსონის „ომი სიღარიბესთან" 1960-იან წლებში ნაციონალური ოპტიმიზმისა და იმის შედეგი იყო, როცა საზოგადოებამ გადაწყვიტა, ერთად მოეგვარებინა ყველასთვის საერთო პრობლემები, მათ შორის, სიღარიბის, გარემოს დაბინძურებისა და ჯანდაცვის პრობლემაც. შემდეგ კი ვიეტნამში ომის, სამოქალაქო უფლებების, მომხმარებელთა საზოგადოების მკვეთრი ზრდისა და რეკლამის წყალობით ბოლო მოეღო საერთო კეთილდღეობისთვის ერთობლივი ძალისხმევის ერას.

**უკანასკნელი 40 წლის მანძილზე პოლიტიკაში თანაგრძნობა სულს ღაფავდა. რონალდ რეიგანმა პოპულარობა ღარიბებისთვის სოციალური შეღავათების შეკვეცით აიმაღლა (აცხადებდა, რომ ისინი თაღლითობდნენ დამატებითი შეღავათების მიღების მიზნით). 1990-იან წლებში მისი დაწყებული საქმე ბილ კლინტონმაც განაგრძო და დღეს ამერიკაში ერთი პოლიტიკოსიც ვერ მოიძებნება, ღარიბების დახმარებაზე სიტყვის თქმას რომ ბედავდეს.**

**ორივე მხარის მსხვილი დამფინანსებლები ფულს იმისთვის იხდიან, რომ მათმა ქონებრივმა ინტერესებმა პოლიტიკურ დებატებში ჰპოვოს ასახვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორივე მხარე დღითიდღე აქტიურად იცავს მდიდართა ინტერესებს. ნაკლებსავარაუდოა, რომ მდიდრებისთვის გადასახადების თუნდაც მცირე მომატებამ ამერიკულ პოლიტიკაში რაიმე მხარდაჭერა ჰპოვოს.**



ამერიკელები თავიანთ საერთო მომავალში ერთობლივ ინვესტირებას, დიდი ხანია, აღარ ახორციელებენ. მათი ქვეყანა კიდევ დიდხანს იქნება მდიდარი საზოგადოება, რომელშიც დღითიდღე გაიზრდება განხეთქილება და არასტაბილურობა. შიში და პროპაგანდა, როგორც ეს გასულ ათწლეულში იყო, შესაძლოა, კვლავაც გახდეს აშშ-ის მიერ წამოწყებული ახალი ომების მიზეზი.

**ეს ქვეყანა სოციალური განხეთქილების წინაშე უსუსტესი, ზედმეტად სხვადასხვაგვაროვანი საზოგადოების წყალობით აღმოჩნდა. რასიზმი და ანტიიმიგრანტული გრძნობები ღატაკებზე თავდასხმის მნიშვნელოვანი მიზეზია ან, უკიდურეს შემთხვევაში, იმის მიზეზი, თუ რატომ არის ესოდენ ბევრი ადამიანი მზად იმისთვის, რომ ღარიბების დაუხმარებლობის პროპაგანდა ისმინოს. და ვინაიდან მსოფლიოს კიდევ არაერთი ქვეყანა უკვე ძლივსღა უმკლავდება მუდმივად მზარდ მრავალფეროვნებას საზოგადოებაში, ისინიც ამერიკის მსგავსი კრიზისის პირას დგანან.**

ახლახან შვედებმა საკმარისი ხმა მისცეს ანტიიმიგრანტულ პარტიას, რამაც მას საპარლამენტო მანდატები მოუტანა. საფრანგეთში სარკოზის მთავრობა პოზიციებს ბოშების დეპორტაციით იმყარებს. ეს ორი შემთხვევა კი იმაზე მიანიშნებს, რომ **ევროპაც, ამერიკის მსგავსად, საზოგადოების სხვადასხვაგვარობას ვეღარ უმკლავდება და დაყოფის პოლიტიკისადმი სისუსტით ხასიათდება.**

ეკონომიკური ზრდა სულაც არაა კეთილდღეობისა და პოლიტიკური სტაბილურობის გარანტია. **ამერიკული საზოგადოება დღითიდღე ხისტდება — მდიდრები პოლიტიკურ ძალაუფლებას ყიდულობენ, ღარიბები კი ბედის ანაბარა არიან მიტოვებულნი.**

მსოფლიოს სიფრთხილე მართებს. თუ პოლიტიკაში დიდი ფულის საზიზღარ ტენდენციებსა და თავშეუკავებელ მომხმარებლობას ბოლო არ მოეღება, ეკონომიკურ პროდუქტიულობას ადამიანობის დაკარგვის ხარჯზე მივაღწევთ.

**ჯეფრი დ.საკსი,**
ეკონომიკის პროფესორი, კოლუმბიის უნივერსიტეტის დედამიწის ინსტიტუტის დირექტორი, გაეროს გენერალური მდივნის მთავარი მრჩეველი ათასწლეულის განვითარების მიზნების საკითხში.

*Project Syndicate*

# უხილავი ბრიტანული იმპერია

**მთელს მსოფლიოში ოფიციალურად მიღებული ვერსიის თანახმად, ბრიტანული იმპერია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიშალა, მისი წევრები კი შევიდნენ „რაღაც ორგანიზაციაში“, რომელიც ცალსახად პროტოკოლის ხასიათისაა და გარდასულ დღეთა ატავიზმს წარმოადგენს. სინამდვილეში, ცხადია, ასე არ არის. უბრალოდ „არარსებული იმპერია“ ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს.**



1931 წელს მიღებული ვესტმინსტერის სტატუსით, დომინიონებსა და კოლონიებზე ბრიტანეთის ძალაუფლებამ ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური და ინფორმაციული სიტუაციის გათვალისწინებით, თანამეგობრობის ეპოქის შესაბამისი ნიღაბი მოირგო. მართალია, თანამეგობრობაში საერთო ქვეშევრდომობის მდგომარეობა 1948 წლის კანონით გაუქმდა, მაგრამ მრავალი ყოფილი დომინიონი და კოლონია ბრიტანეთის დედოფალს სახელმწიფოს მეთაურად აღიარებს. ასეთი ქვეყანა კი უამრავია.

**ამ დრომდე თანამეგობრობა წარსულისთვის ხარკად ითვლებოდა და მხოლოდ ფორმალურ, რეალურ საფუძვლებს მოკლებულ ერთობად განიხილებოდა. ბრიტანეთმა მასმედიის დახმარებით ეს მითი მრავალი წლის მანძილზე შეინარჩუნა. აზრადაც არავის მოსვლია, რომ ბრიტანეთი კი არ მისდევს თავის ძლევამოსილ პარტნიორ აშშ-ს, არამედ პირიქით, აშშ განაგრძობს ძველი იმპერიის ძველ პოლიტიკას ისე, რომ ფორმალურად არ შედის მასში და მთელ ცეცხლს საკუთარ თავზე იღებს.**

აზრადაც არავის მოსვლია, რომ თანამეგობრობა უზრუნველყოფს ყველა კონტინენტზე მიმოფანტული ქვეყნების ურთიერთქმედებას და ამის საუკეთესო დასტური ამ თანამეგობრობის წევრთა რაოდენობის განუხრელი ზრდაა. მასში ბრუნდება ყველა, ვინც კი ოდესმე იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. შედიან ისინიც, ვინც არასდროს ყოფილა ბრიტანეთის იმპერიის ქვეშევრდომი და, რაც ყველაზე სასაცილოა, 2006 წელს თანამეგობრობის წევრობა მოინდომა ისრაელმაც. ლოგიკურია — ინგლისის გვირგვინს მუდამ მჭიდრო კავშირი ჰქონდა ფინანსურ და სავაჭრო კაპიტალთან.

**თანამეგობრობას კონსტიტუცია არ აქვს. კონსტიტუცია არ აქვს თავად ბრიტანეთსაც, რომელიც ოფიციალურად სწორედ კონსტიტუციურ მონარქიად ითვლება. ევროკავშირის მაგალითზე მშვენივრად ჩანს, რომ ბრიტანეთი კონსტიტუციის არსებობის იდეისადმიც კი საკმაოდ აგრესიულადაა განწყობილი — მას თავისუფალი ქმედებისკენ მიმავალ გზაზე სერიოზულ წინაღობად აღიქვამს.**

ტრადიციულად, უმაღლეს კანონს ქვეყანაში სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები ცვლის. რაც შეეხება თანამეგობრობას, ის ორი კანონის საფუძველზე მოქმედებს. ერთია 1971 წლის „პრინციპების დეკლარაცია“ და მეორე — 1991 წლის „ჰარარეს დეკლარაცია“. **ამ კანონების თანახმად, თანამეგობრობის მეთაური ბრიტანეთის მონარქია. უმაღლესი ორგანო, სახელმწიფო მეთაურთა შეხვედრა, ორ წელიწადში ერთხელ იკრიბება. აღმასრულებელი ორგანო კი ის სამდივნოა, რომელიც, ცხადია, ლონდონში ზის.**

**სამდივნო ახორციელებს 70-ზე მეტი სპეციალიზებული ორგანოს, ასევე ფონდების, ასოციაციების, კლუბების, ინსტიტუტებისა თუ სააგენტოების ადამიანური ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში დაქსაქსულ აბლაბუდას. ამავე სამდივნო**თი ახორციელებს თანამეგობრობა გაეროში მეთვალყურის სტატუსს.

**ბრიტანეთი კი არ მისდევს თავის ძლევამოსილ პარტნიორ აშშ-ს, არამედ პირიქით, აშშ განაგრძობს ძველი იმპერიის ძველ პოლიტიკას ისე, რომ ფორმალურად არ შედის მასში და მთელ ცეცხლს საკუთარ თავზე იღებს**

**ნატო ევროპული სამხედრო ინტერესების თანამეგობრობის ინტერესებთან შეთავსების მცდელობაა, უფრო ზუსტად კი ის არის მცდელობა, აიძულოს ევროპის ქვეყნები, შეასრულონ თანამეგობრობის ამოცანები.** იმ შემთხვევისთვის, თუ პროგრამა გამართულად ველარ იმუშავებს, თანამეგობრობის შიგნით თავიანთი პაქტები და შეთანხმებები აქვთ. მაგალითად, თანამეგობრობის პაქტი, თავდაცვის ხუთმხრივი შეთანხმება, აღმოსავლეთ-კარიბული უსაფრთხოების რეგიონალური სისტემა და ასე შემდეგ.

**სამხედრო ურთიერთობების დამუშავებული სისტემა მთელ დედამიწას მოიცავს. პლანეტაზე არ არსებობს ადგილი, სადაც ბრიტანეთი სამხედრო რანგში არაა წარმოდგენილი. იმპერიის პოლიტიკა უწვრილეს დეტალებამდეა გათვლილი. ასევე დეტალურადაა გაწერილი, ვისთვის რა შეიძლება და რა რაოდენობით.**

საუკუნეების მანძილზე დამუშავებული პოლიტიკა ესოდენ განსხვავებული ქვეყნების ქმედებათა კოორდინაციისა და მთავარ საერთაშორისო საკითხებში საერთო პოზიციის ფორმირების საშუალებას იძლევა. საერთო ვექტორიდან გადახვევა დაუყოვნებლივ და უმკაცრესად ისჯება — თანამეგობრობიდან გარიცხვით. ამგვარი ზომა 2007 წელს თვით პაკისტანის წინააღმდეგაც კი იქნა გამოყენებული. ამ უკანასკნელმა აშშ-სთვის წინააღმდეგობის გაწევა და პრეზიდენტად პერვეზ მუშარაფის არჩევა გაბედა. პაკისტანს წევრობა დაუბრუნეს, მუშარაფი კი მაინც მოიშორეს.

**საერთაშორისო ურთიერთობათა ამ ეტაპზე თანამეგობრობის (პლუს აშშ) დამოკიდებულება არა მხოლოდ რუსეთის, არამედ ევროკავშირის საპირწონეცაა. ამას სათავე ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის ცნობილმა გამოსვლამ დაუდო. თავად ჩერჩილი 1946 წლის 5 მარტის ამ გამოსვლას ფულტონის კოლეჯში საკუთარი კარიერის უმნიშვნელოვანეს მომენტად მიიჩნევდა. ერთ კვირაში კი სტალინმა იგი ჰიტლერს გაუთანაბრა და აღნიშნა, რომ ჩერჩილი და მისი მეგობრები საოცრად გავდნენ ჰიტლერსა და მის მეგობრებს. „ინგლისურ რასობრივ თეორიას ბატონი ჩერჩილი და მისი მეგობრები იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ინგლისურად მოლაპარაკე ნაციებმა, როგორც ერთადერთმა სრულყოფილებმა, მსოფლიოს დანარჩენ ნაციებზე უნდა იბატონონ“, — თქვა მაშინ სტალინმა.**



მეორე მსოფლიო ომის დროს ესოდენ ნათლად წარმოჩენილმა საბჭოთა ძლევამოსილებამ იმპერია აიძულა, უხილავი გამხდარიყო. პირველ ხაზზე ანგლოსაქსონური რასის შედარებით ძლიერი წარმომადგენელი და ფორმალურად თანამეგობრობაში არშემავალი აშშ წამოწიეს. ამიტომაც უამრავი წლის მანძილზე იქმნებოდა ბრიტანეთის აშშ-სადმი მორჩილების ილუზია.

ახლა, მას შემდეგ, რაც საბოლოოდ მოიმაგრა თავი და ევროკონტინენტზე ერთობაც აღარ არსებობს, ბრიტანეთმა ნელ-ნელა დაიწყო თავისი ერთგული ვასალის მსხვერპლად შეწირვა. აშშ-ში მოხშირებული ფინანსური რყევები ამის ყველაზე ნათელი მაგალითია. აშშ ზედმეტად ოდიოზური ფიგურაა. ჰეგემონობა ვერ შეძლო, მთელს მსოფლიოში ზიზღი დაიმსახურა, სიტუაციაზე კონტროლი იკარგება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალი მსოფლიო წესრიგი უნდა დამყარდეს და ორბიტაზე ვიღაც ახალი, იქნებ თავად თანამეგობრობაც, უნდა გამოჩნდეს. მანამდე კი თანამეგობრობად წოდებული „უხილავი იმპერია“ ცხოვრობს თავისი ცხოვრებით, როგორც მსოფლიო მსოფლიოში.

*pravda.ru*

## მძინარების ჩემპიონატი



**მადრიდში მიძინებულმა კონკურსანტებმა, როგორც იქნა, გამოიღვიძეს. ძილის ჩემპიონატის გამარჯვებული 62 წლის ეკვადორელი სორია ლოპესი გახდა.** მიუხედავად იმისა, რომ კონკურსი ხმაურიან სავაჭრო ცენტრში მიმდინარეობდა, ლოპესმა 17 წუთი იძინა. ეს მაჩვენებელი რეკორდულს ერთი წუთით ჩამოუვარდება, მაგრამ გამარჯვებულმა დამატებითი ქულები ხვრინვის წყალობით მიიღო და 1000-დოლარიანი ჯილდოთიც დიდად გაიხარა.

ჩემპიონატი ესპანეთის დედაქალაქის ერთ-ერთ უდიდეს სავაჭრო ცენტრში 14 ოქტომბრიდან მიმდინარეობდა. მასში სულ 360-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ორ მესამედზე მეტმა საერთოდ ვერ შეძლო დაძინება. დამატებითი ქულები ეძლეოდათ არა მხოლოდ მხვრინავ კონკურსანტებს, არამედ მათაც, ვისაც განსაკუთრებით ორიგინალურ პოზაში ეძინა.

## გვამების გამოფენა-გაყიდვა



**გერმანელმა მხატვარმა-პათანატომმა გიუნტერ ფონ ჰაგენსმა თავის დროზე სკანდალური სახელი სპეციალური წესით დაკონსერვებული ადამიანების გვამების გამოფენით გაითქვა, ახლა კი ამ უცნაური ექსპონატების გაყიდვის იდეა მოუვიდა და აუქციონს პირდაპირ ინტერნეტში მართავს.**

პლასტიფიკაციის მეთოდის გამომგონებელმა გიუნტერმა გადაწყვიტა, თითო გვამი 69 615 ევროდ გაყიდოს, ტორსი — 56 644 ევროდ, თავი — 22 015 ევროდ. ონლაინ მაღაზია 2-3 ნოემბერს გაიხსნება. მაგრამ ექსპონატების შეძენა მხოლოდ იმ ადამიანებს შეეძლებათ, რომლებიც სამეცნიერო კვლევებით, მედიცინით ან საექიმო პრაქტიკით არიან დაკავებულნი.

## დედამთილის პორტრეტი პურით



**მსოფლიოში ხორბლის კრიზისის მიუხედავად, მხატვრები ფანტაზიებსა და შემოქმედებით აღმაფრენას ვერ უმკლავდებიან. ბრიტანელმა მხატვარმა და მუზეუმის კურატორმა ლორა ჰედლენდმა დედამთილის მოზაიკური პორტრეტი პურის ნაჭრებისაგან დახატა. ამისათვის „მასალის“ გარკვეულ ნაწილს ტოსტერში დასჭირდა შებრაწვა, მთლიანად ნამუშევრის აწყობას კი — სულ რაღაც ექვსი საათი. მხატვარს რამდენიმე ათეული მეგობარი ეხმარებოდა, პორტრეტის შესაქმნელად კი პურის 9852 ნაჭერი დაიხარჯა.**

ხელოვნების ნიმუში ავტორმა, პირველ რიგში, ცხადია, დედამთილს — 50 წლის სანდრა უაიტფილდს წარუდგინა. ეს ყველაზე კარგი საჩუქარია, რაც კი ოდესმე მიმიღიაო, ამბობდა აღფრთოვანებული სანდრა, რომელსაც იმ დღეს 50 წელი შეუსრულდა. ამ შეფასების გარდა, პურის პორტრეტმა გინესის რეკორდების წიგნის სათანადო ადგილიც დაიმსახურა. მოზაიკა 128 კვადრატულ მეტრს მოიცავს.

საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო
საქინფორმი
www.saqinform.ge


# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.**
**890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**


# თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

## «ბალ-მასკარადსა» და «რიგოლეტოს» წარმოადგენს



თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი ოქტომბრის ბოლო ორ დღეს ჯუზეპე ვერდის ოპერებს შემოგთავაზებთ. 30 ოქტომბერს, 19 საათზე ოპერის თეატრი გიწვევთ ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში (დავით აღმაშენებლის გამზ. №127), სადაც საკონცერტოდ აჟღერდება „ბალ-მასკარადი“. მთავარ პარტიებს შეასრულებენ — **გიორგი მახარაძე, ბესიკ გაბიტაშვილი, მარიამ ქობალიანი, ნატალია ვოლჩენკო, მარიკა მაჩიტიძე, გოჩა დათუსანი-ჯიღაური, ბონდო გოგია, ტარიელ ჭიჭინაძე, თამაზ საგინაძე.**

„ბალ-მასკარადს“ **ზაზა კალმახელიძე** უდირიჟორებს.

31 ოქტომბერს, 19 საათზე კი კონსერვატორიის დიდ დარბაზში ოპერის თეატრის გუნდი, ორკესტრი და სოლისტები საკონცერტო ვერსიით წარმოადგენენ ვერდის კიდევ ერთ შედევრს — „რიგოლეტოს“. სცენა დაეთმობათ **თეიმურაზ გუგუშვილს, ელდარ გეწაძეს, ლიანა კალმახელიძეს, გია ასათიანს, ნატალია ვოლჩენკოს, ვანო გალუაშვილს, ბონდო გოგიას, იური ასლანიშვილს, ტარიელ ჭიჭინაძეს, ირინა ბორისოვას.** “რიგოლეტოს” წარუძღვება იტალიელი დირიჟორი **ჯანლუკა მარჩიანო.**



ჯანლუკა მარჩიანო




საინფორმაციო სააგენტო მედიანიუსი
http://www.medianews.ge

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

FACT
www.fact.ge
ACM Group

# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება —
წმ. ანდრია პირველწოდებულის
სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ
ფონდის დირექტორს,
დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net